

ნ. ბ. ო. ო. ო. ო. ო. ო. ო. ო. ო. ო.



ბ. ბ. ბ. ბ.

ს. ო. ო. ო. ო. ო.
დ. ო. ო. ო. ო. ო.

ბ. ო. ო. ო. ო.



1 * 9

ს. ო. ო. ო. ო. ო.

2 * 8

ბ. ო. ო. ო. ო. ო.

კ. ბრეჯინაძე

ქველი ზვიდილის
ნიჭიერებული ბრძედი

1927

საბჭოთა

ძველი ტფილისის
ლიტერატურული ბოჰემა

„...მრისხანე ალა-შაჰმად-ხანთან მიიყვანეს მშვენიერი ტყვე-ქალი. მეუღლე ბრძოლის დროს დაეღუბა. ძუძუ-მწოვარა ბავშვი მტრებმა დედის თვალწინ დაანარცხეს ქვაზე და მოუკლეს. თვით დედა კი სილაბაზემ გადაარჩინა. ეს ქალი საჩუქრად მიჰგვარეს შაჰს. „ჩემთვის საჭირო არ არის! ვინ არის ამის მყიდველი?“—ბრძანა ათვალწუნებით სატყურისმა შაჰმა. ქალი შეისყიდა ვინმე მდიდარმა ჯაფარ-ბეგმა და მიიყვანა იმ კოშკში, რომელსაც ნარიყალა ეწოდებოდა. ჯაფარ-ბეგმა ქალს უბრძანა, მაჰმადიანობა მიეღო და მისი ხასა გამხდარიყო... ქალმა არაფერი უპასუხა. ჩაფიქრდა. მერე ჯაფარ-ბეგს ხელის გული გაუსინჯა და უთხრა: ხელის გულის ხაზები მეუბნება, რომ შენ ამაღამ საკუთარი ხანჯლით სიკვდილი გიწვერიავ. ქალმა ჯაფარ-ბეგს ხანჯალი მოსთხოვა: „შეეულოცავ და უფნებელი ვახდები, სიკვდილი თავიდან აგცილდებაო (მაჰმადიანებს სწამთ, რომ ქართველმა ქალებმა იარაღის შელოცვა იციან). ჯაფარ-ბეგმა ხანჯალი შემოიხსნა და ქალს გადასცა. ქალმა ჯერ შეეულოცა, მერე ხანჯლის წვერი გულზე მიიღო და ჯაფარ-ბეგს უთხრა: ხანჯლის ტარს ხელი დაქარი და დარწმუნდები, რომ არ დაეიქრებიო! ჯაფარ-ბეგმა თხოვნა შეუსრულა და... ტყვე-ქალი გულ-განგმირული დაეცა ბრძანებელის ფეხთა წინაშე.“¹⁾

ეს ლეგენდა ნარიყალას ეკუთვნის.

და რა სამწუხაროა, რომ ტფილისის წარსულზე უცხოელ ორიენტალისტებმა უფრო მეტი იციან, ვიდრე ჩვენ, ტფილისის ჰაერით გამოზრდილებმა!

აბამც თუ წარსულის შესწავლა, ტფილისის თანამედროვე მკობადიც კი არ არის უნაკლოდ ასახული.

ჩვენი ისტორიული დაუდევრობა.

მაგალითისთვის პატარა კურიოზი:

¹⁾ Потто: „Памятники времен утверждения русского владычества на Кавказе“. Вып. 1, Тифлис, 1906 წ., გვ. 74, ასეთივე ლეგენდა მოყვანილი აქვს აკაკის თავის „ბაში-აჩუკში“ („ჩრდილი ნაწერები“, ტ. I, სახელგამი, 1925 წ., გვ. 260).

დილა ტფილისში

... მთის მწვერულიდან ვადმოსხლტა სხივი.
შემე მიწას მოსდო ოქროს ღვედები;
მთის უბით დასწვდა ნიაფი ცივი,
და აიშალნენ ზღვაზე გვედები.¹⁾

ეს ლექსი რომ უცხოელმა წაიკითხოს, ალბათ რუქაზე დაუწყებს ძებნას, ტფილისი რომელი ზღვის პირად მდებარეობსო.

ტფილისი პოეტებისთვის მომხიბლავი თემაა. მაგრამ თემის დასახვეწად მარტო სათაური ხომ არა კმარა!

პოეტი ლექსის თემას და თავის ლიტერატურულ სახელს ებგურივით უნდა ჰგუშავდეს.

ტფილისის შესაქებად საჭიროა მხეილი ინტუიცია და კრიტიკის დოსტაქრული სკალპელი, რომ პოეტმა „ჩენი მხარე“ სწორი ფერებით შეანაზუქოს.

ტფილისის ვიწრო ქუჩებს არაერთი მოგზაური უნახავს, მაგრამ შინ დაბრუნების დროს, თითქმის ყველას მეტი მოგონება და შთაბეჭდილება რჩება იმ ბნელ ქუჩებიდან, სადაც ქიმ-მომტვრეული სახლის იაქათალი ირიბათაა გაწოლილი, იმ ფოლორციდან, სადაც „ყარაჩოღელი ბერანჯე“ მღეროდა:

— „ქალო ხაბარდიანო,
ვაქვს და ვიხარიანო“—

და იმ ნარიყალის ძველ ბურჯებიდან, რომელიც უამრავ ლეგენდებს ინახავს თავის დახავსებულ ნანგრევებში; ერთი სიტყვით, ეს „Азиатская часть Тифлиса“ უფრო მეტ მასალას აძლევს მათ მემუარებს, ვიდრე გავერობიელებული ფართე ქუჩები და ქვის თეჯირები.

ბერტელსის აზრით, შემაკავებელი ცენტრები, რომელნიც დასავლეთმა გამოიბეზავა, აღმოსავლეთში არ არსებობენ.²⁾ ამიტომ არის, რომ აღმოსავლელი ხალხი ინტენსიურად განიცდის სიხარულსაც და მწუხარებასაც.

ძველი ტფილისი ამის ნათელი მაგალითია.

ძველი ტფილისი!

¹⁾ მასწავლებელთა ჯგუფი: „ჩენი მხარე“, 1926 წ., გვ. 33. და 1927 წ., გვ. ბ.

²⁾ E. Бертельс: „Персидский театр“, გამომცემლობა „Академия“. Ленинград, 1924 წ., გვ. 21.

ბავშვობიდანვე მიყვარდა იგი. მზიური ნისლით დაბურული ნარიყა-ლის ციხის ისტორიული ნაშთი ღრმა საიდუმლოებასავით იყო ჩემს წინაშე ამართული. ჩემი პოეტური ფანტაზია და ოცნების წმინდა სიხარული მხოლოდ ლექსის ლერწმებში დავაპატიმრე. დიდხანია მინდოდა გულის მურაზის შესრულება: ძველი ტფილისის რაობის ისტორიულად შესწავლა.

საჯათნოვას ეპოქის გამოკვლევამ იმდენი მასალა მომცა, რომ მაშინვე გადავწყვიტე, ზოგი რამ მომემარაგა.

ეს წიგნი, როგორც საჯათნოვასაგან წართმეული თემა, არის მეორე ნაკვეთი ჩემი ამ ჟანრის შემოქმედებისა. თუ „საჯათნოვა“ მე-18-ე საუკუნის ფარგლებით შევზღუდე, ეს წიგნი მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ხალხურ მწერლებს მივაკუთვნე, იმ ხალხურ მწერლებს, რომელნიც ილიასა და აკაკის დროს პარალელურად მოღვაწეობდნენ დაბალ ფენებში.¹⁾

ბევრს ჰგონია, რომ ხალხური მწერლობა მხოლოდ სოფლებში ინახება. ქალაქშიაც არის. ამას კი თავისდადება უნდა, შესწავლა, გამოუმხეება.²⁾

„ხალხურ მწერლობად“ ხშირად ჰგულისხმობენ ისეთს შემოქმედებას. რომლის ავტორიც უცნობი და დაკარგულია; მაგრამ, ჩემის აზრით, „ხალხური“ ეწოდება იმ შემოქმედებასაც, რომელიც ხალხის შეილის გულიდან ლაღად მომდინარეობს, უკოსმეტიკოდ, თავისი პრიმიტიული სახით და ავტორიც ჩვენთვის, ცოტად თუ ბევრად, ცნობილია.

მწერლობა მარტო კლასიკებისაგან არ შესდგება.

მწერლობას მარტო დიდი სახელებით ვერ გავათავთავებთ.

¹⁾ ეს „ხელახანები“ იგივე „მუშები“ იყვნენ, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. მაშინ სიტყვა „მუშა“, არ ვიცით რა მთასაზრებით, ან სულ არა ხმარობდნენ, ან თუ ხმარობდნენ— იშვიათად „მუშა“ ეწოდებოდა კურტნიო (ფლანით) ტვირთის მზიდველს; როცა პირველად სახალხო ჯარბოძვეების მართვა დაიწყეს (1893 წ.), სტენის მოყვარე მუშებმა შეადგინეს წესდება, რომელსაც ეწოდებოდა: „სტენის მოყვარე ხ ე ლ ო ს ა ნ თ ა ა მ ა ნ ა გ ო ბ ა“ (იხ. საიუბილეო კრებუ-ბული: „სახალხო სალი“. 1923 წ. გვ. VI).

²⁾ ჩვენ „ქალაქად“ ვგულისხმობთ ტფილისს. „ივერია“ სწერდა: „ისტორიულმა დიდებამ ტფილისს სახელი იმდენად გაუთქვა, რომ იგი დღეს ყოველთვის ქართველის თვალში მარტო ქალაქია—უხსენებლადაც ადვილ საგრძობელ და საცნაური. ქუთაისიც ქალაქია. უფრო ძველიცა ვიდრე ტფილისი, მაგრამ ქართველი რომ იტყვის: „ქალაქს მივიღვარ“, „ქალაქში ვიყავი“ და „ქალაქიდან მოვიღვარ“, მხოლოდ ტფილისს იგულისხმებს და არა სხვა რომელსანე ქალაქს“ („ივერია“, 1900 წ., № 208). ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული ვეიდეზ-ბაუმს: „Если в разговор упоминается о Кляки, то всякий без объяснения понимает, что речь идет о Тифлисе“ („Путеводитель по Кавказу“, 1888 წ., გვ. 304).

ზღვა თავის გულში აგროვებს და ისრუტავს არა მარტო დიდ მდინარეებს, არამედ პატარა ნაკადულებსაც. ყოველი მდინარის გაცნობა სათავედან იწყება. ეს სათავე ხშირად სადღაცაა მიგდებული, ყოველთვის საძებნელი ხდება.

ერთი ამგვარი ესთეტიური მოგზაურობა მეც გავბედე... მინდა თვალწინ გადავიშალოთ უცნობი კუთხე და დაეწივებული სათავე იმ თვალკრელი ნაკადულისა, რომელსაც „ქალაქური ხალხური პოეზია“ დავარქვით და რომელიც შეუმჩნევლად იფარება აკადემიური მწერლობის მღელვარე ტალღებში.

~~_____~~

თუ მამბადეთის მთაზე ახვალთ და გადახედეთ ტფილისს, ნარიყალის ციხის კალოების გასწვრივ თქვენი მხედველობის წინაშე გადაიშლება ჩვენი დედაქალაქის ის ნაწილი, რომელსაც ძველი ტფილისი ეწოდება. ნახევრად დანგრეული კედლები ნაამაგდარი ციხისა მთის მალლობიდან ქვევით ვშვება, მაგრამ შუა გზაზე სწყდება. თუ ამ ნანგრევებს გონების თაღლით გააგრძელებთ, ხაზი დაეშვება მტკვრისაკენ და გავა მეტეხის ციხის პირდაპირ. ეს იქითა მხარეა. აქეთა მხარის გალავანი კი, დაახლოვებით ძველი სემინარიის გვერდით რომ არის დაქანებული, ეს ნარიყალის დულაბიც მტკვარში ჩადიოდა. ¹⁾

აი, ამ გამირში, ამ რკალშია მოთავსებული ძველი ტფილისი. ხოლო ამ გალავანის აქეთა მხარეს დარჩენილი ადგილი—„გარეთუბნად“ იყო წოდებული. ძველად ამ გარეთუბანს გარეშემო ბაღები და საიალალო ველი ერტყა; ეხლანდელი ალექსანდრეს ბაღი წინად სასაფლაოს წარმოადგენდა, კუკიის ხიდსა-და-ხიდს შუა ქალა იყო, ნაზირბაღთან კი—ლასტის ხიდი. ²⁾

მაგრამ ჩვენი გულისუფრი ტფილისის განსაზღვრული ნაწილისკენ არის მიპყრობილი. ტერიტორია: თათრის მოედანი, კლდის უბანი, ავანანათ ხევი, ლეღეთა ხევი (მოტანიკური ბაღი), ისნის ყელი, პატარა და დიდი სირაჩხანის არემარე, მეტეხის ორივე ხიდის ფარგლები,—მტკვრის

¹⁾ „ნარიყალა“ უკანასკნელ დროს ეწოდა, ალბათ, რომელიმე სპარსელი ხანის (ნარინის) პატრესაცემად. ძველად მხოლოდ ყალა (=კალა) ერქვა: „ყალაა არს ციხე ნაშენი მალას კლდესა ზედა და ჩამოხლუდვილი სალაქის ხევი მტკვარადუ“ (ვახუშტის გეოგრაფია, 1914 წ., გვ. 70) „ქართლის ცხოვრების“ თქმით ეს ციხე (ნარიყალა) სპარსელებს აღუშენებიათ მეფეთის სიმაგრის წინააღმდეგ. შემდგომ, მრავალ ბრძოლების გამო, ამ ციხესაც დაქარაჯია თავისი პირვანდელი სახე. ეს ნანგრევები, დღევანდელი თავისი სახით და ტეხნიკით წარმოადგენს მე-17-18-ე საუკუნის ნაგებობას.

²⁾ „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით: „უწინარეს ეამა ტფილისი იყო სოფელი“. ქალაქი ვაბტანგ გარგასლანმა ააშენა. ტფილისი, როგორც აღმოსავლურ ევზოტიკის მთავარი ძარღვი, დიდ როლს თამაშობდა საქართველოს ცხოვრებაში. იგი საქართველოს გული იყო. „სპარსნი საქართველოს ასაოხრებლად, რომ შოლიოდნენ, პირველად ფეხის მოკიდებას ტფილისში სცდილობდნენ“. ტფილისი ისე მოხერხებულად არის აშენებული, რომ „განციფრებული რჩებით მისი დამარცხებლის გამჭრიახობით: აბა, დაუკვირდით: ტფილისი ურთსა და იმავე დროს იცაჲ კახეთის ფლანგს, ქართლის ფრონტსა და შესხეთის ქედს“.

პორვეიდან ბაყალხანამდე, აბანოების მიდამო, სეიდაბადნი, ორთაქალა; ხართუხი და მისი მიჯნა—განჯის კარი.

დაიწყეთ თათრის მოედნიდან.

ტფილისი ცნობილია, როგორც სავაქრო ცენტრი. ამ სავაქრო ცენტრად თათრის მოედანი ითვლებოდა. აქ მოდიოდა ყოველგვარი საქონელი და სურსათ-სანოვაგე:

შორავალიდან, მარნეულიდან და ღურნუკიდან—ფქვილი, ხორბალი;

ყარაიაზიდან—ბრინჯი;

აღღამიდან—სახამთრო;

ზაქათალიდან—„ლეკური მსხალი“;

შხლოიდან—ყველი;

თუშეთიდან და ყარაბაღიდან—ცხვარი, მატყლი, ერბო

ჭამამლიდან—კვერცხი;

ჯალალოღლიდან და მანგლისიდან—კართოფილი;

ლამბალოდან—კარაქი;

უღლფიდან და ქალზმანიდან (აღზევანიდან)—მარალი;

ბორჩალოდან—ბოსტნეულობა: ხახვი, ბადრიჯანი და სხვ.;

თათრის მოედნის შუაგულში გამართული იყო ყაფანა—დიდი სასაწორი, საიდანაც საქონელი მცხოვრებლებსა და ვაჭრებს ურიგდებოდა. აი, ეს ეხლანდელი განაპირებული მოედანი იყო ტფილისის გული, რომელსაც სოფელი აწვდიდა თავის ნაწარმოებს.

ერთი პატარა დეტალი:

სოფლიდან მოსული საქონელი ჯერ ქალაქის მცხოვრებლებს უნდა ეყიდათ და შემდეგ ქორეაქრებს.¹⁾

როცა ყაფანზე ბაირალი იყო ამართული, მაშინ მცხოვრებლებს უნდა ევაკრათ. სრულ 12 საათზე ბაირალს დაუშვებდნენ და ეს იმას ნიშნავდა, რომ ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო ვაჭართა და სოფელელთა აღებ-მიცემობა.²⁾

¹⁾ ქორეაქარი—перекушник.

²⁾ ამ ყაფანის ბაირალის შესახებ მ. ი. ხ. ჩოღდრიშვილი თავის მუგანებაში ასე მოგვითარობს: „...1848 წელს ჩამოველ ტფილისში... აგერ კიდევ დავინახე შუა მუგანაზე მაღალი კრელი ბოძი, რომელზედაც წითელი ბაირალი იყო ჩამოკიდებული, ამ ბოძის ძირში დიდი ყაფანი იყო, სადაც ბუზივით ირეოდა ხალხი. ზოგი ფქვილის საცალოებს სწონავედა, ზოგი მარილსა და სხვ., ამ მუგანაზე დიდხანს დავდიოდი. შუადღის ზარბაზანიც გავარდა და მოედნის ბაირალიც ჩამოიღეს!“ („რევოლუციის მატთანე“ 1924 წ., № 2-3., გვ. 312, 313).

ქალაქის მოსახლეობა მუდამ კრელი და მრავლფეროვანი იყო, მაგრამ იგი ყოველთვის თავისი ერთა მეტყველებდა: ეს იყო ქალაქური ენა. ქართული ენის ბგერაში ხშირად ისმოდა არაბულ-სპარსული, სომხური სიტყვები, მაგრამ ეს სიტყვები ყოველთვის შესისხლხორცებული იყო ქართული ენის ცოცხალ გამოთქმასთან. ტფილისმა ფრთხილად მოანარსება სხვა-და-სხვა ერის წახნაგოვანი სიტყვები და მისცა თავისებური ენა და მზოგონობა. თანდათანობით ეს სიტყვები იმდენად შეცვლილა და ხშირად ქართული გამოთქმისთვის ისე შროიანად გაკეთებულა, რომ ამ ლექსიკას ვერც სპარსელი და ვერც სხვა რომელიმე ერი მხოლოდ თავის საკუთრებად ველარ მიიჩნევს; ან კი „რით არიან უშონი არაბული სიტყვები „ფეფბის-ტყაოსანში?“ მაშ რუსთველის თხზულება დამკირებული იქნება არაბულისა და თათრული სიტყვების ხმარებისთვის?“¹⁾

სხვა-და-სხვა მოდემისა და სხვა-და-სხვა ენაზე მოლაპარაკე ძველი მოქალაქენი უმეტეს წილად ტფილისის განაპირა უბნებში სცხოვრობდნენ: აქ ესენი უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, სწავლობდნენ ერთმანეთის ენას და ამ მუდმივი ურთიერთობის ზეგავლენით ტფილისის ქართული ენაც განსაკუთრებულ ინდივიდუალურ და კოლორიტულ ელფერს იღებდა.

ეს ურთიერთი ზეგავლენა უფრო მეტად ძლიერდებოდა იმით, რომ ტფილისი კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრი იყო არამც თუ საქართველოს მევიდრ მცხოვრებთათვის, არამედ გარეშედათვისაც. გაიხსენოთ ლეონ მელიქსეტ-ბეგის მოხსენება:

„ქართულის ზეგავლენით ტფილისის სომხურმა დიალექტმა ისეთი ფონეტიკური ნორმები შექმნა, რომ სამაგალითო გახდა თვით სომეხთათვისაც, იმდენად სამაგალითო, რომ სომეხთა ცნობილმა მწერალმა და პედაგოგმა, აწ განსვენებულმა ლაზაროს აღიანმა სომხური ბგერების შესახებ თავის 1874 წ. გამოცემულ წიგნში „დასავლურ“ სომხებს, რომელთაც უყვართ ბგერების დამახინჯება, ურჩია მაგალითი აეღოთ ტფილელი სომეხებიდან, რომელნიც თავის მხრივ გაწვრთნილნი არიან ქართველების მიერ.“²⁾

¹⁾ სფირიდიონ ჩიტორჯლიძე: „საქართველოს მთაბე“, 1863 წ. № V, გვ. 11. სფირიდიონ ჩიტორჯლიძე იყო ფსევდონიმი არა ძლიასი, რთორიკ ფიქრობს „ქართული წიგნის“ გამომცემლობა (იხ. ილიას ნაწურების მე-4-ე ტ., 1927 წ. გვ. 289-354.) არამედ იმ დროინდელი მოღვაწის მიხეილ ზაალის ძე ყოფიანისა (იხ. ნიკ. ყოფიანის „მოვლიან-აქალი“, 1893 წ., № 15).

²⁾ იხ. „წელის დეკლი“ (ქართ. სან. სახ. კრებული) № I-II, 1923-1924 წ., გვ. 344. აქ არ შემოიღიან არ გაიხსენო სომეხის მწერალი მ. დარბინიანი, რომელმაც მოსთურვა, გ. სუნდუკიანის პიესა „ახალი“ სომხურიდან სომხურად ეთარგნა, ვინაიდან ამ პიესაში მოხსენებული სიტყვები და გამოთქმები ველა სომეხს არ ენისო!

პოეტიკურად აგრეთვე, თუ რას ამბობს ვახუშტი თავის გეოგრაფიაში ტფილისის მოსახლეობის შესახებ: „...ტფილისის მსახლობელნი არიან ციხესა და სეიდაბადს სპარსნი მაჰმადიანნი, ხოლო ციხეს გარეთ უფროს სომეხნი და მკირდ ქართველნი, ქცევა-ზნით ქართულითა“¹⁾

ამავე საგნის, ტფილისის განსაკუთრებულ კილოს შესახებ, აი რასა სწერს პეტრე მირიანოვილი ილიას ივერიაში: „საზოგადოთ ქალაქელი სომხობა და მასთან ქართველობაც კიდე ლაპარაკობს ისეთ ქართულს, რომ გულდასმით დამკვირვებელი არაერთ ძვირფას სიტყვასა და სიტყვის საქცევს უპოვის. თქმა არ უნდა ქალაქი, ფრთხილისა და ხელოვანის მუშაკის მომლოდინე, ჩვენი ენის საუნჯეს მრავალ ობოლ მარგალიტს შესძენს, მხოლოდ მეტის-მეტად საჭიროა ფეხი მოიკიდოს ჩვენს მწერლობაში მისმა მოხდენილმა და შნოიანმა საუბრის კილომ, რომელიც ღირსია ამ პატივისა, როგორც ჩვენი მოქალაქობრივის ცხოვრების სათავეში მდგომი. და თუ ეს პატივი არ ვაღირსეთ, ქალაქი ვერ ითავადებს“²⁾

პირადათ მე, როგორც აღმოსავლურ მგრძნობელობის თანამოინახეს, მიყვარს ეს ტფილისური ჯიშინი სიტყვები. ტფილისური სიტყვა და გამოთქმა თავისი მოკულობით და სპეციფიური ვითარებით მეტად ხმოვანია და ლეგენდარული. ამიტომ არის, რომ ამ ენის კრიალოსანს არა ვფანტავ ონავარ ხელით, ყოველივე გამოთქმას სათუთად ველოლიავები, ვიქერ ყოველივე ცალკეულ სიტყვას და ესხავ იქ, სადაც მისი ბადალი სიტყვა არ მოგვეპოვება. როცა ზოგიერთ რუსული სიტყვისათვის სხვა სიტყვა ვერ შემოიფარდება, მივმართავ ხოლმე ჩემს ლექსიკონს („ტფილისის ქართული ლექსიკა“) და გამოთქმაც შზად არის.³⁾

1) „სქართველოს გეოგრაფია“ მ. ჯანაშვილის რედაქციით, 1904 წ., გვ. 73.

2) პეტრე მირიანოვილი: „ქალაქმა რა დააზავა?“ ივერია“ 1900 წ., № 208.

3) მოგეყვას რამდენიმე მაგალითი:

- ჩ ა რ ო ხ ი — Дессерт.
 ს ა რ უ ყ უ დ ი — Отступные
 ს ა თ ლ ი — Ведро.
 თ ა მ ა ს ა — Реяка.
 შ ი მ შ ა — Лисьяка.
 გ უ ლ ქ ა ნ დ ა — Ожерелье.
 ო რ თ ო მ ე ლ ი — Бокал.
 ნ ი ა ზ ი — Интерес.
 მ ა ლ ა ლ ი — Хрупкий.
 ჯ ა ლ ა შ ა — Марля.
 ლ ე ი ლ ა ლ ი — Жасми.
 ნ ა რ ა ჯ ი — Компот.
 მ უ მ ბ ა რ ა კ ი — Новоселые.
 ს ა ლ თ ი — Холостой.
 გ უ ლ ა მ ბ ა რ ი — Нагрудник.

ტფილისის ეგრედ წოდებული „ყარაჩოღული სიტყვები“, — რომლითაც ჩვენი ძველები ლაპარაკობდნენ და ამ ეამდ არც ახალი მწერლების ნაწერებიდანაა განტვირთული, — არის ქართული ენის შემადგენელი ნაწილები, მისი ჯივარია და არა გარმიანული სიტყვები. მეტსაც ვიტყვი: ზოგი სიტყვა ტფილისში უფრო შენახულია, ვიდრე საქართველოს რომელიმე სხვა კუთხეში. ამიტომ ტფილისური ლექსიკური მასალაც რომ იყოს გამოყენებული სალიტერატურო ქართულისთვის, მაშინ ეს სალიტერატურო ქართული უფრო მოგებულნი დარჩებოდა.

არაეინ უნდა შევინდეს ქალაქური ენის სიტყვებით. უხსოვარ დროთაგან მიღებულ ლექსიკურ მასალას ვერ შეუძლიან დაამახინჯოს ენა. რომლის სიღამაზეც ჩვენ უნდა ვეძებოთ მის საერთო აგებულებაში, მის საერთო ბუნებაში, მის საერთო სინტაქსში.

მაგონდება რ ი შ - ბ ა ბ ა ს — ალ. სარაჯიშვილის (1851-1914) პატარა. მოხდენილი წერილი:

წმინდა ქართული

(ფილოლოგიური ტრაქტატი)

ვინ არ ჩივის ეხლა ქართული ენის წახდენას!

წავიდა, აღარ ისმის წმინდა ქართული, ტკბილი ქართული...

ვისი ბრალია? ემდურთან შეტადრე ჩვენს მწერლებს. ყველაზე მეტად მაგათ გაჩყვეს ენა.

ღიამ, სამართლიანი საყვედურია, რადგან ქართველი მწერლისათვის ქართულის ცოდნა სავალდებულო როდია. მაგრამ ენის წახდენაში, მწერლების ვარა, დიდი ბრალი აქვს ჩვენს ვაკრებსაც. რომელთაც რუსული სიტყვების სხარება განათლება ჰგონიათ.

ამას წინათ ერთმა ვაჭარმა ასეთი ამბავი მიაშრო:

„ერთს მანუაქტურის მალაზიაში შევიდა ჩვენი პრისტავი და საროჩკები იკითხა.

— რა საროჩკები გნებავთო, ჰკითხა კუპეწმა, პალატნიანი თუ შოლკოვი?

— მე ნეჟნად გავზრდილი არა ვარ, სიტყვენაც საღლოსანი ვარო.

ჩამოილო პრიკაშიკმა პოლკიდან ერთი პაჩკა საროჩკა და დაუწყო პრილაგაზედ.

პრისტავმა ვადაარჩია ოთხი საროჩკა სხვა-და-სხვა ფერისა: ლილოვი, გალუბოვი, კარიჩნივი, და სირენივი. ბუმაგაში ვაახვევინა და ჩაიღო ვეშებით ვატენილს საკოიაჟში.

— სხვა ხომ არა გნებავთ-რა? ჰკითხა კუპეწმა: ნოვომოდნი საიუბკე შერსტანოი მატურიები მაქვს, სუკნო, ლიონსკი ბარხატი, ფი, ბადლუშკის საპირე, ბუსო, ნაირ-ნაირი შოლკოვი მატურიები...

— არა, რაც მიწოდდა, სხვისგან ვიყიდეო, — უპასუხა პრისტავმა.

— საროჩკებში რა უნდა მოგცე?

კუპეწმა ჩოთქში ჩააგდო: თითოში — დეა რუბლი ტრიცეთ, სუმა დევით რუბლვი დეაკათ კაპეიკს იზამს.

იკრა პრისტავმა კარმანზედ ხელი და... გროში-კაპეიკი არ გამოაჩნდა, პორტმანი შინ დავიწყებოდა.

— უკაცრავად, ნალიჩნი თან არა მქონია და ჩემზედ იყოსო.
— თქვენისთანა პაკუპატელს, კრედიტში კი არა, დარომაც რომ ინებოს, უყაენიას ვუზამთო, უთხრა კუპეწმა..

ძალიან შეწყინა, ნაციონალისტს. ასეთი შებღალვა ქართულის ენისა. დამახსოვდა ეს უმნო ნაამბობი და სიტყვა-სიტყვით ჩაეიწერე. ჯავრი მომდიოდა: ნუ თუ რუსთველის ენა ისეთი ღარიბი ყოფილა, რომ ერთი უბრალო ამბის თქმა ვერ მოგვიხერხებია, თუ რუსული სიტყვები არ ჩავერთეთ?

ავიღე იმ ვაჭრის ნაამბობი გადმოვაქართულე და რაც რუსულის მაგიერ ქართული სიტყვა ვიხმარე, იმას ხაზი გავუსვი.

აი, რა გამოვიდა:

ერთს ფარჩეულობის დუქანში შევიდა ჩვენი ბოქაული და პერანგები იკითხა.

— რა პერანგები გნებათ? ჰკითხა ვაჭარმა—ტილოსი თუ აბრეშუშისა?

— მე აზიზად არა ვარ გაზრდილი, ჩითისას ვიყაბულეებ.

ჩამოიღო ნოქარმა ყაფაზიდან ერთი დასტა პერანგი და დაუწყო დაზგაზედ.

ბოქაულმა გადაარჩია ოთხი პერანგი სხვა-და-სხვა ფერიისა: სოსანი, ლაყვარდი, მიხაკისა და იასამნის ფერიისა. ქალალდში გაახვევინა და ჩაიღო ბარგით გატენილს ხურჯინში.

— სხვა ხომ არა გნებათ-რა? ჰკითხა დახლიდარმა, ახლად შემოღებული საკაბე შალეები მაქვს; მაშუდი, ხავერდი, დარაია, ბალიშის საპირე, ყანაოზი, ნაირ-ნაირი ფარჩები...

— არა, რაც მინდოდა, სხვისგან ვიყიდევო, — უპასუხა ბოქაულმა. — პერანგებში რა უნდა მოგცე?

ვაჭარმა ციანგარიშა: თითოში ორი მანეთი და ექვსი შაური, ჯამი, ცხრა მანეთსა და ერთ აბაზს იზამს.

იკრა ბოქაულმა ჯიბეზედ ხელი და ფული არ გამოაჩნდა, შინ დაეიწებოდა.

— უკაცრავად ნაღდი თან არა მქონია და ჩემზედ იყოსო.

— თქვენისთანა მუშტარს, ნოსიად კი არა მუქთადაც, რომ ინებოს ხათრს ვუზამთო, მიუგო სოვდავარმა.

ეს ხომ წმინდა ქართულია, ვთქვი ჩემს გულში... მაგრამ ვაწმინდეს მტერს, მე რომ მომივიდა; როცა ხაზ-გასტული სიტყვები გადავთვალე: სულ თათრული, სპარსული, არაბული, სომხური და ლათინური გამოვდა!

გაშრისლა წმინდა ქართული ყოფილა ჩემი გადმოქართულებული?

თურმე წმინდა ქართული არცა გვაქვს და არცა გვქონია!

დაე, გაიხაროს ჩვენმა მტერმა, რომელსაც ჰგონია, ვითომცენის სიწმინდე თავისებური სიტყვებია და არა თავისებური სინტაქსი.

კინტო!

ყარაჩოღელი!

ხშირად კინტოსა და ყარაჩოღელს ერთმანეთში ურევვენ. ჩვენ, ძველი ტფილისის სინილისის შენარჩუნებისათვის, ამ ორ ტიპს განვაცალკევებთ.

კინტო და ყარაჩოღელი სხვა-და-სხვა ჯურის ხალხია.

კინტო უკანასკნელი დროის მცხოვრებია, — გაქსუებული, დაღლარა, თახსირი; ერთი სიტყვით, კინტო ყარაჩოღელების გადაგვარებული მოდგმაა.

ყარაჩოღელი დარბაისელია, ჩასპანდი, გულმართალი, პატიოსანი, რაინდი.

კინტო თვალმანკიერია და გულხენეში; კინტო ჩიკორა კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს, რომელშიაც ვაჟკაცური ელემენტი ძალიან ნაკლებათაა.

ყარაჩოღელი გარეგნულად წარმოსადგვი პიროვნებაა, შხარბუქიანი, ბრგე და პირბუდალი.

ყარაჩოღელი და კინტო თვით ჩამულობითაც განსხვავდებიან:

ყარაჩოღელი ანუ ყარაჩოხელი ნიშნავს შაფ-ჩოხიანს. მაშასადამე, ყარაჩოღელს აცვია, — ნება მიბოძმეთ მათი გარდერობი გავაცნოთ, — შავი შალის ჩოხა, გრძელ კალთებიანი, მოკლე ნაოქიანი და ორ ჩაქიანი. ჩოხის ნაპირებზედ მოვლებულია ბუზმენტის ბრტყელი ჩაფარიში, შიგნიდან აცვიათ წითელი აბრეშუმის დოშლულ-გაკეთებული და გულამოქრილი პერანგი, ზედ — შავი ატლასის ან სატინის წვრილ ნაოქიანი ახალუხი. მათი განიერი შარვალი, განსაკუთრებით ქობაჩი შავი შალისაგან იცვრებოდა, თავებში აბრეშუმის ფოჩებიანი ხონჯარი ჰქონდა გაყრილი. ამ შარვლის ფართე ტოტები შიგნიდანა ჰქონდათ ჩამაგრებული საცვეთების ჩარჩუბალებში. საშინაოდ იკვამლდნენ ქოშებს, სავარაუდო ხმარობდნენ ყაფაღიან წაღებს. მათი სამკაული იყო ვერცხლის გობაკებიანი ქამარი, ქამარში — მწვანე ბაღდადი, „გალიბანდის“ ქუდი, წელში — ვერცხლის ჩიბუხი და ჩიბუხისთვის — ქისა წვეკოთი.

კინტო ნიშნავს კინწით, კისრით თაბახის მზიდველს (კვინტი ძველბურად კუდიანებსაც ნიშნავდა). კინტოს აცვია ჩითის პერანგი,— წინწყალშეყრილი და მაღალსაყელოიანი, რომელსაც შესაკვრელი გვერდზე აქვს, მარცხენა მხრით; საყელოზე ოთხი ღილი აკერია, მაგრამ საკინძე ყოველთვის ჩამოხსნილი აქვს. აცვია შავი ნაშურის ახალუბი (რომელსაც იშვიათად ხმარობენ), ლასტიკის განიერი შარვალი, რომლის ტოტებს ხშირად ფარფარი გააქვს; თავზე —ქეჩის ქუდი, ან „კიზიროკიანი შლიაპა“, ფეხზე —უქუსლო ჩუსტები (საგარეოდ —გარმონისებური ეგრედწოდებული „დაწყობილი ჩექმები“), გულზე—საათი ძეწკვით: წელზე—აბრეშუმის სარტყელი ან ვერცხლის ვიწრო ქამარი, ქამარში—უბრალო ხელსახოცი; ჩოხას სულ არა ხმარობენ,

ყარაჩოღელის ხმა ტკბილია და შთამბეჭდავი;

კინტოს ხმა—ხრინწმოკიდებული და ხმელი.

ყარაჩოღელის მიხერა-მოხერა მტკიცეა;

კინტოსი—ოკრობოკრო.

ყარაჩოღელი თვით ჰქმნის სიტყვის შედეგებს;

კინტო ამ სიტყვებსაც ამხინჯებს.

ყარაჩოღელი მღეროდა:

„გამიფრინდა სიხარულის ფრინველი,
მიზეზისა გამო სხვისა-და-სხვისა!“

კინტო მღერის:

„არღანჩიკო, დაუკარ,
ფაიტონჩიკ, გარეკე!“

ყარაჩოღელი შეფრფინებით შეჰძლავლებს თავის სატრფოს:

„შენ არზრუმის ცისკარი ხარ, გულნარა,
მანათობლად აღმომხდარი, გულნარა“;

კინტო თავის ოჯახსაც არ ინდობს:

„ჩემი ცოლი ანანა
ხან [შწყალობს] და ხან არა!“

ყარაჩოღელის მუსიკა დუდუკია;

კინტოსი—არღანი.

ყარაჩოღელის რეპერტუარი:

1. „ნაჰერ-ნაჰერ ღრუბელ მოდის მაღლა ციდანა,
დაბეჭდილი წიგნი მომდის საყვარლისგანა“.

2. „ახ, მთვარეე, მთვარეე, დამწვართ იმელო!“

და სხვ.

კინტო ამ სიმღერებს ასე არუსულებს:

1. „Кусок-кусок облак идет свисок небеса-а.
Запечатан писмо несет от любовница-а“.
2. „Ах, луна, луна, жаренных надежда“...
და სხვ.)

ყარაჩოღელების სასმისი იყო ჩინური ჯამი, თიხის ფიალა, აზარფეშა და ვერცხლით შექცედილი ხის კულა.

კინტომ არც კი იცის ამ ქურქლის სახელგები; იგი უარპყოფს ქამრიან ჭიქვებსაც კი და უცხოელ ბოჰემისტების შიშამდევით ღვინოს ქალის ტუფლიდანა სვამს:

„ღე, ჩაქყაე ღვინოს, კახურს,
მაგ თეთრ ტუფლით სვამდეს, სკლიდეს;
მას ეშვისგან ტვინი უხურს,—
ანუშეკაჯან, არ შეგცივდეს!“

კინტო ნამარდია;

ყარაჩოღელი—ჯომარდი.

მათი აღებ-მიცემობის დიალოგიც კი სხვანაირია.

კინტო თავის მუშტარს ათასგვარ უდიერ და უსასკო სიტყვას ეუბნება (მაგალითები ნუ გვინდა!)...

ყარაჩოღელის სიტყვა-პასუხი კი ამ შემთხვევაშიაც ჭკუის საღესავია. მაგ., ყარაჩოღელთან მიდის დედა რომელსაც თან ლამაზი ქალიშვილიც ახლავს, რილაკის ყიდვა უნდათ:

- რა ღირს, შვილო, ეს საქონელი?
- რვა აბაზი.
- ექვს აბაზად არ შეიძლება?
- ეგ ქალი შენი რა არის, დედი?
- შვილია, შვილო!
- შეიძლება!

აი, ამ სინამდვილიდან აღებულ პატარა ფაქტიდანაც ნათლად სჩანს თუ როგორი ეშის და მარიფათის ადამიანი იყო ძველი ტფილისის ძველი ყარაჩოღელი.

კინტოს მოსწრებული სიტყვა გაცვეთილი ფრაზაა, ათასჯერ ნათქვამი, შაბლონიური, ყოველთვის ორკოფული, შშიზარა და შიშველი.

ყარაჩოღელის სიტყვა კი თამამია და გულუბრყვილო. ერთად-ერთი, რაც გამოჰყვით კინტოებს ყარაჩოღელებისაგან—მიმიკური ირონიაა.

1) ნიკო ნიკოლაძე კინტოების მიერ ამ სიმღერების გადმორუსულებას „თარგმნის ენის“ უწოდებს (იხ. „კრებული“, 1873 წ., წიგნი X-XI-XII. გვ. 126).

ძველად ყარაჩოღელებს ჩვეულებათ ჰქონდათ, წამწამს გამოიძრობდნენ და ქვაზე დანაყადნენ, ნიშნად მუდმივი ოხჩუმობისა (ძმობისა);

კინტო კი ასე ხოტონიკობს: მეგობარი, რომ კარგი იყოს, ღმერთსაც ეყოლებოდაო!

ყარაჩოღელს მოგებრდა ყავახანები, „ტრახტირები“, მასაც უნდა „ზევით-ზევით“ ავიდეს:

„დალოცვილო! როგორ თუ რა მაჯავრებს,
გული მტკივა, მინდა გავიზიარო;
რათა, ძმაო, ერთი მითხარ, რისათვის—
მე—ტრახტირში, შენ—თეატრში იარაო!“

კინტო კი თავის პარტნიორს ასე ეუბნება:

„ხოჯივანქში მატურები რომ არი,
იქ ამოდი, ვითამაშოთ ყომარი“.

ყარაჩოღელი ხშირად თვით იგონებს ათასგვარ გასართობს, რომელიც მერე ადათებში გადადის.

კინტო კი სპობს ამ ადათებს. მისი გასართობია: ყომარი, ბილწ-სიტყვაობა, სოდომგომორის ცოდვა და ის ხელმრუშობა, რომელზედაც შოთამ ისიტყვა:

„მას ერთსა მიჯნურობასა ჰკვიანნი ვერ მიხედებიან,
ენა დაშვრების მსმენლისა, ყურნიცა დაუღლებიან,
ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორჯთა ხედებიან,
მართ მასვე ჰხატვენ თუ ოდეს არ სიძვენ შორით ზნდებიან“.

რა პირობები უწყობდა ხელს ამ წოდებათა წარმოშობას?

ყარაჩოღელი ძველი ტფილისის ძველი თაობაა. ყარაჩოღელი იმ დროინდელი მოქალაქეა, როცა „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით: „ქალაქი ტფილისი ჯერეთ არა სრულიად შემოყვანებულიყო უღელსა ქვეშე მორჩილებისასა“. ყარაჩოღელი სინტეზია ქართულ-სპარსულ ურთიერთობისა და საზოგადოთ აღმოსავლეთის ხალხთა ჩვენში ყონადობისა.

კინტო კი შექმნილია შერეულ ბაზრის წიაღში, როცა ვაჭრობამ ხელობას გაუსწრო. იგი ნალეკია ყარაჩოღელთა ოჯახისა, გაზრდილი ჭურჭესა და სამორინეში. კინტო, როგორც ცულოუტი, მცირე უნარის და მცირე მოთხოვნილების პატრონი, კმაყოფილდება ორ-გროშიან მოგებით, რომელსაც დიდხანს ჯიბეში არც კი იჩერებს: ან იმ დღესვე ფლანგავს მიკიტნის დახლთან, ან ყომარბაზებში აგებს.

როგორც რუსეთში იყო „Боряк“-ი, ეს ლოთი მწიგნობარი, პარიზში თავისებური ტიპი apache-ი, ისეც ჩვენმა ტფილისმა, მხოლოდ ტფი-

ლისმა, წარმოშვა ეს ბედასლი, თაენება, „პაქარნი“, ლევანდი და დაუღვე-
ვარი ტიპი, რომელსაც კიმიბათთან შედარებით მაინცა-და-მაინც დიდი სიბო-
როატის ჩადენა არ შეუძლიან.

—

ტოლსტოი, ტფილისში ყოფნის დროს, სწერდა თავის მეგობარს:
„ტფილისის ემჩნევა ცივილიზაცია, ტფილისი ჰბაძაქეს პეტერბურგსო“. ¹⁾

მართლაც, ტფილისში წელიწადი იკრებოდა ცივილიზაცია, ტფილისი
ევროპიელდებოდა. იცვლებოდა ტფილისი და ამასთანავე, რასაკვირველია,
ისპობოდა და ითქვიფებოდა ყარაჩოღელთა ჯილაგიც.

აი, რას სწერდა ილია იმ დროინდელ „გადაგვარებულ ტფილისზე“:
„ხომ ჩეენი ქალაქია, მაგრამ იქ გული არ მიდგება, თითქოს ჩეენები
აბარგებულან, გახიზნულან და სხვები დასახლებულანო; გული გულს აღარ
ეკარება და სურვილი სურვილსა. ლეჩაქი რა არის, ლეჩაქიც კი ვეღარსად
დაგვინახავს, თითქოს ნამუსთან ერთად ისიც მოუხდით და გადაუგ-
ღიათო“. ²⁾

ამას აღნიშნავენ უცხოელი მოგზაურებიც.

თეოფილე დეიროლი ამბობს: აღმოსავლეთში ადრე თან
ერთად, ტანისამოსიც ცვლილებას განიცდისო. ³⁾

ან-კიდევ:

„ქართველი ხალხი თანდათანობით ებმებოდა ევროპიულ საზოგადო-
ებაში, მიუხედავად თავისი ქართული ტანისამოსისა, რომელსაც უფრო
ბაღეშში ატარებდნენო“. ⁴⁾

მაგრამ ამის დანახვა და აღნიშვნა ქართველი პოეტისთვის უფრო
საგრძნობი იყო: აი, მეორე ქართველი პოეტი გრ. ორბელიანი როგორ
უჩივის ქართული ტანისამოსის გადაყარდნას: „მოვიდა გამოჩენილი ევრო-
პაში მხატვარი ზიჩი, რომელსაც კსურდა დაეხატა კარტინისათვის, ДЕМОН,
ქართველი კაცი და ქალი ძველებურის ტანისამოსით, და ვერაინ ვიპო-
ვეთ! დემრთმა უშველოს ტასო ოგლომჭიოს, ამან მიჰსცა თავის საქარ-
წილო ტანისამოსი ყაშითა, ჯიღითა, ქინძისთავებითა და ძველებურის
ნივთებითა და ამით დიდათ გაახარა ზიჩი.—ასე განათლდა, ასე წახდა

¹⁾ იხ. „Письма Л. Н. Толстого“, 1910 წ., გვ. 13.

²⁾ იხ. ილია ქავკაეძის ნაწერები, „ქართული წიგნის“ გამოცემა. ტ. III. გვ. 309.

³⁾ Теофиль Денроля: „Всемирный путешественник“, 1878 წ., № XI.

⁴⁾ „Русская старина“, 1917 წ., თებერვალი, გვ. 189.

საქართველო, რომ თავისი აღარა უნდათ-რა და დიდათ ჰრცხვენინათ ქართულად ჩაცმა! ოჰ, ოჰ, კნიაზო ნიკო, დიდათ სამწუხაროა!“¹⁾

თუ ეს ორი ქართველი პოეტი ასე ჰგოდებდა ტფილისის ფერის-ცვალებაზე და სწუხდა ქართული გარდერობის გავეროპიელებისათვის, — მესამე პოეტი, რა ფ. ერისთავი, პირდაპირ ილაშქრებს კინტოების — ამ ახალი მოქალაქეების. — წინააღმდეგ:

„დახე, ჩვენი ქალაქი რარიგად გამოცვლილა,
ვერაგის ვსცნობ, არც მცნობენ, კინტოებით გავსილა.
ეს კი ვნახე მე თვითონ, აბა რა სათქმელია,
ძველს ქალაქში ტალახი, ისევ ძველისძველია...
ჩვენი დედაქალაქი, რა რიგად გამოცვლილა,
და გრიქულა დალაქიც — მებარიკე შექმნილა.
თაღლითაანთ გეუა, ჩალხანებს რომ ჰქალავდა,
დღეს კალასკაში იჯდა, თავს აღარ იმაღავდა...
ხალხი მიდის და მოდის, სულ ბუზივით ირევა,
იმათი ცქერით კაცი ჰკვიდამ გადაირევა...
ქალებს დასთრევეს კულები თითო გუთნის გაშლაზედ,
წინ ჯიბე, უკან ჯიბე, კიდევ ჯიბე ბაშლაზედ...
ქუჩებში აღარ ისმის ძველებური სიმღერა,
ნეტავ, ეს რაღამ მოსპო? რა ცოდვილმა გვიმტერა?
დახე, ჩვენი ქალაქი რა რიგად გამოცვლილა,
ვერაგის ვსცნობ, არც მცნობენ, კინტოებით გავსილა.“²⁾

¹⁾ წერილი გრ. ორბელიანისა ნიკო ჭავჭავაძისადმი 1881 წ. (იხ. სამეგრელოს მუზეუმი, ზუგდიდში: „იონა მუჟნარგას არხივი“).

²⁾ „ივერია“, 1880 წ., № 1. გვ. 164.

„როგორც ვიცით, ძველი ტფილისი თანდათანობით ჰკარგავს თავის ძველ სახეს. და რომ მომავლისათვის უკვალოდ არ დაიკარგოს ძვირფასი მასალები, ტფილისის ქალაქის საბჭოს მუზეუმი ახლო მომავალში აწყობს გამოფენას: ძველი ტფილისი“.¹⁾

ასეთი განცხადებით გამოვიდა ტფილისის მუნიციპალური მუზეუმი 1926 წელს, 3 დეკემბერს.

სიხარულით უნდა აღვნიშნათ, რომ ჩვენი მოხსენების წაკითხვის შემდგომ²⁾, პარალელურად ჩვენს ნაშრომთან ერთად, თითქოს რეალური ილუსტრაციად ჩაისახა ტფილისის მუნიციპალური მუზეუმი, სადაც მკითხველი ნაწილობრივად ნახავს და გაეცნობა ძველი ტფილისის ზოგიერთ ღირსშესანიშნავ ძეგლებს³⁾.

განა, ქალაქის საბჭოს მოწოდებაში სამართლიანად არ არის ნათქვამი, რომ „ტფილისი თანდათან ჰკარგავს თავის ძველ სახეს?“ განა, მართალი არ არის, რომ თვალსა და ხელსშუა ჰქრება და ისპობა ძველი ტფილისის ეგზოტიური ნატიფობა, ყარაჩოდელთა ისტორიული სამოქალაქო თუ საოჯახო ადათები და ქალაქური ზეპირ-სიტყვაობის ძარღვიანი ნიმუშები?

მე, როგორც ძველი ტფილისის ტრუბადურმა და ქეშიკმა, მე, როგორც ძველი წიგნების ჩრჩილმა და აენჩაენმა, მოვალეთ ჩავთვალე ჩემი თავი, ვიდრე ჯერ კიდევ დაგვიანებული არ არის, დამერაზმა მესხიერება, წინ წამეგდო გამოცდილება და შეძლებისგვარად ამეწერა ეს ლამაზი

¹⁾ იხ. „მუშა“ 1926 წ. 3 დეკემბერი, № 1212.

²⁾ „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოქემა“ თავდაპირველად წაკითხულ იქნა ლექციის სახით ტფილისში—სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზი (1926 წ. 23 მაისს), განათლების მუშაკთა სახლი (1926 წ. 5 ივნისს), სახელმწიფო უნივერსიტეტის უბუროს ბასწ. კოლეჯუმის საზოგ. კრებაზე (1927 წ. 9 მარტი); ქიათურაში (1926 წ. 11 ივნისს), ზეს ტაფაშვი (1926 წ. 12 ივნისს), ქუთაისში (1926 წ. 13 ივნისს), ოჩეხიჩიურში (1927 წ. 13 თებერვ.) და ხუჯდიდში (1927 წ. 15 თებერვ.).

³⁾ ამ გამოფენის შესახებ იხ. ჩემი წერილი: „ტფილისის მუნიციპალური მუზეუმი“ („ტფილისის საბჭოს მოამბე“, 1927 წ. № 5).

კუთხე, რომელიც უქომავა და სადღაც ძველი ჯიგარივით გდია! დაე, ტფილისის მუზეუმის გვერდით ეს ცოცხალი სიტყვაც დარჩეს ჩვენი მკვლევართა საყურადღებოდ.

ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა!

მაგრამ ვიდრე შეუღებოდეთ ამ მწერლების განხილვას, საჭიროა ცოტა შორიდან დაეიწყათ და გავითვალისწინოთ ის არე, ის ტფილისი და ის ყოფის ამსახველი ცხოვრება, რომელიც მათი შემოქმედების წყარო იყო და რომელმაც წარმოშვა ძველი ტფილისის ეგზოტიკა და ქალაქური ხალხური პოეზიის თავისებურება.

ყოველი მწერალი თავისი წრის ღვიძლი შვილია,—

„ღვიძლზე ნადებო ძმისავით“—

მაშ, გავიცნოთ ეს წრე და მათი ზნე-ჩვეულებანი.

ყ ე ე ნ ო ბ ა!

ყენობა იყო მისიური, გრანდიოზული გასართობი, რომელსაც საერთოდ ღღესასწაულის ხასიათი ჰქონდა.

ჩვენი ყენობა გარეგნულად გვაგონებს ევროპიულ კარნავალს და ნაწილობრივად—მისკარადს.

გ. წერეთლის სიტყვით: „ამ თავის საყვარელი ჩვეულებით ყოველი ქართველი წელიწადში ერთხელ მსახიობობით გამოიხატავს თვალწინ წარსულ ისტორიულს სურათს. რაში მდგომარეობდა ეს სურათი? იმაში, რომ საქართველოს ერი, ვერც ერთ უცხო რჯულის ხალხს ხანგრძლივად ვერ დაუპყრია. ხშირად შემოსულან ძველ დროში სხვა-და-სხვა ქვეყნის ყენები, მაგრამ იმათი ბატონობა დღეგრძელი არ ყოფილა. ბოლოს მაინც, ადრე თუ გვიან, საქართველოს ერი ამდგარა, „განუხეთქია აპყურნი მათნი და განუგდია უღელი მათი“. ¹⁾

იგივე „კვალი“ აგვიწერს ერთ ასეთს ყენობის სურათს, რომელიც ერმოლოვის დროს მომხდარა:

„მაშინ ის იყო სოლოლაკის მხარე შენდებოდა. მთავარმართებლის გარშემო იბადებოდა ახალი უბანი ევროპიულ ხუროთმოძღვრების გეგმაზედ. დადგა ყველიერის უკანასკნელი დღეები, მთელი ტფილისის ქალაქი: აულაბარი, ნარიყალი და ჩუღურეთი ყენობის სათამაშოდ ემზადებოდა. სეიდაბადის ხელოსნებს, ფეიქრებს, ხუროებს და მკედლებს ბევრი საშუ-

¹⁾ „კვალი“, 1893 წ. № 6.

შაო ჰქონდათ აღებული. ისინი ამზადებდნენ ხის ხმლებს და ხანჯლებს, საცერე რგოლებს და შურდულებს. მთელი ქალაქი გაყოფილი იყო ორ უბნად, ერთი იყო ისანი და მეორე ნარიყალი. ნარიყალს ემხრობოდნენ ეერის მხრის მცხოვრებნი. ახალი სოლოლაკის უბანიც ამათკენ იყო. ისნის მხარეს შედგენდა: ავლაბარი, ჩულურეთი და გარეთუბანი ანუ კუკიის მხარე. ნარიყალის მცხოვრებნი იყენენ: მუხრან-ბატონი, ორბელიანი, ბარათაშვილი და ერისთავი. ისნის მხარეზედ იყენენ: კახეთის მებატონეები: ჭავჭავაძე, ჩოლოყაშვილი, ვახვახიშვილი, ჯანდიერი, ჯორჯაძე და სხვ. ერთლოეს ნარიყალელების მხარე ეჭირა. ყენი უნდა გამოსულიყო ისნელებიდან და შემოსეოდა ქალაქს, დაეპყრა დილით მთელი ქალაქი და გზების გზაჯვარედინზე ჩაეყენებინა თავის მოხელეები, ჯარის უფროსები, რომ გამეღელ-გამომვლელეებისთვის ხარჯი გამოერთმიათ. ამ დროს ნარიყალის მომხრენიც საიღუმლოდ ამზადებდნენ თავიანთ ჯარებს. ტფილისის ქალაქის დუქნები დაიკეტა და მცხოვრებნი ნახევარი ყენისკენ იყენენ, ნახევარი სოლოლაკის ხეეში დაიმალა. ყენმა დაიდგა ტახტი სეიდაბადის მადლობზე, სადაც დღეს ბოტანიკურ ბაღთან ძველი ციხის ნანგრევია; მისი მოხელენი იჭერდნენ გამეღელ-გამომვლელეებს და მიჰყავდათ ყენთან თავყანის საცემლად. ამ სახით განაგრძო ყენმა თავისი უფლება მთელ ტფილისის ქალაქზედ შეადღემდის. ნაშუადღევს ყენს მოახსენეს რომ ქეყყანა აჯანყდა, რომ ერი განუღგა მას და ქართველები სოლოლაკის მადლობს ვადმოდგა. მაშინვე ყენი გაემგზავრა საომრად, მაგრამ უკვე გვიან იყო. ყენი საქართველოს ჯარებს ტყვედ ჩაუვარდა ხელში. ¹⁾

როგორც ვხედავთ, ყენობა თავისი პირვანდელი სახით ომის მისტიფიკაციას წარმოადგენდა. ბევრი შეიძლება მაშინაც ამ მისტიფიკაციაში მხოლოდ მოკლილი ხალხის გათამაშებას ხედავდა, ბევრისთვის კი იგი იქნება აღფგორიული გამოხატულება იყო იმ საიღუმლო გულის ზრახეებისა, რომლებიც ჯერ კიდევ ეოცხოობდნენ განსაკუთრებით საქართველოს იმ დროინდელ მოწინავე საზოგადოებაში. ის ინტერესი რომელსაც ყენობისამდი იზენდა მაშინდელი დიდი გვარიშვილობა, საბუთს ვეაძლევს ვიფიქროთ, რომ „ყენობა“ მსურდათ პატრიოტული პროპაგანდის აღფგორიულ საშუალებად გაეხადათ ისევე, როგორც ჩენი ისტორიული გმირული დრამები ჰდებოდა პატრიოტული პროპაგანდის ერთერთ ფორმად. ყენი აქ შეიძლება იმ დროინდელი მთავრობის კარიკატურულ გამოხატუ-

¹⁾ „ვეალი“, 1893 წ., № 6.

ლებდაც გადაქცეულიყო. მთავრობას, აჯანყების გათამაშება, მიუხედავად იმისა, რომ ეს აჯანყება ტაყიანსხარულა ყვენის წინააღმდეგ იყო მიმართული, არ მოსწონდა, და ამიტომ ომის მისტიფიკაცია აკრძალა. ამის შემდეგ ყვენობას უბრალო პროცესიებისა და ცეკვა-თამაშის ხასიათი მიეცა.

ყველიერის ორშაბათს, ტფილისის თვითფულ უბანს თავისი უბნის ყვენი გამოაქაჯდა. ამ დღისთვის ყვენად ამოირჩევენდნენ ისეთ კაცს, რომელიც, ნ. ბერძენოვის სიტყვით, „გონება მახვილი, ოხუნჯი და მოძრავი უნდა ყოფილიყო.“¹⁾

ამ კაცს მორთავდნენ კარიკატურულად: თავზე ეხურა შაქრის ქაღალდისაგან გაკეთებული წოწოლა ქუდი, ერთ ხელში ხმლის მაგივრად ქაფქირი ეჭირა, მეორეში—ჟანგოანი შამფური, რომელზედაც ვაშლი ან ხახვი იყო წამოგებული. ყელზედ ეკიდა თაღლითი მძივები, ტანთ ეცვა გადმობრუნებული ტყაბუჭი, რომელზედაც მოკერილი ჰქონდა თივისაგან დაგრეხილი მსხვილი თოკი (თულო); სახე გამურული ჰქონდა და სხვ.²⁾ აი, ამგვარად მორთული ყვენი იჯდა აქლემზე და თან „ბერიკულად“ გადაცმული ხალხი—ყვენის ამქარი—ზურნის დაკერით და ხმაურით მისდევდა. პროცესია მიდიოდა ქუჩებში რამდენიმე ხელჯოხიანის წინამძღოლობით; ხოლო, რომელსაც დიდი ყავარჯენი ეჭირა, ის ამ ხელჯოხიანების უფროსი იყო (ეტიკი). ყვენის ამაღა გამვლელ-გამომვლელებს გზას უღობავდა და ყვენის სასარგებლოდ ხარკს ახდევინებდა: რომელიმე ხელჯოხიანი წინ გადაუდგებოდა ქუჩაში გამვლელ კაცს, კომბალს წინ დაურქობდა, ზანგლაკებს დაუყლორუნებდა და „ყვენის სალამს“ მიართმევდა; ეს იმას ნიშნავდა, რომ ფული გადაიხადეო. როცა ხაზინადარი ფულს ქისაში ჩაადგებდა, ხმამაღლა დაიძახებდა: „ააშენოს!“ „ააშენოს!“ ყვენი კი, რომელსაც ხელში დავთარი ეჭირა, აღნიშნავდა შემოსულ ფულის რაოდენობას.

ეს წინამძღოლი ღუჭნებშიაც შედიოდა და ყველა მოვაკრე ვალდებული იყო გადაეხადა მისზე გაწერილი თანხა (ხშირად ხარკს ნატურითაც იხდიდნენ).

ზოგჯერ ყვენს ზურგშებრუნებითაც დასვამდნენ სახედარზედ და ხელში ამ „დიდყურა რაშის“ კუდს მისცემდნენ.

1) „Кавказ“, 1850 წ., № 28.

2) ზოგს ყვენს პირში ორი კოკი ჰქონდა ჩაწყობილი, რომ ლოყები დაჰხეროდა და ლაპარაკის კილავე შეცვლიდა და საზიზღარი ჰქონოდა („ფერია“, 1889 წ., № 50).

ზოგჯერ კი ყვენი არ მოგზაურობდა. იგი მოთაფსებელი იყო ცოტა მომადლო ადგილას, ფეხმორთხმული იჯდა გოდორზე და ყალიონს სწევდა, გვერდით საღრჩობელა იყო ამართული, ვინც გაწესებულ ხარკს არ გადაიხდიდა, იმას ამ საღრჩობელით ემუქრებოდნენ.

ზოგს ყვენი გვერდით დედოფალიც ჰყავდა (ქალურად გადაცნული ვაჟი) და ირგვლივ ნაზირ-ვეზირი ეხვია.

ერთი უბნის ყვენი მეორე უბანს არ უნდა შეხვედროდა, თორემ თუ ძველად ხმლებით და საცერულეებით იბრძოდნენ, ეხლა ბრძოლა ჰაერში კეტების ტრიალით იწყებოდა.

შემდგეში ყვენობას უფრო შეეცვალა ნირი და თავისი შინაარსით იგი მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრების ამსახველ კარიკატურად და შარჟად იქცა.

„ივერია“ გადმოგვცემს, რომ 1888 წელს, „ზოგიერთი უბნის ყვენი სამსახურიდან გამოგდებულ „პიანიცა კაპიტნების“ მუნიციპალიტეტში იყვნენ ჩაცმული; ზოგს მურის მაგიერ ხელთქმნილი ნიღაბი ჰქონდა სახეზე ჩამოფარებული. თვითონ ყვენი გადმობრუნებული ტყაპუქი ეცვა და სხვ... გუშინ, — განაგრძნობს „ივერია“, — ერთი ყვენი აქლემზე შეესვათ და თავზედ შაქრის ქაღალდის ფაფახი დაეჭურათ. ურმის თვლებზე კიდევ ლუგანის ქარხნის ზარბაზანი დაედოთ; პოვოსკაში კამბეჩები ჰყავდათ შემხული, წინ მოუძლოდნენ შებორკილი ტუსალები, რომელთაც გარს შუბიანი ჯარისკაცები მისდევდნენ. ქალაქის გამგეობის წინ, ყვენათა ჰყავდათ ჯვრიანი პოლკოვნიკი და ხარჯს ჰკრეფდა ვილაკ ვიცმუნდირიანი კაცი... ერთ რომელიღაც უბანს ევროპის პოლიტიკური გამწვავებული ნდგომარეობა აუღია და კამბეჩებით შემხულ პოვოსკაზე შეუესხავს გინერალი ბულანგე და თავადი ბისმარკი ერთად, თითქოს იმის თქმა უნდოდათ. რომ გერმანია და საფრანგეთი შეერთდნენო¹⁾.

„ყვენობის“ ზემოთ დასასრული ასეთი იყო: ნაშუადღევს წაიყვანდნენ ყვენი და პირდაპირ მტკვარში გადაიხვრიდნენ, რასაკვირველია, ისეთ ადგილას კი რომ არ დამორჩეალიყო. გრიშაკეთებული ყვენიც სარგებლობდა ამ შემთხვევით და გამურულ პირს შეიბანდა. მერე ხარჯდადებულ მოქალაქეთაგან მოგროვილ ფულით ყვენობის მონაწილენი ყიდულობდნენ ხორაგს და მთელი ერთი ვერის განმავლობაში დაუსრულებელი ქვიფი ჰქონდათ ორთაქალაში, მტკვრის პირას, ვერის ბაღებში, დიდუბეში და სხვ.

1) „ივერია“, 1888 წ., № 49.

საგულისხმოა, რომ ეს ყვენობა იმართებოდა დიდმარხვის პირველ დღეს, ვერდწოდებულ შავ-ორშაბათს. ამ ხალხურ სანახაობას თავისი ისტორიული სარჩული აქვს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველ ხალხს ახსოვს არა ერთი შემოსევა სპარსელების თუ თურქების და, ალბად, ეს ტაქიმახსარული ყვენი განსახიერება იყო იმ დამარცხებული მტრისა, რომელსაც ქართველი ხალხი დაცინვით იგონებს. თვით ეპიტეტიც: „შავი ორშაბათი“ ხალხური სიმბოლიკაა, დაკავშირებული იმ ორშაბათთან, რომელიც ყვენის შიშით შავად უნდა გასთენებოდა ქართველებს.

გიორგი წერეთლის სიტყვით: ყვენობა მურვანყრუს შემოსევიდან არის ჩვენში შემოდებული, ¹⁾ „ივერია“ მე-XVII-ე საუკუნეს აკუთვნებს, ²⁾ „კავკაზი“ — შაჰაბაზის ხანას, ³⁾ ალ. ხახანაშვილი კი ყვენობას წარმართული დროების ნაშთს უწოდებს. ⁴⁾ მაგრამ, ვფიქრობთ, რომ იგი უფრო ისეთივე გამოხატულება უნდა იყოს საერთო ხალხოხსნური, მასსიური ღმერთისა, რანაირიც კარნავალებისა და სხვა ამგვარი გასართობების სახით სხვაგანაც გვხვდება, და რომელსაც რაღაც ბავშვური სიხალისით და ჯანსაღობით ეტანება ქართველი ერი. შწუხარება და უბედურება ქართველ ხალხს სიცოცხლის წყურვილსა და უნარს ვერ უკარგავს. ისტორიის გრძელ მანძილზე იგი თავგამოდებით იბრძვის. მაგრამ ბრძოლის მეორე დღესვე მას შეუძლიან მოღიშარის სახით გაითამაშოს ამ სისხლით მორწყულ ასპარეზზე. ქართველ ხალხს ისტორიული ტკივილები დაუყუჩდა და იმანაც თვისი გუშინდელი კაცშანი გასართობ სანახაობად გადააქცია. ყვენობა სწორედ ასეთი გასართობია. ჩვენს ხალხს ისე არაფერი უყვარს, როგორც მასსიური გასართობი... კარჩაკეტილი, ოჯახის ვიწრო ფარგალში მოქცეული გართობა მის გაშლილ ბუნებისათვის ბოროტად წარმოადგენს. დღეობა, ღმერთი, ჯიბითი, ბურთი, — ყველგან მასსიურობა, ყველგან წყურვილი მასსიური მოღმერთის, ყვენობაც ერთი კეთილშობილი გამოხატულება — თავანი იყო ამ მასსიური გართობისა. და სწორედ, ამითაც უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ხშირად ჩვენი პოეტები და საზოგადოების ცნობილი პირნი ყვენობის უმთავრეს პერსონაჟებად მხდებოდნენ. ერთი ასეთი გრანდიოზული ყვენობა მოწყობილი იყო გრიგოლ ორბელიანის

¹⁾ „ველი“, 1893 წ. № 6.

²⁾ „ივერია“ 1888 წ. № 49;

³⁾ *Кавказ*, 1889 წ., № 49.

⁴⁾ „Очерки по истор. груз. словестности“, Вып. III, გვ. 363.

გეგმით და ხარჯით მისი მთავარმართებლობის თანამდებობის ასრულების დროს, ხოლო უკანასკნელი ყვენობა მოწყობილ იქმნა ჩვენი თანამედროვე პოეტის გრ. აბა შიძის უშუალო მონაწილეობით.

და, არ ვიცი, კარგია თუ ცუდი, რომ ეს მასიური გასართობი დაიწყებას მიეცა და მოღებნა ოთახის ვიწრო ჩარჩოებში მოექცა?!



ნოც.

შეორე საჯარო გასართობი იყო კრივი. ყვენობა თუ ისტორიის მოგონება, კრივი—ფიზიკური ვარჯიშობა; კრივი ჩვენებური, ტფილისური ჩვეულებაა. საგულისხმოა, რომ სხვა ერს (ინგლისური ბოქსის გამოკლებით) მუშტი არ უყვარს. მაგ., რუსს სილა უფრო ემარჯვება, ყარაჩოღელსაც უყვარს სილა, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგ., ამქრის დღესასწაულზე. ისე კი ყარაჩოღელი ქუეის სასწაულებლად მხოლოდ „ბრმა სილას“ ხმარობს (სილა—ხელის ზურგის გარტყმით). კრივის დროს კი დოვადოვა მიდიოდნენ ერთმანეთზე: ჯერ ერთი მოკრივე შემოჰკრავდა ერთი ხელით მუშტს; ხოლო თუ მოპირდაპირე ისეთი სუსტი აღმოჩნდებოდა, რომ ამ ერთი მოქნეული მუშტით წაბარბაცდებოდა, მაშინ შეორე მხრიდან შეორე მუშტსაც მიარტყამდა მისაშველებლად, რომ ზეზე დამდგარიყო, სწორად; მერე დაიჭერდა ორივე ხელით—შეაჯანჭყარებდა. შეასწორებდა და კვლავ იწყებოდა ახალი გამოცდა ბრძოლისა. ¹⁾

იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ბრძოლის ხოშის მოსაკლავად ყოჩების, მამლების და აქლემთა ჰიდაობას ეტანებოდნენ (ძველად, როცა ბაქოდან ნავთი აქლემებით მოჰქონდათ, ტფილისის მეთავლეები ჰმართავდნენ ნარ-აქლემთა ჰიდაობას,—აქლემები ჰიდაობდნენ კისრებით). მაგრამ ყველაზე ძლიერ გავრცელებული იყო ყოჩების ჰიდაობა. ჰიდაობის მოყვარულნი დაყოჩებულ ერკემალს სახლში ზრდიდნენ, განსაკუთრებულ შრომუნველობით ექცეოდნენ, პურზედ ინახავდნენ და ჯაჭვითა ჰყავდათ დაბმული, რომ უბრალოდ არავის დასტაცებოდა. ყოჩაობის დროს კი ქერით ათრობდნენ, ყელზედ ფერად მძივებთან საყელოს უკეთებდნენ. ქოჩორს ენდროთი უღებავდნენ და უკანგადატანილ რქის წვერებს კოჰწიად გადუხერხავდნენ. მამლების ძიძგილოობა უფრო დუქნების წინ იზართებოდა, ყოჩების ჰიდაობა კი—გაშლილ ასპარეზზე. ჰიდაობის ადგილას პატრონებს ყოჩები „დროშკებით“ მიჰყავდათ, თან აუარებელი ცნობისმოყვარე ხალხი მისდევდა. ჯერ ითათბირებდნენ, მერე აქიდავებდნენ: დამარცხებული ყოჩის პატრონი გაჯავრებული ქეიფობდა. თუ ჰი-

დაობა მხარეთა შორის დამარცხების შედეგებს არ იძლეოდა, მაშინ ყოჩაობა შემდეგი კვირისათვის გადაიდებოდა ხოლმე. კიდაობას მხელმძღვანელობდნენ ყოჩების პატრონები. ხშირად ყოჩთა კიდაობა ძალიან მწვაულებოდა. უკანონობაც ხდებოდა (მაგ., როცა პატრონი თავის ყოჩს ჯაქვს შეხსნიდა, ამ ჯაქვს შეუძმნეველად მოპირდაპირე ყოჩს სახეში მიარტყამდა, — ამას ეპახდნენ, „ყოჩის გაუფუჭებას“). ამ ნიადაგზე ბებუთებიც დატრიალებულა. ბოლო მინც ერთი იყო: კიდაობის გათავების შემდეგ, ყველანი „ჩახსდებოდნენ“ მტკვრის პირას ჩარხებთან და იმართებოდა მეგობრული ქეიფი.

მაგრამ უფრო გულხშიერი და ეპოქალურია ნამდვილი მოშური-კრივი.

ძველად სიონის ტაძარი ქალაქის ორი მოკრივე ნაწილის სახლურად ითვლებოდა — ჩრდილოეთისა და სამხრეთის. მოკრივეთა მიჯნას წარმოადგენდა აგრეთვე შუაბაზარი ქუჩების სახელოსნოებამდე. იყო შემთხვევა როცა მოკრივეთა „თაბუნს“ მტკვარი მყოფდა.

კრივი იმართებოდა სხვა-და-სხვა ადგილას: ზარათუხანის ახლოს, საცა ეხლა ბაყალხანაა (მეტეხის ციხის ქვემო ნაწილი); არსენალთან, ეგრედწოდებულ „ქირიანთ ხევში“; „ბოსტნის ურმებზე“ (ძველი დამოქნის უბანი); ავლაბრის იქით „ნახირას უბანში“ სადაც ეხლა უახარმებია; უფრო ხშირად კი სიონის ქუჩაზე; აბას-აბადის და კოლორათლის მოედნებზე, აგრეთვე მოღინის ეკლესიის ახლობელ ქუჩაზე; ბოტანიკურ ბაღის ზემოდ. ჩანჩქერის თავზე და მამადავითის ყელთან, სადაც წინად დაცემული ადგილი ყოფილა.

კრივისთვის არც განცხადება იყო საჭირო და არც შათირების დაგზავნა.

კრივი იმართებოდა კვირაობით, ყველიერის ბოლო დღეებში, აგრეთვე ნათლილების მგორე დღეს, რადგან მიცვალებულთა სულის მოხსენების გამო, ამ დროს ყველა დუქნები დაკეტილი იყო. ყველაზე დიდი კრივი — ეგრედ წოდებული „ავლაბრის კრივი“ — იმართებოდა კვირაცხოველობა დღეს, ამ სახელწოდების ეკლესიის მახლობლად.

კრივი პატარა ბიჭების შეჯიბრებით იწყებოდა. შემდეგ 18-20 წლის ჭაბუკები შეებრძოლებოდნენ ერთმანეთს; ჭაბუკებს 25-30 წლის ვაჟაკები მოსდევდნენ; ხოლო, როცა ბრძოლა გაშწავდებოდა, ორივე ბანაკიდან გაისმოდა ძახილი: „ქომაგი!“ „ქომაგი!“ და ეშში შესული დარბაისელი და გამოცდილი ფალანგები უკვე ნამდვილ კრივს იწყებდნენ.

ათო-თხუთმეტე წუთის შემდეგ მოკრივეთა ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო: ნაცემი და დაბეგვილი მოკრივენი სტოვებდნენ ასპარეზს და ნელინელ უკან იხევდნენ (ვგრედწოდებული „დამდგარი კრივი“ კი ხშირად ორ-სამ საათს გრძელდებოდა). მაგრამ ბრძოლა ამით არ თავდებოდა: „დამარცხებულნი იშველიებდნენ ქვებს, აგურებს, ხის ნაჭრებს და ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ, ამის გამო ხშირად იმსხვრეოდა მეზობელ სახლების კარფანჯრები, აივნები, შუშაბანდები და სხვ.; ბევრი მოკრივე ბრძოლიდან დაჭრილი გამოჰყავდათ; ხშირად მოჰხვედრია დამსწრეებსაც, რომელთა შორის მაღალი თანამდებობის პირნიც იყვნენ“.¹⁾

ერთი ასეთი კრივი მოხდა 1851 წელს, 4 თებერვალს; ხმა დაირხა, რომ ამ კრივში 300 კაცი დაიჭრა და ხუთი მოკვდაო. ამის გამო მთელი ოფიციალური მიწერ-მოწერაც კი გაიმართა²⁾ და ამიერ-კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაცია იძულებული გახდა ცენტრალური ხელისუფლებისათვის ახსნა-განმარტება წარედგინა. მეფის მოადგილის ვორონცოვის განმარტების შემდეგ, ნიკოლოზ პირველმა ასეთი ბრძანება გამოსცა: „კრივის ნება მიეცეს ქალაქს გარეთ, მაგრამ ისე კი, რომ მუშტების გარდა სხვა რამ იარაღი არაიენ იხმაროს. კრივს თვალყური უნდა ადევნოს პოლიციამ, რომელსაც ნება ეძლევა შეაჩეროს კრივი იმ დროს, როდესაც მოპირდაპირენი გახურდებიან“.³⁾

კრივში მონაწილეობდნენ უმთავრესად ხელოსანთა წრიდან გამოსული ფალანგები; ზოგჯერ მათ ვაჭრებიც უერთდებოდნენ.

კრივი იწყებოდა შრავლარიცხოვან დამსწრეთა შეძახილით და ყოყონით. ხშირად მუშტის გარტყმა ისეთი ძლიერი ყოფილა, რომ არეზარებანს აძლევდა.⁴⁾

¹⁾ С. Книшмисев: „Тифлис 40-х годов“, „Кавказ“, 1894 წ., № 60.

ამვე ავტორის ცნობით: „მეტად დამახასიათებლად აქვს აწერილი კრივი ალექსანდრე დიუმის თავის წიგნში „De Paris à Artorgau“. ამ კრივში დაშავებულთა შორის თვით ალექსანდრე დიუმაც ყოფილა“ (იქვე).

²⁾ Аким, т. X., 83, 825.

³⁾ ibid., 83, 827.

⁴⁾ ზოგი ერთ მოკრივე ხალხის მიერ დარქმულ ზედმეტ სახელს ატარებდა. მაგ., „ქარაღ-ქანდოლა“—კლდის დამქუცვი; ამბობენ, ამ მოკრივეს კლდისთვის, რომ მუშტი შემოერტყა, ბელტს ჩამოაგდებინებდო; ზეორე მოკრივე—დნჯრსოლომო—ისეთი ყოჩაღი ყოფილა, რომ როგორც ამბობენ, ცხენის ნალს ზელით გადააღუნავდა და დაჩოქილი კრივობდა. ხოლო შესამე მოკრივეზე ქაჩალ სტეფანეზე ასეთი ლექენდაა: ერთხელ სიონის ქუჩაზე კრივის დროს ბანიდან ჩამოვარდნილი აგური დაეცა თავზე. აგური ოთხად გადაატყდა, ხოლო სტეფანე კი აინფეზიაც არ ჩაუგდო, მაღლა აიხედა და ხუმრობით წარმოთქვა: „ვინ თხვრია, რომ მეკუნ-კავებაო!“

მოკრივენი უქუდლოთ, მკერდ-გაღელდიონი, ჩოხის კალთებ-აკეცილნი და ხშირად ფეხ-შეშველნიც იბრძოდნენ. მოკრივეთა რიცხვი განსაზღვრული არ იყო.

კრივს ჩვეულებრივად ვგრედწოდებული წარჩინებული პირები მფარველობდნენ. ქომაგები ცხენებზე ისდნენ, ერთმანეთს ეკამათებოდნენ და თავიანთი რაზმის ფალანგებს აქეზებდნენ. ზოგჯერ „კარგად დამრტყმელ“ მოკრივეებს ფულითაც ასაჩუქრებდნენ.

არის თქმულება, რომ კრივს შეფე ერეკლეც ესწრებოდა. „კრივი იყო ზნეობითი სწავლა ვაეკაცობის წვრთნისა და ვარჯიშობისა“. ¹⁾

გრიგოლ ორბელიანის თქმისა არ იყო:

„აბა ერთი კრივში მნახე ვინა ვარ!“

რუსეთის დამყარების პირველ დღიდანვე, სხვა აღათებთა შორის, კრივიც აკრძალეს, როგორც „საშიში თამაში“; მაგრამ მთავარმართებელი ციციანოვის დროს, ხალხის თხოვნით კრივი კვლავ განახლებულ იქმნა; „არა იმიტომ, რომ ციციანოვის ძარღვებში ქართული სისხლი სჩქეფდა, არამედ იმიტომ, რომ ხალხს თავისებურება არ დაჰკარგოდა და სამხედრო მოქმედებაში გაწვრთნილიყო“. ²⁾

კრივი ბევრნაირი იყო:

მუშტის კრივი,

ხრილოლი (კრივი ცალი ხელით),

სალდასტი (ქვის კრივი).

ყველაზე გავრცელებული იყო მუშტის კრივი და სალდასტის კრივი. მუშტის კრივს მართავდნენ ზაფხულში, ქალაქის ქუჩებში და სალდასტის კრივს ზამთარში, ქალაქ გარედ. განსაკუთრებით საყურადღებო ყოფილა სალდასტის კრივი. კრივს ჰქონდა თავისი წესები, ხალხის ჩვეულებაზე დამყარებული. კრივში წართმეული იარაღი, სარტყელი, ქუდი თუ ნაბადი ითვლებოდა კანონიერ ნადავლად ანუ ალიაფად. როცა ქალაქში კრივი გაიმართებოდა, მაყურებლები სახლის სახურავებზე აღიოდნენ, ავსებდნენ ბანებს და იქიდან შესცქეროდნენ ომს და ამხნევებდნენ გამბედავ მებრძოლთ თანაგრძნობის აღმოჩენით; როცა ქალაქ გარედ იბრძოდნენ შურდულებით და ხის ხმლებით, მაყურებლებს წინდაწინვე ჰქონდათ დაკავებული გორები და მალლობი ადვილები. კრივს განსაკუთრებით

¹⁾ „ცისკარი“, 1869 წ., № 3. გვ. 81.

²⁾ АКТЫ, т. X., гл. 826.

ახალგაზრდობა მისდევდა. ეს საკვირველიც არ არის. ქართველ ქალს ერთი ათად უფრო ტურფად ეჩვენებოდა ის ვაჟი, რომელიც კრივში გაიმარჯვებდა და სახელს გაითქვამდა. მოკრივენიც, რასაკვირველია, რამოდენადაც სახელის შოვნას სცდილობდნენ, იმდენადვე სწადდათ და სცდილობდნენ თავის გამოჩენას თავიანთ „ორთავე თვალის სინათლის“ სასიამოვნოთ და სასიქადულოთ. კრივს ჰქონდა თავისი ჰემმარიტად კარგი მხარე: ქართველი კაცი პატარაობიდანვე იწრთვნებოდა სამხედრო ხერხებში, ავარჯიშებდა თავის საღ გონებას და გამჭვრეტელობას, რომელიც მას ბუნებით დაჰყოლია, ვარჯიშობდა სიძარღვში, სისწრაფეში—ერთი სიტყვით, კრივში ქართველი იძენდა ყველა იმ თვისებებს, რომელნიც ძვირფასნი არიან სამხედრო საქმისათვის.¹⁾

1) „ივერია“, 1885 წ., № 1.

კრივის შესახებ ცნობების მოსაწოდებლად მივმართეთ ჩვენს უბუცესს მოღვაწეს ნიკო ავალიშვილს, რომელმაც არ დაიზარა და მოგვაწოდა „თავის თვალთ ნახული“ კრივის ზოგიერთი ამბავი, ჩვენი ცნობების დასამტკიცებლად და შესასებად მოგვყავს შემოკლებით ეს წერილი:

„...კრივზედ ცნობის მოსაცემად საკირთა მოგასენოთ, რომ მე ჩემი უფროსი და ერთად ერთი ძმის ოჯახში ვიზრდებოდი; მამა ხუთი წლისას მომიყვდა, ჩემი ძმის მეგობარ-ამხანაგებში ერთი სახელდობარ გიორგი ნადირაძე, დიდი მაზობრივი ყურადღებით მეუყრობოდა; საცა კი რამ ამბავი ხდებოდა საჯაროდ ვუბეჭდვალდე მეც მაჩვენებდა, კრივის ნახვა მეტად უყვარდა, მუდამ მიდიოდა და მეც თერომეტ-თორმეტ წლიდან უმჯველად თან წამყვანდა ხოლმე.

მაშინ (1855 წ. და შემდეგ) კრივი იმართებოდა კვირა დღეებით, შუადღის შემდეგ ორსამი-საათიდან, კვირაცხოველს არემი, ეხლა რომ არსენალის დიდი შენობებია, იმ მიედანზედ. ის ადგილი თუქუა მცირედად დაბალ-მაღალი ვაჟი იყო და ნაპირზედ ხეებზეც ჰქონდა, მაგერად რბილი და თითქმის უჭერ ადგილი იყო.

მოკრივენი „ზემო“ და „ქვემო“ უბნად იყოფებოდნენ. ამ ორი უბნის შუა ხაზი: ხარფხბ—ავლაბარ—კლდისუბან—ჩუღურეთისა და წარეთუბან—კუჭია—ფერა და დიდუბის შუა იყო...

კრივი იწყებოდა მოზარდი ყმაწვილკაცებით და იგინი რომ გახურებაში შევიდოდნენ, ხან ერთი და ხან მეორე უკან დაიწვედა, მაშინ დაჯანბნობს და დაწვეულ მისი უბნის დიდრონები ჩაეშველებოდნენ; ეხლა ისინი დასწვედნენ უკან მაზირდაპირე უბანს და მათაც დიდრონები ჩაეშველებოდნენ, და ასე თანდათან დიდრონების ჩაშველებით კრივის ასპარეზს დიდრონები იჭერდნენ და მაშინ მოზარდი ახალგაზრდობა დაქანცული და დაბეჭვილი სტოვებდა ასპარეზს...

სამეღანთქმული მოკრივენი ორივე უბანს რამდენიმე ჰყვანდა; იგინი მარტყა რანხს შედგენდნენ და მარტო გაკორების დროს ჩაერთოდნენ ხოლმე კრივში. ამ მარტყა მოკრივეთა სახელი მარტო სამისა მახსოვს: ლოპიანა, გიფუა და ლორკოლა. მათში ყველაზე განთქმული ლოპიანა იყო, ის რომ ჩაერთოდა კრივში, მაზირდაპირეს ისე აწყობდა, როგორც ძლიერი რამ მანქანა და ბევრჯელ ყოფილა, რომ ხეში ჩაურყვინა მოწინააღმდეგე უბანი.

მოკრივეთ შიგადაშოგ დასვენებაც იყოდნენ. დაწყებადის და დასვენების დროს. ორივე უბნის მოკრივეთ თავიანთ ბელადებს ჭარს ეხვეუდნენ...

კრივი დაბინდებანზედ ადრე იწყებოდა, ესე ესთკვით „გენერალური ბრძოლის“ შემდეგ, როდესაც ორივე უბნის მარტყავც შილად ჩაერთოდა საწყეში და ლოპიანისი და მისი ამხანაგების მეოხებით ზემო უბანი დიდთ გაიმარჯვებდა—ან ხეში ჩაჩრეკვდა ან უმიოსოდც დაჰქაჰკავდა, დაიორჯვდა ჰეგო უბანს არ მახსოვს, რომ ჰეგო უბნის გამარჯვება ვისზე როდისმე ეთქვას.

კრივის ცქერა მეტად უყვარდა ხალხს, ამიტომ დიდძალი მაცქერალი ცხენიანი და თუ ქვევითი წარებოდა კრივზედ, ჰლაშის ნახევარ ქალაქი...“

კრივის ძლიერ დატაკი ლიტერატურა აქვს, მხედველობაში თუ არ მივიღებთ დავით იოსების ძე ბებუთოვის მემუარებს. ¹⁾ ეს ერთადერთი ბეჭედი თი მასალაა, რომელსაც სხვა-და-სხვა ვარაუდით იმეორებენ: დუბროვინი ²⁾, პოტო ³⁾ ვეიდენბაუმი ⁴⁾ და სხვ.

აი, ამ ბებუთოვს აწერილი აქვს სალდასტის კრივი, რომელშიაც თითონაც მიუღია მონაწილეობა. მკითხველმა რომ წარმოდგენა იქონიოს ამ დაუნდობელ ძველებურ კრივზე, მოგვყავს ეს აწერილობა ოდნავი კუპიურებით:

„ბრძოლა დავიწყეთ ჩვენ—ამბობს ბებუთოვი,—ქვემო უბნის ბავშვებმა. მე გადავტყე წინ და სხვებთან ერთად დავიწყე შურდულით ქვების სროლა. ქამარზედ მეკიდა ხის ხმალი და მარცხენა მხარეზედ საფრად ნაბადი მქონდა. ახლო რომ მივედი, მოწინააღმდეგენი ხმალი იწვევდნენ ერთმანეთს. ერთი გამხედავი ყმაწვილი დახტოდა ჩემს წინ და თავს იფარავდა ჩემი შურდულისაგან. უეცრათ მოვარდა ჩემთან. ჩვენ შევეტაკენით და დავუწყეთ ერთმანეთს ხმლებით ცემა. ჩემი მოქრშვე დავექერი. მაგრამ მეც გამიპო იმან წარბი... დიდებ შორის ქვის სროლა და ხელჩართული გრძელდებოდა... მე დავრჩი როგორც მაცურებელი. დაძლევა და ჯობნა არც ერთ მხარეს არ ეტყობოდა. ჩვენებმა ჩუმად შუალამისას გავზუნეს ერთი რაზმი ზემო მხარის გარს შემოსავლელად, თითქმის ექვს ვერსამდე. ამ რაზმს ჰქონდა ნაბრძანები, გასულიყო ორ შაბათს და ასე თორმეტ საათზე გადმოშეებოდა სოლოლაკის მთას და მოსწოლოდა მტერს. ამასთანავე მთაზე, ოქროყანიდან დაწყებული, ამ რაზმს უნდა დაეყენებინა საუკეთესო მეშურდულენი, რომ მტრისთვის ზურგში დაეწყეთ სროლა... ორივე მხრიდან გამოვიდნენ მეშურდულენი ათასობით და სეტყვასავით მიაყარეს ქვები ერთმანეთს... ყველგან გაცხარებული შეტაკება იყო. მომხდურებს როცა წააქცევდნენ, სკდილობდნენ მთიდან გადმოვდებას, მაგრამ ამხანაგები შეეშველებოდნენ და ომი ისევ გათანასწორდებოდა. ბრძოლა გავრძელდა თითქმის ერთ საათს და ქვემო უბნელებმა მოახერხეს მანც ნახევარი მთის დაკავება და ნაბდებით თავს იფარავდნენ შურდულის ქვებისაგან, რომელიც ზუზუნით მოდიოდა... უეცრად მოისმა

¹⁾ „Военный Сборник“, 1867 წ., № 6 და 7.

²⁾ „Тифлисский Листок“, 1899 წ., № 165, სურათებიანი დამატება, № 8.

³⁾ „История войны и владычества русских на Кавказе“. ტ. I, წიგ. II, გვ. 146.

⁴⁾ „Кавказский Календарь“, 1855 წ.

საშინელი ყვირილი. განთქმულ მებრძოლთა სახელი ელევასავით მოეფინა მთელ ხალხს და მეგობრებს რაღაც ელექტრონისებურმა ნაპერწყალმა გაურბინა ძარღვებში. ზურნისა და საყვირების გამაყრუებელი ღრიალი მოეფინა არემარეს. ომი ცეცხლივით აენტო. ეხლა იბრძოდნენ ხის ხმლებით, ქვეებს აღარ ხმარობდნენ, კრივის წესით, ხმალ-და-ხმალ შეტაკებაში; ქვის სროლა მხდალობად ითვლებოდა. ზემო უბნელები შესუსტდნენ და უკუ იქცნენ. ქვემო უბნელებმა დაიჭირეს მთა და მტერი გაიქცა სოლოლაკის ხეობისკენ.¹⁾

ხშირად ეს ფიზიკური ვარჯიშობა, ავქსენტის ცაგარლის თქმით, ეს „მუშტის ქუხილი“, თავდებოდა ფიზიკური დასახიჩრებითაც. „კრივის მეორე დღეს ბლომათ იყენენ ხოლმე თავგახეთქილები, თვალწაყარდნილები და ცხვირპირდამტვრეულები.“²⁾

თუმცა შურდულები პატარა ზომისა იყო და ხმლებიც—ხისა, მაგრამ მაინც საშინელი და დაუზოგავი ხდებოდა ეს „უშუშტო კრივი“... მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ამ „ცხვირპირის დამტვრევას“ სულაც არ მოსდევდა ბოროტი გრძნობები და ხშირად ასე ფიზიკურად დასახიჩრებულნი, ნიშნად შერიგებისა, სალხინო ადგილებში მიდიოდნენ და ერთად ღროს ატარებდნენ.

„კრივი“ როგორც ფიზიკური ვარჯიშობა, თავისი ხასიათით და დანიშნულებით არაფრით არ განსხვავდებოდა ასეთივე ხასიათის ვარჯიშობისაგან, რომელიც სხვა ერის ყოფა-ცხოვრებამ წარმოშვა (ბოქსი, კიდაობა და სხვ.). საერთო მიზეზები იწვევენ საერთო ხასიათის ვარჯიშობასაც: ერთფეროვანი ფიზიკური შრომით დაღლილი სხეული, მოდუნებული მოძრაობა სისხლისა გახალისებას მოითხოვდა, და ტფილისელმა ხელოსნებმაც თავიანთი „ტივის სისხო მკლავების“ გასატაკუნებლად, კრისაც მიმართეს ისევე, როგორც ინგლისელებმა—ბოქსს.

საღდასტის კრივი მთავარმართებელ ბარიათინსკის ღროს სამუდამოდ აიკრძალა. დარჩა მხოლოდ ჩვეულებრივი მუშტის კრივი, რომელმაც სამოცდაათიან წლებამდე გასტანა. ამ გვიანობამდე დარჩენილ მუშტის კრივს, რომელიც ქალაქ-გარედ იმართებოდა, პოლიციის ზედამხედველობით, თავისი წესები ჰქონდა გამომუშავებული. ხშირად ზოგიერთ მოკრივეს საშინელი მაგარი ცაცია ჰქონდა, ვისაც შემოპკარავდა—მორჩა, ცოცხალი ვეღარ ადგებოდა. აი, ამისთანა მოკრივეს სიტყვა ჰქონდა მიცემული, ან

1) „Кавказский Сборник“, 1902 წ., ტ. XXIII, გვ. 14. შეად. „იფერია“, 1885 წ., № 1.

2) „Кавказ“, 1846 წ. № 1.

როგორც ამბობენ, „ხელი ჰქონდა მოწერილი“, რომ იგი აღარ იკრევებდა... მაგრამ, როგორც ყოველგვარ დადგენილებას, რასაკვირველია, ამასაც გვერდს უხვევდნენ, „ხელისმოწერა“, — ხელის მოწერათ რჩებოდა და ამ მუშტის კრივსაც მოჰყვებოდა ხოლმე თავისი მსხვერპლი, თუმცა არა იმდენი, რამდენიც სალდასტის კრივს.

კრწანისის სასაფლაოზე, ამ რამდენიმე წლის წინათ, ერთი საფლაოვი ენახე. როგორც საფლაოვის ქვის წარწერიდან სჩანს, განსვენებული სალდასტის კრივის მსხვერპლი გამხდარა. აი, ეს ეპიტაფია:

„გ უ ლ შ ი ქ ვ ა მ ო მ ხ ვ დ ა, მეცა ზარები,
თავს დამეხვივნენ ტოლნი-ჯარები;
ჩამომატარეს ცინის კარები,
საწყალ ღედაჩემს შერჩეს გონება,
ყველამ მაღირსეთ თითო ცხონება.“¹⁾

¹⁾ ყოველ ათეულ წლებს თავისი ცნობილი მოკრივე ჰყავდა. მეთრამეტე საუკუნის ფალავან-მოკრივეთა სახელები ჩვენამდე არ მოსულა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან კი ტფილისში ცნობილი იყვნენ შემდეგი მოკრივენი: შერმაზანა, საათო (მთავარმართებლის პ. ციციანოვის ფალავანი), ზარფუხელი მკალავი ლეკუა, ოქროშვიდელი თაფანა, ბებუთაანთ გიგა (ლობჯანიძე), ყასაბი გულუაშვილი, ცხრაფეხანთ ვოლა, გამდარი სიმონა (გოციროძე), ლეჟენძანთ ავეტიკა (ღენიჩიშვილი), ბაბამ სირქია, ჭობი კვიციანი (არჩილ მუხრანბატონის ფალავანი), მჭედელი სია, ჩუღურეთელი თეთრ-აბაღუბა, წითელ-ფუფარია კოლა, მუხანგლე ლობიანა (გრ. თრბელიანი ფალავანი), თოქმაჩი გულაზა, მთაწმინდელი კომშუა, ტიანუა, პაჭუა, ლორუა გიფუა (დათიკო მელიქსედეს-ძე ბებუთოვის ფალავანი), ყასაბი ჟორნაშვილი, ნიკოლა ცაცანაშვილი, გიჟ-მზაკა, ბოშ-ოქანება, მიკიტანი გრიზა (მაბულოვი), დაბალი ლობიოზა, დაბალქაჭტუა, დაბალი ბუჯინა, ბაყალი გომფუა, განუელი ალია, ფარქასტუ კოლა, ანანი ბუეფუა, ჩუკოელი ვირიცხანაშვილი, კარაფ-ქანდოლა, დნგრ სილომანაშვილი და სხვ.

აღმოსავლეთში ერთი მეფე იყო, ძლიერი და დიდებული. ერთხელ მან მოისურვა თავისი საბრძანებლის დაელა და დათვლიერება. მეზავრობის დროს ერთ სოფელში ნახა უმშვენიერესი ქალი, ასული უბრალო ხელოსანისა. მეტად მოეწონა სიტურფე და სიკეთილე მისი და ისურვა ცოლად შერთვა. ჩვეულებების კვალობაზედ დედ-მამას უნდა დაჰკითხებოდა. ამიტომ მეფემ გაუგზავნა მოციქული. მოციქული მივიდა და ქალის მამას მეფის სურვილი და განზრახვა მოახსენა; ეგონა ქალის მამა სინაარულით ცას დაეწეოდა, მაგრამ ხელოსანი სხვა ჰკუის კაცი იყო. მეფის სიძვობას სხვა ფრიად დიდ ბედნიერებად ჩასთვლიდა, ხელოსანს კი არამც თუ სინაარული არ შეეტყო, არამედ ეწყინა კიდევ, შეკრთა, დანაღვლიანდა და ბოლოს მოციქულს უარი უთხრა: „ჩემი ქალის მთხოვნელმა,—უპასუხა ხელოსანმა მოციქულს,—უთუოდ რამე ხელობა უნდა იცოდეს,—სხვანი ფიქრობენ, მეფობა ყველა ხელობას სჯობიანო, მაგრამ მეფობა მკვიდრი ხელობა არ არის. დღეს მეფე ტახტზე ზის და ბრძანებელია, ხეალ შეიძლება ტახტიდან ჩამოაგდონ, აიკლონ მისი სასახლე და ხელცარიელი დასვან. რა უნდა ქნას, როგორ უნდა იცხოვროს ცოლშეილით, როცა ხელიდან არაფერი გამოუვა? ხელობის მცოდნე კაცი კი ყოველთვის ღელოს გაიტანს. ხელოსანს ცოდნას ვერც ვერაიონ მოჰპარავს და ვერც ვერაიონ წაართმევს“...

დაბრუნდა უკან მოციქული და მოახსენა მეფეს ხელოსანის პასუხი. მეფე მეტად ჰკვიანი და სათნო აღამიანი იყო: იგი არ განრისხდა, არამედ გაჰკვირდა. დაუფიქრდა ხელოსანის სიტყვებს, სცნა იგი სამართლიანად და ჰეშმარიტ სიტყვებად. მეფემ ამის შემდეგ უფრო მეტად მოისურვა ხელოსანის ქალის შერთვა: ამისთანა ჰკვიან მამას, აღმათ, ქალიც გონიერი ეყოლებოა. როგორ უნდა მისწეოდა თავის გულის მურახს? ნებით ხელოსანი ქალს არ აძლევდა და ძალით წართმევას კი თითონ მეფე არა კისრულობდა. ადგა მეფე და შეუდგა ხელოსანის სურვილის ასრულებას: სულ მოკლე ხანში საუცხოოდ ისწავლა ხალიჩის ქსოვა და ზედ სახეების მოჰარგვა. მეფემ თავისი ხელთნაქსოვი გაუგზავნა სასიამოროს. ხე-

ლოსანს ძლიერ მოეწონა მეფის ხელოვნება და ქალის მითხოვებაზე თანხმობა განაცხადა. მეფემ დიდი ამბით იქორწილა.

მეფე თავის შვენიერ ცოლთან ბედნიერად და მზიარულად ატარებდა სიცოცხლეს. მასთანვე სცხოვრობდა მისი სიმამრი, რომელსაც თავისი ხელობისთვის თავი დაენებებინა. ბევრჯელ მოაგონებდა ხოლმე სიძე-მეფე ხელოსან-სიმამრს წარსულ დროს და დასცინოდა მის ახირებულ უარის თქმას. მაგრამ ჩქარა ერთმა შემთხვევამ სრულიად გაამართლა ხელოსანი და ცხადათ აჩვენა მეფეს, თუ რა ძვირფასი საუნჯეა ხელობის ცოდნა.

კარის კაცნი ყოველ დღე მოწიწებით მოახსენებდნენ მეფეს, რომ მისი ქვეშევრდომნი ფრიად მადლიერნი არიან თავიანთი ბედის და სულ მეფეზე ლოცულობენო. მაგრამ მეფეს ეს სიტყვები როგორღაც არა სჯეროდა. იგი ვკვში იყო, ვაი თუ ჩემს სამფლობელოში ბევრი ბოროტება ტრიალებდეს და ჩემი მოხელეებისაგან ხალხი მწუხარებასა და ტანჯვაში იყოსო. ნამდვილი ამბის გასაგებად ერთხელ მეფემ ინება საიდუმლოდ დავლა და დათვლიერება მთელი თავის საბრძანებლისა. ჩაიკვა გლახის ტანისამოსი, დაიჭირა ყავარჯენი და მწირი ბერივით დაიწყო ფეხით სიარული სოფლიდან სოფელში და ქალაქიდან ქალაქში.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, სიმშლით შეწუხებული მეფე მზარეულის დუქნის კარებთან მივიდა; მწირად ჩაცმული რომ ნახეს, პატივი სცეს, როგორც სულიერ გზაზედ მავალ კაცსა, შეიყვანეს მორთულ ოთახში და საქმელი მისთავაზეს. მეფე ტახტზე ავიდა, ფეხთ მოიკეცა და ის იყო ჭამას უნდა შესდგამოდა, რომ უცბათ ტახტი ძირს დაეშვა და მეფე ერთ ბნელსა და ღრმა სარდაფში ჩავარდა. ცოტა ხნის შემდეგ პატარა სინათლის შემწეობით, რომელიც სარდაფში ერთი ჭუჭრუტანიდან ჩალიდა, მეფემ თავის გარშემო ადგილი გაარკვია და ნახა, რომ სარდაფი სავსე იყო თავმოჭრილ ადამიანებით. თავზარი დაეცა მეფეს და არ იცოდა, რა ექნა. ამ დროს მოვარდა ერთი მრისხანე სახის კაცი, იშიშვლა ხანჯალი და შეუძახა მეფეს, სასიკვდილოთ მოეშადყო. მეფემ უთხრა: „ღმერთმა ხომ იცის და შენ თითონა ხედავ, რომ არაფერი მზადია, მე ერთი საწყალი კაცი ვარ და, აბა, ჩემი სიკვდილით რა უნდა ირგო? თუ ცოცხალს დამარჩენ, მე ისეთი ხელოსანი ვარ, რომ შენი გამდიდრება შემძლიან. მომიტანეთ აბრეშუმი და ყაჭის ფერადი ძაფი, ჩემს სიცოცხლეს აქ გავატარებ, მოვქსოვ შვენიერ ხალიჩებს, ნაირფერ ძვირფას სახეებს ზედ მოვჭარავ, მერე თქვენ ამ ხალიჩებს დიდ ფასად

გაპყიდით და გამდიდრდებითო.“ ავაზაკმა სიმდიდრის სიხარბით მოკვლავ-ზედ ხელი აიღო და გულში გაიფიქრა: საქსოვ მასალას მოკვუტან და თუ მომატყუა, აქ არა მყავს, უფრო უარესი ტანჯვით მოკვლავო.

მოუტანეს მეფეს აბრეშუმი და ყაჭი. დაჯდა მეფე და, მართლაც, ისეთი შვენიერი და ძვირფასი ხალიჩა მოქსოვა, რომ ავაზაკმა გაკვირვებით წარმოსთქვა: „ამის ფასს მეფე თუ გაიმეტებს, თორემ სხვას ვის შეუძლიან ამის ყიდვაო“, ავაზაკი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა; მაგრამ იმისმა სიხარულმა დიდხანს არ გასტანა. ადგა ერთ დილით ეს ავაზაკი, აიღო ნაქსოვი ხალიჩა და პირდაპირ მეფის სასახლეში წაიღო. სასახლეში ვეზირი დახვდა, გასინჯა მოტანილი ხალიჩა, მოქარგულ სახეებსა და ყვავილებ შუა შეაქნია ნაქსოვი სიტყვები; დააკვირდა, წაიკითხა და თავიანთი მეფის თავგადასავალი შეიტყო. ვეზირმა მაშინვე დაუძახა ღონიერ მოსამსახურეებს და ეს ცრუ ვაჭარი გაათოკინა. ავაზაკს თავზარი დაეცა, როცა ვეზირმა უთხრა მეფის ამბავი და მისი წვალება. ხალხი წავიდა, მეფე გამოიხსნა და ავაზაკის სახლი პირქვე დაამხო. დამნაშავეს კი ღირსეულად სასჯელი მიუზღეს. მეფე ამის შემდეგ მთელ თავის სიცოცხლეში სიმამრის ჭკუის მადლობელი იყო და ამბობდა, ხელობა უბრალო კაცმაც უნდა იცოდეს და მეფემაცო.

ჩვენ ეს ზღაპარი იმიტომ გავიხსენეთ, რომ ქალაქის მცხოვრებლებს ამ არაკის შინაარსი ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი.

ქალაქის ღარიბი მოსახლეობა დიდ მნიშვნელობას აძლევდა ხელობას. ამიტომ იყო, რომ ისინი თავიანთ მკირეწლოვან შვილებს ბალღობიდანვე მიიბარებდნენ ხოლმე შეგირდათ რომელიმე ოსტატს, რა არის ხელობა შეესწავლა, „ერთი ლუკმა პური“ მუდმივად ჰქონოდა და, როგორც ამბობენ, „კაცი გამოსულიყო.“

შობლების პირველი მიმართვა ოსტატისადმი, თავიანთი შვილის შეგირდათ მიბარების დროს, ასე იწყებოდა: „ძვალი ჩემი, ხორცი შენი, —გამიზარდე შეილი, ოსტატო!“

უნდა ითქვას, რომ ხშირად შეგირდი მდიდრულ ოჯახიდანაც გამოდიოდა. დოვლათიანი მამა თავის შვილს ყასიდად ღარიბ ხელოსანს მიიბარებდა, რომ შვილს ცხოვრების ყადრი სცოდნოდა!)

1) ხელოსნებს შეგირდის პატიოსნების გამოსაცდელად, სხვათაშორის, ასეთი ჩვეულება ჰქონდათ: დუქანში განზარან ფულს დააგდებდნენ და ჩუმად თვალყურს ადევნიდნენ: შეგირდი დუქნის დაგვის დროს ამ ფულს თავისთვის აიღებდა თუ ოსტატს მიუბრუნებდა!

ამ მზრივ მეტად საინტერესოა ამქრობა, როგორც ძველი დროის პროტესიონალური ორგანიზაცია, რომელთანაც მრავალი დამახასიათებელი წესი, ადათი და ჩვეულებაა დაკავშირებული.

ჩვენ ამ ამქრობას ცოტა დაწვრილებით შევიხებით.

ძველად ამ ხელოსანთა ორგანიზაციას „ამქარი“ არ ეწოდებოდა. ასეთ კავშირს „თაბუნი“ ერქვა¹⁾, ზოგჯერ „ასნაფი“²⁾.

პროფ. ივ. ჯავახიშვილი საქართველოში ამქრობის წესწყობილების დასაწყისს მე-VIII-ე საუკუნეს აკუთვნებს, ვინაიდან „არაბეთის სახლიფოში ამქრები უკვე მერვე საუკუნეში არსებობდნენ, ხოლო ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს საქალაქო წესწყობილებაზე არაბებს გავლენა ჰქონდათ; ამის გამო საფიქრებელია, რომ ამქრები ტფილისში მაინც უნდა ყოფილიყვნენ“.³⁾

ნ. ბერძენოვის თქმით: „ამქრობა ჩვენში სპარსეთიდან შემოვიდა“.⁴⁾

ასეა თუ ისე, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ჩვენში ამქრობა უცხო ერის გავლენით განვითარდა. თვით მე-VI-ე საუკუნეში მცხეთასა და ტფილისში უკვე სჩანან სპარსელი ხელოსნები; ხოლო, არ ვიცით, ეს ხელოსნები იყვნენ რომელიმე ამქარში, როგორც კავშირში, თუ თითო-ოროლა ხელოსანი დასვირობდა ჩვენს შიწაწყალზე!

მაგრამ ჩვენ ამ ჟამად ამქრობის წარმოშობის გამოკვევას არ შევუდგებით. მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ამ ორგანიზაციის ზოგიერთ ადათებსა და ზნე-ჩვეულებებზე.⁵⁾

ჰამქარ სპარსული სიტყვაა და ნიშნავს თანამოსაქმობას.

ხელოსნობის თვითიველ დარგს საკუთარი ამქარი ჰყავდა.

ამ ორგანიზაციაში შევიძლო შესვლა ყველა ადგილობრივ მცხოვრებ ხელოსანს, განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა.

1) „დასტურლამალი“, პ. უმიკაშვილის რედაქციით, 1886 წ., გვ. 64.

2) „საქართველოს სიძველენი“, ტ. II, გვ. 528.

3) „საქართველოს გეოგრაფიული ისტორია“, 1907 წ., გვ. 40.

4) „Тифлис в историческом и этнографическом отношении“, 1870 წ., გვ. 139.

5) ეს მასალა უბეტეს წილად შეკრებილია ძველს მოქალაქეთაგან. მათი ნაამბობი კრიტიკულად შევამოწმე იმ მასალის მიხედვით, რომელიც სხვა-და-სხვა ავტორთა ნაწარმოებშია გაფანტული. ეს ავტორები არიან: П. Ш а н ш и е в:— „два слова об амкаре“, 1857 წ.; Ю. А х в е р д о в:— „Тифлисские амкарн“, 1883 წ.; С. Е г н а з а р о в:— „Городские цехи“ („Записки кавказск. отдела Русск. географ. об-ва“, кн. XIV, вып. II, 1891 წ.); გ. ჭამყრელიძე— „ხელოსნობა საქართველოში“ 1926 წ. და ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი: „საიათნოვა“ 1918 წ., გვ. 35.

ამქარს ჰყავდა თავისი გამგეობა, რომელსაც განაგებდა უსტაბაში (ოსტატების თავი—თავმჯდომარე).

ყველა ამქარს თავისი საკუთარი დროზე ჰქონდა, რომელზედაც გამოხატული იყო ფირი (ღერბი, ემბლემა). ეს ფირი წარმოადგენდა ამქარის სიმბოლოს. თვითვე ამქარს თავისი მფარველი წმინდანი ჰყავდა. ასე, მაგ., ხარაზების დროზე გამოხატული იყო ელია (ილია წინასწარმეტყველი), დაბღებისაზე—ღვთისმშობელი, სირაჯებისაზე—ყურძნის მტევანი, ყასბებისაზე—მამაბრამი თავისი ბატონით, ხუროებისაზე—ნოეს კილობანი და სხვ. ¹⁾

უსტაბაშს ირჩევდნენ კენჭის ყრით (უსტაბაშს, სხვათაშორის, საქმის გადაწყვეტაში ერთნახევარი ხმა ჰქონდა). ზოგიერთების აზრით, უსტაბაშს არა სცვლიდნენ და იგი ამ თანამდებობაში კვდებოდა კიდევ; რასაკვირველია, უსტაბაშის ვადა განსაზღვრული არ იყო, მაგრამ აშკარაა, დროსთან ერთად, უსტაბაშებიც იცვლებოდნენ; უსტაბაშის დიდხანს დარჩენა თავის თანამდებობაზე დამოკიდებული იყო მის უნარიანობაზე და უფრო მის ავტორიტეტზე.

ამქარს ჰქონდა საკუთარი წესდება, სადაც, სხვათა შორის, სასტიკად იყო დაცული კოლეგიალობა, მაგ., არც ერთი ამქარის წევრი ხელს არ ახლოებდა თავისი ამხანაგის მიერ დაწყებულ მუშაობას; საქმიდან დათხოვნილი რომელიმე—ღურგლის ნაცვლად, ამავე ხელობის ამქარის წევრი „ქისატ“ საქმეს ხელს არ მოჰკიდებდა; ერთი თერძის მიერ დახაზულ და დაჭრილ ახალუხს, მეორე არ შეჰკერავდა და სხვ. აგრეთვე აკრძალული იყო საქარგლო თუ საოსტატო შევირდის გადაბირება.

აქვე საჭიროა ითქვას, რომ შევირდი, ვიდრე ქარგალი გახდებოდა, თავისი ხელობის გარდა, ასრულებდა ყოველგვარ წვრილმან საქმესაც; უფროს ოსტატებს ხელზე ემსახურებოდა, ღუქანს ჰგვიდა, სადილს სწლიდან ღუქანში ეზიდებოდა და სხვ.; შევირდს ჯამაგირი არ ეძლეოდა. ოსტატი შევირდს მხოლოდ პურს აქმევდა და მის ჩაცმა-დახურვაზე ზრუნავდა. როცა შევირდი ხელობას შეისწავლიდა, წლიური ჯამაგირი ენიშნებოდა. ზოგის მამა კი, პირიქით, თითონ იხდიდა ფულს, რომ მის შვილს ხელობა შეესწავლა.

¹⁾ ზეპირებმა, ხარატებმა და ღურგლებმა თავიანთ დროშას შემდეგ მტრედის მიუმატეს. ამ „მტრედის“ ისტორია ასეთია: როცა ნათლიება დღეს, მტრედის პატარა ტოტში ჯვარს ჩაუშვებდნენ, გაიმართებოდა მტკვარში ცხენების ჯიჩითი. ვაღმა ჯვართ იდგა, გამოღმა—ქალაქის მისამართადა. ისრაიდენ თოფებს, უკრავდნენ ზონას და ამასთანავე მტრედების გუნდაც აუშვებდნენ. ერთხელ ასეთ „აფრენის“ დროს ერთი მტრედი ღურგლების დროშაზე დაჯდა; ხელისწებმა ეს სასწაულად მიიღეს და მას შემდეგ ღურგლების დროშაზე ჯვრების პატარა მტრედიც ჩამოჰკიდეს.

ხელობის შესწავლის ყველი განსაზღვრული არ იყო, მაგრამ ჩვეულებრივად შეგირდი თავის ხელობას 5—6 წლის განმავლობაში ამთავრებდა. ეს დამოკიდებული იყო შეგირდის ფხაზე და ხელობის სირთულეზე: ზოგიერთი ხელობის შესწავლა მეტ ვადას თხოულობდა, ზოგი კი, როგორც იოლი, ცოტას.

შეგირდად მიბარების პასაკი, მტკიცედ არ იყო განსაზღვრული, მაგრამ ჩვეულებრივად შეგირდის გაბარება იწყებოდა 8-დან 10 წლამდე.

საქეფოდ ყოველ ამქარს წელიწადში გაზაფხულის ერთი დღე ჰქონდა არჩეული. თითქმის ორმოცი დღის განმავლობაში (აღდგომის ორშაბათიდან—ამაღლებამდე), ორთაქალა და ქალაქის სხვა განაპირა მიდამოები ახმაურებული იყო ამქართა დღესასწაულებით. მიდიოდნენ ქალაქის ბაღებში, დაჰკლავდნენ სამღეთოს და აშხადებდნენ შილაფლავს. ეს შილაფლავი რიგდებოდა ღარბი-ღატაკთა შორის და ერთ კარგა მოზრდილ ქვებს, თავის „ჯვარისმამის ლავაშებით“, ციხეშიაც უგზავნიდნენ პატიმრებსა. ამავე დღეს ხდებოდა ახალგაზრდა ხელოსნების დალოცვა.

ვიდრე ამ დღესასწაულის ცერემონიალს ავწერდეთ, უნდა ითქვას, რომ ხელოსნის ხარისხის მიღწევისათვის საჭირო იყო ორი წინასწარი საფეხურის გაეღა: შეგირდობისა და ქარგლობისა. „ქარგლის“ სახელწოდების მიღება თითქმის ოფიციალურად ხდებოდა. ხელოსანი ექსპერტებად მოიწვევდა უსტაბაშს, აღსაჰკალს, იგიობაშს და ამქრის რამდენიმე საპატიო წევრს; შეგირდის ნახელავს შეამოწმებდნენ და შესაფერ დასკვნას გამოიტანდნენ. თუ ნახელავი დამაკმაყოფილებელი იქნებოდა, ქარგლობის ხარისხი ეძლეოდა; თუ არა, მაშინ კვლავ შეგირდათ რჩებოდა, იმ დრომდე, ვიდრე თავის ინდივიდუალურ მხატვრულ ნიქს არ ჩააქსოვდა ნამუშევარში.

ოსტატი შეგირდის ავ-კარგიანობაში პირადად პასუხისმგებელიც იყო. ვინაიდან ხელობის შესწავლა გამოცდილების გადაცემით და მიბაძვით ხდებოდა. ახალგაზრდა ქარგალი იმით განირჩეოდა შეგირდისაგან, რომ ქარგალს უფლება ჰქონდა, რომელ ხელოსანთანაც მოისურვებდა, იმასთან ემუშავა, შეგირდი კი იმ ხელოსანთან უნდა დარჩენილიყო, ვისთანაც შრომობები მიბარებდნენ. ქარგალი შეზღუდული იყო ერთ რამეში: მას არ შეეძლო ხელოსნის დუქნის გარეშე დამოუკიდებლად ემუშავა ან ხელოსნის დაუკითხავად შეკვეთები მიეღო.

მაგრამ, როცა ხელოსანი სრულყოფილებიანი ოსტატი გახდებოდა, მაშინ ისიც ისევე ექცეოდა თავის ხელქვეითებს—შეგირდებს და ქარგ-

ლებს—როგორც მას ეპყრობოდნენ. ერთი სიტყვით, ამქრის წევრისათვის ეს ტრადიციული ხელოსანობის ცოდნა ერთი თაობიდან მეორეზე გადაცემის საფუძველს წარმოადგენდა.

ხელოსნად დალოცვა ასე ხდებოდა: ერთი დარგის ხელოსნის წარმოამდგენელი შეიკრიბებოდნენ სახელოსნოსთან, აიღებდნენ დროშას და ზურნის დაკრით გაეზღაურებოდნენ წინასწარ დანიშნულ რომელიმე ბაღში. დასალოცად გამზადებულნი იბით განირჩეოდნენ სხვა ამქრის წევრებისაგან, რომ ამ სადღესასწაულო კრებულს წინ მიუძღოდნენ ალამდარის გასწვრივ, წელზე აბრეშუმის სარტყელ-შემოკრულნი. ამ სარტყელს დალოცვის შემდეგ უსტაბაშს უტოვებდნენ.—სარტყელში გამაგრებული ჰქონდათ თავიანთი ხელსაწყო იარაღი. ასე, მაგ., ხარახუბს—მუშტა, ღურგლებს—თარაზო, ოქრომკედლებს—სიმქაში, ღერციკებს—შოშა და სხვ. მოდღესასწაულენი და მედღეობენი მივიდოდნენ ბაღში, იქ დაუხვდებოდათ თადარიგის და სარისტის მისაცემად აღრევე წასული ამქრის რომელიმე გამოცდილი და სანდო წევრი. ერთ მხარეს იღვა ვეებერთელა ქვაბი, რომელშიაც შილაფლაგი მზადდებოდა, მეორე მხარეს—ლოურჯი სუფრა იყო გაშლილი, რომელზედაც თევშების ნაცვლად—ვახის, ლელვის, ან კომბოსტოს ფოთლები ელაგა, ხოლო ქიქების ნაცვლად კი თიხის ფილები იყო ჩამწყკრივებული. სუფრის გარშემო ლაპარაკებდნენ წმინდა სანთლები, რომლებიც უეჭველად ძირამდე უნდა ჩამწვარიყო.

აი, ამ დროს, მთელი ამქრის თანადასწრებით, ხდებოდა ახალგაზრდა ქარგლის ხელოსნად დალოცვა, რომელიც მანამდე ნამდვილ ოსტატად და ამქრის სრულფუნქციან წევრად არ ითვლებოდა. ამ „დალოცვაზე“ მოწვეული ჰყავდათ მღვდელიც, რომელიც დალოცვის წინ ხელოსანს ზნეობივრ დარიგებას აძლევდა, ხოლო უსტაბაში კი სამჯერ შემოჰკრავდა სილას და, ეს იყო ატესტატის მიცემა ხელოსნისათვის.

სილას შემორტყმასაც თავისი წესები ჰქონდა. ეს სილა,—რომელიც უსტაბაშსა და ქარგალს შორის უმცროს-უფროსობის უკანასკნელ მიჯნას აღნიშნავდა,—ასე უნდა გაერთყათ: უსტაბაში დასალოცად გამზადებულ ხელოსანს ერთის ხელით დაუჭერდა ორივე ხელის ცერს და მერე შემოჰკრავდა სილას. სილას სამჯერ არტყამდნენ: ჯერ მარჯვენა ლოყაზე, მერე მარცხენაზე და მესამედ ისევე მარჯვენა ლოყაზედ. უკანასკნელი სილა, როგორც ამბობენ, ყველაზე მწვავე და მავარი უნდა ყოფილიყო.¹⁾

¹⁾ ბოლო დროს უსტაბაშის „ხელდასმას“ არა ხელოსანიც მისდევდა. ვისაც ამქრის კულტი სწავდა და სურდა, რომ უსტაბაშის ნაკურთხი ყოფილიყო, ამ დღესასწაულზე მიდიოდა და უსტაბაშს დალოცვას სთხოვდა. ამ შემთხვევაში უსტაბაში სილას არ მიზართავდა, ასეთი დალოცვა ხდებოდა „პროშტით“.

ამის შემდეგ სუფრას შემოაუსხდებოდნენ და იმართებოდა ლხინი და ხადილი.

ეს ზეიმი გრძელდებოდა ორ-სამ დღეს. პირველი დღის ქეიფი განსაკუთრებით დალოცვის დღით ითვლებოდა. მეორე დღეს მარტო უფროსები ჰქეიფობდნენ; მესამე დღეს—ნამცეცობა ერქვა.

ამ დღესასწაულის დასასრული ასეთი იყო: საღამოს პირზედ ყველანი ერთად—თაიგულებით, ანთებული სანთლებით, ჩირაღდნებით და ზურჩით ბალიდან ბრუნდებოდნენ და ისევ იმ სახელოსნოსთან მივიდოდნენ, საიდანაც პირველად დაიძრა პროცესია. ეხლა დუქნის წინ გაიმართებოდა ქეიფი; იყო სიმღერა, ცეკვა, ყიყინა. თუ ბაღში გამართულ ლხინზე პირველი სადღევრძელოთი გარდაცვლილ ოსტატებს იგონებდნენ და ფილას პურზედ „თავს წაუქცევდნენ“, აქ, ამ ახალ სუფრაზე, ეს ნაბახურევი ხალხი პირველი სუფრის სილაზათეს ველარ იცავდა და ქეიფი უთავებოლო ღრიანცელით თავდებოდა.



ნუ თუ უსტაბაშის მოვალეობას მხოლოდ სიღის გარტყმა შეადგენდა? ნუ თუ ქეიფი ერთად-ერთი აზრი იყო ამქრების ამ მტკიცე ადათისა? ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ სილაც და ქეიფიც შეგვეძლო ღრმა დავიწყებისთვის მიგვეცა. მაგრამ ჩვენ მაინც ვიხსენიებთ ამ ადათებს, ვიხსენიებთ იმიტომ, რომ ადათების მთელი ეს კომპლექსი რთული მოვლენაა, რომელსაც საფუძვლად უდევს თავისებური შეგნება ადამიანის მოვალეობისა და თავისებური მორალი. „სილას“, რომელიც ჩვენს გონებაში იწვევს წარმოდგენას რაღაც უხეში ფიზიკური აქტისას, წინ უძღოდა „დალოცვა“, რომელიც თავისი სიღრმით სარწმუნოებრივი ექსტაზის სიმალემდე მიდის.

აი, ეს დალოცვაც:

„ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენი.—ღმერთმა, როცა ყველა სულდგმული გააჩინა, ბრძანა, შრომითა და რუღუნებით ისაზრდოფეთო.

„თვით შიშველი მიწაც შრომით შეიმოსა, გაშენდა და განაყოფიერდა.

„ღმერთმა გაშორით შური და სიმბოროტე თქვენი ხელქვეითებისადმი.

„ჩვენ ყველანი მომაკვდავნი ვართ, ერთი მიდის, მეორე მოდის.

„რას ემგვანებოდა წუთისოფელი, რომ ყველა კარგ ხელოსანს სიკვდილთან ერთად, თავისი ცოდნაც თან წაეღო? ჩვენ სხვა არა-

ფერი დაგვრჩებოდა იმის მეტი, რომ დაემჯღარავიყავით და ლაწვები გვეხოკა. მაგრამ ღვთის შემწყობით ჩვენ შევიძიხეთ ის ცოდნა, რაც ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ. ყოველი ჩვენთაგანი ვალდებულია სხვას გადასცეს ის, რაც თვითონ იცის.

„შეგირდი მორჩილი და გამგონე უნდა იყოს თავისი უფროსისა. სწავლა და დარიგება მხოლოდ მორჩილებით შეიძინება.“

დალოცვის უკანასკნელი სიტყვები ასეთი იყო:

„და შენ, მორჩილო და ნამუსიანი შეგირდო! ღვთის შემდეგ ატარებ ხელოსნის სახელს და გეძლევა უფლება შენის ხელობით იარსებო. თვით სოლომონ ბრძენი, წინასწარმეტყველები, მოციქულები და ყველა წმინდანები ჰქადაგებდნენ, რომ აღამიანმა მხოლოდ პატიოსანი შრომით უნდა იცხოვროსო... და შენც, შეგირდო ჩვენი ხელობისა, ეხლა, როცა გავვიხდი ამხანაგად, ნუ დაზოგავ შენს ჯანსა და ღონეს, რომ ნამუსიანი შრომით თავი იჩინო. ო, არამც და არამც არ იარო მრუდე გზით. იყავ გულმართალი და პატიოსანი, ეცადე შენი შეილებიც ამ გზით წარმართო. პატიოსანი შრომა შეასწავლე შენს შეგირდებსაც და ისე მოიქეცი, როგორც ჩვენ გეპყროდით, რათა საიქიოს იესო ქრისტეს წინაშე პირნათლად წარსდგე და განკითხვის ღვთის თვისუფლად აღიარო: ღმერთო, აი, მოვედით ჩვენ ჩვენი შეგირდებით, რომლებმაც ნამუსიანად გვაგატარეთ ჩვენი ცხოვრების ღვთის. ღმერთო! გავგილე სამოთხის კარი და დაგვაშვიდრე სასუფეველსა შინა. ამინ.“¹⁾

ხელოსნობაც, ხელოვნების ის დარგი იყო, სადაც, გარდა შრომის და ბაძვითი მეთოდისა, საჭირო ხდებოდა აგრეთვე ინდივიდუალური ნიჭი და ბუნებრივი ალღო. ისეც მომხდარა, რომ მოწაფეს თავისი ოსტატისთვის უჯობნია, რაც ხშირად შუღლის საბაბად გადაქცეულა.

მაგონდება ერთი ღვგენდა ოსტატისა და შეგირდის შესახებ.

ხერთვისის ლამაზ ციხეს ორი ღიდი კოშკი აქვს, აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. კოშკების აშენების ამბავს ხერთვისელები ასე მოგვითხრობენ: თამარ მეფემ ორ კალატოზს უბრძანა, ორი კოშკი აეშენებინათ. ერთი იყო ოსტატი, მეორე მისი შეგირდი. ოსტატს უნდა აეშენა აღმოსავლეთის კოშკი, ხოლო შეგირდს—დასავლეთისა. მეფე დაჰპირდა, უხვად დაეჯილდოვებ, ვინც უფრო კონტა და ლამაზ კოშკს ააგებსო. ოსტატი და შეგირდი გულმოდგინეთ შეუდგნენ საქმეს. ხელოსნებს მუშაობა ჯერ არ დაემთავრებინათ, რომ ხალხმა ყაყანი დაიწყო, შეგირდის ნაშე-

¹⁾ Л. П. Загурский: „Записки Кавк. Отдела Русск. географ. об-ва“, т. VIII. 1873 წ., 33 26.

ნობა სჯობია ოსტატის ნაშენობასაო. მართლაც, თამარს შევირდის კოშკი უფრო მოეწონა და წინდაწინვე უხვად დააჯილდოვა ხელოსანი. გაბრაზდა ოსტატი. იხელთა დრო და თავის შევირდს კიბე გამოაცალა სწორედ მაშინ, როდესაც შევირდი კოშკის თავს ასრულებდა. რა ექნა შევირდს? რაკი უკიბოდ ძირს ველარ ჩამოვიდოდა, ადგა და ორიოდ დარჩენილ ფიცრიდან ფრთები გაიკეთა, ცულო (ტარალი?) წელში გაიტიკო და გადაფრინდა ჯავახეთის მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ეს მანძილი ბარე ოცი საცენია დასავლეთის კოშკიდან. ძირს ისე უხერხულად დაეშვა, რომ ცულოთ დაიჭრა და გარდაიცვალა. ამ ადგილს ხერთვისელები ეხლაც მსხვერპლის ადგილს ეძახიან.¹⁾

ერთ-ერთი ასეთი შუღლიანობის ნიმუში ოსტატსა ღ შევირდს შორის, გვაქვს მცხეთის ტაძრის კედელზედაც. ჩრდილოეთისაკენ გამოქანდაკებულია კაცის მოჭრილი ხელი, რომელსაც გონიო უჭირავს. თქმულება გადმოგვცემს, რომ სამთავროს მანქანებელის ხუროთმოძღვრის მოწაფემ მცხეთა ააშენა, მაგრამ ოსტატს შეშურდა და კალნიერ მოწაფეს ხელი მოსჭრესო. ზალხური ლექსი ამბობს:

„ხე-კორძულას წყალი მისევამს,
მცხეთა ისე ამიგია,
დამიჭირეს, ხელი მომჭრეს—
რატომ კარგი ავიგია“... ?)

ეს ორი მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ შევირდსა და ოსტატს შორის, შუღლი ოდითვე არსებულა. ამიტომ იყო, რომ დალოცვის დროს ოსტატს უუბნებოდნენ, „ღმერთმა გაშროათ შური და მტრობა თქვენს ხელქეითებისადმიო“.

მიუხედავად ამისა, ამქრებ შორის დაქსაქსულობა არ არსებობდა და ამქართა ოჯახი საკმაოდ მტკიცე ორგანიზაციას წარმოადგენდა. შემაკაფ-შირებელი ლულაბი იმდენად მძლავრი იყო, რომ ამქრები ზოგჯერ ორგანიზაციულად გამოსვლასაც კი ახერხებდნენ. ასე მოხდა, მაგალითად, 1865 წელს, როცა ახალი ვადასახადების შემოღებას, ამ ახალი სამოქალაქო ცხოვრების პირველ სტუმარს, ტფილისის ამქრობამ აჯანყებით უპასუხა.

ათათასზე მეტი ხალხი შეიარაღდა ქევებით (ყველა მემამობეს ჩოხის კალთები რიყის სიბი ქევებით აქანდა სავსე) და გამოვიდა ქუჩებში. მთელ

¹⁾ ა. ლ. ფ რ ო ნ ე ლ ი: „დიდებული მესხეთი“, გამოც. იასონ კერესელიძისა, 1914 წ., გვ. 162.
²⁾ თ. შ თ რ დ ა ნ ი ა: „ქრონიკები“, წიგნი პირველი, 1893 წ. გვ. 175-6.

ქალაქში დაიკეტა ღუქნები, მედროეებმა დაუტევეს ბირჟა, მებოვოსკენი დაიმაღლნენ, თულულღებმა შესწყვიტეს წყალის ზიდვა და მთელი ქალაქი გალაგდა ხოჯივანქში, ბებუთაიანთ სასაფლაოზე¹⁾, სადაც მთავრობის საწინააღმდეგო მიტინგი გაიმართა. ამქრებს ჰყავდათ თავიანთი მეთაურები, რომელნიც ხალხს აქეზებდნენ და აჯანყებისკენ მოუწოდებდნენ. აი, ერთი ამ მეთაურთაგანის სამიტინგო სიტყვა, რომელიც პროფ. პ. მელიქიშვილის მოგონებაში გვხვდება: „არ ვიცი რათ და,—გვიამბობს აწ განსვენებული პროფესორი,—მეც მიანტერესებდა ეს მდგომარეობა. ერთ ზემს ამხანაგთან ერთად მოვახერხე გასვლა ხოჯივანქის სასაფლაოს გორაკზე. მაგონდება ერთი ახალგაზრდა მოქალაქე ხელოსნის სიტყვა, რომელიც ამბობდა, რომ ზენ არ უნდა დავთანხმდეთ ამ ღიღ გადასახადების მოთხოვნილებას. აი, როგორც ზენა ვდგევართ აქ, სასაფლაოზე, და უგზავნით საყვედურებს ზენს მამაპაპათ, რომ ისინი დასთანხმდნენ რუსის ჯარის აქ შემოყვანას და ამგვარად ზენს დაჩაგვრას ხელი შეუწყეს, ისე ზენი შვილებიც საყვედურს გვეტყვიან ზენ ამავე სასაფლაოზე, თუ ზენ დავთანხმდებით მთავრობის მოთხოვნილებებს. ²⁾

მთავრობა შედრკა. ეშინოდა ქალაქელებს სოფლელები არ გამოესარჩლონო; მიეყესეულად „ყარაბულადიდან გამოიწვიეს რამდენიმე ბატალიონი, ხრამიდან—ყახანები, მუხრავანიდან მოიტანეს ზარბაზნები და ავლაბრის ორივე ხილზე, თათრის მოედანზედ, პოლიციის შენობასთან, კუკიის ხილთან და ჩულურეთის სიახლოვეს—ჯარები ჩააყენეს“.

ერთი რუსის მოხელე თავის მოგონებაში ამ „ბუნტის“ შესახებ ასე მოგვითხრობს: „ქალაქს უეცრად დიდი აღელვება დაეტყო, ხმა დაირხა, თითქოს ქალაქის მცხოვრებლებს დაადვეს არაჩვეულებრივი გადასახადი. პირველი მოძრაობა დაიწყო ამქრებს შორის. შემდეგ საოცარი სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს. ხალხი იკრიფებოდა სასაფლაოზე მოედნებზე, ქუჩებში; ხმაურობდნენ, იბუქრებოდნენ, ყვიროდნენ და ღრიალებდნენ“.³⁾

მაგრამ ეს „ღრიალი“ მალე ჩაახუმეს... ბევრი დაიქირეს, ბევრი გადაასახლეს. თებელ იოსება, კრუაშვილი მინასა, დერკიკი ქიტესა და ორი მმა ქსუანთშვილები, როგორც ამბობის მეთაურნი, ჯერაც არ დაბრუნე-

1) იონა მეუნარგი: „მაზბე“ 1904 წ., № V. ნაწ. II, გვ. 4.

2) პ. რ. ფ. პ. მელიქიშვილი: „ზემი მოგონება“, იმ. „ქართული მწერლობა“, 1927 წ., № 5, გვ. 147.

3) „Воспоминания Андрея Михайловича Фадеева“. 1897 წ., Одесса, ნაწ. II., გვ. 245.

ბულან ციმბირიდანაო, — იოხუნჯა ერთმა ძველმა მოამქრემ და მოქალაქემ, 94 წლის მოხუცმა გიორგი კალატოზიშვილმა.

ყაღბი წარმოადგენა გვექნება ამქრობაზე და ამქრებზე, თუ ვიფიქრებთ, რომ ხელოსნობის ზეგავლენით მათში ჩაკლული იყო უნარი ბრძოლისა ან იარაღის ტარებისა. პირიქით, ისტორიული მაგალითები გვიჩვენებს, რომ როგორც ქართველ მეფეებს, ისე საქართველოს შემდეგი დროის მმართველებს ხშირად მიუმართავთ ამქრობისათვის, როგორც მებრძოლ ძალისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ტფილისის დაცვას მოითხოვდა.

„ამქარი ქართველი მეფეების დროს წარმოადგენდა ქალაქის ადგილობრივ გარნიზონს, რომელიც ტფილისის იცავდა მტრების თავდასხმისაგან. ჯერ კიდევ 1803 წელს, განჯის ციხის აღების დროს, ქართულ ჯართან ერთად ტფილისის ამქრობაც იღებდა მონაწილეობას; 1826 წელს ამქრები ს. დარაჯობდნენ ნავთლუღის ჰოსპიტალს, არა მწყობრ ჯარისკაცებთან ერთად; ხოლო 1854 წ. ოსმალებთან ომის დროს გენ. რედის მიერ, სხვა მოქალაქეებთან ერთად ტფილისის ამქრებიც იყვნენ გაწვეულნი და ეს ხალხი მთლად შეიარაღებული ერთსულოვნად გამოცხადდა.“¹⁾

ზოგი რუსის მოხელე ამქრობის ინსტიტუტის წინააღმდეგი იყო, ვინაიდან ამქრობაში ჰხდებოდა გაერთიანებულ წვრილ ვაჭრობას, რომელიც თითქოს მონოპოლიური უფლებით სარგელობდა.²⁾ უკვე 1849 წ. საგუბერნიო სამმართველოში შეიტანეს განცხადება ამქრობის მოსპობის შესახებ, მაგრამ ეორონცოვმა, რომელიც ხშირად გამოდიოდა ადგილობრივი ადათების გულმოდგინე დამცველად, ამ უბედესი ორგანიზაციის ერთბაშად მოსპობა არ ისურვა. „ისინი ჩვენ არ გვაწუხებენ, თავიანთ წევრებს ეხმარებიან, შეიძლება ამქრობას ჰქონდეს თავისი უარყოფითი მხარეები, მაგრამ რაიმე ცვლილების შეტანა ამ დაწესებულებაში, რომელიც საუკუნეებით არსებობს, ჯერ ნაადრევია; მათ ადათებში, მათ წესწყობილებაში იმდენი კარგი მხარვა, რომ ეს სიკარგე სკარბობს მათ ნაკლულევენებასაო.“³⁾

მიუხედავად ამისა, ამქრობამ ჩვენ დრომდე მაინც მოაღწია, თუმცა თავისი პირველი სახე დაკარგა; ბოლოს, მაშინდელი მთავრობის გადაწყვე-

¹⁾ К. Г. Иерусалимский: „Ювелир иудейскаго царя. Ованес Ага, или любовь отца к сыну и на оборот“, Тифлис, 1866 წ., გვ. (დაბტ.) 9—10.

²⁾ „Акты“, ტ. XI, გვ. 875-6.

³⁾ Ю. Ахвердов: „Тифлиссские Амкары“. 1883 წ., გვ. 31.

ტილებით, ყველა დარგის ამქარი შეიერთეს და მოათავეს ქალაქის სახელოსნო სამმართველოში (Городская ремесленная управа).

ამქრობა ყარაჩოღელთა კულტი იყო. ამქრობა ბოჰემის ერთი იმ ნატესთავანია, ურომლისოდაც ქველი ტფილისის დარღვეული სახე ვერ დაკოწიწდება.

ამქრის უსტაბაშს ქველად დიდი გავლენა ჰქონდა. ის, როგორც არჩეული მამასახლისი, სარგებლობდა მარად დაუბერებელ ავტორიტეტით. უსტაბაშის მოვალეობას, სხვათა შორის, შეადგენდა ზედამხედველობა და ზეპირი მეთვალყურეობა, რომ ამქრის ცხოვრებაში წესიერება არ დარღვეულიყო. — ზეპირს იმიტომ ვამბობ, რომ ქველად ამქრის უმეტესმა ნაწილმა, ქალაქური გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „წიგნი არ იცოდა“. მათ ჰქონდათ მიხვედრის ნიქი, დაკვირვება და მეხსიერების დაუსრულებელი მარაგი. საანგარიშოთ ხმარობდნენ საკუთარ ნიშნებს: ჯვარედინი ხაზი, მოღვედილი ხაზი, სწორი ხაზი, მრგვალი ხაზი, ორი ხაზი და ამ ორ ხაზზე — რამოდენიმე ნახაზობა. აი, ეს იყო მათი საანგარიშო დავთარი, ბუხ-პალტერია, რომლითაც ისინი აღნიშნავდნენ მანეთებს, თუშნიანებს და სხვ.

უსტაბაშისა ყველას ეხათრებოდა. უსტაბაშს ანგარიშს უწევდნენ. თუ სადმე ცოლქმართა შორის რაიმე უმძრახობა ჩამოვარდებოდა, გაჩნდებოდა უსტაბაში და უთანხმოებას „ბარიშანით“ ათავებდა. ან-და, თუ მეზობელი „ალიშველიშის“ ნიადაგზე წაიჩხუბებოდა, დაიბარებდნენ უსტაბაშს და იგი ატეხილ დავას ხელად მოაწესრიგებდა; ხოლო, თუ რომელიმე მხარე გაჯიუტდებოდა და უსტაბაშის განაჩენს არ დაემორჩილებოდა, დაშაშავის დასასჯელად არსებობდა „იოლი“, ე. ი. იოლს ჰკრავდნენ, ბოიკოტს უცხადებდნენ.

ამქრის მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე გარდაცვლილ ამხანაგების დაკრძალვა. რომელი ამქრის წევრიც გარდაიცვლებოდა, იმ ხელობის ღუქნები, ნიშნად განსვენებულის პატივისცემისა, დაიკეტებოდა და ყველანი გარდაცვლილის ოჯახში მოგროვდებოდნენ, „ოქუცზე“ მდიდოდნენ. თუ გარდაცვლილი მდიდართა წრეს ეკუთვნოდა, ჰირისუფლები ამქრის სალაროს სასარგებლოდ იხდიდნენ ერთგვარ თანხას, რომ ამქრის წევრები გასვენებას დასწრებოდნენ.¹⁾ ეს თანხა ნაწილდებოდა დამსწრეთა შორის და ესენიც დაკრძალვის შემდეგ, შედიოდნენ რომელიმე მცხანაში განსვენებულის შესანდობარის დასაღველად.

¹⁾ Барон Гахстаузен: „Закавказский край“, 1857 წ., ნაწ. I, გვ. 108.

ამქრის წესდებაში აღნიშნული იყო ქვირთვ-ობოლოთა მოვლა, პატრონობა: უნდა ითქვას, რომ ამ წესდებას მუხლობერად ასრულებდნენ. აღმოსავლელ კაცს ყოველთვის აწუხებს ფიქრი თავის უკანასკნელ წუთებზე და ღირსეულ დამარხვაზე. „ღირსეული დამარხვა“—ეს მისი უკანასკნელი სურვილია. ტფილისის ყარაჩოღელს, ტფილისის ამქრის წევრს, არავითარი კაპიტალი არავითარი საბრუნავი თავნი არ გააჩნდა. იგი ერთი კვირის ნამუშაიარს ხშირად ერთ დღეში სკამდა. მომავალზე არა ზრუნავდა. მოკვდებოდა და, დოვლათის ნაცვლად, ოჯახს უტოვებდა ან სამუშაო იარაღებს, ან შვილს. რომლის მარჯვენაც პატარაობიდანვე მუშაობას იყო შეჩვეული.

იყვნენ, რასაკვირველია, გამოწაკისებიც, რომელნიც „შვიდლისათვის“ აგროვებდნენ გროშებს, რომ მერე სამადლოდ არ გამხდარიყო მათი დამარხვა, ხოლო ყარაჩოღელს კი თავისი „სამარხი კასა“ ყოველთვის წელზე ჰქონდა შემორტყმული: ვერცხლის ქამარი. ¹⁾

მე მინახავს ყომრის ახარტიანი მოთამაშე, რომელსაც ყველაფერი წაუგია ყომარში—ფული, ქული, ქურქი, ახალუხი, ჩექმები, თვით შარვალიც კი და ვერცხლის ქამრისათვის ხელი არ უხლია: იგი საცვლებზე შემორტყმული ვერცხლის ქამრით დაბრუნებულა სახლში; ხოლო, თუ ამ ვერცხლის ქამარს ვინმე მოპარავდა, ან ძალით გააყიდებდა, მაშინ მისი სიბრაზე უნაპირო იყო; ამისთანა კაცს საფლავთან უნდა დაეწყია ლაპარაკი. ამას წინად ვაზეთში წაიკითხე, რომ ხარაზმა მიხილ ველია-შვილმა თავისი შვირდი, გიორგი მეთევშიშვილი, ნა ალაგას დასჭრაო! ხაქმე ასე ყოფილა: ხარაზი ველიაშვილი თავისი შვირდის ექსპლოატაციას ეწეოდა; შვირდს სასამართლოში უჩივლია. სასამართლოს ვადუწყებთა, რომ ხარაზ ველიაშვილს შვირდ მეთევშიშვილისათვის სალიკვიდაცოა ფული უნდა მიეცა, და რადგან ხარაზს სხვა თანხა არა ჰქონდა, თავისი ვერცხლის ქამარი გაუყიდა და ყოფილი შვირდი დაუკმაყოფილებია. ვაეიდა დრო. ხარაზი ველიაშვილი მაინც ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ მას სამარხი ვერცხლის ქამარი იძულებით გაუყიდეს. ყოველთვის აღრენილ გუნებაზე იყო. და, აი, ერთხელ ხარაზმა დრო იხელთა, თავის ყოფილ შვირდს ჩაუსაფრდა და ბებუით ნა ქრილობა მიაყენა. ²⁾

ყარაჩოღელს საკუთარი ტრადიცია ჰქონდა. იგი, როგორც ქედმაღალი და სიკოცხლის არაღიუღებინად გამჭრიახად გამოშხირალი, სიკვდილის

¹⁾ ძველად ქარგალს ყულაბა უნდა დაედგა, სადაც წლობით გროვდებოდა ვერცხლის ქამრის შესადგენი თანხა.

²⁾ გახ. „კომუნისტი“, 1927 წ. № 133.

დროსაც კი იმაზე ფიქრობდა, რომ მისი ნეშტი სამადლოდ არ გამზდა-რიყო დასამარხი.

ვახტანგ მეექვსეც თავის კანონებში სამარხს დიდს ყურადღებას აქცევდა: „ეკლესიის გარედ მართებული არის, რომე საფლავისპატრონ-მა ფასი გამოართოს, ამისთვის რომე დაჭირვებულს კაცს შეუნდობარი საფლავი არასარგებს. ¹⁾ ამქრის წევრი კი თავისუფალი იყო ასეთი ზრუნვისაგან. მან სცოცხლითვე იცოდა, რომ სიკვდილის შემდეგ, ამქრის წესდების ძალით, მისი ამხანაგები სამადლოდ არ გახდიდნენ მის გასვენებას, ღირსეულად დასაფლავებდნენ და მისი ოჯახის წევრნიც უპატრონოდ არ დარჩებოდნენ.

ხოლერისა და შავი ჭირის დროს, როცა ტფილისის მცხოვრებნი ქალაქიდან თავ-გზა-დაბნეულები გარბოდნენ და თავიანთ მკვდრებს თუ ავადმყოფებს ბედის ანაბარა სტოვებდნენ,—ამქრის წევრები თავიანთ წმინდა მოვალეობად სთვლიდნენ, რომ ქალაქში დარჩენილიყვნენ და მიკვალეებულთათვის პატრონობა გაეწიათ.

არამც თუ გაჭირვებისას, თვით დაღბინების დროსაც ამქრებმა ნამდვილი ამხანაგობა იცოდნენ,—ამქრის წევრები დაობლებულ ოჯახს მუდამ მზრუნველობით ეკიდებოდნენ. სხვათაშორის, აღსანიშნავია ერთი იშვიათი მოვლენა: ქვრივს ყოველდღე მისდიოდა ხორაგი და არავინ იცოდა, თუ ვინ იყო მისი გამგზავნელი. ეს იყო ჩუმი დახმარება იმ ოჯახისადმი, რომლის გარდაცვლილი პატრონიც ამქრის წევრად ან გამგზავნელ ყარაჩოდელის პირად მეგობრად ითვლებოდა.

როცა ქვრივის ბავშვები დაიზრდებოდნენ, ვაჟებს სახელოსნოებში მიაბარებდნენ, ხოლო ასაკოვან ქალებს ამქრის დახლიდან ეძლეოდათ გასამზითებელი თანხა. ამ ფულით ღედა თავის ასულს ადათით დაწესებულ მზითვეს უკვრავდა.

შეიძლება ეს სიტყვა მზითვეი ეხლა ჩვენთვის საჩოთირო და საღმილოც იყოს, მაგრამ იმ დროინდელი პატარძლისათვის „მზითვის სია“ პარველი ქვაკუთხედი იყო მომავალი ბედნიერების შესაქმნელად.

ჩვენი მონაოგრაფიის საილიუსტრაციოდ და იმ ეპოქის დასახსიათებლად ჩვენ ამ მზითვის სიების გასაცნობად ცოტახანს მკითხველის ყურადღებას მოვითხოვთ.

¹⁾ იხ. ვახტანგის კანონები, მუხ. 218.

„შხითევი“ ჩვენში ძველთაგან გადმოცემული ყოფა-ცხოვრების მთლიანი ჯაჭვის ერთი რგოლთაგანი იყო, მაგრამ ბოლო ხანებში ამ ჩვენებამ შეტად მანინჯი სახე მიიღო. საცოლვე ვაფი ქალის სულიერსა და გარეგნულ სილამაზეს აღარაფრად აფასებდა და მხოლოდ მ ზ ი თ ე ვ ს მოითხოვდა.

თუ სამაჰმადიანო ქვეყნებში ქალი მშობლებისთვის შემოსავლის წყარო იყო (საცოლვე ვაფი ლამაზი ქალის მშობლებს 50 აქლემს, ან 500 ცხვარს აძლევდა), ჩვენში, პირიქით, ქალს ათხოვებდნენ და თან ჯილდოდ თავის წონა ოქროს ატანდნენ. თურქებს ჩვენს შესახებ ერთი ანეგლოტიც აქვთ: გურჯისტანში ორ რამეს იძლევიან მუქთად და ზედ ფულსაც ადებენ, ნაგავს და გასათხოვარ ქალსაო.

თურქთა ქალები ამყობდნენ, როდესაც კარგს ფასებში იყიდებოდნენ. ჩვენი ქალების ბედნიერება კი მაშინ იყო, როცა თავის საქმროს ძვირფას მხითევს და „ჯიბის ფულს“ (ქრთამს) წაუღებდნენ. ამ საკითხმა კამათიც კი გამოიწვია ოთხმოციან წლებში. ნ. ნიკოლაძე ასეთი სიტყვებით მიმართავდა საცოლვე ვაფებს: „ცოლის შერთვის დროს უფრო ხასიათსა და ზნეს მიჰხედეთ, ვიდრე მხითევსო.“¹⁾

ეს ვპიდემა დაბალ ფენებს უფრო მოეძღო. ჩვენებური პატარძალი გრძობდა, რომ უმხითეოდ ქმრის ოჯახში დაინჯგრებოდა და ამიტომ „გალესილი ხმალივით“ ეკვეთებოდა მშობლებს:

„ეხლანდელი ქალები,
გალესილი ხმალები,
დედებს ემდურებიან:
მოგვიმზადეთ ქრთამები.“

თუ ეს „ეხლანდელი ქალები“ ასე მსჯელობდნენ, არც „ეხლანდელი ვაფები“ აკლებდნენ:

„წყალში თევზი დაცურავს,
ბოლოს იჭრევს, თავს—არა,
ეხლანდელი ვაფები
ქრთამს ეძებენ, ქალს—არა!“

¹⁾ იხ. ნ. ნიკოლაძის „ნაწერი“, წ. I., 1890 წ., გვ. 25.

ქალაქის ხალხურ პოეზიაში, ამის შესახებ მთელი ლიტერატურა არსებობს. აი, რას ამბობს ერთი, იმ დროინდელი, საცოლვე ვაჟი:

ებლა ამ ჩვენს დროში,
თუ ქალსა აქეს გროში,
თუნდაც ჰგაედეს კუნძსა,
იდგეს საყასბოში,
ოლონდ ჰქონდეს ფული,
ვითხოვ, ღმერთი, რჯული!

გინდ იცოდეს ცემა,
მომცეს ტანჯვა, გვემა,
ვითომ დავიწუნო?
არა, ჩემმა მზემა!
ოლონდ ჰქონდეს ფული,
ვითხოვ, ღმერთი, რჯული!..

ჰქონდეს მწარე ენა,
მომიწამლოს ლხენა,
ფულის გულისათვის
უნდა მქონდეს თმენა.
ოლონდ ჰქონდეს ფული,
ვითხოვ, ღმერთი, რჯული!..¹⁾

ეს ვაჟი თუ ასე „მღერის“, მეორე საცოლვე ვაჟი პირდაპირ ცინიკურად აცხადებს:

„ცოლის თხოვნას ვაპირებ, მოეშადეთ, დედანო,
ქალაქში მოიყვანეთ, ვინც სახლში ვისხედანო!“

და ბოლოს დასძენს, რომ ჩემს საცოლეს უეჭველად უნდა ჰქონდეს, „დიდროვანი სახლები“, „ავეჯები ახლები“, ოთახები ევროპიულად მორთული, „საწოლში მარმარილოს ვანები“ და სხვ. წარმოიდგინეთ, ასეთ ლექსებს ნინო ორბელიანიც კი გამოეხმაურა; იგი უპასუხებს ამგვარი „თხოვნების“ ავტორს და, სხვათა შორის, „საწოლის ვანების“ შესახებ სწერს:

„შენ რად გინდა მარმარილოს ვანები,
თუ დაგცხება—მტკვარშიაც ებანები,
შენ მოსძებნე საქართველოს ქალები,
თუ სხვა შეგხედა, დაგიდგება თვალები.
შენ მოსძებნე, მე კი არა მცალიან,
შენს თხოვნაზე შეცინება ძალიან.“²⁾

¹⁾ „ივერია“, 1914 წ., № 167 (ლექსი ყუთუნის ანტონ განჯისკარელს).

²⁾ ნინო ორბელიანის „ლექსები“, 1885 წ., გვ. 35.

ნინო ორბელიანის ლექსს გამოეკომავა სახალხო პოეტი გორდაძე; იგიც ილაშქრებს ასეთი „მზითვის“ წინააღმდეგ:

„მე რად მინდა მზითვეი და ფულეზი?
ფულეზისთვის დავიბრმავო თვალეზი
და შევიტოო ლამაზი და კაპასი,
შემიკურთხოს სული ჩემი პაპასი?

გონჯი იყოს, ოღონდ იყოს ტკეიანი,
მორიდალო, კარგი, თავაზიანი;
მოდნაზე არ მოსდიოდეს ფეთება
და შეეძლოს სახლში რამის კეთება“.¹⁾

რასაკვირველია, ასეთი ლიტერატურა თავისი გზით მიდიოდა, ცხოვრების ტირფარამიც—თავისი გზით: მზითვის სიები კი მაინც არ მოისპო.

ეს მზითვის სიები დროისა და წოდების მიხედვით, თანდათან იცვლებოდა, როგორც მატერიალური ღირებულებით, ისე გარეგნული სტილით.

ჩვენ ხელთა გვაქვს რამდენიმე ნიმუში ასეთი „სიებისა“; საჭიროა მათი ნაწილობრივად მოყვანა, რომ მკითხველმა წარმოდგენა იქონიოს, თუ საქართველოში მზითვეს, თვით ძველ დროიდანვე, რა დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ, შემდგომ ეს „სიები“ თანდათან როგორ გადავადრდა და, დასასრულ, ამ ტრადიციულმა „ქრთამმა“ როგორი სახით და როგორი სტილით მოადრწია ჩვენამდე.

თუ ანუკა ბატონიშვილის მზითვის სიაში „კაცთაგან მოუწვდომელნი საუნჯენი და უსასყიდლო მარგალიტებია“ მოხსენებული, სამაგიეროდ, ბოლო დროინდელი მზითვის სიები პირდაპირ...

მაგრამ სჯობია თავიდან დავიწყოთ:

სია პირველი:

„წარგვიტანებია მზითვეი თანა, რომელსა მრავალთაგან მკირესა მოგითხოვობთ“,—და ეს „მკირე“ 16 გვერდიან ბეჭდურ თაბახზეა გადაშლილი,—„სამკაულნი და საუნჯენი კაცთაგან მოუწვდომელნი, მარგალიტნი უსასყიდლონი, ოქრო და ვერცხლი აღუწერელნი, მხეველნი, ხალუმითურთ, აზნაურნი სარანგთურთ“ და სხვ.

ქართული ლიტერატურა: ვეფხისტყაოსანი ჯაზულით დახატული ერთი; ლეილ-მეფეზუნიათი ერთი; უსუფ-ზილიხანიათი ერთი, სამიანი ერთი.

¹⁾ მის. გორდაძის „ლექსნი“, 1893 წ. გვ. 12.

დროს გასატარებელი გონებრივი გასართობები: სა-
თამაშო ქაღალცი, ნარდი ხათაბანდისა, განჯაფა, სავზისურხი, კურდღელი
და ავაზა, თავფიშიგი და სხვა წერილი სათამაშოები.

ქალის სამკაული: მარგალიტის ქუდი მრავალის ხოშრის მარ-
გალიტითა, ნაკერი სისამურით; იალქანი; პირის მარგალიტი კარგი და
პატიოსანი; საყური წყვილი ორის ყირმიზის ბადაზშანის ლალითა, ორის
ობლის მარგალიტითა, ორის ნიშაბურის ფირუზითა, თავისის მურასას
ჯაქვებითა, შიგ სხედს ოცდა თექვსმეტი იაგუნდი; სირზა ერთი კარგი
და პატიოსანი, ცხრა ოქროს ქულჩითა, შიგ სხედს პატიოსანი ზურმუხ-
ტი. შეიდი ყირმიზი, იაგუნდი ოცი, ხოშორ-მარგალიტი ორმოცდა ცხრა-
მეტი. მისის მურასას კავებითა და თითრმებით შემკობილი; ყაში ერთი
კარგი და პატიოსანი მარგალიტითა, ოქროს ქულჩითა და სინსლითა
შემკული; ჯიღა ერთი, შიგ ზის სამი პატიოსანი ობოლი მარგალიტი,
ოთხი ყირმიზი იაგუნდი და ორმოცდა ოთხი ხოშორი მარგალიტი მი-
სის შტოვებითა და ჯინჯილითა, წყვილი ოქროს ღუნბარჩა; ერთი ამბარჩა,
პერანგის იახა; ყოლბალი და სხე.

საპირფარეშოსთვის: ვერცხლის გოდორი; უმარლის საღე-
სავი მისის ვერცხლის სინითა; მუშაბახის ფერი ოქროს კოლოფი; ოქ-
როთ მოქედლი მურასა სარკე მისის მარგალიტის ბუდითა; მარგალი-
ტის სასურმე, საპნის ნალბაქი და სხე.

აბანოს იარაღი: სუზანი ერთი, ყადიფა ორი, —ხალასად ნაკერი
ერთი, პირსახოცი ორი, ფუთა დარაისა ორი, ორხოვა ერთი, ქეჩა ერთი,
ვერცხლის საბანოვე დიდი ჯამი ერთი, ჩოღრათო ერთი, საბანოვე ტაშ-
ტი ერთი, საბოზი თუნგი ერთი, ქვაბი ერთი.

საცვლები: პერანგი და მისი ტოლი ცხრა-ცხრა; ბურსეულისა
ცხრა, მერდინისა ცხრა, ფერანდის მოვისა ცხრა; პერანგის ღილი ობოლი
პატიოსანი მარგალიტისა მარცვალი ცხრა, შეიდიში ცხრა და სხე.

კაბები: კაბა ისპანის ღიბისა ყვითელი ფირუზქარის გილანურის
ოქროს ღილითა; წითელი ისპანის ნაქსოვი კაბა ცხრა—მარგალიტის ღი-
ლითა და ხრიკებითა; იისფერი ივზლის ნაქსოვი კაბა ჩალილულის გილა-
ნურის ღილითა და ხრიკებითა; ყვითელი ოქროქსოვილი კაბა; ისპანის
ნაქსოვი კაბა; ხორცის ფერი ისპანის ნაქსოვი კაბა გილანურის ჩალილუ-
ლითა და ხრიკებითა; ყირმიზითა და მწვანითა; ჩაქსული კაბა შეიდის მარ-
გალიტის ღილითა და ხრიკებითა; ფრანგის ატლასის კაბა ჩალისფერი ორი
არშიითა, ცხრა წყვილი ოქროს ჩაფრასტითა; დარაია-ბაბოის კაბა ცხრა;

სამი წითელი, სამი იისფერი, სამი მწვანე; ზარლუჩაქანის კაბა ხუთი; სადა ჩაქანის კაბა—ცხრა; სადა ფრანგულის ხარასი კაბა ფერად-ფერადი ცხრა, ფირუზისფერი ორი, ბროწეულის ყვავილის ფერი ორი, ფისტია ფერი სამი, ნარინჯის ფერი ერთი და სხვ.

საწოლი ოთახისთვის: ქირმანის დიდი თაქნაბადი, ოქრომკედზე ნაკერი სუზანი, ხალასა დოვრი ერთი, ვერცხლის თულუფთანა ერთი, ფარდა ოთხი, თახჩაფური ექვსი.

ქურტლელთ: ჩინისა და ვენეტიკის თეფში და ჯამი, სურა, სირჩა, ოქროს თასი, ვერცხლის ფილა, ვერცხლის სანაეურე, ვერცხლის თას-ყაშული, სასუფრე დანა ოქროთი მოკედლილი.

სამზარეულოსთვის: ფიშბუხარი, შაბაქა ერთი მისის ჯავარდენის ათეშქაშითა და მაყაშითა, ზირანდაზი კარგი თალათინისა, იახტანი, სპილენძის ფიზოზი, ტაშტ-წუნწუმა, დიდი საძროხე ქვაბი, ტაფა და თანგირა, ყაბი და ზარფუში, აგვარდანი, გარაოს ტაფა, აქანდაზი, მაყალი, ნიამდანი, შამფური, ხათრითი და სხვ.¹⁾

მეორე სიაში ნივთების დაწყობის წესი იგივეა, რაც პირველ სიაში; მხოლოდ განსხვავება ერთ ნივთშია; ამ სიაში სარკის მაგივრად ნახსენებია „მიკვრიტინა“ („მიკვრიტინა ვერცხლისა თევით მოკრილი“).

ქალის ტუალეტისათვის მოხსენებულია: სავარცხელი თევზის კბილისა დახატული ერთი, სავარცხელი მუშაბახად მოკრილი; ოთხი სავარცხელი რქისა; სურმის ჩხირი, თმის საყოფი, ჩოფი და სხვ.

აბანოსთვის თითქმის იგივე ნივთებია, რაც პირველ სიაში მოხსენებული, მხოლოდ ემატება „ლეჩაქების ტაშტი“ და „მოკედლილი ფეხის ქვა“.

ქართულ მწერლობას ამ სიით ემატება: „ირდუხტიანი.“

სათამაშოებში აქაც მოხსენებულია: ნარდი ხათაბანდისა, მხოლოდ „თევზის კბილის კაცებით შემკობილი“.

საწოლის მოფენილობა: ორხოვა, ჯეჯიმი, თაქნაბადი, ქუნთა, ქეჩა, სუზანი, დორი.

ქვეშაგებისაგან: დოშავი ქაშანის ჩიგინით, შალყუთნის სარჩულით, ბუმბული იისფრის ზარბაბისა; საბანი ხორცისფერი იეზდისა, დარაია-ბაბთისა და ფათანის ყუთნისა, მისის ქვეშაფენის ლანდრის ხალიჩა-ფუჩით; ბალიში იეზდის ნაქსოვისა და ყურის ბალიში.

1) წ. კ. სახ. ხელნაწერი № 1287. შეად. „ივერია“, 1889 წ. № 234 და „საქართველოს სიძველენი“, 1910 წ. ტ. III, გვ. 482, 485, 490.

საგარეო ტანისამოსი: საწვიმარი სირმის აზიით, მისის ბოლ-
ჩით; ჩექმა ერთი, ხელსაჭერი მარაო ერთი და სხვ. ¹⁾)

შესამე სია ჩვენთვის საგულისხმოა იმდენად, რამდენადაც შიგ აუარე-
ბელი თვალ-მარგალიტია მოხსენებული; მაგ.,

ი ა ლ ქ ა ნ ი—ოთხი ათასი ხოშორის მარგალიტითა,
თ ა ლ ფ ა ქ ი—თხუთმეტი ათასის ხოშორის მარგალიტითა,
პ ი რ ი ს მ ა რ გ ა ლ ი ტ ი—ოთხმოცდა სამი მარცვალი,
ყ ე ლ ს ა ბ ა მ ი—ასორმოცის მარგალიტითა,
გ უ ლ ი ს პ ი რ ი ს ჩ ა მ ო ს ა ე ლ ე ბ ი—სამი ათასის მარგალიტითა.
ა თ ი მ უ რ ა ს ა ღ ი ლ ი კ ა ბ ი ს თ ვ ი ს ო რ ა ს ი ს ი ა გ უ ნ დ ი თ ა და ს ხ ვ . ²⁾)

შეოთხე სხე პირველ სამ სიას არ ჩამოუყარდება თავისი ნაირფერი
დოვლათიანობით, აქაც მოხსენებულია ერთი კაბა, რომელსაც 1260 მარ-
გალიტი აკვრია და სხვ. ამ სიიდან ჩვენ აქ მოვიხსენიებთ მხოლოდ
ქართულ წიგნებს; ვინ იცის, იქნება იმ დროინდელი პატარძლის
გონებრივი და სულიერი განვითარების დასახასიათებლად გამოგვადგეს!
როგორც ყველგან, ისე ამ სიაშიც, პირველი ადგილი სისულიერო წიგნებს
უჭირავს, „მათ გარეშე“ მოხსენებულია:

ქართლის ცხოვრება,
სიტყვათა კონა,
ქილილა და დამანა,
ზეილანიანი,
ვარდ-ბულბულიანი,
შამი-ფარუანიანი,
გაზაფხულისა და შემოდგომის გაბაასება,
ანბანთ-ქება,
მაჯამა,
ლრამატიკა,
რიტორიკა,
დიალექტიკა,
კატელორია,
სიბრძნე-სიცრუე,
ვისრამიანი,
ჩარდავრიშაიანი,
პირიანიანი,

¹⁾ „საქართველოს სიძველენი“, 1910 წ. ტ. III, გვ. 495.

²⁾ პ ლ. ი ო ს ე ღ ი ა ნ ი (1809—1875): „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა და საქართველოს
რუსეთთან შეერთება“ 1895 წ. გვ. 38.

დაფნის ქალაქი,
ყარამანიანი. 1)

ეს წიგნები ყველა ხელთნაწერი იყო, გარდა სასულიერო ხასიათის წიგნებისა.

ამვე სიაში შეტანილია: „ინდოეთ-ჩინეთიდან ჩამოტანილი სამეღნე“-რომელიც მაშინ, ალბათ, იშვიათ ნივთს წარმოადგენდა.

მეხუთე სია იმითაა საგულისხმო, რომ აქ მოხსენებულია წიგნი „ვახტანგისანი“ და ეს, ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთები, რომელიც სხვა სიებში არა გვხვდება:

შავი მარჯნის კრიალოსანი,
ხელსახოცი მუხლზე გადასაფარებელი,
ერთი დასტა ჩალის კოვზი,
სამი თეფში ზღვისა,
ასტარხნის ზანდუკი,
აბანოს პერანგი თავის შესამშრალბელით,
ორი სარკე ერთი ოთახისა, მეორე—თავსაბურავისა,
ორი საბანი, ერთი თავრიზისა, მეორე—რუსული.
საულვაშე მარგალიტით ნაკერი,
კბილის გაზი,
უნაგირი უყაჯროთ,
არყის სირჩა ბროლისა,
ჩაიდანა თითბირისა,
ყავადანი კალისა,
ტოლწა ქისა თავისის ჯაჭვით და თოკით,
ერთი დიდი ქვაბი—ცხვარი ჩავიდის. 2)

მეექვსე სიად გამოგვიადგება სამეგრელოს მუზეუმში ნახული ლევან მე-V-ის ცოლის მზითვის სია, რომელშიაც უკვე ეპოქის სულია შექრილი: მაგ., ამ სიაში მოხსენებულია: „საპირფარეშოს კოლოფი რუსული რკინისა“, „რუსული ლეჩაქი ოქრომკედის არშინი“ და სხვ.

მეშვიდე სიას კი უფრო ტფილისური იგრი დამკრავს: ამ სიაშიც ეპოქის სტილია შერეული, აღარც ის აურაცხელი ოქრო-ვერცხლი და მარგალიტები გვხვდება, რომელთა შესახებ პ. იოსელიანი ამბობს: „დროთაგან ძველთა მრავლად აქენდათ შენახულად, დრომდე შემოსვლისა რუსეთის მთავრობისა“-ო.

1) Н. Эристов-Шервашидзе: „книга о приданом царевны Нины Георгиевны“: 1916 წ. მოსკოვი, გვ. 13—14.

2) იხ. „საქართველოს სიძველენი“, ტ. I, 1899 წ., გვ. 403.

წინამდებარე სიაში ჩვენი მონოგრაფიისთვის ბევრი დამხმარებელი შტრიხებია:

„ტერმინასოვის ქალი ეკატერინე მივათხოვეთ ისაია ელისბარის-ძე ბაბალა-შვილს ჩენდ (1854 წ.)“

ოთხმოცი თუმანი თეთრი ფული,

ქათიბა ხვერდისა,

კაბა ყვავილოვანი ატლასისა,

სარტყელი ატლასისა ოქრომკედლით ნაკერი,

გულისპირი ოქრომკედლით ნაკერი,

ჩიქილა ატლასისა ოქრომკედლით ნაკერი,

ყელსაბამი მარგალიტისა,

ბოხჩა (თუ ბახჩა?) ქინძისთავი ოქროსი—მარგალიტებით,

ოქროს საყურე მარგალიტიანი,

სამი ოქროს ბეჭედი: ზურჭუტისა, ლაოისა და მარგალიტისა,

არშადრის შალი,

მანდილკა,

ბოხჩა დარაიასი,

კაბა გლასისა,

ახალუხი ატლასის ბაბთისა,

ბლონდის ჩიქილა ხიანი (ზედ ხეგებია ამოსული?)

ნახევარი დუეინი ბალდადის ხელსახოცი;

დუეინი თასაკრაეი,

დუეინი კოპი.¹⁾

სამი იუპკა,

ერთი მერდინის პერანგი თავის ალერსით.²⁾

ერთი დარაიას ფუთა,

აბანოს პერანგი თავისავე ხელსახოცით,

სუზანი,

ჩულქი,

ბაშმაკი,

წინ დასადგმელი სარკე,

ერთი ხაიათის ყუთი,

პოდნოსის სკიფრი,

წყველი ბალიში ყურთუქისა თავისავე ფარჩის პირებით და თავისავე ალაბანის საურებით და სხვ.³⁾

¹⁾ უკვე ნელნელ შებოდას Мюжине, „ცხრის“ ნაცვლად.

²⁾ ე. გ. კი რ ი ო ნ ის ლექსიკონის განმარტებით. „ალურსი—პერანგის აბანაგია“ („ძველი საქართველო“ ტ. II, განჯ. III, გვ. 3).

³⁾ ეს სია გადმოგვცა ალ. ფერხანგი შვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

მაგრამ, მკითხველო, ეხლა უნდა განეშადლო სულ სხვა სტილისა. და სულ სხვა ყაიდის მზითვის სიის მოსასმენად... მართალია ზოგიერთ მზითვის სიაში რუსული დამლა უკვე მძაფრად მარჩანს, მაგალითად: „ღუ-ჟინი“, „ჩულქი“, „იუპკა“ და სხვ.), მაგრამ ეს ქვემოთ მერვე სია სრულიად განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ეს „სია“ უკანასკნელი დროის ყარაჩოღელთა მემკვიდრეების საქორწილო ფირმანია, რომლის დაწერის შემდეგ, უკვე თვით მზითვის წაღება იწყება ერთი ოჯახიდან მეორე ოჯახში.

მკითხველო! შეიძლება ასეთი მზითვის სიები არც გენახოს და არც წაგეკითხოს, მაგრამ თუ ტფილისელი ხარ და არც ძალიან ჯეელი, ალბად, გენახება მზითვის გადატანის ასეთი ცერემონიალი:

წინ ზურნა მიდის (რომელიც ამ შემთხვევისათვის განსაკუთრებულ მანგს უკრავს: „საქორწილო“), მერე პატარა ბიჭი მიდის, რომელსაც გულზე მისვენებული სარკე მიაქვს, შემდეგ ამ სარკიან ბიჭს ორ-ორი ჭაბუკი მისდევს, რომლებსაც თავზე უწყვიათ წყვილ-წყვილი ბალიში — ფურფუ-შებიანი, საურ-გადაფარებული და ცისფერ ბაბთებით შეკრული; შემდეგ მიდის მუთაქები (ესეც წყვილ-წყვილი), სადა ყალამქარის ბაბლებით და ფუნჯებით მორთული; თვითველ მუთაქას თან ახლავს კობტად დაკეცილი ყანაოზის მანებიანი საბანი; შემდეგ სამურაბე ტაშტი (ლაგანი); ხელის ყუთი თავის საწვრილმანოთი; შემდეგ შკაფი, კამოდი, მაფრაშა და, დასასრულ, წყვილი „პოდნოსის კრაოტი“ (ან ერთი კრაოტი ორსაწოლიანი); ამ კრაოტზედ ხშირად მეზობლების თვალის მოსატაცებლად გადაკრულია ლომებიანი რუსული ხალი და სხვ...

ეს დასანახად გამოტანილი მზითეფია. პირველად „ნეფის“ ოჯახში ეს ნიუთები შედის. დანარჩენი წვრილმანი კი, სიის მიხედვით ლაგდება ბოლჩაში და სკივრში...

აი ეს სიაც:

„სახელითა მამისათა და სულისა წმინდისათა, ამინ!

ვაძლევ ჩემს ნანინანატრ ქალს ყველაფერს რაც სულს იქით მბადია:

ერთი მორთული პატარძალი,

ერთი აბანოზის შიფანერკა,

ოთხი ბალიში თავის საურებით,

კარაკოშკას ოთხი ფარდა.

ერთი პურის კიღობანი,

ორი შამფური თორნიდან პურის ამოსაყრელად (კაფიანი და საფხეკი).

ერთი ვარცლი თავის ასტამით. ¹⁾
 ერთი დუქინი შიმშატის კოვზი, კაი ფაბრიკისა,
 ჰავანგდასტა თავის სარახუნებელით, ²⁾
 მდივანოვის ქართული კალენდარი, ³⁾
 აბანოს ფეხის აგური, ⁴⁾
 ერთი აბანოს აზლუდი,
 თექესმეტი კარი ყარაშნიანი,
 ერთი წყვილი ხაფანგი,
 ზინგერის საკერავი მაშინა,
 თორმეტი კოჭი ნიტკის ძაფი,
 ორი გასამთლული შიბაკი, ერთი ვაფისთვის, მეორე ქალისთვის,
 ერთი ევრცხლის პოდნოცი, წონით რვა გირვანქა და 83 მისხალი,
 აბანოს ფუთა თავისი კისით,
 მურაბის ტაშტი,
 სპილენძის ლაგანი და ტოლჩა.
 ნახევარი დუქინი ყვითელი ცოცხი ქუთაისისა,
 თუშფილანგი,
 ქარვის დიდი კრიალოსანი,
 მამაშთილისთვის ბურნუთის კოლოფი—ზედ შახის სურათია დახატული,
 დედამთილისთვის რუფაკი—ერთი ტერნოს კაბა ჩაფარიშებით,
 მაზლის ცოლისთვის—აბრაშალი,
 ბლონდის ლეჩაქი,
 სარეცხის ტაშტი, სამი ქვაბი, ზედადგარი და ფურნის თავა,
 ექვსი ცალი მწვანე ბალადი,
 დამასმული ჩიქილა,
 სარდაფის (სადაფის?) ფალა უმარილის გასალესად,
 ერთი წყვილი მუთაქა მატყლით გატენილი,
 ორი ხელი ლოგინი,
 ორი ხალიჩა თავის დასაბერტყი კეტებით,
 სარეცხის თოკი თავის შპილკებით,
 კარაბადინი,
 ხუთი კოშტი თხის ქონი,

¹⁾ ძველად ყველა ოჯახში თანვე იყო; პურს სახლში აცხობდნენ.

²⁾ ძველად სწერდნენ: „ერთი ავანი და ავანდასტა“ (პლ. იოსელიანი: „ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა“ 1895 წ., გვ. 41).

³⁾ სურ. სტეფ. მდივანოვი ქართულ კალენდარს თითქმის 50 წლის განმავლობაში ბეჭდავდა. მის კალენდარს დიდი გასავალი ჰქონდა მდამბო ხალხში. მდივანოვი სწორდა ლექსებსაც: მანვე გადმოიღო და გამოსცა „ათას ერთი ღამის ზღაპრები“ ორ პატარა წიგნაკად 1894 წ.

⁴⁾ ეს საბუთი დღევანდლამდეა დარჩენილი. ძველ სიგეში სწერდნენ: „ერთი ფეხის ქვა მოკედლი“ (იხ. ამ შრომის გვ. 57).

ეროი ჩაჩეჟა ჰინა და ბასმა ბროწეულის ქერქ არეული—თავის ტკივილისა—
[თვის კარგია,
ეროი ასხმა პანტის ჩირი,—თუ მეფე მუცელში გაიხსნას, უებარი წამალია.
(და სხვ. ¹⁾)

განმარტება მეტია!

დროთა მანძილი უკვე აღბეჭდილია. ამ უკანასკნელ სიაში!

აქ, როგორც დავინახეთ, წვრილმან და იაფფასიან საოჯახო ნივთე-
ბის გარდა, კარაბადნიდან ამოღებული რეცეპტებიცაა შესული. რა
საუცხოვო პარალელია! ძველად თუ ქალს მზითევში „ვეფხის ტყაოსანს“
ატანდნენ, უკანასკნელი დროის მზითვის სიებში მოხსენებულია ცნობილი
მდივანოვის ცნობილი კალენდარი! ეს სია საუცხოვო ნიმუშია იმისა,
თუ თანდათან როგორ კნინდებოდა ძველი ტფილისის ორიგინალური
ლექსიკა და როგორი ბარბარისმებით ანაგვიანებდნენ ჩვენს შროიან
ქართულს.



¹⁾ ეს სია ენახეთ ელისაბედ კაკაჩევის ოჯახში; ოდნავი შეცვლით დაბეჭდილია
დ. ა. ყაზაროვის მიერ გამოცემულ „თამაღის ლოცვაში“, 1917 წ., გვ. 10.

აბანო!

თითქოს ჩვეულებრივი რამ არის...

აბანოში ჰბანაობენ, ტანს ისუფთავენ; ასეა ყველგან და ყოველთვის. მაგრამ აბანო ტფილისში...

იგი მეტად ორიგინალური და განსაკუთრებით ტფილისურია.

ყენობა, ამქრობა, აშუღობა, კრივი, არიფანა, რიგისპური, ობა, ყავა-ხანები, ზეპირ-სიტყვაობა, ქუჩის წარმოდგენები, სალხინო ბალები, მტკვრის სანაპიროები და სხვ., — ყველა ეს ადათები, გასართობები და ზნე-ჩვეულებანი, რომლებიც ათადანბაბადან მომდინარეობს ჩვენში, თავისი რაობით ჰქმნიან თავისებურ კულტს, ერთგვარ რელიგიურ სიმთვრალეს, რომელიც ტფილისელებს ავგაროზივით უსვენიათ გულზე და თვალის ჩინივით უფრთხილდებიან ამ ყარაჩოღელთა: ლოთურ ტრადიციულ თავდავიწყებას.

მათთვის არც დღეა და არც ღამე:

ამე რომ ელოთობ, შენ რას გიშლი, ძმობილო,
ბატონებო, ან შენ, კეთილშობილო!

ჯაფა-ტანჯვით ალაღ-ლუკმის ვშოულობ,
მთელი კვირა ოფელს სულ ასე ვიწურავ;
კვირა დღეს კი გამზოდივარ ძმა-ბიჭში,
ყარაჩოღულ ლურჯ ქულს გვერდზე ვიხურავ!

ჩენი ბიჭი ჩიტვივით იბადება:

დღეს ვიშოვი, დღეს ვჭამი ვარ ბედნიერი!
ოჰ, რა ვუთხრაქიმ მილიონის პატრონს
ყუთში ფულს ჰკეტს, თითონ ჰკედება მშვიერი!

მე სულ ელოთობ, შენ რას გიშლი, ძმობილო?
ლოთ-ბიჭშია, აბა, რა ნახე ცუდი?
მეც კაცია ვარ, რატომ აგრე მიყურებ?
მეც მახურავს თავზედ ნამუსის ქული! 1)

1) ავქსენტი (ვაგარელი (1857—1902): „ივერია“, 1885 წ., № 1.

ყარაჩოღღელი ყოველთვის პირველი გრძნობით და პირველი შთაბეჭდილებით ს'ხტოწრობს.

ხშირად იგი მითელი კვირის შემოსავალს ერთ დღეში ჰფლანგავს:

„შთელი კვირა ოფენს სულ ასე ვიწურავ,
კვირა დღეს კი გამოფიდივარ ძმა-ბიჭში.“

ტფოლისხლას ჟუყვარს ქვიფვი. მას თავისი სიცოცხლის საუკეთესო წუთები ამ „ხალღეისთვის“ შეუწირავს.

სერგეი მესხი — ეს პირველი ქართველი პუბლიცისტი — ერთ ქალაქელ ყარაჩოღღელს ამ სიტყვებით ამხსიათებს: „უღარდელია, ქვიფვის მოყვარული, ღარღინანი და ჩიტვიით უზრუნველი. პური და ღვინო თუ გააჩნია — ზუნდირია, და თუ ზედ კოტა მოთალი და კიტრიც აქვს, მაშინ ხომ ცა ქუდათ და დეღამიწა ქალამნადაც არ მიაჩნია! ორთაქალის ბაღო მისი ასპარეზია: ოღონდ დღეს ჰქონდეს ლუკმა-პური და ხვალ — ღმერთი მოწყალეა! ტრალამხანაფისთვის, ძმა-ბიჭისთვის თავის მოკვლა გროშთაც არ უღირს. უსანართლომა ნახა საღმე — იყვირებს, ქველი საქმისთვის, ვინც უნდა იყო, ფადგეხევეა და გადგკოცნის; ახირებულად ნუ მოეჩვენები, თორემ ისეთნარად დაგტინებს, რომ გულის მოგიკლავს. შეურაცყოფა მიაყენე რამე, ცხრა ლიტრიანი მუშტი მშათა აქვს.“¹⁾

ყარაჩოღღელები თავიანთ ჯანსაღ ბუნებაში დიდ ენერგიას ატარებდნენ და არ იკოდნენ საღ დაეხარჯათ ეს მოზღვავებული გაქანება.

აი, თუნდ ამანოც!

პირდაპირ განცვიფრებაში მოღის აღამიანი, რა საღსაღამათი გული და უშადო ფილტვები უნდა ჰქონოდა ამ ხაღბს, რომელიც ნაღვინევი და ნაწივრალევი მიღიოდა ამანოში და გოგირღის ნაკადულის ატმოსფერაში, თითქმის ოცდაოთხი საათის განმავლობაში, ჰქვიფობდა და დროს ატარებდა!

ძველად ყოველი ყარაჩოღღელი იმღენად ჯანსაღი იყო, ლაქლაქა და სოსხლოვანი, რომ თითქმის ყოველ გაზაფხულს, აგარაკზე გამგზავრების ნაცვლად, ზემეტი სისხლის გამოსაშეებად ამანოში მიღიოდა და კონტად მოპარსულ კისერზე კოტოშ იკიდებდა.

ამანო ყარაჩოღღელისთვის ბოჰემის ის შემადგენელი ნაწილი იყო. ურომლისოდაც ქვიფვი ქვიფად არ მიაჩნდა. ამიტომ იყო, რომ მათი ქვიფვი, ბაღებში დაწყებული, უგჭველად ამანოთი თავდებოდა.

¹⁾ იხ, სერგეი მესხის ნაწერები, სამ. ფირცხალავას გამოცემა, 1904 წ., გვ. 325.

წინეთ აბანო მსურველთათვის ყოველთვის ღია იყო; არც ბანაობის დრო იყო განსაზღვრული; ხალხს გათენებამდე შეეძლო შიგ ყოფნა. აბანო ზოგჯერ სოფლიდან ჩამოსულ გლეხისათვის სასტუმროს დანიშნულებასაც ასრულებდა: საქონელს ბაკში მირეკავდა, თითონ კი, განბანილ-განსპეტაკებულს, ორშაურად მთელ ღამეს აბანოში არხეინად ეძინა. რასაკვირველია, ზამთარში ეს იაფ-ფასიანი თავშესაფარი უფრო სასიამოვნო ხდებოდა.

ქალებს საბანაოდ კვირაში რამდენიმე დღე ჰქონდათ დათმობილი. ერთ დღეს რომ ქალები ბანაობდნენ, მეორე დღეს—ვაჟები. ეს ის დრო იყო, როცა აუზების ნაცვლად კლდე იყო ამოღრმავებული და აბანოში კი მაშხალები ენთო.

ძველად ქალ-ვაჟნი აბანოში ერთად არ დადიოდნენ; პირიქით, ქალები ცდილობდნენ, რომ მათი აბანოში გამგზავრება კაცის თვალს არ დაენახა. ამიტომ იყო, რომ აბანოში წამსვლელი ქალები დილა-ადრინად, სისხამზე მიდიოდნენ და საღამოთი ბინდისას ბრუნდებოდნენ.

ქალები აბანოში მარტო საბანაოთ არ მიდიოდნენ; თან სარეცხიც უნდა წაელოთ. შეჰკრავდნენ სარეცხს ბოღჩაში, აჰკიდებდნენ ზურგზე დუქნის შეგირდებს, ხელში ქობინას მისცემდნენ, წინ გაიგდებდნენ თავიანთ უჭულ-ბუჭულებს და ამგვარად, მთელი ქარაგანი მიემგზავრებოდა აბანოში.

აქ კი ყოველთვის ერთი ალიაქოთი იყო ხოლმე: ადგილებისთვის ატყდებოდა ჩხუბი, ჯილჯილი, დავიღარაბა; ჩხუბობდნენ ტოლჩებით, ქობინებით, ერთმანეთს ბუწუწებს აგლეჯდნენ, იწყევლებოდნენ; არ ივიწყებდნენ წინაპრებსაც: მკედრებს საფლავიდან სთხრიდნენ, ცოცხლებს ქოქოლას აყრიდნენ; ერთი სიტყვით, მაშინ არაერთარი გასართობი არ იყო, და ეს ქალებიც „დიდის სიამოვნებით“ ატარებდნენ დროს აბანოში!

ქალების საერთო აბანოდ მხოლოდ ეგრედწოდებული ციხის აბანო ითვლებოდა და არსად არ იყო ისეთი უწყობა, სივიწროვე და სიბინძურე, როგორც აქ. დღესაც, თუ სადმე ჩხუბი და ყაყანი ატყდება, იტყვიან: „ხოჯის აბანოა?“

ამ ციხის აბანოს უწოდებდნენ აგრეთვე საქუროის ხოჯა ადამაჰმადხანის აბანოს. ტფილისის აღების დროს (1795 წ. ენკენისთვის 11-ს) ეს ხოჯა შევიდა ამ აბანოში, „გაუკვირდა სიკეთე ტფილისისა, მოეწონა წყალნი წმინდანი ყოვლითურთ, აღუმღვრევლნი და მარგებლნი“, მაგრამ სენისაგან, რომ ვერ განიკურნა, გაბრაზდა და ბრძანება გასცა, აბანოებიც ძირიანად დაენგრიათ. ¹⁾

¹⁾ თ გ ი მ უ რ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი „ცისკარ“, 1862 წ., სექტემბერი, გვ. 17.

მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ ჩვენს მოპანავე ქალებს.

ნახევრად მონა ქალები, მოჩადრულნი და ქმრების მოშიშარნი, რითი უნდა გართობილიყვნენ? სად უნდა წასულიყვნენ? მათი გასართობი იყო საყდარი და აბანო, სადაც, თავისუფლად შეეძლოთ ერთმანეთის ნახვა, ქორიკანობა და მასლაათი.

ამ ქალებისათვის უცხო იყო ცნობილი თქმა:

„ბრძნად მეტყველება ვერცხლი არს წმინდა,
ხოლო დუმილი—ოქრო რჩეული“.

ისინი ლაპარაკობდნენ ყველგან და ყოველთვის. ეს აბანოც მათი სალაყბო ადგილი იყო. არაბებს ანდაზაც კი აქვთ: „თუ ლაპარაკი გინდა, აბანოში წადიო!“

აბანოში ქალები მთელი დღით რჩებოდნენ, იქვე საუზმობდნენ და სადილობდნენ კიდევ. მზრუნველი ქმარი თავის ცოლს აბანოში უგზავნიდა სადილს: განსაკუთრებით ამ დღისთვის შეკვეთილ ფურნის თავას ან ქაფქოთანით ბულლამას; ზოგი კი მოკეცილი იჯდა აბანოს ფილაქანზე და გემრიელად შეექცეოდა ცარიელ ყველსა და პურს.

მერე ჩაის სმა იწყებოდა. აბანოს ტანთგასახდელ დერეფანში უშველებელი სამოვარი იდგა, რომელიც „კბილ-ჩაცვივულ ბებერსავით ჩიფჩიფებდა. სამოვრის ირგვლივ ჩაის ჭიქები ლამბაქებითურთ ჯარის-კაცებით იყვნენ გამწყრივებულნი და გვერდზე თოფების მაგიერ, კოვზები ჰქონდათ შემოწყობილნი. თვით სამოვარზედ კი ამხედრებული ჩაიდან მთავარსარდალივით იბღვირებოდა და მრისხანების ნიშნად თავს ახტუნებდა და არაკუნებდა.“¹⁾

აი, ეს ტიტლიკანა დედაკაცები ისხდნენ ამ სამოვრის გარშემო და მთელი დღე ჩაით ლოთობდნენ. ნელინელ რუსული კულტურა სპარსულ აბანოებშიც იქრებოდა. თვით ვარანცოვსაც რომ დაენახა ეს სურათი, იბულებული აღარ გახდებოდა ეთქვა: „კავკასიაში მშვიდობიანობა მაშინ ჩამოვარდება, როცა მთებში ჩვენი სამოვარი გაჩნდება.“²⁾

წარმოიდგინეთ, ქალებსაც ჰყავდათ თავიანთი აშული, — გერაგერმი-შანთ უსინათლო მათი, რომელიც თავის სიმღერით ართობდა დასაპნილ და ინადადებულ ქალთა მარაქას. ეს იყო მათი კლუბიცა და თეატრიც!³⁾

1) ა. აზნაზაროვი: „ლეკები და სცენები“, 1912 წ., გვ. 101.

2) იმ. „Речи, сказанные на Кавказских вечерах в Петербурге 1861—1872“, Петерб., 1873 წ., გვ. 14.

3) პეტრე მირიანაშვილი მარწმუნებს, რომ ქალები აბანოში ლოტოსაც თამაშობდნენ; ჩემ მიერ შეკრებილი ცნობებით, ჯერჯერობით ეს არ დადასტურდა.

გარდა ამისა, ქალებს საშუალება ეძლეოდათ აბანოში გამოეფინათ თავიანთი ტულეტეი და ძვირფასი სამკაულები, რომელნიც კარში, ჩვეულებრივ დროს იკარგებოდნენ, ჯერ კიდევ ხმარებიდან არ გადაეარდნო, ჩადრის ქვეშ.

ქალს ახალი ტანისამოსი უეჭველად აბანოში უნდა ჩაეცვა.

მე მინახავს ასეთი აჯილოსანი ქალი, რომელიც ჩადრში გამოხვეული მოძრავ ტომარასავეთ დადიოდა, მისი ოქრომკვდით ნაკერი ქოშები ჩადრის ბოლოებიდან თავებშივით იჭყიტებოდნენ. აზლულში შეკუმშული ორი „არწივის“ კვერცი“ მამაკაცებს თვალს არა სტაცებდა, ისინი მხოლოდ თვალებს ჰხედავდნენ; თვალები! ო, ეს ჟუჟუნა თვალები რაღაც გამოურკვეველ სურვილით ციმციმებდნენ. ამიტომ ამბობენ თურქები: „ვისაც აკრძალულის წაკითხვა მსურს, იმან ქალებს თვალებში უნდა უეჭვიროსო.“

ხალხური ლექსი ამბობს:

„ქალაქის აბანოები ბადალი ხმელეთისაო,
ძირიდან აშენებული, აუზები აქვს ქვისაო,
ვინც შევა, აგრე გავიხდის, როგორც თოვლია მთისაო,
ქალი და რძალი გამოდის, ვითა ყვავილი ხისაო.“

რასაკვირველია, მაქანკალი ქალები არც აბანოში იფიწყებდნენ თავიანთ პროფესიას. ბევრი ლობაზი ქალის ბედი გადაწყვეტილია აბანოში, ბევრი სანდომიანი „ქალი და რძალი“ გაბედნიერებულია და ბევრი ფიზიკური ნაკლიც აღმოაჩინია ვატიტელებულ ქალს. ¹⁾

— „ქალს ქული ესროლე, თუ არ წაიქცა. გასათხოვრად მომწიფებულია!“ აღბად, ამ შებედიულობის გავლენით ხდებოდა, რომ ხშირად სრულიად ნორჩ გოგონას, ჯერედ მოუშუშებელს და წელ-გაუმაგრებელს, ოთხმოცი წლის ბესრეკზე ათხოვებდნენ.

არსებობს ერთი უავტორო ლექსი, საიდანაც სჩანს, რომ ასეთი „ნორჩი ქალის“ ბედი აბანოში გადაწყვეტილია და მაქანკლის დახმარებით „აბანოდან გაუყილიათ“ ვიღაც მოხუც საქმროზე:

გულ-დაწყვეტილი ქალი მოსთქვამს:

¹⁾ აბანოში საპატარძლოს გასინჯვა წესად იყო დადგენილი: ქალს აბანოში ჯირველებს უსინჯავდნენ ილიის ქვეშ და ჩანასთან, რომ მუზე ჭირის ზულში, მათი აზრით, მკამელად არ გადაქველდნო; ხშირად ქალს განზრახ გააცილებდნენ, რომ კბილების მოყვანილობა დაენახათ; ლაპარაკის დროს მიუახლოვდებოდნენ, რომ გავით, საპატარძლოს პირში სუნთ ზომ არა ჰქონდა. ტუნის ნაპოვსაც კი უსომავდნენ. პატარა და ტანბორილი ქალი არ ითვლებოდა პირველ ხარისხიან პატარძლად. „შვილო, — ხშირად ეტყოდა მამა თავის ვაჟს, — ისეთი ქალი უნდა შეირთო, რომ ლოცინში არ დაგვარავოსო!“

„ჩემსავით მწარე ბედი არეის არა რგებია,
 ნუ დამძრახავით, ტოლებო, თაეი მომბულებია,
 აბანოში გამყიდეს, მე არც კი გამგებია;
 თურმე ეხლა გაეიგე ქვეყნის კანონებია.

ჯეელი ვარ, მიღვივის გული ნაკვერჩხალსავით,
 სისხლი მიღუღს ძარღვებში აღუღებულ წყალსავით,
 თვალები მაქვს—მაყვალნი, ტუჩები—მარჯანსავით,
 ლოყები მაქვს წითელი—გამლილ წითელ ვარდსავით.

მე ჯავარზე ეხლა ვარ, ნორჩი და მოჩიტული,
 ქმრად მყავს რალაც აპუხტი—ძალა გამოფიტული,
 მე პაპად შეფერება, ბებერია, სნეული,
 ღმერთო, შენ ამოსწყვიტე, ვინც შემერთო ეს წყვეული!“

ეხლა მამაკაცებზე.

ყოველი ყარაჩოღელი ქეიფის შემდეგ გამოსაფხიზლებლად უეკველად აბანოში უნდა წასულიყო. ზურნა მიაცილებდა აბანოს ბქემდე, მექისენი ძმაბიჭურად შეეგებებოდნენ, დაიბარებდნენ დალაქებს და ლაზათიანად წვერს შეიპარსავდნენ; რომელიმე უშიარი მოქეიფის ბრძანებით, ეხლა აქ იშლებოდა ახალი სუფრა, იმართებოდა ხელახალი ქეიფი და ისმოდა ასეთი სადღეგრძელოები:

1. ეს გაუმარჯოს იმ კაცს, რომელიც ვთქვავთ, ეხლა ჩვენს წინ გარეღის, ჩვენს აეს ნახავს, წავა და კარგს ილაპარაკებს.

2. ესეც გაუმარჯოს იმ მებალეს, რომელი მებალეც ვენახში გაიეღოს, დაწოლილ ვაზს შეაძწევს, წამოაყენებს, ახეირებს, ნაყოფს გამოადებინებს, დაკრეფს, დასწორავს, თითონაც დაღვეს და ჩვენც დაგვალევივნებს.¹⁾

3. ესეც ღმერთმა ატოცხლოს ის მთვარე, რომელიც ძალიან კაშკაშებს, ჩვენისთანა პოლლოწო ხალხს გზას უჩვენებს და ეუბნება: ე, მუღღრეგ, აქეთ გაიარე. იქით სრამია, არ ჩავარდეო.

4. ესეც ღმერთმა ატოცხლოს ის ხე, რომელიც წყლის პირას სდგას და უწყლოდა ხმება.

5. ეს გაუმარჯოს იმ ტივის, რომელსაც ადიდებული წყალი დაშლილს ჩამოიტანს, ერთი ტივის ხე ორთაქალაში ყსიდად გაიხიდება, რომ ჩვენისთანა საწყალმა ხალხმა ზედ გაიარ-გამოიაროს.

6. ბიჭებო, შეითნებო, ეს კი სხეანაირი სადღეგრძელოა. ჰაა! ვთქვავთ, ორი მტრედია და ეს ორი მტრედი ორ ხეზე ზის, უნდათ ერთმანეთთან გადაფრენა, ალერსი, ქუკლუკი, მაგრამ ვერ ახერხებენ; ამ დროს ამოვარ-

¹⁾ ეს სადღეგრძელო ლავ. არდაზიანის (1818—1870) „მეჯღანუაშეილი“ ასკა-ღმერთმა ადღეგრძელის ის ტურტლიანი ფეხები, რომელმაც ეს ლინო ვაბოჯეიწურეს“ („სალო-მონ ისაკიჩ მეჯღანუაშეილი“, 1878 წ., გვ. 28).

დგმა ქარი, ხის ტრატებს ერთმანეთს მიაჯახუნებს და ამ ორ მტრედს ერთმანეთს შეახვედრებს! გაუმარჯოს ჩვენს ძმა ფირუზას და იმის დანიშნულს სალომეს.¹⁾

7. ესეც ღმერთმა გაუმარჯოს იმ ადამიანს, რომელიც ეხლა სახლში სანთელ-ანთებული გველოდება.

ეს უკანასკნელი სადღევრძელო მოქციფეთა ოჯახობას ეკუთვნოდა.

მათი სადღევრძელოები ყოველთვის კაფიად იყო თქმული: უცები, მოსწრებელი და დროის შესაფერი.²⁾

პირდაპირ საკვირველია, რომ ეს უანბანო ლოთები, რომლებსაც წიგნის ნაკვალად, გაწუწული ხელადა ეჭირათ ხელში, ასეთი პოეზიით საესე სიტყვებს მხარჯავდნენ! რა კარგია ზოგჯერ ბავშვური მიაბიტობა და პრიმიტიული სიბრძნე.³⁾

1) შესამწ, მეთხვე და მეტქვე სადღევრძელო, ცოტა შეცვლილი რედაქციით, მოთავსებული აქვს ასი ცოცხარულს თავის ცნობილ პიესაში: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!“ (იხ. „ჩანგი“ ტ. II, გამოცემა შიხ. გაჩეჩილაძისა, 1917 წ., გვ. 421, 423).

2) ბზირად ჭიფის დროს სადღევრძელოები გამოცანის ხასიათს ატარებდა; მაგალითად:

— ღმერთმა ადღევრძელის ის კაცი, რომელიც წელოწადი-თორმეტი თვე სულ დადის, შემდეგ მიუახლოვდება ერთ სოფლის ბოლოს და არ იცის, თუ როდის დაულამდება (სიყვდილი).

— ღმერთმა ადღევრძელის ის კაცი, რომელიც არცა ხნავს, არცა სთავსავს, მხოლოდ მკის და ისე სცხოვრობს (დალაქი).

3) ტფილისელებს უყვართ აგრეთვე ისეთი საყოფაცხოვრებო თვისებური გამოთქმები. რომლებიც პარალელურად ანდაზების ოჯახში უნდა ბინადრობდნენ:

— დილის შარი საღამოს ხერის სჯობია.

— პირველ ლუკმას, მეორე ლუკმა ვერ მოეწევა.

— სიმართლე მერცხლის რძესავეთ მწელი საშოვნელია.

— მეხანთან მეტქოსაო, დაე ისევე მერქოსაო.

— თვალები ვერ მოიგდებოდნენ, რომ მათ შორის ცხვირი არ ყოფილიყო.

— უნამუსო კაცს პირზედ აფურთხებდნენ და—რა კარგი წვიმა მიდისო.

— ვირზედ შეჯდომა ერთი სირცხელია, ჩამოვარდნა—ორი.

— ერთხელ მხათის მთაზედ მცხოვრებსაც დასჭირდა მხათი.

— კოთანი ჭებას აკებდა და ჭეარტლი კი არც ერთს არ აკლდა.

— აქლები და გალია?

— იბღნი ნამუსი აქვს, რამდენიც ჭათის კვრაცხს—ბალანი.

— შუადლის შემდეგ ჭარისა, აბა ვის გაუფონია!

— სტომაკი ძმაზე ანობებულია.

— ორი ჯამბაზი ერთ თოკზე ვერ გაივლის.

— ხამი კოცნა და ერთი დაწოლა—ფათაა

— დანტყული ბუბარი არ დაიწუნება, თუ კვამლი სწორედ ამოდის,

სემთი შეურტო და მანათს ეტებს.

— დილის ლუკმა ცოლის მზითვეს სჯობია.

— თავი მქონდეს, თორემ ქუდს რამდენსაც გინდა იმდენს ვიშოვი.

ზოგიერთი ტფილისური ანდაზა მოთავსებული აქვს ლევ. მეტრეველს თავის საგულისხმო წიგნში: „ქართული ანდაზები“, ტფ. 1926 წ., გვ. 42, 43, 94, 104, 105.

აბანოში ქეიფი უძველესი ჩვეულება იყო. შაჰნამეს პროზაულ ვერსიაში აბანოში ქორწილის გაგრძელება ასეა აწერილი: „ორმოცსა დღესა ქორწილი იყო და მეორმოცესა დღესა გაახუნეს საეტლონი, კარგსა ბურჯხედა იყო ეტლი, აგრე ხელმწიფემან ერთი ასეთი გვირგვინი [აილო], რომე ორმოცი ლიტრა იყო და ერთი კაბა ასეთი ას-ორმოცი ლიტრა იყო—ესე საამს გაუგზავნა და იქი იხმო. რა საამს ხელმწიფისაგან ბრძანება და მისაცმელი მოუვიდა, აგრე მისი ოთხასისა ლიტრისა ლაბტი ხელითა აილო. დარბაზს წამოუვიდა; რა დარბაზისა კარსა მოვიდა, აგრე ვაჟნი გამოვიდეს, აბანოსა მოვიდოდეს. მერმე გაუგზავნა ყველასა კაცი, რასდონიცა თავადი და თავადის შვილი იყო ყველაი აბანოს იხმო. და მივიდეს ერთობილნი სანთლებითა და კელაპტრებითა, ფანრითა, მაშხალეებითა და მოვიდეს ყველანი და მომღერალნი“ და სხვ. ¹⁾

მართალია, მოგზაური ტურნეფორი ჩვენს აბანოებზე სწერდა, რომ „აბანოები ტფილისის მოქალაქეთათვის ერთად ერთ გასართობს წარმოადგენსო“; ²⁾ მაგრამ, ჩემის აზრით, აბანო მარტო გასართობი და დროს-გასატარებელი ადგილი არ უნდა ყოფილიყო.

აბანოს აღმოსავლური ხალხის ყოფა-ცხოვრებაში მეტად დიდი ადგილი ეჭირა. ძველი ხალხი, ვიდრე აბანოში არ განიბანებოდა, ოჯახის წინაშე ვერ წარსდგებოდა. სიძესაც ქორწილის ღამეს ამფსონები აბანოში წაიყვანდნენ და განბანდნენ. აღმოსავლურ ხალხში დღესაც არის დარჩენილი ჩვეულება: სტუმრად რომ მიხვიდე, ლუღენის მოგიტანენ, ჯერ ხელებს დაგაბანინებენ და მერე მოგესალმებიან. საბა სულხან ორბელიანი სწერს: „თურმე წესი იყო კაცისა მის სადაცა ვის უტოხოს პნახედის თვისსა მიიყვანდის, აბანოს, შემოსის, საბოძვარი მისცის და განუტევის.“ ³⁾

აშკარაა, ეს აბანოში ქეიფის გაგრძელება, აბანოში ღამისთევა და თვით ქორწილიც კი—უბრალო გასართობად ვერ ჩაითვლება და ყოფა-ცხოვრების ამ ორიგინალურ მოვლენის ასახსნელად სხვა, უფრო ღრმა მიზეზები უნდა გამოიძებნოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ აბანოში მოქეიფეებს, ამ აზიურ გასტრონომებს, განსაკუთრებული პირის გემო ჰქონდათ: გამხმარი ქართო პური

¹⁾ იხ. საქ. საისტ. და საეონ. მუზეუმის ხელთნაწერი № 921, გვ. 102, B.

²⁾ Сборник сведений о Кавказе, т. VI, гв. 283.

³⁾ „სიბრძნე-სიტრუე“, ნ. მთვარელიშვილის რედაქციით, 1903 წ., გვ. 4.

და შხლოს ყველი, გოგირდის წყალ-გადავლებულია, იმეთით სპირიტუალური გემოს საჭმელი იყო, რომლის არომაცსაც; ძველით ყარაბაღელი დღესაც სიამოვნებით იგონებს. ¹⁾

ამ მოქეფებებში იყენენ კარგი მომწორლებიცა მღეროდნენ თავისთვის, საკუთარი გულის ბუხარის გასანელებლად; მღეროდნენ და მათ ავაჯიან ხმას აბანოში უფრო მეტი ხალისი ეძლეოდა. მომღერალი მღეროდა, აბანოს გამაგრილებელი თაღები განსაკუთრებულად ბანს აძლეულა, სუფრა ითენთებოდა, ნახევრად შიშველი ლოთები ექსტაზში მზადოდნენ და მთელი აბანო—ბოდის არ ვიხდი ამ; შედარებისთვის—დოიჩისოს ტაძრად იყო გადაქცეული.

ხშირად მომხდარა, რომ ეს მოქეფენი შეაჯულ შამაზში სანაძლეოზე აბანოდან ტიტლიკანები გამოსულიან და რომელიმე მიკეტის ლექანში ღვინის სმა გაუგრძელებათ.

ასეთი უცნაური ქეფი თანდათან გახუნდა. ბოლო ღორის ნააბანოვარი მამაკაცები შიგ აბანოში კი არ საუბობდნენ არამედ შევიდოდნენ აშაშხანაში, შენაყრდებოდნენ რომელიმე ალიის განთქმული ფლოვით ან ქაბაბით და ბიათების ნაცვლად კი—იადონის სტევენას იმუნდნენ. ²⁾

ამ აბანოს ღვინებზე პოეზიაშიც პიოვა გამომსვარება.

რასაკვირველია, ამ დარგში პირველი იქნებოდა გრა. ორბელიანი, რომლის ლექსებსაც ტფილისის აზულები ჩოჭოთ უფლიდნენ გარშემო.

გრა. ორბელიანი, ეს მკრად შეეფარებულა ოთხმოცე წლის ქაბუკი. ეს 14 მარცვლოვანი ლექსის უდიდესი ოსტატი „სალომესთან სადილად“ მიდის და არაფერი აღარ აგონდება, თვით „აბანოს ღვინებიც“ კი და ბავშვური უზაყველობით მღერის:

„განა ამღროს ძილი-ლა არის სადმე?
ანუ დღისით განსვენება სულსა?
ან ვილსა აგონდება ხადილი,
ანუ ლამით აბანოში ღვინები?“ ³⁾

¹⁾ მღებელი იყო აგრეთვე აბანოში სახამაროს გიციება. მართლა ცივდებოდა თუ ამა ამის გამოტყვევა სპეციალისტებისათვის მიზნდება, მე ფიხიკოსი არა ვარ!

²⁾ აშაშხანაში ყოველი რესტორანის პატრონი მუშტრის სააუბლად სიმებიანი ორქესტრის²⁾ ნაცვლად, შეტოლებული ჩიტები ჰყავდათ გალიაში.

³⁾ არ არის მართალი კ. კ ა ა ნ ე ლ ი, როცა გრა. ორბელიანის პოეზიას „თათქარაძის ბოზბაშის ეპოეზიას“ ადარებს და „ბოტანიკურს თუ ელიონარულს“ უწოდებს (მ. „ქართული სული ესთეტიურ სანებში“, გვ. 62). ეს ს ა ნ დ ა ს ე ბ უ რ ი კრიტიკა კაპანელს როგორც კვიციან შყრალს, არ შეეფერის. ნუ თუ კაპანელს მართლა ჰგონია, რომ პოეტის მღებობა სიყვარულისა, მზადობასა და პატრიოტიზმის შესახებ, ჰყარავენ ღირებულებას იმ ლექსებით, სადაც ტფილისის გზობიკა და ჩაღლევა პოეტური განწყობილებით არის გამოთქმული? დეგარწმუნებთ „ქართული სულის ესთეტიური სახეების“ ავტორს, რომ მუქიერ პოეტს ამგვარ თემებშიაც შეუძლიან ასახოს „ქართული სულის მზადობა“ და „ესთეტიური სახეების პატრიოტიზმი“.

ყოველი მგზავრი, ტფილისის ყოველი სტუმარი, საიდანაც არ უნდა ყოფილიყო მოსული, რა საშური საქმეც არ უნდა ჰქონოდა, თავის წმინდა მოვალეობად სთვლიდა, რომ ტფილისის აბანოებშიც ენახულა და განბანულიყო მის მადლიან კამკამა წყალში.

ჩვენი აბანოები, სხვათა შორის, იმითაცაა შესანიშნავი, რომ ისეთი მექისენი, როგორნიც აქ არიან, სხვაგან იშვიათ მოვლენას წარმოადგენენ. ჩვენმა პატარა ქისამ ბევრი დიდი ადამიანი მოიყვანა ალტაცებაში; ეს ასეც უნდა ყოფილიყო. აბანოში წასვლა და ქისის არ წასმე იგეგვა, კაცო რომ პარიზში ჩავიდეს და ეიფელის კოშკი არა ნახოს. პუშკინი სიამოვნებით იგონებს იმ „უცხვირო მექისე მასანას“, რომლის შესახებაც პოეტი თავისებურის ირონიით დასძენს: „უცხვირობა ხელს არ უშლიდა, რომ თავისი მოვალეობა პირნათლად შეესრულებინაო.“

პუშკინი ტრადიციულ „მაჩალკის“ უარსაყოფად, თავისიანებს უთითებს ჩვენს ქისაზე და ამბობს: „ქისა რუსულ აბანოებში უეჭველად უნდა შემოვიდოთ, ეს იქნება ჩვენი ახალი აღმოჩენაო.“

ხოლო ქალების შესახებ კი, რუსეთის დიდებული პოეტი, ასე მოგვითხრობს: „ჩვენმა შესვლამ ქალებს აბანოში არაეითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა, ისინი განავრცობდნენ თავისუფლად მასლაათს და სიცილს... არც ერთი მათგანი ჩადრს არ წასტანებია წამოსახურად, არც ერთ მათგანს არ შეუზნებია ტანის ხდა; ზოგიერთი ქალი, მართლაც, რომ კარგი იყო, მაგრამ ქართველ ბებერ ქალზე საზიზღარი, მე არაფერი არ მინახავს ჩემს სიცოცხლეში, ნამდვილი ქაჯები არიან“-ო¹⁾

საინტერესოა, რომ ა. დიუმას მოგზაურობაშიც ასეთს სტრიქონებს ვკითხულობთ: „მე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენმა ვასეირნებამ აბანოში, ქალებ შორის არაეითარი აღშფოთება არ გამოიწვია, მხოლოდ ორი თუ სამი ქალი. საუბედუროდ ბებრები და საზიზღრები, მოგვერიდნენ და სახეზე ზეწრები აიფარეს; უნდა ვთქვა, რომ მათ ჩემზე მოახდინეს ქაჯების შთაბეჭდილება“-ო.²⁾

ბეტად უცნაურია, რომ ეს ორი მწერალი აბანოში ყოფილა სწორედ სამშაბათს დღეს, რომელიც ქალთა დღეთ ითვლებოდა (პუშკინი იყო 1829 წ., დიუმა 1858 წ.). უცნაურია რომ, ტფილისის ქალები, რომლმე ბიკ აბანოში გამგზავრებისას, თავის დასამილად ათასნაირ ხრიკს მიმარ-

1) „Путешествие в Арзрум“, (იხ. „Кавказская поминка о Пушкине“, გვ. 16—17 გამოც. ვახ. კავკაზისა“, 1899 წ.)

2) А. А. Дюма: „Кавказ“, вып. II, Тифлис, 1861 წ., გვ. 467.

თავდენ, ისე გათამამდნენ, რომ უცხო კაცის დანახვაზე არც ერთი არ წაეტანა ფუთას და „არც ერთმა არ შეაჩერა ტანის ხდა?“ მაგრამ არა ნაკლებ უცნაურია, რომ ის „ორმოცდაათი ქალი“, რომელიც პოეტმა აბანოში ინახულა, სულ გრუზინსკიე სტარუხ-ები აღმოჩენილან, თითქოს ტფილისის აბანოებში სიარული მხოლოდ ქართველი ქალების პრივილეგიას შეადგენდა, და ისიც მახინჯი ქალებისას!

კიდევ ერთი კურიოზი. ალ. დიუმა სწერს: „წელს აბანოს ერთ აბაზანაში დაიღუპა სომხების ეპისკოპოსი. მორცხვმა ეპისკოპოსმა ნება არ მისცა გარეშე პირებს დაეჭირათ ზეწრის ოთხი კუთხე, რომელშიაც თითონ იყო ჩაწოლილი. ამ მოვალეობის შესრულება მიანდო თავის ოთხ მთავარს. ერთმა მთავართაგანმა უცაბედად ხელი გაუშვა ზეწრის ყუას, ეპისკოპოსი დაგორდა და პირდაპირ შიგ ქაფ-ქაფა აუზში ჩავარდა. მთავრები მისცივიდნენ მისაშველებლად, მაგრამ ამოდ: ცხელი წყლისაგან თითები დაეწვათ. მათ ყვირილზე შემოცვივდნენ მებაზოგენი, მაგრამ უკვე გვიან იყო — მოხარშული ეპისკოპოსი ძლივს ამოათრიეს აუზიდან.“¹⁾

მე თითქმის ყველაფერი გაამბეთ ტფილისის აბანოების შესახებ. თქვენ ეხლა იცით, რომ აბანოში ქორწილი იმართებოდა, ღამეს ათეოდნენ, სარძლოს სინჯავდნენ და სხვ. მაგრამ არასოდეს არ გამიგონია, რომ ეპისკოპოსები ზეწრებში ჰაეროვან ეანებს იღებდნენ და ბოლოს კი დიაკვნების დაუდევრობით აუზიდან ხოხობივით მოხარშულებიც ამოჰყავდათ!

ასეთივე ჰიპერბოლით ლაპარაკობს ვინმე ვილემსი ჩვენს კახურ ლენოებზე: „კახეთის ზოგიერთ სოფლებში, — სწერს ვილემსი. — სადაც მცხოვრებლებს წყაროები მოშორებით აქვთ, ან-და ეზარებათ წყალზე წასვლა, პირისახეს ღვინით. იბანენ, ღვინითვე ხარშვენ სადილს და იატაკსაც ღვინით რწყავენ, რომ დაგვის დროს არ ამტვერდესო.“²⁾

აი, ასეთი ყურ-მოკრულ ამბებით ავსებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს ის უცხოელი მოგზაურები, რომლებიც ჩვენ, ქართველებს, ისე გვიყურებდნენ, როგორც ჩვენ ვუცქერით რომელიმე იშვიათ ვეგემპლიარებს ცხოველთა სამეფოდან.

როგორ მინდა გავიმეორო ვილემსის სიტყვები:

„ბატონო მოგზაურებო, იწამეთ ღმერთი და აჩქარებით ნუ გამოიტანთ ხოლმე თქვენს ურიგო განაჩენს მთელ ხალხზე.“

¹⁾ იხ. დ ი უ მ ა ს ი გივე წიგნი, გვ. 468—9.

²⁾ იხ. „Сборник газетъ Кавказъ“, Тифлис, 1847 წ., გვ. (გორუ ნაწ.) 74.

ბოჰემა მხოლოდ ტფილისში შეიძლება იყოს.

საქართველოს ფარგლებში ტფილისი ერთად ერთი ქალაქია, სადაც ბოჰემას დათმობილი აქვს შესაფერისი არე.

ყოველ ხანას თავისი პოეზია აქვს; მაგრამ ეს პოეზია ყოველთვის მწერლობით არ ვრცელდებოდა. ტფილისის აშულები და საზანდრები სიმღერითა და ზეპირსიტყვაობით ავრცელებდნენ თავიანთ პოეზიას.

შ ა ტ ო ბ რ ი ა ნ ი ამბობს:

„ჯერ მღერიან და შემდეგ სწერენო“

ჩვენი აშულები კი, ორიოდეს გამოკლებით, არასოდეს არა სწერდნენ. ისინი თავიანთი გონების ფირფიტაზე ზეპირად ატარებდნენ მთელი საუკუნის გონებრივ საუნჯეს და ეს დაუშრეტელი მასალა სიმღერის ფორმით მოდიოდა ჩვენამდე. ძველად ტფილისის ქუჩებში ხშირად ისმოდა სიმღერა, რომელსაც მოჯადოებულნი გამვლელნი სულგანაბული უსმენდნენ. „ვაშლილ ჰაერზე მოწყობილი კონცერტები ადგილობრივი მოსახლეობის საბუსიკო ნიჰს ამჟღავნებდნენ. ეს კონცერტები ჩვეულებრივად იმართებოდა მეღუქნეების, ხელოსნების და სხვა მუშაკთა მიერ, რომელნიც დღიური შრომით დაღალულნი—შინ ბრუნდებოდნენ.“¹⁾

სიმღერა უძლიერესი საშუალებაა ზეპირსიტყვაობის გავრცელებისა. სიმღერა მოქმედობს არა მარტო ადამიანზე, არამედ შხამიან გველებზედაც,—მუსიკის გაგონებაზე ეს გველები ცეკვავენ და ინაბებიან ხოლმე; აკი შოთაც ამბობს: „გველსა ხერელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.“ ეს „ტკბილად მოუბარნი“ იყვნენ ჩვენებური აშულები, რომლებიც დადიოდნენ სოფლად თუ დაბა-ქალაქად დღეობებში, ყავახანებში და სიმღერის საშუალებით ხალხური პოეზიის ნიმუშებს ავრცელებდნენ.

აკადემიკოსი ნ. მარჩი სწერს: „ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციას ძლიერ ეხმარებოდა საეკლესიო დღესასწაულები... ამ დღესასწაულზე საქართველოს ყოველ კუთხიდან იკრიბებოდნენ საოკეთესო

¹⁾ „Кавказ“, 1894 წ., № 52.

შომღერლები და სახალხო მგოსნები (მესტიერე, საზანდარი). ამ შომღერლების საშუალებით ხალხში გადადიოდა ქართული ლიტერატურის, ცოტად თუ ბევრად, თვალსაჩინო და სანიაზო ნიმუშები.“¹⁾

ტფილისის ახლო-შახლო ბევრი ეკლესიაა, რომელთა „ხატობაც“ ტფილისიდან აუარებელ ხალხს იზიდავდა, —ბოლნისობა, ბარბარობა, შავნაბადობა, თვლეთობა, ღვთაებობა, ელიობა, წინანაურობა და სხვ.

ტფილისის ყარაჩოღელებს მინც-და-მინც ვერ დაეწამებთ კლერიკალიზმით გატაცებას. ძველად ქალაქ გარედ მხოლოდ ორი დროს გასატარებელი ადგილი არსებობდა: „მდაბიო ხალხისთვის — ორთაქალის ბაღები და ევროპიულად გაზრდილთათვის — მუშტაიდი,“ ამიტომ ეს დღეობებიც ყარაჩოღელთათვის ერთი იმ გასართობთაგანი იყო, სადაც ჯანსაღ ბუნების წიაღში დაგუბებულ გრძნობას სრულს თავისუფლებას აძლევდნენ და მთელი სამი დღის განმავლობაში ჯიგრიანად ლოთობდნენ.

ესენი საეკლესიო ლოცვებზე იმდენს არა ფიქრობდნენ, რამდენსაც ქეიფზე.

„ქალი რომ ავად გახდება,
წაიყვანებენ არბისა,
ერთს მინც გაიკუნტრუშებს,
რაგინდ-რომ არა არგოს-რა!“

თუ ამ დღეობებში „გაკუნტრუშება“ ქალისთვის, მით უმეტეს ავადმყოფ ქალისთვის, ერთგვარი ვანკურნება იყო, ცხადია ამ საეკლესიო ობებს რა ეშმით შეხედებოდნენ ტფილისელი ყარაჩოღელები.

ოჯახის უხუცესი წევრები და ქულფათობა მოფარდაგულ ურმებით მიემგზავრებოდნენ, ხოლო ბაბამი ყარაჩოღელები — წინაღობით დაქირავებული ეტლით.

წასვლამდე ჯერ თითო ჩარეკით იჩარეკებდნენ, მერე პირში ჩიბუხს გაიყრიდნენ, ხალიან პერანგს გამოიჩენდნენ, ჩოხაში ცალმკლავს გაუყრიდნენ და ასე კობტად შეხალისებულნი დინჯი მზიარულებით ღ ღლინით მიდიოდნენ აღთქმულ სალოცავში:

„ჩები გული სწორედ ცხელი თონვა,
ძმა-ბიჭობა მეც კი გამიგონია!“

ეტლები, რომლებშიაც უეჭველად სამი ცხენი უნდა ყოფილიყო შებებული, საგანგებოდ იყო მორთული მწვანე რტოებით; ცხენებს ყელზე ზანგალაკები ჰქონდათ ასხებული, ქოჩრები კი — ბაღდადით შეკონილი.

¹⁾ Н. М а р р: „История Грузии“. 1906 წ., გვ. 34. გამომცემლობა „ამირანი“ — აღ. ა რ ა ბ ი ძ ი ს ა.

ზოგი საკუთარი ცხენით მიემგზავრებოდა; ზოგი კი—განსაკუთრებით ქალები—ვისაც „შეთქმული“ ჰქონდა, ფეხშიშველნიც მიდიოდნენ. უამინდობა არავის ხელს არ უშლიდა.

ამ ტკლესიუბის გალავანში ზოგიერთ დუქანდარს, განსაკუთრებით ასეთ „ბედნიერ დღისთვის“, მუდმივი ბინებიც ჰქონდა აშენებული.

როგორც ვიცით, ეს მოქვეიფენი არ იყვნენ ღვთის-მოსავენნი; მათი თავი თავისუფალი იყო სხვა-და-სხვა მისტიურ ძონძებისაგან, მაგრამ ისინი იცავდნენ მამაპაპურ ადათებს, და ამ საეკლესიო ზეიმზე მხოლოდ და მხოლოდ სამღვთოს უმანკო სისხლის შეწირვა სწამდათ.

ერთი ტფილისელი პოეტი—ხოილია ყაზახელი—თავისი გრძნობის გამოხატავად ამგვარ შედარებას მიმართავს:

„მე შენი ხვევნა გამოხდა ძნელი,
 ეშხით შემლახე, გამოხდი მკვლელი,
 სალოცავი ხარ, ხატი ცხოველი,
 მე შენს კარებზედ სამღვთოდ მოველი.“

აშულები ამგვარ დღეობებში აუცილებელ მაზას წარმოადგენდნენ.

ჩვენ ამ აშულების ყოფა-ცხოვრებას მთელი წიგნი ვუძღვენით („სადათ-ნოვა“); ამ ეამად შევჩერდებით მხოლოდ ერთს წარმოდგენისებურ ჩვეულებაზე, რომელსაც „ნაღლი“ ეწოდება. ნაღლი თავისი აღმზრდელობითი მნიშვნელობით მეტად განსხვავდება დანარჩენ აშულურ ადათებისაგან. ნაღლი, როგორც მოძრავი თეატრი, უფრო დღეობებში იყო გავრცელებული. ნაღლი ნიშნავს ზღაპარს. მაგრამ ზღაპრების გარდა („კეთილი და ბოროტი გმირის თავგადასავალი“), ხშირად ეს თეატრი ბიბლიურ თემებსაც ეხებოდა. აიღებდნენ აშულები რომელიმე სასულიერო ამბავს, ჯერ გალექსავდნენ, შემდეგ შეურჩევდნენ სხვა-და-სხვა ხმებს, კილოებს, და გამოდიოდა ნამღვილი მისტერია. ასეთი წარმოდგენები იმართებოდა მინდორში, ან მოედანზე. ყაფანი წარმოადგენდა სცენას, აშულები არტისტებს; ხალხი ძირს იყო გაშლილი, მომღერლები იდგნენ მაღლომ ადგილას და მათ შორის იმართებოდა ასეთი დიალოგი:

* * *

— ის რა იყო, როცა ცოცხალი იყო, ქერი და ბზე სჭამა; როცა მოკვდა, ხორცი სჭამა და სისხლი სვა?

— ეგ ვირის ყბა იყო, სამსონ-ჭაბუკმა რომ აიღო ხელში და იმით ათასი კაცი დახოცა.

* *

— ის რა ხე იყო, რომელსაც პირველად შტო და ფურცელი არა ჰქონდა, შემდეგ კი ხორცი და სისხლი შეისხა?

— ეგ მოსე წინასწარმეტყველის კვერთხი იყო, ვიდრე ჯოხი იყო, შტო და ფურცელი არა ჰქონდა, ხოლო როცა გველად გადაიქცა, სისხლი და ხორცი შეისხა.

* *

— ის რომელი იყო, თხუთმეტი წელიწადი ხელმწიფობა ჰქონდა, მეთექვსმეტე წელიწადს ავად გახდა, ოცდაათი წლისა რომ შეიქნა მოკვდა და ისევ გაცოცხლდა?

— ეგ მთვარე იყო.

* *

— ის ვინ იყო, რომელიც თავის დედას მიუახლოვდა, დედამ სთქვა: „მე ქალწული ვარო?“

— ეგ აბელის ტანი იყო, როცა საფლავთან მიიტანეს, მიწამ სთქვა: მე ქალწული ვარო!

* *

ან-კიდევ:

— ის რა არის, რაც ქვეყანაზე არ იხსენიება?

— პირველი ზღვა არის, რომელსაც სარქველი არა აქვს, მეორე—ცა, რომელსაც ბოძი არა აქვს, მესამე—კაცის ხელის გული, რომელსაც ბალანი არა აქვს.¹⁾

როცა ეს წარმოდგენისებური კითხვა-მიგება გათავდებოდა, ყველანი გამარჯვებულ აშულს ჰიბნს შეუთხზავდნენ.

იყო ოვაციები და ყიფინა.

თუ ამგვარ თემებს აშულები მისტიურ საიდუმლოების ელფერს აძლევდნენ და მხოლოდ საეკლესიო დღესასწაულებისთვის იყო გამოსადეგი, სამაგიეროდ, როცა მათ ქალაქში ყაფანზე უხდებოდათ წარმოდგენების გამართვა, „ნაღლის“ შინაარსი ხელად იცვლებოდა. მაგალითად:

¹⁾ ეს დიდი ამოღებული გვაქვს, „ქალაქიანიდან“, რომლის თარგმანსაც ზ. კ.—მე ბერძენებზე საუკუნის დასასრულს აკუთვნებს (იხ. 1887 წლ. გამოც.) ეს ნაწარმოები, რომელიც უკანასკნელ წლებში მუტად გაფუჭებული რედაქციით იბეჭდება, მდებარე ხალხში ისე იყო გაეცდებოდა, რომ 1901 წლის გამოცემას „მეორეზე გამოცემა“ აწერია. ჩვენი „ქალაქიანი“ შინაარსით და კონსტრუქციით ძლიერ ენათესავება გოცის ცნობილ პიესას—„ტურანდოტს“, საიდანაც შემდეგ შეიღწევა მაც გადმოაკეთა: „Китайская принцесса.“

პირველი აშული:

- რა ჰკილია ციდან მიწამდე?
- ვინა მშვიდდება ყველაზე ადვილად?
- რა გადადის ხელიდან ხელში?

მეორე აშული:

- ციდან მიწამდე ჰკილია წვიმა.
- ყველაზე ადვილად მშვიდდება ბაეში.
- ხელიდან ხელში გადადის ფული.

პირველი აშული:

- მზე რომ ამოდის, რა ჰქრება?
- რა არ სველდება წყალში?
- რა არ ჭუჭყიანდება მიწაში?
- რომელი ჩიტი იმყოფება მარტოდ ბუდეში?

მეორე აშული:

- მზე რომ ამოდის, ვარსკვლავები ჰქრებიან.
- სინათლე წყალში არა სველდება.
- მიწაში არ ჭუჭყიანდება თვალი პატიოსანი.
- გული ის ჩიტია, რომელიც მარტოა ზის ბუდეში.

როგორც სჩანს, ასეთი პიესების ტრაქტოვკა მხოლოდ საბაექრო დიალოგებით განისაზღვრებოდა; ეს ჭკუის სავარჯიშო მომენტები სავსე იყო ინტრიგითა და მოულოდნელობით.

მოსწრებული პასუხები ხალხში დიდს აღტაცებას იწვევდა.

ყოველი მოქალაქე ადგილის დასაქერად ადრევე მიდიოდა მოედანზე და „მუქთად“ ისმენდა აზრებს კაცთ-მოყვარეობაზე, სიკეთე-სიავზე, პატიოსნებაზე, ერთობა-სიყვარულზე და სხვ.

თუ მაღალი საზოგადოება კერძო სახლებში მართავდა წარმოდგენებს,¹⁾ ჩვენი აშულები საესტრადო ხელოვნების განსავითარებლად მიმართავდნენ მოედნებზე გამოსვლების ფორმებს. ასეთი სალიანგო სანახაობა, რომელიც ცისქვეშ უფასოდ იყო მოწყობილი, ხალხისთვის უფრო მისაწვდენი და გასაგები იყო, ვიდრე საეკლესიო ღვთაებებზე ბერების ბუნდოვანი ქარაზი.

ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ სამღვდელოება ნალლის წინააღმდეგ ხშირად ილაშქრებდა, ხალხი წირვას აღარ ესწრება და ამ გასართობით

¹⁾ ამასწინად, „ქართული თეატრის ისტორიის“ წერის დროს, ვათვალიერებდი სოლომონ დოდაშვილის (1804—1836) გახუთს და წავაწყდი ერთ ცნობას, საიდანაც მტკიცდება, რომ გიორგი ერისთავისებური თეატრი 1832 წელსაც ყოფილა. „წარსულ კვირას, — სწერს გახუთი, — იყო თეატრი ერთსა ჩინებულსა სახლსა შინა და საკურვლად წარმოადგინეს, უკეთესად არ შეიძლება“ (იხ. „ტიფლისის უწყებანი“, 1832 წ., № 2, გვ. 47).

ირყვნებაო. მიუხედავად ამისა, „ნაღოს“ რამდენიმე ათეული წლის ისტორია აქვს და გადაეარდა ოთხმოციან წლებში, როცა ტფილისის განაპირა უბნებს „სახალხო წარმოდგენები“ მოეფინა.

„ნაღოს“ — ეს მოძრავი თეატრი — მხოლოდ ზაფხულობით არსებობდა.

ზამთარში?

ზამთრის გრძელ ღამეებში მათი ასპარეზი ყაყახანები იყო.

მე მინახავს შეითანბაზრის ყაყახანებში თურქი აზული, რომელიც სახით ხელში დადიოდა და დამსწრეებს მთელი ორი-სამი საათის განმავლობაში შეუწყვეტლივ უამბობდა აღმოსავლეთის რომელიმე გმირის თავგადასავალს („ქაროლი“, „ლეილ უ მეჯუნ“, „აშულ-ყარბ“: „შაქისმაილი“ და სხვ.); პარალელურად ზედასართულების ყაყახანებში იმართებოდა მინიატურული წარმოდგენები, რომლებსაც ხალხი დღესაც „ყარაგიოზას თეატრს“ უწოდებს.

ვინაიდან ყარაგიოზას წარმოდგენებს ხალხური ხასიათი ჰქონდა, ურიგო არ იქნება მოკლედ ამ თეატრსაც შევხვით.

ვინ იყო ყარაგიოზა და საიდან მომდინარეობს ასეთი თანრის თეატრი?

ყარაგიოზას შესახებ ასეთი ლეგენდა არსებობს:

სულთან მურადის დროს, ქალაქ ბრუსეში შენდებოდა უზარმაზარი მეჩეთი. უთვალავი კალატოზი მუშაობდა, მაგრამ მუშაობა როგორღაც ნელის ტემპით მიმდინარეობდა. გამოირკვა, რომ ვინმე ყარაგიოზა და ჰაჯივათა თავიანთი სხსაკილო ამბებით ართობდნენ კალატოზებს და ხელს უშლიდნენ მეჩეთის დამთავრებას. განრისხებულმა სულთანმა ბრძანება გასცა, ყარაგიოზასთვის და ჰაჯივათასთვის თავი მოეკვეთათ. განკარგულება სისრულეში მოიყვანეს, — მაგრამ მეჩეთის დამთავრებას მინც არაფერი ეშველა. სულთანს კი ყარაგიოზას აჩრდილი მოსვენებას არ აძლევდა; სწუხდა, იტანჯებოდა. ბოლოს სულთანმა მოიხმო შეიხი და სთხოვა, რომ ეს ურვა და სულის ქენჯნა როგორმე გაენელებინა. გამჭირახმა შეიხმა განიზრახა ყარაგიოზას და ჰაჯივათას გაცოცხლება: გამოსჭრა ტყვიდან ამ ორი ოხუნჯის მოძრავი ფიგურები, გაუკეთა ძაფები და გაჭიმულ ტილოზე აათამაშა, თვითონ შეიხი კი ფარდის უკან იდგა და ყარაგიოზას ენით უამბობდა. სულთანს სწორედ იმ საოხუნჯო ამბებს, რომლებსაც ეს გმირები ემსხვერპლდნენ... მაგრამ შეიხმა უტბათ დამალა ფიგურები, გამოვიდა ფარდიდან და სულთანს ასე მოახსენა: „ცხოვრება,

დიდო ხელმწიფევე, მოკლე სიზმარია; ყოველი ცოცხალი არსება, შზგაესად ყარაგიოზას და ჰაუჯივათას ჩრდილებსა, ლანდებივით გამოჩნდებიან, გაიფლვებენ და გაჰქრებიან. განა ღირს, დიდებულო მეფევე, რომ ამისთვის იტანჯო და ივალალო?“ ლეგენდა დასძენს, რომ შეიხმა ამ სანახაობით თითქოს გააცოცხლა ხალხის საყვარელი გმირებიო.

აი, ასე ჩაისახა ის პატარა ჩრდილების თეატრი, რომლის სამშობლოც ოსმალეთია და რომელიც თითქმის დღევანდლამდე ინახება ტფილისის შეითანბაზრის ყაფახანებში.

შემდეგ, ამგვარი წარმოდგენების შინაარსი უფრო ჩამოყალიბდა და პიესა სხვა-და-სხვა პერსონაჟებით გამრავლდა; ყარაგიოზასი და მისი თანაშემწის ჰაუჯივათას გარდა, ეკრანზე გაჩნდნენ: სასულიერო პირები, ქალები, ავაზაკები და სხვ., ოდნავი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ყარაგიოზას თეატრის რეპერტუარზე, მოვიყვანთ ერთი პიესის შინაარსს:

ბოლა, თერძი და ღურგალი დაძმობილდნენ და გზას გაუდგნენ. გზაზე შემოალამდათ. რადგან ავაზაკების შიში ჰქონდათ, გადასწყვიტეს, რომ ძილის დროს მორიგეობით დარაჯად დამდგარიყვნენ. პირველად დარაჯობა შეხვდა ღურგალს; ძილისაგან რომ თავი დაეღწია, ხის ქალის მანეკენი გააკეთა. შეხვდა თერძს დარაჯობის უფრი და იმანაც თავის მხრით ამ ხის ქალს ტანისამოსი შეუკერა. როცა დარაჯობა სასულიერო პირს ერგო; ესაც არ ჩამორჩა თავის ამხანაგებს, ლოცვა დაიწყო და... ამ ქალს სული ჩაედგა, გაცოცხლდა. ამ სამ ამხანაგს შორის დაიწყო ცილაობა: არა, ჩემია ეს ქალი და არა—ჩემია. რომელს ეკუთვნის. ეს ქალი? აი, ასეთი გამოცანაა გადასროლილი მაყურებლებში. ამ საჯარო გონებრივ ვარჯისში მთელი ხალხი იღებდა მონაწილეობას.

ბოლოს ეს „ჩრდილების თეატრი“ თავისი ყოველდღიურობით გადაიქცა სატირის თეატრად. აქ დასცინოდნენ ყველას და ყველაფერს: მაღალ და დაბალ წოდებას, ძლიერსა და სუსტს, საზოგადოსა და კერძოს, — ერთი სიტყვით, ეს „ვოდვეილად გადაქცეული დრამები“ ყველა საჭირბოროტო საკითხს თავისებურად აშუქებდა.

ამგვარი თეატრის სცენა დაახლოვებით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: დარბაზი სრულიად მწვანეობდა. თეთრ ტილოზე, რომელიც გაჭიმული იყო მთელ სცენაზე, სჩანდნენ რალაცა ბუნდოვანი ჩრდილები; ეს ჩრდილები თანდათან გარკვეულ სახეს იღებდა, ბოლოს კი ნათლად სჩანდა მინიატურული ხალხი, რომელიც ლაპარაკობდა, ცეკვავდა, კომბლებს იქნევდა

და სხვ., მაგრამ ესენი ნამდვილი მსახიობები როდი იყვნენ! ამ გადაჭიმულ ტილოზე აჩვენებდნენ აქლემის ტყავიდან ან მუყაოსაგან გამოჭრილ მოძრავ ფიგურებს; ამავე დროს ერთი კაცი, რომელიც ამ ფიგურებს ამოძრავებდა, ფარდის უკან იდგა და დამსწრეებს მომქმედი პირების თავ-გადასაფალს მოუთხრობდა, — ხოლო სადაც კითხვა-მიგება იყო საჭირო, იქ კილოს იცვლიდა და სხვ., ერთი სიტყვით, ეს ერთი კაცი, რომელიც ლეგენდის გმირის ყარაგიოზას სახელს ატარებდა, ყველა პერსონაჟების ნაცვლად თითონ ლაპარაკობდა: ქალურად, ვაჟურად, ომახიანად, ზილის ხმაზე; ეს „ბაძვა“ ისე არტისტულად იყო განსახიერებული, რომ მთელი ყაეახანა აღტაცებაში მოდიოდა და ხშირად წარმოდგენები ! დღე გრძელდებოდა.

„ყარაგიოზას ჩრდილები“ მკრთალი და პრიმიტიული გამოხატულება იმ სათეატრო ხელოვნებისა, რომელიც ხალხის ესთეტიური ტკბობის საშუალებად არის გადაქცეული უძველესი დროიდან. პირვანდელი ერთგვარი საღვთისმეტყველო იერი ამ სანახაობას შემდეგში დაეკარგა და გადაიქცა საერთო ვასართობად, პირველ სახალხო თეატრად, რომლის „მანგყენებსაც“ უფლება აქვთ თავიანთი კუთხე დაიჭირონ თეატრის გრძელს ისტორიაში.



მართო ყარაგიოზას თეატრი, ნაღლი, ყავახანები და სხე., აშკარაა; სავსებით ვერ დააკმაყოფილებდა ხალხის გონებრივ მოთხოვნილებას.

ხალხში გაიღვიძა „წიგნის კლდის“ სურვილი.

ტფილისის ძველი თაობა შროლოდ ხელთნაწერებს კითხულობდა და ხელთნაწერებს უსმენდა. „მნათობი“ სწერდა: „თქვენ შეხედებით მეღუქნეებს, რომელნიც გულ-მოდგინეთ კითხულობენ. ბეჟანიანს, ქალვაჟიანს, ბარამიანს და ვადაწერაში ერთი ორად ფასს აძლევენ.“¹⁾

ეხლა კი მათი მომღვეწო თაობა ვადაწერაზე „ფულს აღარ ჰხარჯავდა“ და ბეჭდვითი სიტყვით სარგებლობდა. გაჩნდნენ იაფ-ფასიანი წიგნების გამომცემენი: წოვინარაშვილი, აბაბტელოვი, მდივანოვი, ქიქინაძე, ჩარტკოვი, ელიგაროვი, კობალაძე, ლაზარევი (ყაზაროვი), ფაშბაკელოვი, ზარგაროვი, ლიზა მარჯანოვი, შემდეგ—იოსებ და ბაგრატ არნაულტოვები, ვანო ესალოვი, აღ. შახმარათოვი (შობრია), მიხ. ზარიძე და სხე.; ესენი ბეჭდავდნენ, როგორც აღმოსავლეთის ფანტასტიურ ზღაპრულ მოთხრობებს, ისე იმ დროინდელი პოეტების სახალხო ლექსებს.

ამ ხალხურ სიტყვიერებას ჩვეულებრივად მფარველობდა და რედაქტორობდა ჩუმი და დაუფიწყარი მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი. აი, რასა სწერს იგი თავის ავტობიოგრაფიაში: „1875—1877 წლებში სხვათა სხვათაგან გამოცემით და ძველი ხელთნაწერების ტექსტით ჩემი რედაქტორობით დაიბეჭდა: ბეჟანიანი, ალექსიანი, ქალვაჟიანი და თეიმურაზ-მეფის ვარდ-ბულბულიანი, ამ წვრილ მოთხრობათა და ლექსთა ბეჭდვა შრავალი იყო და არც კი ვიცი, რამდენს ბეჭდვენ და ვინ ბეჭდავს.“²⁾

პეტრე უმიკაშვილი მართალია. ტფილისის დაბალი მოსახლეობა ხარბად ეტანებოდა ამგვარ გამომცემებს. ზოგი წიგნი მხოცე და მეორემოცე

1) იხ. „მნათობი“ ნ. ავალიშვილის რედაქტორობით, 1869 წ., № XII. გვ. 6.

2) პეტრე უმიკაშვილი, (1838—1904): „ფურცა“, 1904 წ., № 123. და ე. გუნიას „საქართველოს კულტურა“, 1904 წ., გვ. 575.

გამოცემიდანაც გამოდიოდა და ათი-ათასობით ვრცელდებოდა მდამბიო ხალხში. „მართალია, ამ წიგნაკების უმრავლესობას შინაარსის მხრით დიდი ნაკლულევენება ახლავს, მაგრამ მათი ხალხში გავრცელება მინც არ იყო უსარგებლო და უზნიშვნელო... ვინ იცის არსენას ლექსმა მაგალითად, ან ქალვაჭიანმა რამდენი წერაკითხვის არ მცოდნე დააინტერესა ღ ქართული წიგნის სწავლის წყურვილი აღუძრა! „ნაკლულევენება ამ წიგნებისა კარგად ვიცოდით, — სწერს იგივე პ. უმიკაშვილი, — მაგრამ ჩემი საკუთარი საყვედური და სხვების საყვედური იმით გამიქარვებია, რომ ეს პირველი ნაკადული იყო, რომელიც დაიძრა და თუ ამ ნაკადულს ქუჩი მოჰყვა, ამას დრო წაპრცხს და წაიღებსო.“¹⁾

ასეთ წიგნებს ერთ დროს ზ. ჭიჭინაძეც პბეჭდავდა, როცა იგი მარქსისტული იდეებით იყო გატაცებული, თუმცა წიგნის წინასიტყვაობაში ხშირად თავს ასე „მართლებდა:“ „ჩემთვის დიდათ სამწუხაროა, რომ ამ წიგნს ვბეჭდავ, მაგრამ რასა იქმს კაცი, როცა ეს წიგნი ხალხში ძლიერ არის გავრცელებულიო“²⁾

სურვილ-გადვიძებული ხალხი ეატნებოდა იმ წიგნებს, რომლებიც მისთვის მისაწდომი იყო და რომლებსაც მას აწვდიდნენ.³⁾

ძველი მკითხველის გონება ამ ზღაპრული წიგნებით საზრდოობდა და ისიც დიდის ხალისით ელოდდა რომელიმე ახალი, გამოცემლების მიერ დაპირებულ, ზღაპრის დაბეჭდვას.

მაგრამ არ იქნება მართალი, თუ ამ „ძველი მწერლობისადმი“ სიყვარულს მხოლოდ ტფილისის მოქალაქეებს მივაკუთვნებთ. აღექსან დ რე ორბელიანი (1801—1869) თავის ერთ წერილში სხვა მალალ თხზულებათა შორის ამ „შაურთან წიგნაკებსაც“ ეხება: „ჩვენი წინაპრები, — სწერს ორბელიანი, — თუ ერთი ხელით იბრძოდნენ, მეორეთი სწერდნენ ისეთი სიტყვიერების წერილებს, როგორებიც არიან: არჩილიანი, ვარდულაშვილიანი, ქაცვია-მწყემსი, დავრიშინი, სიბრძნე-სიცრუე, ყარა-მანიანი, ბარამიანი, მირიანიანი, გულოჯანიანი“ და სხვ.⁴⁾

1) დ. გოგიაძის წიგნი: „პ. უმიკაშვილის სახსოვრად“, 1905 წ., გვ. 16.

2) იხ. „ალექსიანი“ 1886 წ., გვ. 3.

3) ერთი ყარაჩხოდელი ესალაფი იყო („იყო“ კი არა, ეხლაც ცოცხალია, ხარფუნში სცხოვრობს), რომელიც განიერ შარვლით და ვერცხლის ქაპრით დადიოდა ტფილისის ქუჩებში და კალათით წიგნებსა ჰყიდდა. ამრიგათ, ძველი ტფილისის ბაზარს, გარდა საკუთარი მწერლებისა, მატრებისა და გამომცემლებისა, — თავიანთი წილიდან წარმოშობილი მონეტრალე ბუკინისტებიცა ჰყავდა.

4) „ცისკარი“, 1858 წ., ივლისი, გვ. 128.

ჩვენ მიერ მოხსენებულ გამომცემლებს, რომელნიც მდაბიო ხალხს აწვდიდნენ ამ ზღაპრულ პოემების პროზაულ ვერსიებს, ჰქონდათ ერთდროულად? გემოვნება? თუ მხოლოდ მოგების მიზნით ხელმძღვანელობდნენ?

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ორიოდ წიგნაკის გარდა („ბარამიანი“ და ნაწილობრივად „სარამიანი“) მათი გამომცემანი კრიტიკის გარეშე იღვა. ტექსტი — შეუსწავლელი, გამოცემა — დატაკი, კორექტურა — ბარბაროსული, ილიუსტრაციები — პრიმიტიული.¹⁾ ზოგმა გამომცემელმა არამც თუ წიგნის წაკითხვა, თავისი სახელგვარის მოწერაც არ იცოდა (მაგ., ალ. შახბარათოვმა), ზოგს გამომცემელს თვითონ შექმნა და ტექსტში შესწორებანი.²⁾ იყო შემთხვევები, როცა გამომცემელი ავტორებს ერთმანეთში რეგდნენ. მაგ., გამომცემელმა მ. ზარბიძემ 1908 წ. გადაბეჭდა პოემა „სარიდონიანი“ (პირველი გამოცემა ეკუთვნის ქაიხოსრო ჩარექოვს 1879 წ.) და ავტორად სულ ახალგაზრდა გლეხი შიხ. ჯაქვაძე გამოაცხადა. ამაზე დ. გივიშვილმა ც შენიშნა:

„ერთ წიგნს იღებ და არქმევ
შენ მეორის სახელსა
და ხალხს მაგით ატყუებ,
თვალეზს უბამ მნახელსა“.

ცნობილია, რომ სასიმილო ლექსების ავტორები თავიანთ გვარს თუ ფსევდონიმს შიგ ტექსტშივე რითმავდნენ. მაგ.,

„მესამე ვსეთ, ღირს-ვარგა,
ყური დამიგდეთ კარგა —
ღმერთმა, დიდხანს გვიცოცხლოს
სქანდაროვა გიორგა“.³⁾

ამ ლექსს ალ. შახბარათოვის მიერ გამოცემულ წიგნში, ასეთი დაბოლოვებით ვკითხულობთ:

„მესამე ვსეთ, ღირს-ვარგა,
ყური დამიგდეთ კარგა —
ღმერთმა, დიდხანს გვიცოცხლოს
შიხრია შახბარათოვი“.⁴⁾

1) ზოგი რეცენზენტი ამბობდა: „ამით არა უშავს-რა, კაცმა იმდენი ყურადღება გარგვან ფორმას არ უნდა მიაქციოს, რამდენიც სიაფესა და ბეჭდვის გარვეულობას“ (იხ. „მნათობი“, 1872 წ., № 6).

2) 1872 წელს დაბეჭდილ „არსენას ლექსში“, გამომცემელს ნიკ. ყიფიანს, როგორც ბოლოსტყვიანი სიანს, თვითნებური შესწორებანი შეუტანია: „ეს კი უნდა აღიარო — სწორს „არსენას“ გამომცემელი — რომ ჩემდა სანუზაროდ, სხვა-და-სხვა მისწმინდის გამო, ატყუებული ვიყავი ზოგი ერთი ადგილი და ზოგი ერთი სიტყვები ვარიანტებისა შემეცვალა“ (იხ. ნიკ. ყიფიანის მიერ გამოცემული „არსენას ლექსი“, 1872 წ., გვ. 17).

3) იხ. „საღიზნო საზნადარი“, 1912 (შესუთე გამოცემა) წ., გვ. 232.

4) იხ. „ალავერდი-ილშიოდლი“, 1914 წ., გვ. 13.

განმარტება მტრია! გარდა იმისა, რომ გამომცემელმა ლექსის რითმა დაარღვია, სხვისი შრომა თავისად გამოაცხადა და ამით მკითხველი შეცლომაში შეიყვანა.

ამგვარი კურობების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ეს ორი ბეჭდური ნიმუშიც მხოლოდ იმითამ მოვიყვანეთ, რომ წარმოვიდგინოთ, თუ მკითხველი აუდიტორია რამდენად არ იყო გათვითცნობიერებული, როგორ ენდობოდა გამომცემლებს და ერთ ავტორს მეორისაგან ვერ არჩევდა. ¹⁾

რა იყო სულიერი საზრდო მაშინდელი აუდიტორიისა? რას წარმოადგენდა ეს ლიტერატურა? რითი იკვებებოდნენ ის სახალხო პოეტები რომელთა შესახებაც ქვემოდ უნდა გვექონდეს ლაპარაკი?

ეს იყო ერთის მხრით, აშუღების ზეპირი სიტყვები და მეორე მხრით, ის უთვალავი ზღაპრები, რომლებიც იაფ-ფასიან წიგნაკებად იბეჭდებოდა: ყარაშინიანი, ბარამიანი, ახრასიანი, ეთერიანი, ქორაოლიანი, ვარშაყიანი, ალექსანდრ-ლუდვიკიანი, კარხმალაჯიანი, როსტომ-ზურაბიანი, ბეჟანიანი, დავრიშანი, მირიანიანი, შუშანიკიანი, ალლუზიანი, სარიდონიანი, ალექსიანი, ქალვაყიანი, შვიდ-ვეზირიანი (თიმსარიანი) და სხვ. ამ ზღაპრულ მოთხრობათა შორის ყველაზე პოპულიარული იყო „ქალვაყიანი“. „ყარაშინიანი“ და „შვიდვეზირიანი“. თუ შვიდვეზირიანი, ეს შესანიშნავი კონსტრუქციით დაწერილი რომანი, ნაღვეი ერთ იყო ნათარგმნი. სამაგიეროდ „ყარაშინიანი“ ეს თუმცა შეიძლება გრამატიკულის მხრით გვეჩვენოს უსწორმასწოროდ, მაგრამ მდიდარია თავისი ფორმებით. სხვა-დასხვა ტენიკურ სიტყვებით და პლასტიკითაც. ²⁾

ერთის მხრით მშვენიერი ქართული „ყარაშინიანისა“ და, მეორეს მხრით, მისი ფანტასტიკური შინაარსი ბევრს მკითხველს თუ მსმენელს იზიდავდა. „მსმენელსაც“ იმიტომ ვამბობ, რომ ხშირად ყარაშინიანი ხმამაღლა იკითხებოდა და ოჯახის დანარჩენი წევრები კი ირგვლივ უსხდნენ და სულგანაბული უსმენდნენ, ფერიებმა პაპის საძებნელად როგორ

¹⁾ იაფ-ფასიან გამომცემლებს ხშირად მოსწავლე ბავშვებიც ეტანებოდნენ, და შიბრიან შახტარათოვებებს საშუალებით ბაზარზე გამოდიოდა მოუწიფებელი ვაჭრების ნაწარმოებები, რომლებსაც რამდენიმე წლის შემდეგ „ავტორები“ ბაზარ-ბაზარ აჯროვებდნენ მოსაპოვად და დასაწვავად. სხვათა შორის, ასეთი წიგნაკები იყო არ. ჯაჯანაშვილის „ორიოდე ლექსი“, ვიქტ. შატარაძის „სხვა-და-სხვა ლექსები“ ბ. ახოსიანი რელის „ფაფუკას ოინები“ და.—ბოდბე ვიხი, — ჩემი „ფანტაზია.“

²⁾ „ბოქვა“, 1904 წ., № IV, გვ. 112.

წაიყვანეს „ჰაიართ-უხუცესი“, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში ჰაერში ფრენის დროს ბალთასა სწოვდა და ისე იკვებებოდა.

ხალხი დიდის გაფაციკცებით ადევნებდა თვალუფრს ამ წიგნის გმირთა ფათერაკიან თავგადასავალს, ხარობდა მათი სიხარულით, იტანჯებოდა მათი ტანჯვით და ყოველივე წვრილმანს ისე განიცდიდა, თითქოს მომსწრე ან დამსწრე ყოფილიყოს ამ ზღაპრული ეპოპეისა: „მაშინ გარდანქეშანმა ზორაბ-შაჰს უბრძანა: ეს წყეულნი როგორც მიკრულნი არიან ისრევე გუდებთ დახადეთ, რადგანაც ამით ჩემ დატყვევებას ანბირ და ზანგ დევებს უთვლიდნენ, მაგრამ მე ჩემმა საბაოთ ღმერთმა მიხსნა მგათის ხელიდან; ეხლა მყარალმა რაჯიბმა ეგენი დაიხსნას... თითონ ხელმწიფები და ბანოვანნი ადგნენ და სასახლეში წამოვიდნენ, მაშინ საჰამანმა, გარდანქეშანმა და ზორაბ დევმა საჩქაროდ დევები მოიშველიეს და სამნივენი დაატყვევეს, შემდეგ გუდით ამოიღეს და ბზით გატენეს, მერე ქუჩუკის ბრძანებით ერთ ალაგას დაჰკიდეს“... ან კიდევ: „ჰეი ყარამან,—შესძახა მდევმა—სიკვდილისათვის რომ აქ არ მოსულიყავი, ნუ თუ შენს ქვეყანაში სიკვდილი აღარ იყო?... ყარამანმა მარჯვენა ხელი მარცხენას გვერდს შემოივლო, მარცხენა—მარჯვენას და ისეთი საზარელი ხმით შესძახა, რომ მსმენელნი უსულოდ იქმნენ, ცხენნი, მარტორქანნი და სპილონი დაფრთხნენ, დაწყვიტეს საბამნი და მიხდორს გარბოდნენ, ლაშქარნი ისე შეშინდნენ და შეიშალნენ, რომ მეორედ მოსვლა ეგონათ“...

საკმარისი იყო სულგანაბულ მსმენელებს გაეგონათ ყარამანიანის მეტაფორა: „სელიან-ჯადო და ქელან-ჯადო ვეშაპებზე შესხდნენ და გველები მათ რახებად დაიჭირეს“. ან-და მოესმინათ: ყარამანმა, ამ ას ოთხმოცდა ცხრამეტი წყურთის სიმაღლის კაცმა, როგორ დაიკივლა, როგორ ასწია „ყაფის მთა“ და სამი დღის განმავლობაში როგორ ეჭირა ხელში ასე აწეული, რათა თავისი ლაშქარი ქვეშ გაეტარებინა, რომ მსმენელები ბავშვურ აღტაცებაში მოსულიყვნენ და საერთო ყიყინა აეტებათ.

ან ტონ ფურცელ აძე (1838—1913), ულოლიკოს ფსევდონიმით „ყარამანიანი“ შინაარს „დანჯღრეულ და გალალეზულ ოცნების სიზმარს აღარებს“. ¹⁾

მაგრამ, ჩემის აზრით, ეს სასტიკი განაჩენი შეუფერებელი უნდა იყოს ისეთი ნაწარმოებისთვის, რომელიც თავისი შესანიშნავი მეტაფორებით და რაინდული შინაარსით, ერთის მხრით ესთეტიურ გემოვნებას უღვი-

¹⁾ იხ. „ცისკარი“, 1863 წ., სექტ., გვ. 90.

ძებდა და მეორე მხრით ადამიანურ გრძნობებს უსათუთებდა იმ დროინდელ დაწერილმანებულ ცხოვრების წუმბეში ჩაფლულ მოსახლეობას.

სამართლიანად აღნიშნავს ე. თაყაიშვილი, რომ ქართულ ენაზე არ არის არც ერთი წიგნი, რომელიც მდაბიო ხალხში ისე იყოს გავრცელებული, როგორც „ყარამნიანი“. ¹⁾

ყარამნიანი ნათარგმნია ირაკლი მეორის დროს, სახლთუხუცესის და სარდლის დავეით ორბელიანის მიერ. ²⁾

ცალკე წიგნებად გამოცემის ინიციატივა ეკუთვნის სახალხო პოეტს დავეით ლაზარევს. ³⁾

ხოლო ლადო აღნიშნავს (1860-1904), „ყარამნიანი“ პიესად გადაკეთა (მ მოკ. და 11 სურათად), რომელიც ჩვენს სცენაზე რამდენჯერმე იყო წარმოდგენილი.

ძველად ყველა ქართულ ოჯახში „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად „ყარამნიანის“ უხარამზარი ხელთნაწერიც ინახებოდა (2500 გვერდიანი). „მზითვის სიგბი“ ხომ უყარამნიანოდ იშვიათი მოვლენა იყო! ამ წიგნს ერთნაირის ხალისით ეტანებოდა, როგორც დაბალი ხალხი ისე მაღალი საზოგადოება.

ნ. ბერძენიშვილი (1820-1875) ურჩევდა „ცისკრის“ რედაქტორს, ივ. კერესელიძეს, თარგმნების ნაცულად, „ყარამნიანი“ და სხვა ჩვენი ძველი მწერლობის ნიმუშები რომ დაბეჭდო, ყურნალი უფრო მოგვებული იქნებო. 1857 წ. „ცისკარში“ დაიბეჭდა ლიუდვიგ მე-XV-ის დროის ფრანგ მწერლის მარკონ ტელის „მეუღაბნოენი“, რომლის თარგმანიც ეკუთვნოდა იმ დროინდელ თვალსაჩინო მოღვაწეს სარდიონ ალექსი-

¹⁾ „Описание...“ ტ. II, გვ. 613.

²⁾ დავეით ორბელიანი (1716—1796) იყო სიძე ირაკლი მეორისა. ცოლად ჰყავდა ირაკლის ქალი თამარი. ქართულის გარდა მან კარგად იცოდა სომხური და სპარსული ენებიც. რამდენჯერმე დიპლომატური მისით წარგზავნილ იქნა სპარსეთში, საიდანაც მოიტანა ყარამნიანის ხელთნაწერი და ქართულად გადმოსთარგმნა (პროფ. კ. კეკელიძე „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ II, 1924 წ., გვ. 284). დავეით ორბელიანს ბესიკმა ოდაც უძღვნა. პოეტი მას უწოდებს: „ყარამნიანი დავეითს“ (იხ. სერგორგაძის „ბესიკი“, 1912 წ., გვ. 160).

³⁾ დავეით ლაზარევი (1832—1919) ტფილისელი მოქალაქე იყო, ნაღბანდის შვილი. იგი, როგორც ასოთაწერობი მომწრე იყო „ცისკრის“, „საქართველოს მოამბის“ და „ფრობისა“. შემდგომ ასოთაწერობას თავი დაანება და თავის გაეთან ერთად ალექსანდრეს ბალთან გააღო წიგნის სავაჭრო; დ. ლაზარევი სწერდა აგრეთვე სასიმღერო ლექსებს და სომხურადან თარგმნიდა მოთხრობებს (მაგ., რაფიეს „ხედსიძე“). ლაზარევი უფრო ცნობილია როგორც ყარამნიანის გამომცემელი. იგი უძღვნდა ყარამნიანის ხელთნაწერებს, თვითონვე აწიობდა, ყდას თვითონვე ჰბატავდა და კლიბესაც მზის ხეზე თვითონ სჭრიდა. სხვათა შორის, „ყარამნიანი“ მოთაყვებულა მტრად საყურადღებო, ფიროსმანის სტილის ილიუსტრაციები. რომლის ავტორიც ჩვენთვის უცნობია.

მესხიშვილს. 1) ნ. ბერძნიშვილმა „ცისკარს“ კრიტიკულად განხილვის დროს დაიწუნა ეს მოთხრობა და, სხვათა შორის, დასწერა: „ჩვენ გვაქვს ჩვენი საკუთარი ავლადიდება, რომელიც მოითხოვს ფაქტ განვითარებას და ღრმა შესწავლას, გვყავს პოეტები, პროზაიკოსები და რომანისტებიც. და მე ვამბობ, რომ ჩვენი ხალხი ნაწყვეტებს: ვისრამიანიდან. ყარამნიანიდან და ბეჟანიანიდან უფრო სიამოვნებით წაიკითხავს, ვიდრე რომელიმე დრომოკმულ ფრანგულ მოთხრობას.“ 2)

ყველა ამ მოთხრობებს თავისი აღწერილობის სიმძაფრით, სიუჟეტის მთლიანობით, შედარებათა ნაირფერობით და სიტყვის პლასტიური დაწყობით კარგა ხანს ჰყავდა დატყვევებული ქართველი ხალხის ლიტერატურული გემოვნება.

ხალხი ინსტინქტით გრძნობდა კარვად დაწერილ წიგნს და ნიკიერ აეტარს.

მართლაც, ნ. ბერძნიშვილისა არ იყოს, რატომ არ უნდა „წაეკითხათ სიამოვნებით“ ვისრამიანი? „ზოგჯერ ჯაქვსა შიგან ხრმალი შევიდის, ვითა წყალი, ზოგსა თვალთა შიგან ისარი შეეპარის, ვითა ძილი, ზოგსა გულსა შიგან შუბი შეეპარის, ვითა სიყვარული... ომსა შიგან ისარი მკერვალსა ჰგვანდა, მკერვალისებერ შეაყერის ხორცი უნაგირსა.“

მაგრამ დაუბრუნდეთ „ყარამნიანს“. ყარამნიანის ომის აღწერილობა სულ სხვა ხასიათისაა და სრულებით განსხვავდება სხვა აღმოსავლურ ზღაპრებისაგან. საინტერესოა ამ საგმირო ეპოპეიდან ერთი ბრძოლის სურათის გახსენება:

სპარსეთის მბრძანებელი წავიდა ინდოეთის დასაპყრობად. ინდოეთის მეფემ გაიგო იმის წინააღმდეგ ამხედრება და თითონაც, საბრძოლველად გამზადებული, მტერს წინ შეეგება. ძველად, როგორც მიღებული იყო, მთელი ჯარი კი არ აბრძოდა, არამედ რჩეული ფალანგები. ამ შეკვეთე-

1) იხ. „ცისკარი“, 1857 წ. № 1, 2; სარდიონ დიმიტრის-მე აღექსი-მესხიშვილი (1826—1863) იყო მანა ჩვენი სასიკეთლო მსახიობის და და მესხიშვილისა და დავით რეჟისორის ძმისწული. იგი პირველი ქართველი ექიმი იყო. რომელმაც პეტერბურგის სამხედრო დოსტაჭრული აკადემია დაამთავრა. სარდიონ აღექსი-მესხიშვილი არასოდეს არ ყოფილა ცენზურის თანამდებობაზე, როგორც ეს გ. რ. ყიფშიძეს და პავლე ინიგოროვსაც ჰგონია (იხ. ილიას თხზულებანი, მ. გუდვიანიშვილის გამოცემა, გვ. XXVIII) და „ქართული წიგნის“ გამოცემა, ტ. IV, გვ. 436). ის „მესხივეი“ კი, რომელიც „ცისკარების“ გარეგანზეა ცენზორად გამოცხადებული იყო მეტეხელი მღვდელი ეფრემ აღექსი-მესხიშვილი (იხ. გიორგი ერისთავის თხზულებანი, 1884 წ. იონა მეუნარგიას წყრილი, გვ. LXV, და ვალ. გუნიანს: „საქართველოს კალენდარი“ 1893 წ. გვ. 429).

2) „Кавказ“, 1857 წ., № 4; ალ. ცაგარელიც უსაყვედურებდა „ცისკარს“— „ბოლო მოუღებელ თარგნულ რომანების ბეჭდვას“ (იხ. „ცისკარი“, 1865 წ., № 3, გვ. 25).

ბაში ორივე მხრიდან ბევრი თვალსაჩინო ფალავანი დაიხოცა, „მოლაშქრეთა თავები მიწაზე ხეთა ფურცელივით სკვიოდნენ.“ ბოლოს სპარსეთის ლაშქრიდან გამოვიდა „თორმეტი სახელოვანი ფალავანი“, რომელთა შორის იყვნენ, ბარამჯიბილი, გარდანქეშანი და ყათრანი (ყარამანის ბიძაშვილი). ამათ ინდოეთის ლაშქრიდან გამოსული ფალავნები დაამარცხეს. სპარსეთის ლაშქრის წინააღმდეგ გამოვიდა ინდოეთის მეფის ასული „აკლოუტა დედოფალი“ — სარეი-ხურამანი. სარეი ხურამანი კაცურად იყო ჩაჩქან-გადაცმული. იმის ფაჟობაში არავის არ შესლიოდა ეჭვი, გუმანი ვერავინ აიღო. სარეი-ხურამანმა სპარსეთის რამდენიმე გულადი ფალავანი ერთი ლახტის მოქნევით დასჯაბნა. სპარსეთის ლაშქრის სახელის აღსადგენად სარეი-ხურამანთან შესაბრძოლებლად გამოვიდა თვით ყარამანი თავის ექვსფეხა რაშით. ორთავე ლაშქარში ატყდა ხმიანობა: „ჰეკარ, მოჰკალ, შეჰკარ, შეიპყარ.“ მთელი დღე გაგრძელდა „ომი ფიქვლი“, ომი სასტიკი და უმაგალითო; ვერცერთი მებრძოლი ვერა სჯომნიდა და ორივენი „იკინებოდნენ.“ როცა მებრძოლთა გასაშველებლად „შურის ეამს გასაყარს ნალარას შეჰბერეს“, მოწინააღმდეგენი გაშველდნენ. ორ ლაშქართ შორის თითქმის დამყარდა მშვიდობა. მაგრამ ყარამანი და სარეი-ხურამანი ისე იყვნენ ბრძოლის ჟინით ატეხილნი და ერთმანეთის წინააღმდეგობით გალიზიანებულნი, რომ ლამით. ჩუმად გაიპარნენ ლაშქრიდან და „შორეულ ადგილას, მთის ძირში“ განავრძეს დაუზოგავი ბრძოლა. აქ ერთმანეთს შეამტერიეს და შეაღეწეს ლახტი და აბჯარი, შუბი და ხმალი, გურზი და ბევთარი, ერთი სიტყვით. „ჯაჰესა და ჯავშანსა ერთმანეთს ზეწარსავით ახვედნენ.“ საბრძოლველად რომ იარაღი აღარ დარჩათ, მაშინ ეს ორი რაინდი — ყარამანი და სარეი-ხურამანი — ძალდაძალ ეტაკნენ ერთმანეთს და გაიმართა ხელჩართული ქიდაობა... ბოლოს, როგორც იყო, ყარამანმა მოიკრიფა თავისი უკანასკნელი ძალ-ღონე, სარეი-ხურამანი დაბოჰა წელში, ასწია მალლა და გამეტებით დაანარცხა მიწაზე. სარეი-ხურამანს გული წაუვიდა, აქ მას თავისდა უნებურად მოსძვრა მუზარადი და ძირს ვადმოეყარა „სუმბულის მზგავსი კავ-ზილფნი.“ ყარამანმა დაინახა რომ მისი იშვიათი მეტოქე ქალი იყო, ინდოეთის მეფის ასული, მოასულიერა და ისევე თავის ლაშქარში გაუშვა.

აი, აქ ინასკვება მათი სასიყვარულო რომანის გორგალი, რომელიც მოთხრობის რამდენიმე კარში იშლება. ამათი დახმარებით შერიგდება ის ორი უდიდესი სახელმწიფო, რომელიც ერთდროს სამტროდ იყვნენ. ატეხილნი.

ყარაზნიანი იყო განცვიფრების და მოულოდნელობის წიგნი.

ამით აიხსნება შისი პოპულარიზაცია და ის დაუბერებელი სილაზათე, რომელიც ხშირად თანამედროვე მკითხველსაც იზიდავს.

არა ნაკლებ უყვარდა ხალხს რუსულ დანიანი რომელიც ხელთ-
ნაწერად ვრცელდებოდა დაბალ ხალხში; ასლის და ქიარიმას თავ-
გადასავალი; ყარაზოლის ამბავი; შვიდევიზირიანი ჭ სხვ. ყველა
ეს თხზულებანი მხატვრული ენით, მოსწრებული სიტყვა-პასუხით და გო-
ნება-მახვილობის ნიმუშებით არის აფერადებული.

მაგალითად:

რუსულ დანიანი. მეფის-ძე ნადირობის დროს ირემს მოჰკლავს.
დაჭრილი ირემი, რომელსაც აღმოაჩნდება: „რქა—ოქროსი, ჩლიქები—შავი.
მკერდი—თეთრი და წითელი ზურგი“, მეფის-ძეს ეუბნება: „მე ამდ მოველ,
რომ მსურდა იაგუნდის ქალაქში წამეყვანე, იქაურ ხელმწიფის ობოლ-ქალზე
საქორწილოდ. მე ვკვდები... ჩემი მარჯვენა კოჭი ამოიღე,—ჯარი ნუ
გინდა, თორემ ვერ მიხვალ გამოქვაბულში,—ეს ჩემი კოჭი ააგდე და
სითაც შაქს დაჯდეს, იქით იარე და სადაც ის ქალია, იქ მიხვალო.“¹⁾

ასლი და ქიარიმას ლირიულ სცენებში ერთი მშვენიერი ადგი-
ლია: შეყვარებული ქიარიმა საზს უკრავს და თავის სატრფოს სიმღერით
კაბის ღიღებს უხსნის; ღიღები ისეა მოწყობილი, რომ, როცა სიმღერა
უქანასენელ ღიღამდე მიაღწევს, მთელი კაბა ისევე ხელახლად იკვრება.

ჩვენს აუდიტორიას იზიდავდა არა მარტო ასეთი სასიყვარულო
რომანტიკა, არამედ თვით ყაჩაღ „ქოროლის“ ცხოვრებაც თავისი „შავი
ბედი“; რაინდული თავადასავალით და სვედიანი სიმღერებით.

¹⁾ ტფილისელებს აქვთ აგრეთვე პატარა არაყები, რომლებშიც გამოხატულია თავისებური,
შეხედულებანი ზნობაზე, ყოფა-ცხოვრებაზე და სხვ.; მოიყვანთ ორ ნიმუშს:

1.

ერთხელ შევირბინე მწვრები და ქვეწარმავალი. გამართეს თათბირი იმის შესახებ,
საქმნად რომელ ცხოველს უფრო ტყბილი სისხლი ეწებოდა! დიდი კამათის შემდეგ
სისხლის გასასინჯად კოლო გაგზავნეს. კოლომ ყველანი დაკბინა და დარწმუნდა, რომ
ადამიანის სისხლი ყველა ცხოველზე უფრო გემრიელი იყო. მაგრამ კოლომ ვერც-კი
მთასწრო თავის გამგზავნელებთან დაბრუნება, რომ მერცხალმა გაუგო, დაეცა და
ვადიდლავა.

2.

ახალგაზრდა პატარძალი კოშს ზელავდა. ჯერ საქმე არ მოეთავებინა, რომ თმის
გარეცხა დაიწყო. უცნაო დედამთილმა შეუსწრო. ახალგაზრდა ქალი შიშით და სიო-
ცხელით თავმოკრა ოფოფად გადაიქცა და გაფრინდა.

ქოროლლის ცხენის აღწერა ყველამ ზეპირად იცოდა:

— შეხე, ხანო, ამ ცხენის ნესტოებს—ხან განიერად იღება, თითქოს ცეცხლის ალი გადმოჰქშენავსო, ხან ერთის თვალის დახამხამებაში ნესტოები უცბად ეკუმშება; ამის ბარკლები ქორთა ჯეირნის წმინდა ბარკლებსა ჰგავს, თითქოს ისარივით გასაფრენად გამზადებულაო; ამისი ტუჩები ნორჩი აქლემის ტუჩსა ჰგავს—იგი მაშინათვე გრძნობს სადავის ოდნავ შერხევას; როცა ქერის ბარკლებს სჰვამს, ამისი პირი წისქვილის ქვასავით შრიალებს; ხერხემალი კურდღლის ზურგს ჩამოჰგავს; სწორი და გასიპული კული აბრეშუმით ვლევარებს და გველივით იკლავს; ამისი ყელი ფარშევანგის ყელს არ ჩამოუფარდება; ამისი თავი პატარაა და ზომიერი; თვალები ორ ვაშლს უგავს და კბილები—აღმასს. როცა ეს საჯინბოდან გამოჰყავთ, ჰაერს ეთამაშება და ონავარი ბავშვივით ჩლიქებით მიწასა სთხრის. ამისთანა ცხენის პატრონმა კარგად იცის თავისი რაშის ყადრი. შენ კი ამ ცხენისთვის მამაჩემს გახურებული შანთით თვალები ამოუწვი. მე რუშანი მქვიან, ბრმის შვილი—ქოროლლი; მე და ჩემი ცხენი, უგლიმო და საზიზლარო ხანო, თავისუფალნი ვართ. მოპრძანდით და დამიჭირეთ.—

ყარაბოლლის ამბებშიც არის გაბედული შედარებანი: „ღვეებმა უთხრეს ყარაბოლლის, სანთლის ცუდით რკინის კუნძი უნდა დასჩენოვო. ყარაბოლლი დაღონდა და სთხოვა, ცოტა მადროვეთო; რძალთან შევიდა და შესჩილა. რძალმა უთხრა, მაგაზედ რად დაღონდი, გამოიღე ჩემი თმა, სანთლის ცუდს ისე დაახვიე რომ ღვეებმა ვერ შენიშონ, დაქარ რკინის კუნძსა და მაშინვე ლუკმა-ლუკმა იქცევაო. ყარაბოლლიც ესე მოიქცა. ღვეებს გაუკვირდათ: ეს რა ყოფილაო! შემდეგ ღვეებმა უთხრეს: აი, ეს სავე თასი ამ აღვის ხეზე ისე უნდა აიტანო, რომ ცვარი არ გადმოაგდოვო. ყარაბოლლიმ უპასუხა, კარგი, ცოტა მადროვეთო; შევიდა რძალთან და შესჩილა. რძალმა უთხრა: მაგან როგორ დაგაღონაო! წაიძრო თითიდან ბეჭედი და გადასცა: ეს ბეჭედი ჩააგდე იმ თასში და ისე აიტან და ჩამოიტან, რომ ერთი ცვარიც არ გადმოვარდებოა. ყარაბოლლიც ასე მოიქცა. ღვეები დამარცხდნენ. ყარაბოლლიმ გაიმარჯვა და სხე...

შვიდ-ვეზირიანი? მართალია, „შვიდ-ვეზირიანის“ ენა არ არის ისეთი მკერძანი, როგორც „ვისრამიანისა“, ისეთი დაბაბისული, როგორც „სიბრძნე-სიკრუსა“, მაგრამ მთელი ეს წიგნი საესეა შვენიერი მოთხრობებით, რომლებშიც ქალთა ვერაგობა საუცხოო სიუჟეტებად არის დახვეწილი. მაგალითისთვის მოვიყვანთ ერთი მოთხრობის შინაარსს: იყენენ კოლ-ქმარნი, რომელთაც გაგიჟებით უყვარდათ ერთმანეთი. ერთხელ

ქმარი ხუმრობით დანას ათამაშებდა, დანა უტბათ ცოლს მოხვდა, და ხელი გაეკაწრა. ქმარი შეწუხდა როგორ მომივიდა, რომ ჩემს საყვარელს ხელი გაუკაწრეო, იდარდა, ივადა და ამ დარდს თან გადაჰყვა. ცოლი აღარ ჰშორდებოდა ქმრის საფლავს, დღენიადგ საფლავზე იყო. და ცრემლებით მოსთქვამდა თავისი ქმრის დაღუპულ საყვარულს. ბოლოს ამ ქალის ნათესავებმა აუშენეს საფლავზე პატარა ქოხი: რადგან სულსასაფლაოზე ხარ, ბარემ მანდ იცხოვრეო. დარჩა ქალი თავისი ქმრის საფლავზე და მთელ დღეებს ჰგოდებდა. იმ ქალაქში ჩვეულება იყო: ქურდს, ავაზაკს ჩამოაღრჩობდნენ, ჩამოკიდებულს დასტოვებდნენ და ყარაულს დაუყენებდნენ. მკვდარი რომ ვისმე მოეპარა, ყარაული სიკვდილით აგებდა. პასუხს: ჩამოღრჩობილის მაგივრად ყარაული უნდა ჩამოკიდებულიყო. ძელზე. ერთხელ, სწორედ ამ სასაფლაოს მახლობლად ჩამოჰკიდეს ერთი ავაზაკი და მკვდარს ყარაული დაუყენეს, რომ ნათესავეებს არ მოეპარათ. იმ ღამეს ამოტყდა საშინელი ქარაშოტი და ყინვა. ყარაულმა სიცივეს ველარ გაუძლო. სასაფლაოსთან შენიშნა რაღაც ქოხი, რომელშიაც ცეცხლი ენთო. მივიდა და პატრონს სთხოვა, გავიყინე, ნება მომე შემოვიდე. ცოტას შევებები და ისევ მალე წავალო. ბევრი მუდარის შემდეგ ქვრივმა შეუშვა თავისთან. ყარაული შეთბა ცეცხლზე, მადლობა გადაუხადა და თავის სადარაჯოზე დაბრუნდა. მაგრამ რას ჰხედავს? მკვდარი აღარ არის! რა ჰქნას? გათენდება და ყარაული უნდა ჩამოეკიდოს მის მაგივრად, იფიქრა, იფიქრა და, რომ ვერაფერი მოახერხა, ისევ იმ ქვრივთან დაბრუნდა რჩევისათვის. ქვრივმა მოისმინა ყოველივე და ბოლოს ასე უთხრა ყარაულს: მე შენ მომეწონე და, თუ პირობას მომიცემ, რომ ჩემი იქნები, გამოსავალს გიჩვენებო. ყარაული დაეთანხმა. ქალმა უთხრა: ამოთხარე ჩემი ქმრის საფლავი და ის დაჰკიდე იმ მოპარულ გვამის სანაცვლოდ—მკვდარი მკვდარია და ვერაფერ ვერაფერს შეიტყობსო. ყარაულმა საჩქაროდ ამოთხარა იმ ქალის ახლად გარდაცვლილი ქმრის საფლავი, რომ განთიადისთვის ყველაფერი მოესწრო. მაგრამ როცა ამოღებულ გვამს დააცქერდა, ყარაული შეკრთა. ქვრივი შეესიტყვა: „რა მოხდა?“ ყარაულმა უპასუხა: ვაი ჩემს თავს, იმ კაცს, რომელიც მოიპარეს, კბილები სულ არა ჰქონდა, ამას კი საღი კბილები აქვსო.“ „მერე რა მოხდა, — უთხრა ქვრივმა, — აიღე ქვა, ჩაარტყი და არც მაგას ექნება კბილებიო“. ყარაულმა ვერ შესძლო ამის ასრულება. მაშინ ქვრივმა თვით აიღო ქვა და თავის მკვდარ ქმარს კბილები ჩაუმტვრია. ყარაული კიდევ უოყმანობდა. ქვრივი კვლავ შეესიტყვა; „რა მოხდა?“ ყარაულმა უპასუხა: „იმ კაცს სასირცხო არა

ჰქონდა, ამას კი აქვს და ვაი თუ შეიტყონო. ქალმა უთხრა: „მერე რაღას უყურებ? აიღე, ხმალი და წარკვეთეო.“ ყარაულმა კვლავ ვერ შესძლო ამის ასრულება, მაშინ ქალმა ყარაულის წააძრო ხანჯალი და მეუღლეს სასირცხო მოჰკვეთა. ყარაულმა წაიღო ამ დიაცის ქმრის გვამი, დაჰკიდა მოპარულ ავაზაკის გვამის მაგივრად და ამგვარად გადაარჩა სიყვდილს. როცა ქვრივმა ყარაულს პირობის შესრულება მოსთხოვა, ყარაულმა უპასუხა: „შორს, ვერაგო დედაკაცო, შენს მკვდარს ქმარს რომ ეს საქმე დამართე, მე ცოცხალს რაღას მიზამო!..“

ბარამიანი?

ბეჟანიანი?

დავრიშანი?

მაგრამ კმარა! ეს ორიოდე ნიმუშიც საკმარისად ამტკიცებს იმას, რომ ჩვენი ძველი მწერლობა სავსეა სარომანო სიუჟეტებით, ხლართით, ინტრიგით, მოულოდნელობით, — და რა კარგი იქნებოდა, რომ ეს მდიდარი ლიტერატურული მასალა ზოგჯერ მაინც გადაეთვალეფრებინათ იმათ, რომელნიც თავიანთი მოღვაწეობით მხატვრულ შემოქმედებასთან არიან დაკავშირებულინი!

აი, ასეთი იყო ჩვენი ძველი ტფილისის ბიბლიოთეკა!

აი, ეს „ბაზრული მწერლობა“ იყო ჩვენი სახალხო პოეტების შემოქმედების დერიტა.



სასიმღერო ლექსებს, ამ ქალაქურ პოეზიას, ტფილისის მდაბიო ხალხი ძლიერ ეტანებოდა. თუ ზღაპრული მოთხრობები მათ ფანტაზიას „ასუ-ქებდა“, სასიმღერო ლექსებს, ყურში ჩაწვეთებისთანავე იზებირებდა, ლილინებდა და ავრცელებდა.

გივიშვილი, სკანდაროვა, ჰაზირა; შემდეგ: განჯისკარელი, იეთიმ-გურჯი, ბეჩარა და სხე., რომელნიც თავისი მხრით აღზრდილნი იყვნენ ბესიკის, საათნოვას, ალ. ჭავჭავაძის, ალვან-ოღლიანის, ბუდალ-ოღლიანის, ქიჩიკნოვას, ფერ შანგიშვილის. შაში-მელქოს და სხვათა მუხამბაზებით, — ეს მგოსნები, ეს სპარსული ყვავილების პირველი მებაღენი, მდაბიო ხალხის ტენის მეჯლისზე მუდმივი თარეები იყვნენ.

დიდი ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანი, ადრე თუ გვიან, ყველასთვის გასაგები ხდება. ნიჭი ძვირფასი ზოდია, რომელიც ხშირად მიწის გულშია დამალული. ამას უნდა პოვნა, აღმოჩენა, გამოაშკარაება, წახნაგვა.

ისტორიას არა ერთი მაგალითი ახსოვს, როცა თავისი ეპოქის მიერ უარყოფილი მწერალი, თანამედროვეთაგან დაიწყებული, რამდენიმე თაობის შემდეგ ბედნიერი მკვლევარის კალმით აღმოჩენილი, ხალხის სიამაყე გამხდარა.

მე არა ვარ ასეთი „ბედნიერი“ და არც „სიამაყის“ ფირმანებს ვარიგებ.

მე მხოლოდ მინდა დაიწყების სუღარა მოვაცილო ადამიანებს, რომელთა შემოქმედებაც ტფილისის მდაბიო ხალხის რამდენიმე თაობას ასაზრდოვებდა.

ერთხელ ფლობერს აზრად აქონდა, ბანკეტი გაემართა და მხოლოდ ის მწერლები მოეწვია, რომლებიც კრიტიკის მიერ აბუჩად იყვნენ აგდებულნი.

ჩემი ყურადღებაც ამ შემთხვევაში დიდხანს არ გაჩერებულა რომელიმე ცალკეულ პიროვნებაზე; მე ეს მწერლები, როგორც მოჭრილი ჰურის ძნა, ავიღე ერთად, მოვიტანე ხელოვნების კალოზე და მინდა მკითხველთან ერთად დავმარცვლო.

ჩვენი საუკუნის ქართული პოეზია ფართოდ დაემყნო აშუღურ პოეზიას და მისი ლონიერი ნაკადებიც შეიერთა. შემდეგ კი, ცხოვრების პირობების შეცვლამ შესცვალა ტფილისის ხალხური პოეზიის ფორმებიც და ის უკვე გადავიდა „წიგნურ“ ნიადაგზე. გამოჩნდნენ ნიჭიერი ყარაჩოღელი კალმოსნები, „გვირისტი“ შეკერილნი და არა ბამბის ძაფით დაბლანდულნი¹⁾, რომლებმაც შექმნეს დემოკრატიული მწერლობის მთელი ხანა.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქის დაბალ ფენებში წარმოიშენენ ისეთი თვალსაჩინო ფიგურები, როგორებიც იყვნენ: სკანდარნოვა, გივიშვილი და ჰაზირა. ესენი იყვნენ გამგრძელნი, რასაკვირველია, პატარა მშტაბით, ბესიკის და საჯათნოვას ლიტერატურული ენარისა.

თუ ძველ ლექსებს სათაურად ჰქონდა: „შარიშური შუშტარ მუხაღიფის ხმაზე“, ან „ბირ გიუნ გედალ, ახ, ბილმანამის ხმაზე“, — ხლები თავიანთ სიმღერებს ასე ასათაურებდნენ: „ახ, ინჩ ანიმ, ვუნც ანიმის ხმაზე“, „ბოჯე მოის ხმაზე“, და სხვ.

ჰაზირაზე ვილაპარაკებ ქვემოთ. ამ ეპოქაში თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო ორ მოღვაწეზე: დავით გივიშვილზე და გიორგი სკანდარნოვაზე, რომლებმაც თითქმის ერთდროულად გაინფარდეს ხალხური მწერლობის უცნობ იალაღზე.

ეს ორი მგოსანი ქალაქის დაბალ მოსახლეობაში ისეთივე პოპულარობით სარგებლობდა, როგორც ზედა ფენებში — ილია და აკაკი; მაგრამ ეს ორი პოეტი ისე გარდაიცვალა, რომ მათზე ერთი ჩქამიც არ დაძრულა.

სკანდარნოვას გარდაცვალება ვერაფერ ვაიგო. საჩქაროდ ჩაქედეს კუბოში და უბედურად დაკრძალეს; ხოლო გივიშვილის კუბო ოთხმა დაქირავებულმა ჯარის კაცმა წაასვენა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. არც დატრეხა. არც სიტყვა. მხოლოდ გივიშვილის თორმეტი წლის ვაჟს აღმოხდა ეს ოთხი სტრიქონი:

„რად დაშორდი მამიქემო,
რად გამწირე პაწაწინა?
დაჩგრულად გავიზარდე,
არა მქონდა არსად ბინა!“¹⁾

¹⁾ ტფილისის ქალაქის გაბეგობამ ყოფილ სობორის ქუჩას დაეით გივიშვილის ქუჩა უწოდა (იხ. „ტფილისის ქუჩები“, 1926 წ., გვ. 67), სკანდარნოვას ქუჩა კი ჯერ კიდევ უუცხაა.

წერილობითი ბიოგრაფია არც ერთზე, არც მეორეზე არ დარჩენილა, მიუხედავად იმისა, რომ თვითუღმა მათგანმა თითქმის მთელი ნახევარი საუკუნე იმოღვაწა და თვითუღლ მათგანს 30-მდე სხვა-და-სხვა ხასიათის ლექსთა კრებული აქვს გამოცემული.

მათი ჩამოთვლაც კი საინტერესოა.

არსებობს მოსახრება—მთელს მსოფლიო ლიტერატურაში მხოლოდ რამდენიმე სათაურია ისეთი, რომელიც ნაწარმოებს საესებით შეეფერებაო. ასეთი ძნელი ყოფილა სათაურის შერჩევა! გიორგი სკანდაროვასთვის ისევე, როგორც სხვა მის თანამედროვე მწერლებსთვის, ეს სიმძლე არ არსებობს. სათაური აქ სულ სხვა დანიშნულებას ემსახურება. სათაურმა მოვარაყებულ არშისავით თვალი უნდა მოსჭრას და თავისი შინაგანი უცნაურობით და ახირებულობით ცნობის მოყვარეობა აღძრას მიზეზიან მკითხველში!

ჩვენ ეს სათაურები მთლიანად მოგვყავს, რომ მკითხველმა სრული წარმოდგენა იქონიოს მათს სტილსა და კონსტრუქციასზე.

გიორგი სკანდაროვა:

1. სახალხო მეჯლისი და სხვა-და-სხვა ახალი სიმღერები;
2. მსუნაგი კაცის ცხოვრება, ორთქალაში ლოთების ქეიფი და სხვა-და-სხვა ახალი ლექსები;
3. კალიების და კაცთკალიების ვითარება;
4. ვუძღენი პასუხად თელაველ მწყერადეს;
5. საარშიყო სარკე, სხვა-და-სხვა ახალი ლექსები და სიმღერები;
6. მიზურნე, სახალხო ახალი ლექსები, სიმღერები და სატირები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან;
7. ჯიგი-ჯიგი, ვახე-ვახე და სხვა ახალ-ნახალი სიმღერები, ამის პლასტიკა გრამაფონში ნახეთ;
8. სახალხო ახალი პატარა ჩანგი, სცენები, სატირები, კუმლეტები და ახალი გამოგონილი ლექსი ბიძაშვილზე;
9. საში პურის ისტორია, ხალხური ზღაპარი-ლეგენდა და ორი სხვა ხალხური გადმოცემა ზოგიერთი მღვდლების გაუმიძღრობის შესახებ;
10. საშინელი ომის აპზეები, სამთა მოკავშირეთა და აესტრო-უგრეთის და სერბია-ჩქრნავორისა და აგრეთვე ოსმალეთისა;
11. ხუმარა მესტიორე, საინტერესო ლექსები თელაურ თხაზე და სიღნაღურ ვირზე და აგრეთვე რჩეული საარშიყო ლექსები, დაღუპული გეი ტ ტანიკი, სიმღერები და გამოცანები;
12. სალხინო სუჟრის მოსიმღერე;
13. უბედური ქალაქი, ჩარჩების თავგადასავალი და მათი ვითარება;

14. ერთობის დროშა, ახალი მთავრობა, ანუ მუშა-ხალხის აღდგომა;
15. ქართული კლუბის ლოტოს ამბავი; ¹⁾
16. სალხინო სუფრის მოსიშლერე ანუ ორთაქალის თარფი-თაიგული, საინტერესო წასაკითხი, ახალი ლექსები, სატირები და სიტყვაგამოსწორებული კუპლეტები ძველი და ახალი ოჯახის შესახებ (მეორე გამოცემა);
17. დარდანელის გახსნა და თავისუფლად მოკავშირეთ გემების მიმოსვლა ყოველ მხარეს;
18. მიმღერალი ქალი, სხვა-და-სხვა საარზიყო ლექსები, სიმღერები, სატირები და აგრეთვე გამოცანები;
19. ალავერდი-იანშიოლდი, სუფრაში სათქმელი სიმღერა და სხვა სალხინო ლექსები, რუსული მატყვით სათქმელი *Сырница* და *В саду розу посадила*;
20. ორთაქალის ქეიფი, დნგრ სოლომონას რიგის პური, ნამდვილი მომხდარი ამბავი ტფილისში 1870 წელს;
21. საარზიყო ჩანგი;
22. ტრაპიზუნდის დაპყრობა და ბალდაღზე გალაშქრება;
23. კინტო საქულას შიქასტა და ბაიათები;
24. ჩემი საკრავი, ახალთაობის სახალხო ლექსები და სატირები;
25. სამეჯლისო-ობხუნჯი, სასაცილო და საოხუნჯო ლექსები, სიმღერები და კუპლეტები და აგრეთვე თელავის სიმღერა თავის დარკვალუბითა;
26. იშვიათი საოჯახო სამეცნიერო სიზმრის ახსნა, სოლომონ ბრძენისა და ეფრემ ვერდის წინასწარმეტყველებით [შედგენილი მხატვარ ქ. გრიგორიანციისა. გ. ი. სქანდაროვას რედაქტორობით];
27. უცნაური ამბავი ორსულთა და შშობიარეთა კასისა ანუ კეთილშობლური შანტაჟი და გასაკვირელი აფერა [მეორე გამოცემას ემატება: გასაკვირი სიზმრის ნახვა ტერ-ხიპოლოზის კასაზე და იმის დაარსება თავდაპირველად თელავში და სწრაფი ტელეგრაფი საიქიოდან მეფისტოფელისაგან ქეთევან რუთიაშვილს];
28. გასაცინარი ანეგდოტები ხოჯა მოლლა ნასრ-ედ-ინისა;
29. ახ, თვალებო! თვალებო!
30. სალხინო სახანდარი, ანუ უკმ-დროების შემაქცევარი, სხვა-და-სხვა სიმღერების კრება ძველთა და ახალთა მწერლებისა. ²⁾

და ვ ი თ გ ი ვ ი შ ვ ი ლ ი :

1. მგოსანი, სიმღერები, რძალ-დედამთილის ვითარება, ვარდ-ბულბულიანი, ქალების მოღდა და სხვა ლექსები [გამოვიდა ხუთ გამოცემად];

¹⁾ ამ წიგნის გარეგანზე დახატულია ქალურად თავდაბურული მამაკაცები, რომელნიც დედაკაცებთან ერთად შუმოსხდომიან მაგიდას და ლოტოს თამაშობენ. როგორც სჩანს, ეს ლოტოს თამაშო, ძველდაც აღუღებდა ჩვენს მწერლებს. „ციცკარი“ სწორდაა „ოპ, ჩვენი კვანანაჟ! აჟ გავყარა შენი შეილები და ზრუნავდი ყოველთვის იმათის კეთილ მდგომარეობისათვის? ო, ჩვენი დედებო, ჩვენი ძველნი დედათ ჩირალნო, თქვენ. რომელთაც გიყვარდათ ქმრები თქვენს თავზედ მეტად, აბა. ვხლა აიხედეთ და შეხედეთ თქვენს შფოლებს!... და სხ. („ლოტოს მოქმედება ოჯახზე“ თ ა ვ ხ ე დ ი ს ა [ანტ. ფურცელაძის ფსევდონიმი] „ციცკარი“. 1868 წ. წიგნბერი, გვ. 106).

²⁾ ეს უკანასკნელი წიგნი წარმოადგენს ძველი მუხამბაზების ანტოლოგიას, გამოიცა ოთხჯერ, 1870 წ., 1872 წ., 1895 წ. და 1912 წ.

2. წალკოტი [ლექსი პირისსანახავით ქორწილზე];
3. თარფი;
4. მამის ხელით გაყიდული შვილი ანუ გულთმისანი ჯაბუკი;
5. მილიონერი მირზახანის სიზმარი და იმისი ანდერძი, სომხურიდან გადმოკეთებული;
6. მირზახანის ჩივილი და სხვა საკითხავი ლექსები;
7. ქოსას ხარი ანუ მოგზედა თუ არა? ქალო გამახარე; ქალი ხერხია;
8. ფერი ფერსა მადლი ლმერთსა, რძალ-დედამთილის ჩხუბი, საროსკიპო სახლი, მუნჯი მსახური მონოზნებისა, საკითხავი და სასიმღერო ლექსები, ანდაზები და გამოცანები;
9. შესხმა გრაფი მიხეილ ტარიელის ძე ლორისმელიქოვისა;
10. შესხმა განსვენებული ალექსანდრე ივანეს-ძე მანთაშვილისა;
11. რა დღეში ვართ?
12. როგორ შეიზარდა ხელმწიფის შვილი ლომთან ანუ ლომის გაზრდილი;
13. ჩუენო ტფილის ქალაქო და სხვა ლექსები;
14. ხალხური ზღაპრები;
15. ახალ სალდათებზე—ჯარის ქაცებზე, ლექსი და სხვა სიმღერა;
16. შენი გულისთვის შემწვარ ქათამს შევუბა; ¹⁾
17. ქალაქის ახალი ბოინი—საკლავის ახალი საყასბო, ეშმაკი და ფულის მონა და სხვა ლექსები;
18. სანთური, სასიმღერო და საკითხავი ლექსები;
19. სამი ეულიკი—ოინზახი; ტყუილის ეჭვით ქმარი ახჩობს ცოლს; სადაც წერილია, იქა სწყდება, იგაფები და სხვა გამოცანები;
20. ბაზარი (სულ გამოვიდა ხუთი გამოცემა);
21. თუთიყუში (ამ წიგნში გალექსილია არაკები „შვიდ-ვეზირიანიდან“);
22. ახალი მოდნის ქალი,
23. ყაჩალი ქოროლლი (ეს პოემა ოთხ წიგნად გამოვიდა);
24. მიფე ერეკლეს და ყენის ჭიდაობა;
25. საქართველოს სუფრა—თათრული შიქასტები თარგმანი თათრულის შინაარსით;
26. პაეარი და ტაქცია;
27. ქერივი რით სჯობს ქალწულსა?
28. სილნალში მცხოვრებლის სტეფანე ივანეს-ძე ლონიევის ცხოვრება და გარდაცვალება;
29. ლექსი ბრძოლის ველზედ გარდაცვალებულ ი. ზ. ჩოლოყაშვილზე;

¹⁾ ამ წიგნს საფუძვლად დაედო შემდეგი ლეგენდა: ერთ კაცს ჩამოღრჩობა ჰქონდა გადაწყვეტილი და მისმა მეგობარმა, ტუხაღის ტანჯვის შესამსუბუქებლად შესწვა ქათამი, შეეახა გაშხამით და მიუტანა პატიმარს ციხეში უკანასკნელ საუზმედ, პატიმარმა უთხრა: თუ ჩემი ხათრი გაქვს, უკანასკნელი ღუქმა ერთად გაეტეხოთო და, ნახევარი ქათამი შესთავაზა. ქათმის მიმტანმა ხათრი არ გაუტეხა, შესჭამეს და ორი გულითადი მეგობარი ერთად მოკვდა. (იხ. „აია სოფიას ვითარება“, ზღაპრული წიგნი ავთანდილ გულიევისა, 1913 წ., ნაწ. II, გვ. 18).

30. ომის სიმღერა და ბრძოლის ველზე დაღუპულ დათიკო ბებუთოვზე;
31. ლექსი განსვენებულ მელქო ბაღდასაროვზე;
32. ლექსი დანით მოკლულ პოლოსა მათუზოვზე;
33. ლექსი იოსებ სტეფანეს ძე ალმასოვის გარდაცვალებაზე;
34. ლექსი განსვენებულ იაკობ აბრაგუნზე.

რა ბედის დაცინება!

დ. გივიშვილი ყველა, ასე თუ ისე, თვალსაჩინო გარდაცვლილ ადამიანზე ლექსებს სწერდა, წიგნადაც გამოდიოდა (ეს იყო ქალაქის ხალხის მაშინდელი სამგლოვიარო განცხადება), თითონ კი ისე გარდაიცვალა, რომ არავის არ გაახსენდა ეს ნაამაგდარი ხალხური პოეტი. ტყუილად კი არ იწინასწარმეტყველა გივიშვილიმა:

„საფლავიც მჭირდეს მკვდარსა მდებარეს,
არვინ მოსძებნის ჩემთვის სამარეს!“

დავით სოლომონის ძე გივიშვილი დაიბადა 1850 წელს სამს ნოემბერს. გარდაიცვალა 1916 წ. პირველ იელისს.¹⁾ გივიშვილი იყო ტფილისის მკვიდრი, ძველი მოქალაქის შვილი (დ. გივიშვილს ეცვა ყოშებიანი ქართული კაბა), წერა-კითხვა დედამ ასწავლა. მამამ პატარა დავითი, სასწავლებლის ნაცვლად, შეგორდათ ბაზაზ შახნაზაროვს მიაბარა. აქ დაჰყო ქაბუკობამდე. პოეტი მოსთქვამს:

„სწავლა არ მომცა მშობელმა,
ამით ვარ ცრემლის მფრქვეველი,
სიცოცხლე გამწარებული
და ჩემი ბედის მწყვეელი“.

შემდეგ იყო მებაყედ (იღვა მნაკანოვის, აწ 9 არაგველის ხიღზე და პირუტყვის გასატარებლად, პატრონს დაწესებულ ორ კაპეციკის ახდევინებდა!). შემდეგ მოხვლედ დანიშნეს ქალაქის სასაკლოაოში. ამის შემდეგ „ბაზარნიკის“ თანამდებობას ასრულებდა, — ამ ადგილს შერჩა 25 წელიწადი და სიბერის დროს სარგებლობდა ქალაქის გამგეობის მიერ მიცემულ 15 მანეთიან პენსიით. უკანასკნელ დროს ავლაბარში (კახეთის ქ., № 8) გახსნა პატარა ფარდული, სადაც, წმინდა სანთლებსა და თავის ნაწერებს ჰყიდდა. გარდაიცვალა მოულოდნელად: სადილობის

¹⁾ რუსულ-ქართულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში (ივ. როსტომაშვილის რედაქციით, გამოვიდა შოლოდ 4 წიგნი) შეტყობით სწერია, რომ დ. გივიშვილი 1846 წ. დაიბადა (გვ. 720). ჩვენ ეს თარიღი „საიათნოვაშიც“ გაეიმეორეთ (გვ. 63, სხოლიო). მაგრამ პეტრუპაველს გელესიის წიგნების გადათქმა-აღწერების დროს აღმოჩნდა, რომ დ. გივიშვილი დაბადებულია 1850 წელს (იხ. ამ გელესიის გარდაცვალებულთა სიის წიგნი, № 230).

დრო იყო, ფითს სკამდა, უცბათ გადაბრუნდა და სისხლი ამოუვიდა პირიდან: ვიდრე მისი პატარა ვაჟი გიორგი ექიმს მოიყვანდა, შეპარულიყენენ ვილაც ქურდბაცაცები და მკედარი გაეძარცვათ... დ. გივიშვილს ზოგი წიგნი დაბეჭდილი აქვს რიჟა-ოლღანის ფსევდონიმით.

გიორგი ივანესძე სკანდაროვა ტფილისელი სომეხი იყო, ხელობით მხატვარი (მღებავი), შპალიერების გამზითავი, შემდეგში ამავე ხელობის მოიჯარადრე იყო; მამაც მხატვარი ჰყავდა. მისი ნამდვილი გვარია სკანდარიანი, საჯათოვას მიბაძვით სკანდაროვა, დაირქვა. ¹⁾ დაიბადა 1850 წ. 8 მარტს, გარდაიცვალა 1917 წ., 10 აპრილს.

ორივენი ღრმად მოხუცებულნი გარდაიცვალნენ.

ნუ თუ მართლა გართობის ხასიათი ჰქონდა მათ ლექსებს, როგორც ეს მათი წიგნაკების გარეგანზე აღნიშნული?

— „თარფი და სხვა გასართობი ლექსები“,

— „სალხინო საზანდარი—უქმ-დროების შემაქცევარი ლექსები“.

ჩემის აზრით, არ იქნება მართალი თუ ავტორებს დაუჯერებთ და მათ ლექსებს მხოლოდ და მხოლოდ უბრალო გართობის მასალად დავსახავთ. შეიძლება ავტორები, მართლაც, ფიქრობდნენ, რომ მათი წიგნები „უქმ-დროების შესაქცევად“ უნდა გადაქცეულიყო, შეიძლება ისინი, მართლაც, გასართობად სწერდნენ, „სანადიმოდ, სამღერეოდ, საშოკოდ, სალალობოდ და ამხანაგთა სართეველად“, მაგრამ ეს წიგნები სრულიად შეუფერებლად პირველდაწყებითი ანბანის მოვალეობას ასრულებდა და თვით ავტორებიც მდამიო ხალხისთვის, ასე თუ ისე, პატარა გოგებაშვილებად გახდნენ. ²⁾ საქმე ის არის, რომ ხალხს სწავლის სურვილი ჰქონდა, მაგრამ „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა“ ეს ვერ ხერხდებოდა. და, აი, ეს წიგნები, რომლებშიაც მდამიურად და ხალისიანად იყო აწერილი ბაზრის ყოველივე ღირსშესანიშნავი მომენტი, ხელიდან ხელში გადადიოდა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა ძალაუფლებურად თვითგანვითარებას ეწაფებოდა. ³⁾

¹⁾ თავისი გენეალოგიის დასაშვებებლად გ. სკანდაროვა ერთს ლექსს ასეთ შინაშინას უკეთებს: „ალექსანდრე მაკედონელს საპარსულად სკანდარ-ხურღალს უწოდებენო“ (იხ. მისი „სამეფლისო ობუნჯი“, 1912 წ., გვ. 10).

²⁾ მეტად საგულოსბმოა ის მოვლენა, რომ ამ „შურთან წიგნაკებს“ პირველ გვერდზე, ხშირად შესავალის ნაცვლად, დართული ჰქონდა მთელი ანბანი.

³⁾ ერთ ამგვარ წიგნს ზ. კ.—ძე წინასიტყვაობას უკეთებს: „ეს წიგნი ძველადგანვე დიდის წარმატებით ვრცელდებოდა მთელს საქართველოში და ჩემდა სანუზრთოდ ეს დღესაც ასეა... იმედია, ამგვარ წიგნების გავრცელებულს ცუდს აზრებთან ერთად წერა-კითხვა მაინც გავრცელდებაო“ (იხ. „ქალ-ვაჟიანი“, 1887 წ., გვ. 3).

ტფილისის მოქალაქეებს გასაოცარი აღლო ჰქონდათ. ისინი საკუთარი დაკვირვებით იკვლევდნენ გზას და სრულიად არა ჰგავდნენ ნიკოლოზოშვირის (1853—1915) იმ „პატარა გლეხს“, რომელიც „წიგნის მკოდნებს“ ასე ვედრება:

„ისმინეთ წიგნის მკოდნენო,
ჩემი ვედრება-სიტყვაი,
მასწავლეთ წიგნი, მასწავლეთ;
მასწავლეთ წერა-კითხვაი!“¹⁾

ტფილისის მდაბიო ხალხი თავისი ინიციატივით ეტანებოდა „წიგნსაც“ „წერასაც“ და „კითხვასაც“; თითქოს ყველაფერი ეს ხდებოდა ცუდლულ-ტურად და საღალბოდ; თითქოს ხუმრობდნენ, მაგრამ შექსპირის თქმისა არ იყოს „ხუმრობდნენ და ხუმრობითვე სწამლავდნენ ერთმანეთსა.“²⁾ ეს „საწამლავი“ მათთვის შარბათზე უშარბათესი იყო.

არჩილ ჯორჯაძე (1872—1913) ერთ ალავას ამბობს: „ხალხს იმდროს (იგულისხმება სამოცდაათიანი წლები) არა ჰქონდა საკითხავი წიგნი, „ბეთანიანი“, „ქალ-ვაჟიანი“, „ბარამიანი“—ეს თხზულებანი უფრო შეძლებულ ოჯახებში ხელთნაწერად ინახებოდა. ხალხისთვის გამოიცანიმ ხანებში რამდენიმე სიმღერა, „გამო მზეო“, „თვალებო-თვალებო“ და სხვ.“³⁾

თუ შეძლებულ ოჯახებად ჩავთვლით იმ „მედუქნებს“. ვის შესახებაც „შნათობი“ ლაპარაკობდა,⁴⁾ მაშინ მართალი იქნება ის აზრი, რომ „ხალხს არა ჰქონდა საკითხავი წიგნი!“

„გამო, მზეო“ და „ახ, თვალებო, თვალებო!“ სკანდარნოვას ლექსია.⁴⁾ ეს ლექსი მაშინ მოველინა ლიტერატურულ ბაზარს, როცა ქართული ენა პირდაუბანელი დადიოდა.

სკანდარნოვას ამ ლექსის შესახებ, აი რას სწერდა „შნათობი“: „ამ მოკლე ხანში ტფილისში გამოვიდა სახალხო სიმღერა: „ახ, თვალებო, თვალებო!“ ეს გამოცემა სახალხოა და ხალხისთვის აქვს მნიშვნელობა. ჩვენ ამაში მხოლოდ ამოვიკითხავთ ხალ-

¹⁾ ეს ლექსი და ამავე ავტორის მოთხრობა „ალი“ პირველად ლევ. ცაველის ფსევდონიმით დაიბეჭდა (იხ. „იფრია“, 1879 წ., № 4).

²⁾ არჩილ ჯორჯაძე: „თხზულებანი“, ტ. V, 1914 წ., გვ. 129.

³⁾ იხ. ამ შრომის გვ. 83.

⁴⁾ სწორედ ლექსია და არა ლექსები. რადგან ეს ორი სტრაქტონი ერთი ლექსის შემადგენელი ნაწილია, მისი დასტაღული, რომელიც სიმღერის დროს ყოველი ხანის შემდეგ შეიარება (იხ. გ. სკანდარნოვას „საღმანო საზანდარი“ 1912 წ., გვ. 186).

ხის სიბრძნეს და რწმუნებას. ეს არის ხალხის სულიერი მდგომაძრეობის სარკე და ზომა“... ცოტა ქვევით: „ხალხს უყვარს თავისი ქულის ნაყოფი და ძლიერ ხალისიანად მიეცემა ხოლმე იმის კითხვას. ვისაც უფრო უღივებია, ის გაიგონებდა, რომ „სახალხო სიმღერის“ გამოცემის შემდეგ, ჩვენს ქუჩებში ერთი ხუთად გახშირდა იმის სიმღერა; რა ნაირად გაუკვირდათ ზოგიერთებს, როცა იმათი ქულის შეილი ბექელში გამოსული ნახეს,—მაშინ როდესაც ეგონათ, რომ ბექელში საიმათო არა არის-რა. მე მქონდა შემთხვევა გამომეცადნა ხალხის აზრი ამ სიმღერის შესახებ; მე უთხარი ერთ პატარა კინტოს (რომელსაც თაბახი თავზედ ედგა და ატამსა ჰყიდდა), არ გინდა დაბეჭდილი „გამო მზეო“? იმას ჯერ ეგონა, რომ მე ვატყუებდი, მაგრამ კითხვა რომ დავიწყე ისეთ-ნაირად აცქვიტა უფრო, რომ ყველა შეატყობდა სახეზედ სიამოვნებას. „მოიტა ვიყიდიო“—წამოიძახა, მაგრამ, საუბედუროდ, აღმოჩნდა, რომ კითხვა არ იცოდა.“¹⁾

ამ ხალხის სულიერი ავლადიდების აწონ-დაწონვის და მათი მომღერლების პოეზიის გარჩევის დროს, ჩვეულებრივი კრიტიკული მეთოდებით ვერ დავეკმაყოფილდებით.

ეს იყო სულ სხვა ქვეყანა, თავისებური აზრებით გამიზნული.

„ზოგს სარჩო აქვს სახელადა
ზოგსა მკლავი მტერთ შემბმელად,
მე კი ესე ჩხაბუა მიჩანს
სახელად და საგონებლად;

მე მოვკვდები, ეს დარჩება,
ჩემს სახსოვრად ეს იქნება,
გივიშვილმა ქვეყანაზე
მით ირჩია გამდიდრება“.

ასე მღერის ხალხის ერთი მესაიდუმლოთაგანი დავით გივიშვილი.

გივიშვილის ლექსებში უფრო მოსჩანს ძველი ზღაპრების ბაჯალლო-იგი ეხება ყოველგვარ საჭირბოროტო საკითხს; გივიშვილში არის პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა. მისი სტრიქონები არ თაღლითობენ. გივიშვილი აღებულ თემას ბოლომდე ავარაყებს. რითმები იმ დროის შესაფერად სწორათა აქვს გამართული. მისი ქართული—ქართულობს.

სკანდაროვა დაუდევარი პოეტი იყო, ლოთი,—ამ სიტყვის ლოთური მნიშვნელობით. მამა ხშირად ეტყოდა ხოლმე: „მაგ სიმღერებს რომ იგო-

¹⁾ იხ. ელიოზიშვილი: „მნათობი“, 1869 წ., ნოემბ.-დეკემბერი. გვ. 5. (მეორე ნაწ.)

ნებ კარგია, მაგრამ ისეთი რამეც გამოიგონე, რომ ღერო აღარ დალიოო“.
სკანდაროვას კი „იაფოვანი“ სასმელი არ უყვარდა.¹⁾ სკანდაროვა
ყველა სასმელზე მეტად არაყს ეტანებოდა. თუ ევროპიელი ბოჰემისტი
კოკაინით იწვევდა ზეშთაგონებას, სკანდაროვა არაყს, ამ „პილატეს
კრემლს“ გადაჰკრავდა და წაიმღერებდა:

„დილის არაყი--
გულის ვარაყი!“

დ. გიგიშვილმა მიუთითა კიდევ ამ ნაკლზე:

„ჩემს ზნეს და ქცევას სძრახავ, მეც შენი ვთქვა აშკარა,
შენ ხომ ბევრჯელ გინახავს ის ლანთაკა-ყაზარა,
ეთრეოდა კარ-და-კარ არყის ლოთი მთხოვარა,
შენც მისი ფეხი დარჩი, იმისი ბარებარა“.

გიგიშვილი ჩუმი პიროვნება იყო, თავდაბალი და ხათრიანი. სკანდარ-
ოვა კი—დიდგულა, მედიდური და თავქეიფა.

ორივენი ხალხის საყვარელ მგოსნებად ითვლებოდნენ.

სკანდაროვა და გიგიშვილი ცოტათი კმაყოფილდებოდნენ და სახე-
ლის მოსახვეჭად ქუჩებში ქვებს არ ისროდნენ.

მართალია, მათ ლექსებში არ იყო ოქრო და მურღახილი; მართალია,
მათი ქართული არ იყო ისეთი მერხვეი, როგორც თანამედროვე პოეტე-
ბის სიტყვა, მაგრამ მიუხედავად ამ ნაკლისა, ამ ორ მწერალს დიდი პოე-
ტური ინტუიცია ჰქონდა.

დ. გიგიშვილის წიგნებს შორის ყველაზე მეტად გავრცელებული იყო
„მგოსანი“, „ბაზარი“, „თარფი“, „თუთიყუში“ და „ქოროლლი“. ეს
წიგნები რამდენიმე გამოცემად გამოვიდა.

მის ლექსებში ცნობილია:

1. „ერთი წვეთი სისხლი ვიყავ უმანკო
შეუმჩნევლად მამის წელში მდგარი მე,
დედამ სტუმრად მიმიწვია ნებითა,
მასთან დავრჩი ცხრა თვეს უჩინარი მე“.
და სხვ.

2. „დასქენა ვარდი გაფურჩქენილი
გლახ ბუღბუღმა იწყო გლოვა,
ახ, ბუღბუღო, რათა სტირი,
გაზაფხული კიდევ მოვა“
და სხვ.

¹⁾ „იაფოვანს“ წყალს უწოდებდნენ.

3. „ღვინოვ, კახურო, ვარ შენი მსმელი“, ¹⁾
 4. „მითხარ, მითხარ, რას მემღური, შენი სულისა“, ²⁾

ამ ლექსებს მთელი საქართველო მღეროდა. ³⁾

ჩვენ განზრახ გვერდს ვუხვევთ მის სამიჯნურო ლექსებს, რადგან აქ მეტად მდარე მიმბაძველია საფათნოვას მომღვენო პოეტებისა; ამ დარგში სკანდაროვაც სჯაბნის. მაგრამ, სადაც იგი შორდება ტრფობის სამოსელს და საზოგადოებრივ საკითხებს ეხება, მისი კალამი მძლავრია და მოთი-ნათინე:

„ერთი კაცი ცულის ლესვით
 ხის საჭრელად მიდიოდა,
 ხე, მნახველი ამ კაცისა,
 მეორე ხეს შესწიოდა...“

ხემ მიუგო: უკეთუ ცულს
 ტარი ჩვენგან არა ბმოდა,
 ცულის პირი რას გეაწებდა,
 ვერ დაგვჭრიდა, ვერ დაგვკოლდა.“ ⁴⁾

¹⁾ სხვათა შორის, ამ ლექსს გუნდი მღერის დ. არაყიშვილის ოპერაში („შოთა რუსთაველი“).

²⁾ ეს ლექსი სოფრომ მგალობლიშვილმა (1851—1925) მიაკუთვნა ვასო დეკანოზიშვილს. განსვენებული ბელეტრისტი თავის მოგონებაში სწერდა: „ამ შესანიშნავი რვეო-ლიუციონერის (გ. დეკანოზიშვილის) ნიჟის. მისი ზისწრაფების, მისგან ქართულის ენის ცოდნის დასასურათებლად აქ მომყავს ეს ნაწერები, რომელთა ქვეშ დღევანდელი პოეტიც არ იუკადრის-სებდა ხელის მოწერას“. ამ „ნაწერებს“ შორის, მოყვანილია დ. გივიშვილის ეს ცნობილი-ლექსიც:

„...სიკაბუკე ისრე სკვნება როგორც ყვეილი,
 დღენი ჩვენი რბიან, ჰჭრება ვითარც რთვილი,
 სანამ დრო გვაქვს მოვლხინოთ ვსცნათ სიყვარული
 [ნამდვილშია: „მოილხინე, სკან გივიშვილი“]
 ეს ხომ ვიცით ჩვენი ბოლო არის სიყვდილი“.

(იხ. „რვეოლ. მატინე“, 1924 წ., № 4-5. გვ. 328).

პატიცემულმა სოფრომმა ჩვენი მეგობრული მითითებით ეს შეცდომა ასე გაასწორა: „ეს ლექსი ვასოსი არ არის, არამედ დ. გივიშვილისა, რომელიც იყო ხელოვნების და ყარახოლელების ვითარების ამსახველი მგოსანი“. (იხ. „რვეოლ. მატინე“, 1925 წ., № 1).

³⁾ ლეო ნ-ბ აშენა (გ. ბაშიჯალიანის ვაჟმა) 1923 წელს ტფილისის ეურნალ „ილაჩია“-ში წერილი მოათავსა ტფილისის აშულების შესახებ. ავტორმა ზოგიერთი ცნობა, თავისი მამის შუა-მავლობით, ჩვენ გამოგვართოვა. მაგრამ ეს წერილი ისე აბნეულადაა შედგენილი, რომ სხვა როგორც ცნობებთან ერთად დ. გივიშვილი და გ. სკანდაროვაც აშულებათაა გასალელებული. (იხ. „ილაჩია“, 1923 წ. № 8, გვ. 22). მართალია, გივიშვილის და სკანდაროვას ლექსებს აშულებით მღეროდნენ მაგრამ აშულების გაუღენის ქვეშ კი არასოდეს არ ყოფილან.

⁴⁾ „ბაზარი“, 1876 წ. გვ. 32., ეს არაკი, თუმცა პროზად, მაგრამ უფრო მგრძობიერად აქვს აწერილი სომხების ცნობილ მწერალს რაფუფის (იხ. „ხენთი“, თარგმანი ბუღდან ვეინგულოვისა, 1903 წ. გვ. 236).

დ. გივიშვილის თემები მრავალნაირია. მას, როგორც ყოველ პოეტს, აინტერესებს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხიც. ერთი ლექსში („სასაფლაო“) წუთისოფლის ამაოება ასე აქვს გაშუქებული.

„ყველგან მოიცავს სრული სიჩუმე,
სად განისვენებს ურიცხვი გვამი,
დიღბანს ჩავფიქრდი ამის მკვრელი მე,
ვწყველე ამაო ეს დრო და ეამი.

იქ აღარ სჩანდა გლეხი, მდიდარი,
ერთივე მიწა უაკვანებდა.
საერთო იყო იგი საზღვარი,
ერთი მგორეს არას ავნებდა.

ზოგან ჩნდა ძველი უცხოდ ნაშენი,
მხოლო მდიდარი მით იჩჩეოდა,
გარეგნობითა ის დასამშვენნი
მის შინაგანსაც ეკუთვნებოდა;

რა წარვიკითხე ზედ წარწერილი,
ვცან ვინცა იყო მისი სახელი;
მაგრამ შევიქენ უცებ კრთომილი,
ვნახე ღარიბი მის მეზობელი.

ვარკვი: მდიდარო, აკი ამ გლეხსა,
ვითარცა კირსა ერიდებოდი
და არ ფიქრობდი, რომე ერთ დღესა
შენც ამასთანა გასწორდებოდი.“¹⁾

გივიშვილი ძმათა სიყვარულით იმდენად არის გამსჭვალული, რომ იგი მზადაა „ძმობის“ გულისთვის მსხვერპლად გაიწიროს:

„მე იგი მწამს, ვინც რომ ძმობა,
დააწესა ჩვენთვის წესად,
თავს გავიხდი აბედათა,
ძმა კაცისთვის დასაკვსად,
მისი ლხინი—ლხინად მიჩანს,
მისი კვნესა ჩემთვის კვნესად,
ეს არის და ეს იქნება
ამ ჩემს გულში დანათესად“.

დ. გივიშვილმა თავისი პოპულიარობის გამტკიცებისთვის მიმართა ზღაპრულ ეპოსს. მან ბოლო დროს მიატოვა წერილი ლექსების სერია და ხელი მოჰკიდა პოემების წერას, რომელთა შინაარსიც მკითხველისა-

¹⁾ „მგოსანი“, 1895 წ., გვ. 66.

თვის მაინცა-და-მაინც უცხო არ იყო, ვინაიდან ის ამ ზღაპრებს, თქმულეებს თუ ლეგენდებს ადრევე იცნობდა პროზაულ ვერსიებში. მაგრამ გივიშვილმა ამ არაკებს ჩაჰბერა თბილი გრძნობა, ჩამოძვრწა შნოიან რითმებით და ხალხის საკუთრება ისევ ხალხში გადაისროლა:

დარჩენილია ლეგენდა, რომ ვილაჲ ყეენს, მეფეჲ ერეკლეს ავაღმყოფობის დროს, საქართველოს აკლება განუზრახავს:

„ავად არის ირაკლი,
საქართველოს მოთავე,
სხვა თავს ვინ გაიცხელებს,
ვინ იქნება მოდავე?“

მაგრამ ირაკლი არ შემკრთალა, დესპანის პირით შეუთუღლია;

„ხალხმა რა დააშავა,
მოდო ვიქიდაოთო“.

ყეენი დათანხმებულა:

„გამოვიდა ყეენი
მედიდურის სახითა,
უსარტყელო, უქაშრო,
მარტო ახალუხითა,
აჲ ირაკლიმ ყეენსა,
ხელი სტაცა ქაშარში,
წელში ისე მოდრიკა,
როგორც დანა სახსარში“.

ირაკლიმ გამიარჯუა... ყეენი დამარცხდა... და ასე იოლოდ გადაარჩა საქართველო აკლებას!

სკანდაროვას ეროტიული თემატიკა უფრო აქტუალურია. მას არა აქვს სულის წიაღიდან წარმოშობილი იდეები. სკანდაროვას შემოქმედება ზედაპირულია. მის სატრფიალო სიმღერებს მუქი ფერი დაჰკრავს:

„ორთავ თვალის სინათლეჲ,
რაზედ მოგიწყენია,
ბნელს ვზივარ განმინათლე,
სანამ დრონი შენია.
ვარდო, შენ ზლას მოველი,
სიტყვა მაქვს სათხოველი,
ეკალზე ვარ მშთომელი,
ცხარე ცრემლი მდენია!“

და სხვ. ¹⁾

¹⁾ „სალხინო სახანდარი“, 1870 წ., გვ. 107.

ამ ლექსმა სკანდაროვას ძლიერ გაუთქვა სახელი; ვინ არა მღეროდა! სად არა მღეროდნენ! ვასო აბაშიძემ თავის ჩანგში გადაბეჭდა, ¹⁾ სპ. კელიძემ — „ჩანგურში,“ ²⁾ ი. რატილი „ორთავ, თვალის სინათლეს“ თავის კონცერტებზე ისე კარგად მღეროდა, რომ მიხეილ ყიფიანის (1833 — 1891) სიტყვით, „თეატრს ტაშის ტკრციალით იკლებდნენ“, ³⁾ დ. არაყიშვილმა, როგორც ხალხური სიმღერა, თავის კრებულში შეეტკროდ მოათავსა; ⁴⁾ ალბათ, ამ „ხალხურობის“ ბრალი იყო, რომ ილიაც კი გამოეხმაურა თავისი ცნობილი ლექსით: „ჩემო კარგო ქვეყანავ, რახედ მოგიწყენია!“ ⁵⁾ ერთის სიტყვით, ეს ლექსი ისეთივე პოპულარული გახდა, როგორც ერთ დროს მისივე „გამო, მზეო!“ ან-და:

„ქვეყანა ჩალად არა ღირს,
სიცოცხლე ძალად არა ღირს,
გინდ გქონდეს ქვეყნის სიმდიდრე,
ერთ ლამაზ ქალად არა ღირს!“

გივიშვილთან შედარებით სკანდაროვა ნამდვილი ბოჰემა იყო. თუმცა იგი ერთ ლექსში ამბობს: „ხელოსანსა მწერალსა ვერაინა მთქმელი სჯობსო“ მაგრამ მასში არ იყო არავითარი პრინციპი ხელოსნური შრომის მოყვარეობისა. მთელ ღღებებს ბაზრის შუკებზე ატარებდა, ჩამოუვლიდა ნაცნობ მეღვინეებს, ორიოდვე საკვიმატო სიტყვის გადაქრავდა, გააცივებდა, გაახახარებდა და ამით კმაყოფილდებოდა.

როგორც ნაკლებ მუყაითმა და გამრჯელმა, მან თავისი ნიკი ფუქსავატურ ქილიკობაში დაახურდავა. უყვარდა ლოთიანი გამოთქმები, მფრინავი ფრაზები და საოხუნჯო ამბების მოყოლა; ⁶⁾

1) „ჩანგი“, 1892 წ., გვ. 433.

2) „ჩანგური“, 1901 წ., გვ. 129.

3) „ივერია“, 1890 წ., № 179. (დაბეჭდილია ჩ ი ტ ო რ ე ლ ი ს ფსევდონიმით).

4) „კოვენული სიმღერები“, 1909 წ., გვ. 13.

5) ილიას ეს ლექსი დაწერილია 1871 წელს, გ. სკანდაროვას ლექსი კი დაიბეჭდა 1870 წელს. (იხ. „სალბინო საზნდარი“, 1870 წ., გვ. 107). ილიას რედატორები აღნიშნავენ, რომ „ჩემო კარგო ქვეყანავ რახედ მოგიწყენია“ დაბეჭდილისაგან იმით განსხვავდება, რომ ხელთნაწერში სამივე ტაქტის უკანასკნელი სტრიქონი ასეა: „ო რ თ ა ვ თ ვ ა ლ ი ს ს ი ნ ა თ - ღ ე ვ . რ ა ხ ე დ მ ო გ ი წ ყ ე ნ ი ა“ (იხ. მ. გუდვჯანიშვილის გამოც. გვ. XVII).

6) ამ დაუღვარაი ზასიათის გამო, ერთი ჯერის უვარდაწერილი ცოლი გაეყარა. სკანდაროვამ არც აქ მოიზალა ოხუნჯობა: როცა ცოლს თავისი მოტანილი მზითვეი უკან მიჰქანდა, სკანდაროვამ ზურნა დაიჭირა და თავის ცოლს ზურნის დაკრით წააღებინა მისგან მოტანილი ნივთები: „ზ უ რ ნ ი თ მ ი ო ტ ა ნ ა , ზ უ რ ნ ი თ უ ნ დ ა წ ა ი ლ ო ს ო“ — ოხუნჯობდა განსვენებული.

ეს კაცი მთლად ირონია იყო. ლაპარაკობდა გორიზად, მედიდურად და თვალთა ფოსოებიდან უცნაურად გამოიყურებოდა: არ ყოფილა ისეთი სამიკიტნო, სადაც მისი მადლიანი ექსპრომტები ლვინოსთან ერთად არ დაღვრილიყოს:

1. „მიკიტანი ბაზაზობას ვერ იზავს,
სოვდაგარი ყაზაზობას ვერ იზავს,
ყველა კაცი თავის საქმეს უნდა სცნობდეს“
და სხვ.

2. „საწყალ კაცის აფთიაქი მიკიტნის ღუქანია!“

დალევდა ლვინოს, სხვებსაც დაჰპატივებდა, კარგად შეზარხოშდებოდა და... ფული? რა უყოთ მერე? იგი ხომ მოჭემა? სკანდაროვაც ომარ ხაიამივით: „ძონძები ჩემი დავაგირავე ლვინოსთვის“, — გაიხილა თითონაც საკუფარ პალტოს და მიკიტანს დაუგირავებდა:

„აღლესაც ის პალტო გდია პაღვალში,
იციტ რამდენში? რვა აბაზ ვალში.“

ასე დასცინის მისი თანამოკალმე დავით გივიშვილი.

სკანდაროვას სახეზე იშვიათად შეამჩნევდით ღიმილს; როცა ლაპარაკობდა ან „საოხუნჯო მიქარევებს“ ამბობდა, სახის ნაკვეთებს არასოდეს არ ათამაშებდა, თავი ამაყად ექირა; სკანდაროვას ნამდვილი „ყარაჩოლული შახი“ ჰქონდა. მისი დეკლამაცია მეტად ორიგინალური იყო: ლაპარაკობდა ბრტყლად, უცნაური მახვილის დაცემით და ეესტიკულიაციით; არ დამაფიწყდება მისი ორი სტრიქონი, რომელიც ჩემი ბავშვობის დროს მამიჩემის მეიხანაში სკანდაროვასგან გამიგონია:

„ნეტავ, შენ იყო თუთის ფოთოლი
და მე კი ჭია აბრეშუმისა!“

ეს ლექსი არსად დაბეჭდილა!

სკანდაროვას ბუნებრივი ფხა გივიშვილზე უფრო მახვილი ჰქონდა, მაგრამ გივიშვილს უფრო ეხერხებოდა თავისი აზრების, ასე თუ ისე, სწორი ქართულით გამოთქმა და დაურღვეველი მეტრით ვალექსვა. ამის გამო გივიშვილის ზოგიერთ წიგნს (განსაკუთრებით „თუთიყულშ“, ამ ვალექსილ ზღაპრებს) შედარებით უფრო მეტი მყიდველი და მკითხველი ჰყავდა, ვიდრე სკანდაროვას ლექსებს, მიუხედავად იმისა, რომ სკანდაროვას ცალკეული სტრიქონები. მძაფრი, მტკიცე და ძარღვიანი იყო.

მაშინ, როცა გივიშვილი თემებს არჩევდა და ლექსის ტენიკას უფროსილდებოდა, სკანდარნოვა ხშირად სულ არ იცავდა ქართული ენის ელემენტალურ კანონებს და ლიტერატურულ ფორმას.

გ. სკანდარნოვამ თურქულიდან სთარგმნა „მოლა-მასრადინას ცხოვრება“ და შეადგინა „საოჯახო-სამეცნიერო სიზმრის ახსნა.“ სკანდარნოვამ ეს წიგნები მე მიძღვნა. წავიკითხე და გრი-გრის ფსევდონიმით პატარა შენიშვნა დავწერე. მისი ქართული ენა ოდნავ გავკენწლეთ. ¹⁾

საზოგადოთ, მწერლის ბედი ორნაირია: არის მწერალი, რომელიც თავისთვის სწერს და თავის ნაწერებს თვითონვე კითხულობს; მაგრამ არის მწერალი, რომელიც სწერს და ხალხი მის სიტყვას იტაცებს, ხალხი მის აზრებს ისრუტავს.

სკანდარნოვას ლექსებს ტფილისის დაბალი მოსახლეობა ეტანებოდა, სკანდარნოვას აუდიტორია ჰყავდა და საჭირო იყო ამ ავტორის ზოგიერთ ნაკლზე მითითება, რომ ჩვენი ანკარა ქართული არ შემღვრეულიყო. მე ეს აღვნიშნე ჩემს წერილში.

მართლაც, რა ქართულია:

„ადიდებდნენ მალლა ღმერთი,
და იძახდნენ ალავერდი,“

„ყელა სადღევრატლოზვდა
ბაგრატამაც ტუშს აყოლებს,“

„მე ჩემი ქვარი ბაირამისთვის ქოშები დამპირდა.“ ²⁾

სკანდარნოვას ჩემი შენიშვნები არ იამა და საპასუხოდა ორი ლექსი დამიწერა.

მე მომყავს ეს ლექსები იმიტომ, რომ მკითხველმა იცოდეს, რამდენად დაუმსახურებლად გამოიმეტა პატივმოყვარე ავტორმა, მაგრამ ეს მაინც ხელს არ მიშლის, რომ გ. სკანდარნოვას ქალაქის ხალხურ მწერლობაში სათანადო ადგილი მივაკუთვნო და მისი პოეზიის შესახებ რამდენიმე თბილი სიტყვა ვთქვა. აი, ეს ლექსებიც:

„გიხაროდეთ ქალებო,
გაიჩინეთ მწერალი,
ნეტარება თქვენს კრებას,
შეგხვდათ კარგი მღერალი.“

¹⁾ იხ. „სახალხო გაზეთი“, 1913 წ., № 984.

²⁾ უნდა ითქვას, რომ გ. სკანდარნოვას ეს მარცხი სიბერის ქაშა ემართებოდა, ისიც სომხური ლიტერატურის თარგმნის დროს.

ქაბუჯია, რა უქირს,
 დიდი აზროვანია,
 რომანსებსა გიკითხავთ,
 უცხო ფრაზოვანია!

ბელინსკის ებაძება,
 კრიტიკობა დაიწყო,
 ძველ სახალხო მწერალსა
 რაღაც ქორი დაუწყო;

რაღა გიჭირთ, ქალებო,
 კარგი მომხრე იშოვეთ,
 მის შიშით ვინ გაგკიცხავთ;
 მქერმეტყველი იპოვეთ.

ხარფუხის ინსტიტუტში
 ღრმად განათლებულა,
 აღარაეის იწონებს—
 გაამპარტავებულა!“
 და სხვ. 1)

II

„გირჩევ, გრი-გრი, ქვას ნუ მესერი,
 სულელ ჭკვითა საქმეს ნუ სკრი,
 თორემ მიცნობ, კარგად იცი,
 რომ ტფილისში ფინთათ გაგსერი!

გასწი, ჰპოვე შენი ტოლი,
 რომ იყოს ყომრის ამყოლი,
 გაზეთში რად შეეჩარე,
 რათ გახდი გვარის ამყოლი.

წიგნი მისთვის მოგიძღვენი,
 რომ გამიხადე საკბენი?
 რაც რომ ბლაჯნე სახალხოში,
 ნუ თუ არის მოსალხენი?

როგორც გატყობ კრეტიკოსნობ,
 სულელ ჭკვითა ფილფიტოსნობ,
 ჩემს ნათარგმნსა რომ წუნს ადებ,
 გეტყობა ცრულ ჰორატოსნობ!

შენ გგონია, მწერალი ხარ?
 ცუცუნების მღერალი ხარ!

1) იხ. „სალხინო სუფრის მოსიმღერე“, 1913 წ., გვ. 18.

მაგით შენ თავეს ვერ დაიჭერ,
რადგან ძალზე მყვირალი ხარ.

მაგ მიქარვას არ შეგარჩენ,
შეგახვედრებ ცულსა ჰირსა,
გივიშვილი ნუ მიხდები
ჩალით ამოგივსებ პირსა.“¹⁾

აქ მოხსენებული „გივიშვილი“ მისი თანამედროვე და ჩვენთვის უკვე ნაცნობი პოეტი გივიშვილია! ამ ნიადაგზე მათაც ჰქონდაო ერთ-მანეთში პაექრობა, პოლემიკა ლექსებით. ვინაიდან ფართე საზოგადოება არ იცნობს მათ ნაწერებს, ამიტომ ჩვენ ამ ორი მგოსნის ლექსებს ცოტა „მსუქნად“ დავეხსენებთ.

აიხენვალდის თქმით: „პოეტებზე წერა მათი ლექსების გადმოწერას ნიშნავს“; ეს ახრი ამ ხალხურ მწერლებზე უფრო უპირანია, მით უმეტეს რომ მათი ნაწერები, ეს „ბაზრული წიგნები“ ჩვენს მუზეუმშიაც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ.

სკანდაროვას და გივიშვილის პაექრობა მეტად საყურადღებოა! იმ დროინდელი ბოჰემური ტფილისი ამ პოლემიკაში ნათლად გამოსჩვივის.

კამათი სკანდაროვას დაუწყევია. ეს გივიშვილის პასუხიდან სჩანს:

„თუმცა შენი შემკობა მინდოდა დიდი ხანი,
მაგრამ ვერ გიმეტებდი, ვიყავით ძველად ძმანი,
ახლა თუ გეწყინება მე არაფერს ვინანი,
შენ დამასწარ პირველად“... და სხვ.

დ. გივიშვილი განაგრძობს:

ხელოსანო მწერალო! ჯერ ისწავლე ქართული,
სომხურ კილოთ ნუ სწერავ, გონება-დაფანტული,
ხატის ქადაგივითა ყბედობ უკულმართული,
ცამეტი წლის, ოსტატო, ვერ იქმენ გამართული,
მოშლილ წისქვილივითა არ გივარგა დაფქული.

იმზე ვიტრახანებ ვისზეც ძალი გამივა,
შენისთანა მწერალი გაცრუელება, წამივა,
მოდი და ვიბასოთ, ვნახოთ ვის რა მოგვივა,
ვინც ჩვენში დაიძლიოს შეჭამოს ხმელი თივა,
ორი-სამი საათი ხეზე იყოს მიბმული“...²⁾

¹⁾ იხ. „სახალხო ახალი პატარა ჩანგი“, 1914 წ., გვ. 55. (ამ ლექსს ასეთი სათაური აქვს: „ჩემი პასუხი გ რ ი - გ რ ის მიმართ, რომელიც იყო „სახალხოში“ ჩემზედ დაწერილი“).

²⁾ იხ. დ. გივიშვილის წიგნი: „ქერავი რით სჯობს ქალწულსა?“ 1878 წ., გვ. 10; როგორც ეს ლექსი, ისე ქვემოდ ნახაენები საპოლემიკო ლექსები, თითქმის ყველა შემოკლებით გვაქვს მოყვანილი. ლექსები დაწერილია მუხამბაზარის ფორმით.

გ. სკანდაროვას პასუხს ასეთი სათაური აქვს:

„მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა.“

„ავლობრელო მესტვირევე, არ გივარგა სტვირიო,
გეტყობა ურთ გაკლია, რომე მალლა ჰყვირიო,
რადგან მეზაასეპი, გაგიშავებ პირიო,
ქვეყანაზედ ნუ გინდა ჩემის მეტი კირიო!

შანჭრაქეებს გააკვირევე მეგ ბლიაძის გუღითა,
ისინი მოატყუე მაჯლაჯუნის კუღითა,
ავი ქარი გცემია დასდინარ ბუტბუტითა,
თავს შეკეკი შეგყროა, ვეჭვობ გარგებს კირიო!

ხელოსანს რას დასცინი? მას აქვს მუღმიე პურიო,
ის სუყველგან იცხოვრებს; აქვს უნარის ქურიო,
ის შენსავით არ ივლის, არ წაისვამს მურიო,
დაეთრით არ მიზაჯბაჯებს, ვით წავკისის გზირიო.¹⁾

შორიდან ყენს გეხარ, როცა გხედავ კაბაში, ²⁾
ყველიერში დაჯექი, მოაგროვე შაბაში,
დიდმარხვაშიც წაბრძანდი სალოცავად ქაბაში,
ეგებ შნო მოგემატოს და მაჰმადის ფირიო...

სწავლაში ვის დასცინი, ვისზედა სძრავ უნასა?
უნას ძირში მოგაჭრი, მოგისაობ მეგ თქმენასა,
ამ ხნოობით ვადურჩი სკანდაროვას წყენასა,
კულავ აღარ გაბეღო, დაგიუღება ძვირიო.“³⁾

დ. გივიშვილის პასუხის პასუხს ასეთი კონტრასათაური აქვს:

„შე ის სეტყვა ვარ, შენისთანა ქვას მუღამ გავტეხ.“

„ქალაქელო ღრიალავ, აქა-იქ რას ეღებო,
ზედ გეტყობა თანდათან სულელღებო, ცეტღებო,
თავს უშველე ღროითა, არ დაგერთვას ბნეღებო,
გამოუშვი თაგიდან გგ ზარბაცი რეტებო,
უთავ-ბოლო ლაქლაქით მოვიღლია ყბეღებო.

„ავლობრელსა მესტვირეს“ მეძახი და დაუყრამ,
შენისთანა მოლექსეს, მუღამ პირსა აუყრამ,

¹⁾ აქ იგულისხმება დ. გივიშვილის „ბაზარნიკობა“. როცა ის გადასახადის ასაკრეფად დაეთრით ხელში დაეღოდა.

²⁾ აქ იგულისხმება ა. გივიშვილი: ტანაცმულობა; ქართული კაბა.

³⁾ იხ. გ. სკანდაროვას ს. წიგნი: „მსუნაგი კაცის ცხოვება“, 1879 წ., გვ. 49.

დაგაეიწყებ იცოდე, რაც სამხატვრო მიგიკრამ, ¹⁾
 კალამს დაგაგდებინებ, ლექსის მადას შეგიკრამ,
 ჯავრისაგან ატლინჯდე, თავში ირტყა კეტები.

მემუქრები თავ-ფქვილავ, ძრიელაც იბერები,
 ბუზანკალა მგონია შენი მზგაესი ფერები;
 ფიქვის ჩაღას ვადარე შენისთანა მტერები,
 მაგ ცარიელ გოგრაში დაგბუდგია მწყურები;
 რას ვიშველის, სულელო, მაგათი იმედები!

შენ არ გახსოვს, ერთ ეამად, რომ იყავი ვაჭარი?
 რით გამოხდა, რომ გახდი მაწანწურა მხატვარი!
 დაგკარგვია, საბრალო, ჭკვა და ცნების დავთარი,
 მიპასუხე, თავ-თხელავ, შენი კვანძი აქ არი,
 ბუმბულის ზარბაზნებით ძრიელ მეკამათები.

მწერლობაში თავს იქებ, ხარ სახალხო პოეტი!
 სულელებში ჭკვიანი, ჭკვიანებში კი—ცეტი.
 ძველი დედაბერივით ტვინ-თხელა და ჩერჩეტი,
 აღარ გინდა მოქიშპეთ შენ გივიშვილის მეტი,
 ვით ეზოში ნაგავი მისგან აიხვეტებო.²⁾

ამ ლექსის საპასუხოდ სკანდაროვამ გივიშვილს გამოცანის ახსნა მოსთხოვა:

„თუ კაი მოლექსე ხარ, მოდი დამიგდე ყური,
 ერთ გამოცანას გკითხავ, ამიხსენი სასური,
 თუ ამ აზრსა ამიხსნი პირზედ წამისვი მური,
 შენი უული გამხადე, შევიქნები მსახური“.

აი, ეს გამოცანაც:

გამოცანა—მუღამს გივიშვილისადმა.

(ეს გამოცანა ჯერ გაუხსნელია)

ერთ შენობასთან ერთი ხე ვნახე,
 მინამ ძირამდინ ესხა ფოთოლი,
 იმ ხესა ჰჭონდა ადამის სახე,
 სიმაღლით იყო ვითარც გოდოლი.

ოთხ წელიწადში მხოლოდ ერთხელა
 ის გამოიბაშს ერთაირს ნაყოფს,

¹⁾ აქ იგულისხნება სკანდაროვას ხელობა: МАЯК-ობა.

²⁾ იხ. დ. გივიშვილის: „მგოსანი“, 1895 წ., გვ. 78; ამავე წიგნში (გვ. 80) დაბეჭდილია ამავე პასუხი გ. ს. „რომელიც „მაჯამის“ ფორმით არის დაწერილი.

გემო აქვს მწარე, როგორც ნალეგლა,
მუდამ არ აძლევს იგი თვის სამყოფს.

იმ ხეს პირუტყვი არ ეკარება,
და არცა ბუდობს მასზედ ფრინველი,
მისი ნაყოფი მაშინ ცვივდება,
როცა ხშირდება ბრიყვი, სულელი.

კაი მოლექსე ხარ? მაშ ამიხსენი,
თუ ბუნებით გაქვს ნიჭი და სწავლა,
თუ რომ ამიხსნი გეტყვი ხარ ბრძენი
და თუ არა და... მონახე თავლა. ¹⁾

გივიშვილმა ეს ბუნდოვანი „გამოცანა“ ვერ ახსნა. ამ გამოცანის საიდუმლო ორივემ საფლავეში თან ჩაიყოლა. ბაზარში კი ხმა იყო გავრცელებული, „ხედ“ იგულისხმება გივიშვილი, რომელმაც თავის თავზე ველარა სთქვა, ეს „მწარე ხე“ მე ვარო.

ასეთი იყო სკანდაროვას ლანძღვის მეთოდები.

დ. გივიშვილი ბრაზობს:

„რას ეწვალეები, ოსტატო, რად მიწვევ კონკურენციას?
თავს გაუფრთხილდი, თორემა დაგმართავ ინფულენციას.
გზა-დაკარგული კაცივით არ იცი საით დასდიხარ,
ახ, შენ გონჯებში—ფუჩიო და ბრიყვებშია—ვარდი ხარ.

შემდეგ დასძენს: ეგ გამოცანა იმიტომ მოიგონე, რომ კამათის საფანელი შემოგაკლდა ისევე, როგორც აშულს სასიმღერო სიტყვები შემოაკლდებოდა:

„აშულს რომ შემოაკლდება
სასიმღეროთა სიტყვები,
„ნეინიმ-ნეინიმ“ დაიწყებს
და ყურს უგდებენ ბრიყვები!“

მართლაც, რომ მათ კამათს ბევრი „ყურის მგდებელი“ ჰყავდა. მათ ლექსებში მაშინდელი ტფილისის ნერვი და ყოველდღიური ცხოვრება ნათლად მოსჩანდა. ამ ლექსიურ პოლემიკის დროს ხალხი ორ ბანაკად იყო გაყოფილი, ლეღავდა, ზიმშიმებდა და დიდის ხალხით ადევნებდა თვალყურს ამ ორი პოეტის შეხლა-შეკამათებას. ტფილისის ლიტერატურულ ბაზარში ეს ორი მობაეჭკვე მგოსანი პოეზიის გრდანელი და ესებუა იყვნენ. ხალხი მათ წიგნებს იტაცებდა, კითხულობდა, მსჯელობდა, იკო-

¹⁾ იხ. „საარშიყო სარკე“, 1890 წ., გვ. 62.

ნოდა, ჩხუბობდა, — ერთი სიტყვით, სკანდარნოვასა და გივიშვილის პოლე-
მიკაში მთელი მაშინდელი ბაზარი იყო ჩათრეული.

ამ კამათმა პროვინციაშიც ჰპოვა გამოხმაურება. ერთმა თელაველმა
მღვდელმა, რომლის გვარიც ვერ გავიგეთ, მთელი წიგნი დასწერა ამ
პაექრობის შესახებ. იგი გივიშვილს წაესარჩლა. სკანდარნოვა ეხლა ამ
მღვდელს მოსდგა: „ჩვენს საქმეში, ძმობილო, ბრიყვეულად ეჩხორები“ —
სკანდარნოვას პასუხს ასეთი სათაური აქვს:

თ ე ლ ა გ ე ლ მ წ ე კ ა ძ ე ს

(ეს ლექსი გადიკთხე, როდესაც რომ გეცალოს)

თელაველო მწყერადე, ნეტა ვის ეძალები?
წინ წამოდექ, მჩვენე, ნეხეში ნუ იმალები,
გაქვაცივით გამოჩნდი, ვნახო შენი ძალები,
რომ იმგვარად აგკილო ნახშირისა ცალები.

ვინა ხარ? ვინა გღიხარ? რომელ მთის და ბარისა?
როგორც გატყობ ყოფილხარ დიდყურაანთ გვარისა,
პირს ლობთა გაგწყვეტია, არ ღირს ხარ აბჯარისა,
უგზო-უკვლოდ დარბიხარ, დაგკარგვია ნალები.

ნამდის ქუდით დაღიხარ, სალამურით პირშია,
თუ რომ ქეიფს ისურვებ — წახელ ჰანდრის ძირშია,
თხის შილაფლავსა სკამთ ლხინშია თუ ქირშია,
უთავ-ბოლოდ ღრიალეობ: „ვარხი-ვარალალები“

და სხვ. ¹⁾

აი, ასეთმა ლექსებმა, ამგვარმა უნებლიეთმა ხერხმა ხალხში კითხვის
სურვილი დაჰბადა. ამ პოეტებს გამოუჩნდა მრავალი კარგი თუ უფარ-
გისი მიმდევარი და წამბაძველი: ლეინოევი, დიმ. ნადიროვი, ჩაქუჩი-ოლ-
ღანი, ყაზაზ-ოღღანი, მაკაკან წითლაფიშვილი. მ. ახატელოვი, გრიგო-
რიანც-ყაზახელი, დავით ლაზარევი, ხოილია სარქისა, სერგეი საამოვი,
სტოპა მეთევზეშვილი, გიგო კამბეჩუაშვილი, სოგრატ ხუსკიყაძე, ვანო
ესალოვი, ნინო ნავტიკოვი, ბ. ახოსპირელი (პირველი პერიოდის მისი მო-
ღვაწეობისა), ნინო ყარანგოზიშვილი, მექათმე გეურქ სარქისოვი, გეურქ

¹⁾ იხ. „ასსუხად თელაველ მწყერაძეს“, 1880 წ., გვ. 2. (ამ წიგნის გარეკანზე თხაა დახა-
ტული); ასეთი კამათი ძველი მწყერლობიდან მომდინარეობს, გაიხსენეთ ბესიკის და ქა-
ბუა ორბელიანის პაექრობა (იხ. სერგო გორგაძის „ბესიკი“, გვ. 183, 185). ბე-
სიკის საშინელი ცუდი სიტყვებით ლანძლავს ვლადი უნობი პოეტს (იხ. გ. თაყაიშვილის
„Описание“, ტ. II, გვ. 452). ასევე გალანდული ვინმე კოქლი საჰაკა პოეტ შაქარ-
ოღღანის მიერ (იხ. „სალიზო საზანდარი“, 1870 წ., გვ. 96) და ლადო აბაშიძე მერაბ
გორღანიშვილის მიერ (იხ. მ. ყორღანოვის „ლექსნი“, 1881 წ., გვ. 103).

მატინიანცი, ა. მაწანწრელი, არშაკ აკოფოვი, მერაბ ყორღანოვი, ხუდავერდოვი (ანტონ განჯისკარელის ნამდვილი გვარი), ზარ. ხატისკაცი, ი. ივანოვი, ვასილ ელიგაროვი, ნესტორ აბაშიძე, გრ. ხითაროვი, გ. ფარადაშვილი, ყაზარა ახალგორელი, პახეალია ლიფონავა და ზოგიერთი დღევანდელი მუშა-შეწრალი, რომელთა შესახებაც ქვევით გვექნება ლაპარაკი. ყველა აქ ჩამოთვლილ ავტორებს დაბეჭდილი აქვთ საკუთარი ლექსების წიგნი.

ერთი სიტყვით. ვისაც შეეძლო წიგნის კითხვა, ვისაც შეეძლო ლექსის დასწავლა, თავის თავს მოვალეთ სთვლიდა, სკანდაროვასთვის წაებადა და გივიშვილისებურად დაეწერა. გაჩნდნენ მეორე ხარისხოვანი გამომცემელებიც და მოეფინა ქუჩებს:

1. „ყასაბ მიხუას დახობა მტკვარში“,
2. „ეს ნინა სჯობს, იმ ნინას“,
3. „ვერელი ვარინკას ქება!“,
4. „გალექსილი რეცეპტი შუშანიკ ჩაიფხანოვს“,
5. „აქეთ ნუში, იქით ნუში, შიგ კარაგი ჩამოუში“,
6. „სად შენა და სად ბარუსას თვალები?“
7. „არ შეგცივდეს, ბარაშკაჯან!“ და სხვ.

ზემორე ჩამოთვლილ მწერალთა პლედრიდან ორიოდე პოეტი თუ შერჩა შეწერლობას, დანარჩენებს კი, თავიანთი ხანმოკლე არსებობის მანძილზე, არა ჰქონათ დიდი ნაბიჯები; იყო მხოლოდ გაფანცქალება. ეს პოეტები თავისავე პირველ წიგნებს თან გადაჰყვენ.

თვით დიმიტრი მაჩხანელიც—ავტორი „ძმური ნუგეშისა“—ებმევა ამ ეროტიულ ლექსების ვაკხანალიაში და ისიც ჰბეჭდავს წიგნებს: „ახალი სიზმარი“, „სიყვარულის კონა“ და სხვ. მისი პირველი ლექსების სათაურები ყველა გართმულია:

„ნადირობა ვისაც გვინდა,
ფეხი სამარეში გვიღვა,“

„ვუძღვნი ქალებს,
ჩემთან მწყვრალებს,“

„თუ რომ ქერივი ჯეილია,
ჩემთვის უფრო ხეირია!“

აი, მისი პოეზიის „სკანდაროვასებური“ ერთი ნიმუში:

„ახ, ქალებო დაგწყველოთ, ღმერთთან გახდით კრულია,
ჩემი ჯიბის ბარაქა თქვენგან დაქარგულია,

სუცეცელაფრით კარგი ხარო, არა გაქეთ-რა წუნია,
 უფულოთ არ მეძახით დამიჩაგრეთ გულია.
 სულ იძახით ფულია, ვისი მოგებულა?
 ნეტავი რაში გაძლევთ, ამოგერთვით სულია.
 —ნადიროვჯან, მობრძანდი, თუ რომა გაქეს ფულია,
 და თუ ფული არა გაქეს, ეგ გზა დასაბრუნია.“¹⁾

ბ. ახოსპირელიც (1880—1921) განიცდის ბაზრული ლიტერატურის ზეგავლენას. იგიც აცუღლუტებს კალამს არა პირდაპირი მოწოდებით, არა მათი იდეით გატაცებული, არამედ „შიბრისას ხათრით“. იგი სხვა-და-სხვა ფსევდონიმებით (გვრიტი, ნამი და სხვ.) ჰბეჭდავს სახალხო წიგნებს: „გურჯალა და შანტაყისტები“ (5 სერიალ), „ბორნის დაღუპვა“ (მემწვანილე ფაფუკას ნაამბობი), „გალექილი მოლამასრადინა“, „გერმანია რუსეთთან შერიგებას თხოულობს“ და სხვ.; ამ წიგნებში ბაზრის ყოველდღიური ჰირ-ვარამია აწერილი. მაგ., უკანასკნელ წიგნში ავტორი იმ დროს ეხება, როცა გერმანია რუსეთთან ზავს აპირებდა და ყველაფერს თავისკენ ითლიდა. ახოსპირელი ასე მსჯელობს:

«ეს იმას ჰგავს, ერთმა კაცმა
 რომ ურჩია მეორესა:
 რაც ღორი გყავს, მე მომეცი
 და გიშოვი მელორესა;
 მან მიუგო: დალოცვილო,
 ტვინში ხომ არ გებოლება,
 და მელორე რალად მინდა,
 თუ ღორი არ შეყოლება?»

ქართველი ინტელიგენცია ამგვარ წიგნაქებს არც აქებდა და არც ჰკიცხავდა! „ჩვენ უნდა მივიღოთ ხალხის სახე დროებით, —ამბობს ძველი „შანთობი“,—რომ როგორმე დაუახლოვდეთ. მას და პირი არ განარინოს ჩვენგან... ჩვენ სიამოვნებით უნდა უყურებდეთ ღ ცეცდილობდეთ ამგვარი წიგნების გავრცელებას, რომელსაც ხალხი ჰკითხულობს. აქ პირველი საქმე—კითხვის „შეჩვენება...“ ან: „შეიძლება ეს ლექსები (იგულისხმებოდა გიორგი სკანდაროვას „გამო, შვიო!“) სიყვარულზე უსა-

¹⁾ იხ. „ახალი სიზმარი“ დიმიტრი მიხეილის-შე ნადიროვისა, 1880 წ., გვ. 74. შემდეგ დ. ნადიროვი საშუალო ლექსებს სწერდა სოფლურ ყაიდაზე დ. მანხანაელის ფსევდონიმით. მისი ერთი ლექსი: „ტურჯაჲ მადი ნუ ხარ მტრულად, შემოქმადხათ ქართველურად“—სიბღრად გადაიღო ნ. სულხანიშვილმა (1872—1919).

ფუძელო გარდაცემ-გარდმოცემა, მაგრამ ამების ერთბაშად აღმო-
 ვახვრა ხალხში შეუძლებელია“-ო.¹⁾

შემდეგი თაობა ამ ხასიათის ლიტერატურას უფრო კრიტიკულად
 უყურებდა.

წ. კ. ს. კრებებზე შალვა მესხიშვილი ასე უსაყვედურებდა
 გამგეობას: „ჩემის აზრით, საზოგადოების მიზანი მარტო წერა-კითხვის
 გავრცელებით არ განისაზღვრება; დიდათ საქიროა ხალხისთვის
 დროის შესაფერი წიგნები გამოიცეს.. იტყვი: ფული არა
 გვაქვსო, მაგრამ კარგი წიგნი ხარჯს ყოველთვის აინაზღაურებს. დღეს
 ხალხს საკითხავი წიგნი არა აქვს, იგი „არ შეგცივდეს, ბარაშკა-
 ჯან“-ისთანა წიგნებით იკვებება“.²⁾

ასეთი ლიტერატურული ენარის მოწინააღმდეგენი არამც თუ აქ,
 საქართველოში, არამედ საქართველოს გარედაც იყვნენ.

სტამბოლში გამოვიდა ერთი წიგნი „ყვავილების კონა“, რომელსაც
 ოთხი ინციალი უზის: მ. ი. მ. გ. (ჩვენის აზრით, ამ წიგნის ავტორი
 უნდა იყოს მღვდელი ივანე მესხი გვირგვინი). ამ წიგნის წინასიტყვაობაში
 ვკითხულობთ: „ახლანდელმა შემოსულმა რომელიმე ლოთური სიმ-
 ღერების წიგნებმა და სხვა ამით ნაირადა ყრმათა ფიქრისა და
 გულის მომწამვლელმა ზოგიერთმა ბროშურებმა გარყენეს სრულიად
 გული და გონება ახალ მოსწავლე უმაწვილებისა იქამდნ, რომ აღარ
 ჰკადრებდათ სულისა, ხორცისა და მამულის სასარგებლო სწავლებისა

1) იხ. „მნათობი“ 1869 წ., ნომბ-დეკემ. გვ. 6, 7.; სკანდაროვას სიმღერებს იმ ხანებში
 მტოვებ არა ჰყავდა. იგივე „მნათობი“ სწერს: „ხალხის მომეტებული ნაწილი ისევ „ახ, თვალ-
 ბოს“ მღერის და, როგორც ეტყობა კიდევ დიდხანს იმღერებს“ (იხ. „მნათობი“, 1869 წ. სექტ-
 ოქტ.; გვ. 51).

2) იხ. „ანგარიში ქ. შ. წ. კ. ს-ების მოქმედებისა“, 1912 წ. გვ. 25.

„ბარაშკა“ ჩემია! ეს ლექსი, რომლის რამდენიმე ნაწყვეტიც აქამდე ჩემს „საიათნოვაში“
 მაქვს მოთავსებული (გვ. 65), მართლაც, ხალხში მტრად იყო გავრცელებული. ვფიქრობთ, რომ
 ამ ლექსის ისეთი ზიანის მოტანა არ შეეძლო, როგორც, მაგალითად, იმ ლექსებს, რომელთა შესა-
 ხებზე ვფიქროვებ ვლახარაკობით (-იხ. ამ შრომის გვ. 110). ეს „ბარაშკა“, 1908 წლიდან რამდენიმე
 შერეულ გამოცემად გამოვიდა. 1910 წელს გრ. რობაქიძის საღამოზედაც წაიკითხე
 (1910 წ., 8 მაისი), ასე რომ სრულიად უსაფუძვლო იყო ჩვენი პოლემიკის დროს, გრ. რობაქიძის
 შენიშვნა: „გრიშაშვილს ერთი ხუროანი ლექსი ჰქონდა („ბარაშკა“) და ისიც მისი ელანდელი
 სიტყვით (საიათნოვაში) სხვისი ყოფილაო“ (იხ. „საქართველო“, 1918 წ., № 221). საქმის არის,
 რომ ამ ლექსს, —როცა საიათნოვაში მოსათავსებლად დამუშირდა,— ალბურთი ვუწოდებ. უნაი-
 დან, როგორც აღვნიშნე, იგი ხალხში მტრად იყო გავრცელებული და მისი ავტორობა მაინცა-
 და-მანც არ მესარბებოდა. ამ ლექსს, როგორც პოეტის პირველ ნაბიჯს, ჩემს ბავშვურ შეცდო-
 მათ ვთვლიდი (არც ჩემს ლექსთა კრებულებში მომითავსებია). განსაკუთრებით არ მიყვარდა ეს
 დამახინჯებული რუსული სიტყვა „ბარაშკა“. დღეს კი, ამ წიგნის დაწერის დროს, ჩემს
 ბავშვურ შეცდომებსაც სიამოვნებით ვგონებ.

მიღება... ამ გვარ საენო მოვლინებაების წამლის დასადებლად დაესტამბეთ
ეს რჩეული ლექსების წიგნი“...

აი, ერთი ნიმუში ამ „დალექსილი-რჩეული“ ნაწარმოებისა:

„ბუკის ტურცილი მოისმა, აღსდგე ყვარყვარ, ჰა, ხმალი,
ნახე სამსხეს რა ზარია, რა ჭირი ჰსჯით სამალი,

გვალე განივე დროით რა არი,
ჯარს სითყენ იკრებს მხედართ მთავარი,
ხმა ვაღიადლა აღამათია;
ჰვაეს საქმე ძნელი საქამათია;

ოცხის ციხის თავი ხმობდის,
მურგან-ყრუ საომრად მოდის;

აუკლიათ ტირია,
სომხითი და კელავ სირია,
აწ თავი კლარჯეთს მოყვია,
ნაენები ბევრი უყვია;

მოკრბით ჯარი,
მესხ-აჭარი,
ნუ გაქვთ ჯავრი,
გვიძღვის ჯვარი,
ქრისტეს ჯვარი“ და სხვ.¹⁾

ამგვარ ლექსებს კიდევ რომ ჰქონოდა აღმზრდელობითი მნიშვნე-
ლობა, მაინც თავის დანიშნულებას ვერ მიაღწევდა. მღვ. გვარამაძე
„ამაოდ დამაშურალა“, მისი ლექსები ვერ დაჩრდილავდა სკანდარნო-
ვივიშვილის „ლოთურ სიმღერებს“. ხალხი, რომელიც თათრის მოედანს
არ გასცილებოდა, რასაკვირველია, ვერ მიიღებდა ისეთ შაირებს, სადაც
მისთვის უცნობ „ყვარყვარებზე“ იყო ლაპარაკი. ტფილისის დაბალი
მოსახლეობა ეტანებოდა იმგვარ ლექსებს, სადაც მისი ნათესაური გარემო
იყო აღბეჭდილი, და ამ ფონზე მისთვის ნაცნობი პორტრეტები მოსჩან-
დნენ. რასაკვირველია, ასეთი მძიმე სტილით დაწერილ „რჩეულ ლექსებს“
ხალხი ამჯობინებდა თავისთვის გასაგებ შაირებს და იგივე სიამოვნებით
კითხულობდა პოლემიკას ისეთ საჩოთირო საგანზე, როგორცაა, მაგალი-
თად, „რა სჯობია, ქერივი თუ ქალწული?“

გ. სკანდარნოვას სიმპატიები ქერივისკენ იყო:

¹⁾ ივ. გვარამაძე (1831—1912): „ყვავილების კონა, გინა რჩეული ლექსები სასარგებ-
ლოდ ახალგაზდა ყმაწვილ კაცთა“, 1878 წ., კონსტანტინოპოლი, გვ. 8.

„მისთვის მიყვარს ქვრივი მე,
ყოფა-ქცევით ზრდილია,
ჩემი დარდი მას ესმის,
რადგან გამოცდილია;
თვალზედა, ლალზედა,
შენ კარგი ხარ ქალზედა!

საცა ვიყო მოგნახვე,
მოგკედები—დაგინახვე,
მერწმუნე, ცხონებულზედ
მე უკეთ შეგინახვე!
თვალზედა, ლალზედა!
შენ კარგი ხარ ქალზედა!“

და სხ. 1)

დ. გივიშვილმა ამ ლექსის საპასუხოდ მთელი წიგნი გამოსცა, რომელსაც ასეთი პოლემიკური სათაური აქვს: „ქვრივი რით სჯობს ქალწულსა?“ გივიშვილი, სკანდაროვას „ქვრივის“ დასაპირისპირებლად და საწინააღმდეგოდ, ამბობს:

„რას ვაქნევ ბედ-შეცვლილსა,
ვარდს, ფოთოლ-გადაშლილსა,
სხვა ბულბულის ნისკარტით
მრავალჯერ დაკორტნილსა?
ქალწულსა ასულსა,
უძღვნი გულსა და სულსა.

ქვრივის არა აქვს მიწდობა,
ძნელია მისი ცნობა,
რადგან სხვასთან ჰქონია
პირველი მეგობრობა.

ქალწულსა ასულსა,
უძღვნი გულსა და სულსა“

და სხვ. 2)

საყურადღებოა, როგორ გადადიოდა ხალხში სკანდაროვას ღ გივიშვილის პაროლი: „ქვრივი!“ „ქალწული!“ და როგორ იმსჯელებოდა ეს აუდიტორია იმავე ზრახვებით, რაც ამ ორ მოკამათე პოეტს ამოძრავებდა. რასაკვირველია, ტფილისის დაბალ წრეებს ასეთი თემებიც ახალისებდა და აღეღვებდა. ქალიქელებმა ეს გადმოსროლილი პაროლი ორივე ხელით მიიღეს. მათ „ქალწულისა“ და ქვრივის“ სახით ახალი სალაპა-

1) იხ. „სალხინო საზანდარი“ (მეოთხე გამოცემა), 1912 წ., გვ. 236.

2) იხ. „ქვრივი რით სჯობს ქალწულსა“, 1878 წ., გვ. 4.

რაცო საგანი გაიჩინეს და რატომ არ უნდა ებაასნათ? ხალხი ამ შემთხვევაშიაც ორ ჯგუფად გაიყო: ზოგი ქალწულს აძლევდა უბირატესობას, ზოგი ქერიეს, ზოგი სკანდარნოვას მიემხრო, ზოგი—გივიშვილს; ეს ლექსებიც გადაიქცა ფრთიან სიმღერებად და მთელი ქალაქი მღეროდა ამ ახლად აღძრულ ეროტიულ საკითხზე. ¹⁾ წარმოიდგინეთ, თვით სამგლოვიარო ლექსებსაც კი, რომლებსაც ახლად გარდაცვალებულ თვალსაჩინო მოღვაწეებს უძღვნდნენ, ამგვარი ორმაგური სათაური ჰქონდა:

დექსი ბქძოლის ველზე დაღუპულ დათიკო ბებუთოვზედ,

რომელიც იმღერება „ქერიო, მიყვარს ლხენა მე“-ს ხმაზე.

და სხვ

მართალია, ძველად ქერიის უბირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ „ქალწული დედას უნდა დაჰკითხებოდა საქმროს ამორჩევაზე და ქერიევი კი თვით ირჩევდა,“ ²⁾ მაგრამ სკანდარნოვა ქერიევი სულ სხვა ღირსებას ჰხედავდა! მისი „ქერიევი“ არ იყო ის ქერიევი, რომელსაც ამქრის წევრები ძმურ დახმარებას უწყევდნენ, როგორც უბატრონოდ დარჩენილ აღამიანს; გ. სკანდარნოვა, როგორც ეროტიული სიმღერების უსტაბაში, ქერიეს ღირსის თვალებით შესციკავებდა.

ეს იყო მისი სექსუალური პოეზიის იდუმალი შტრიხი.

გივიშვილისა და სკანდარნოვას კამათი დროებით შესწყდა. ოთხმოციან და ოთხმოცდაათიან წლებში პარალელურად ხალხში სხვა მიმდინარეობა ჩაისახა. გაჩნდნენ მუშა-შწერლები, რომელნიც, მართალია, ქალაქის ბაზრულ პოეზიის წიაღში აღიზარდნენ, მაგრამ მათ იდეურ მიმართულებას სულ სხვა გეზი მიეცა.

ვიდრე ამათხედაც ვიტყვოდეთ ორიოდ სიტყვას, ნება მიბოძეთ, სკანდარნოვას და გივიშვილის საპაექრო ლექსების ციკლი დაეძაფერო. მკითხველი შეაშინედა, რომ ჩვენ ამ ორ პოეტს არ ვაცალკევებთ; ამ შემთხვევაში მათი ცალ-ცალკე გარჩევა და დახასიათება შეიძლება მეტიც იყოს, რადგანაც გივიშვილი და სკანდარნოვა, მიუხედავად მათ შორის არსებული „სამკედრო-სასიცოცხლო“ ბრძოლისა, მაინც „ერთსულ და ერთხორცილი“ იყვნენ.

¹⁾ „ქერიის ლექსები“ იმღერებოდა „ნობათ ხანუმის“ ხმაზე.

²⁾ გ. რ. რჩეულოვი (1820—1877); „ქერიის ლიმონები“ ი. გ. რ. შ. ა. შ. ვ. ი. ღ. ს. წინასიტყვაობით, 1926 წ., გვ. 39.

ჩვენს ხელთ არის გივიშვილისა და სკანდაროვას ავტოგრაფები, ¹⁾ საიდანაც სჩანს, რომ მათი კამათი სიბერის დროსაც არ დამცხრალა. 1878 წელს დაწყებული კამათი 1904 წელს განახლებულა. თუ წინათ ამ ორი მწერლის პოლემიკა ლიტერატურულ ნიადაგზე იყო წარმოშობილი, ეხლა პირადი კინკლაობის, წაძახილის და ინტიმიური ცხოვრების წყრილმანი ხასიათი მიეცა. მიზეზი სადა და უბრალო იყო:

ალბათ, არა ერთხელ გინახავთ საფლავის ქვაზე ამოჭრილი ეპიტაფია. რადგან ხალხში მიღებული იყო, მეცდარი ავად არ უნდა მოიხსენიოთო, ჰირისუფლები მწერლებს უკვეთავდნენ გალექსილ ხოტბა-წარწერას გარდაცვალებულის საფლავის ქვაზე ამოსაქრელად (ყოფდა გამჟღავნებული სჯობია და მეც კი დამიწერია ასეთი ეპიტაფიები ჩემი ბალობის დროს).

ქალაქის განაპირა უბნების სასაფლაოთა „ქვეათა ლიადი“, ეს თავისებური ხალხური პოეზია, რომელიც ამ წიგნის გამორჩენილ კარად უნდა ჩითვალოს, მეტად საყურადღებოა და დამახასიათებელი... ამგვარი ეპიტაფიების გალექსვას, რასაკვირველია, სკანდაროვაც და გივიშვილიც მისდევდა. ჰირისუფლები ყოველთვის სცდილობდნენ რომ თავიანთი მიცვალებულები ცნობილი პოეტის ლამაზი ლექსით „გაპატიოსნებულიყო“:

„თვრამეტი წლის ახალგაზრდა უმურაზოდ გავიარე,
საქორწილოდ გამოადებულს წილად მერგო ეს სამარე.“ და სხვ.

ერთი ამგვარი წარწერა, როგორც სჩანს, შეუტყუენითათ გივიშვილისათვის. მაგრამ შემკვეთელს დავით გივიშვილის ეპიტაფია დაუწუნია და გ. სკანდაროვასი—მოუღია.

ეს პატარა მიზეზი საკმარისი ყოფილა, რომ ძველი იარები ხელახლა გახსნილიყო. აი, ეს უკანასკნელი ლექსებიც:

¹⁾ ეს ავტოგრაფები გადმოგვკვა ი. ვ. ბ. უ. თ. ლ. ი. ა. შ. ე. ლ. მ. ა. რომელსაც თავის მხრივ გამოუთხოვია მწერლობის მოყვარულ „შეაფიკ“ სა მ ს ო ნ ა ს ა თ ე ი ს. მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ გივიშვილ-სკანდაროვას ლექსები ბოლო დროს ამოვიდა ქალაქის ღრმა სარდაფებიდან და თამაშუვის ქარვასლის ნოკრებს დაურთიდა. ეს „შეაფიკები“, იყვნენ ყარა-ხოღლების მესამე მოდგმა (შეორე მოდგმად ჩვენ კინტოებს ვეთვლით). ეს ნახევრად განიტყულებული კინტოები რაღაც უღიბლამო და უნიათო ხალხი იყო. ესენი კარვასხლაში ვაჭრობდნენ საწერილმანო ნივთებით, მათი მუშტრები განსაკუთრებით მანდილოანები იყვნენ და ამიტომ შეთვისებული ჰქონდათ ქალური მანკრები; ამ „შეაფიკებზე“ სულლორბა ნ. გ. ა. ლ. უ. ს. ტ. ო. ვ. მ. ა. (1865—1900) სამ მოქმედებინი პიესაც დასწერა: „არკადიას სადილი“, რომელშიაც მომქმედ პირებად ნამდვილი ხალხი გამოიყენა თავისი ზედმეტ საბეჭობით: ტლა პანა არ კვადია, საბაჯა სა მ ს ო ნ ა, ვენსკი-შიკი ი ო ს ე ბ ა, უფულო ს ო ლ ო მ ო ნ ა, დედალ მ ი კ ი ჩ ა. ქაფია გ ე უ რ ჰ ა, დედისერთა ბ ა გ რ ა ტ ა, კუზიანი შ ა შ ა, ფიხკა ი ა გ ო რ ა და სხვა. ამ პიესამ დიდი ალიაქათი გამოიწვია... იგი რამდენჯერმე წარმოადგინეს ჩვენს სცენაზე და თეატრში ყოველთვის ანშლავი იყო. პიესა „არკადიას სადილი“ გალექსა მუშა-მწერალმა ნ ი კ ო რ ი ტ რ ი ე ვ მ ა.

გ. სკანდაროვა სწერს:

ამ ლექსს უძღვნი შაკრინე გრაიგორენას სევეარელს

(გ ი ვ ი შ ვ ი ლ ს)

ამით ვათავებ მასთან აღებ-მიცემას;

დღ. ვამ-პაპას შეიღმა სფრტომ და სამშონამ
გაარჩიოს ეს ჩემი უკანასკნელი პასუხი.

აბლაბუდა ბლიაძე, დაგვარგვია ყაფაა,
დაგიწუნეს ილოს ცოლის ქვისა ეპიტაფია!
ბეი უკან წაგართვეს, თავს დაგასხეს ლაფია;
ყველამ წუნი დაადო კუყი იყო, თაფია,
რა კი ჩემი მიიღეს, მუნ გაგიწულა ძაფია!

არ გესმის ვით მიკბინო, ჰიკინაზე სკდებო;
ლამის ჰკვით აიწიო, ჯაურით გულს ასკდებო,
წარამარა წერიოთა ჩემთან რას გახდებო!
იძახი: „ბებერი ხარ!“ შეიდ ნაბაღზე ებტებო,
შენისთანა შესტვირეს საკრივით დაეხუდებო.

წადი, შენს თავს უშეელე, ცოდვანი მოინანე;
ეგ შენი ავკაცობა მე მიამბო შაკრინემ,
თუ როგორ ექცეოდი... სიმთვრალით ჩაიღინე!
ის სულ წინდას გიქსოვდა. სიკეთე არ ისმინე,
ითვრებოდი და სცემდი, ცხარე ცრემლი აღინე,
მის ცოდვა არ შეგრჩება, რაც მასთან მოილხინე.

ხარშოენიკად რომ იყავ, შეგიყვარდა ფითიო,
ლოთობისთვის შენ ცოლმა მოგაკენიტა თითიო,
[] მოგიჭირა, დაიწყე ხითხითიო,
მეზობლები დაესწრნენ; „რად ჰყიოდი, რითიო!“
ქალაქში ერთი არის შენი მაგალითიო!“

შემდეგ გ. სკანდაროვა ეხება დ. გივიშვილის ოჯახურ ცხოვრებას, მის დაუალიანებას („შენს ვალებს მე მთხოვენო“) და ყოველ სტრიქონში სჩანს „მეგობრის ხელი მსახვრალი“

დ. გივიშვილი უპასუხებს:

სკანდაროვ, ჰუნარ, ჰუნარ, შე ჯანბაზის მასხარა,
გარყენილო, კუქყიანო, ენა-მურალო, ტარტარა!
მწერლობას გეკითხები, რას როშავ წარამარა,
ჩემს ვალთან რა ხელი გაქვს, შე ჩერჩეტო, თავქმარა?

რას კითხულობ ჩემს ვალებს? ღმერთი ხომ არ გაწვალებს?
 ვინ არის ის ოხერი, შენ ვინა გთხოვს ჩემს ვალებს?
 მწერლობით მებაასე, დაგიყენებ მაგ თვალებს,
 ქალამს დაგაგდებინებ, გაქმევ სირცხვილის ალებს!
 მწერლებში თავი მოგაქვს, ნეტა ვისი ტოლი ხარ?
 მწერლობისა რიცხვიდან შორს-შორს გასასროლი ხარ;
 იმათი პაპიროზის დანამწვარის ბოლი ხარ,
 სწორედ გითხრა, მწერლებში უციფირო „ნოლი“ ხარ.

ასეთი იყო ამ ორი თვალსაჩინო პოეტის შემოქმედება. ჩვენ უმთავრესად გივიშვილისა და სკანდაროვას საპოლემიკო ხასიათის ლექსებზე შევჩერდით, რადგანაც ეს ფორმა იმ დროინდელი მწერლებისთვის დამახასიათებელი იყო. გივიშვილი და სკანდაროვა პაექრობდნენ, იმიტომ, რომ ეს პაექრობა ხალხს მოსწონდა! გივიშვილისა და სკანდაროვას ლექსებში თქვენ ვერ იპოვით ვერც პატრიოტულ რომანტიკას და ვერც რევოლიუციონურ მოტივებს. მაგრამ ამისდა მიუხედავად მათ შინაგანად ლიბერალური წიგნის ბაზარი და ხელი შეუწყვეს წიგნის შექრას ხალხის გულის სიღრმეში; არაეისთვის არ უნდა იყოს სადაო, რომ მათ თავიანთი უცნაური სტილით დაწერილი ლექსებით „ანბანი“ შეიტანეს ქალაქის დაბალ მოსახლეობაში—ხელოსნებში, შეგვირდებში, ნოქრებში. გივიშვილისა და სკანდაროვას წიგნებში მკაფიოდ იყო აღბეჭდილი ბაზრის ყოველივე წვრილმანი, მისი ნიუანსები, მისი ყოველდღიურობა და... ბაზარსაც წრფელი სიყვარულით უყვარდა ეს ორი ბოჰემისტი პოეტი, ეს ერთი მედალიონის ორი ძვირფასი სახე.

„გვეყოფა თითქმის პოეტებიცა,—
 ეხლა გვჭირია მოქალაქენი“¹⁾

ახალმა ეპოქამ ახალი მოთხოვნა და ახალი ხალხი წარმოშვა. ბატონყმობის მოსპობის შემდეგ რუსეთში დაწყებული მოძრაობა საქართველოშიც გადმოვიდა. ერში განთავისუფლების იდეა გაიფანტა.

ხალხს ისე აღარ აინტერესებდა ყარაჩოლული რომანტიკა, ეს საღებო და „საამოდ სასმენელი“ ლექსები. თუ წინათ მუშები და ხელოსნები თავიანთ ამქრის მეტს არავის ამჩნევდნენ, ეხლა ესენი ნაროდნიკებს და ნაციმბირალ ხალხსაც ეცნობიან, თუ წინად ტფილისის ბოჰემურ შაირებს ისმენდნენ, ეხლა პოლიტიკური შინაარსის წერილებსაც ეწაფებიან.

ტფილისის ჟანდარმერიის არხივში ასეთი ცნობაა დაკული:

ავგენტი ტფილისის ჟანდარმერიისა, ვინმე ივან აკლადსკი, რომელმაც მეტი წილი თავის ცხოვრებისა ფარულ პოლიციის სამსახურში გაატარა და ამავე დროს რკინის გზის მუშათა დეპოში ზეინკლად მსახურობდა, იმდენად მოხერხებული გამოდგა, რომ თვით მუშებიც ნდობით გკიდებოდნენ და რევოლიუციონური წრის მთავარ ხელმძღვანელადაც იყო არჩეული. აი, სწორედ ეს ივან აკლადსკი, 1883 წელს ასეთ ცნობას აწვდის ტფილისის ჟანდარმერიის უფროს:

„...რაც შეეხება მუშებს, მე ეალდებულად ვთვლი გაცნობით, რომ უმეტესი ნაწილი განვითარებულნი არიან და დიდ ყურადღებას აქცევენ იმპერიის პოლიტიკურ განწყობილებას. იმ გაზეთის ნომრებს, სადაც პოლიტიკურ პროცესებზე წერილებია მოთავსებული, პირდაპირ იტაცებენ.“²⁾

ტფილისის აქეთა მხარეს კი, სახელდობრ, ორთაქალის რაიონში, ქალაქის მდებრიო ხალხი მირზოევის საფეიქრო ქარხანაში მუშაობდა.

¹⁾ ნეკრასოვი (იხ. კირილე ლორთქიფანიძის „ჩინგური“, 1864 წ., პეტერბ. გვ. 17).

²⁾ იხ. „Висок“, 1924., გვ. 95.

პ. უმიკაშვილი, ამ ქარხანაში პირველად შესულ ქალაქის ახალგაზრდობას ასე ახასიათებს: ეს ჩვენებური ქალაქის ბიჭები ძალიან მარდობას იჩენენ, გამჭრიახობას და თავიანთ საქმეში საკმაოდ გაოსტატებულან“-ო.¹⁾

მაგრამ ეს „გაოსტატება“ ხელს არ უშლიდა, რომ „ჩვენებური ქალაქელი ბიჭები“ გაფიტულიყვნენ და მანქანების ირგვლივ გამაფრთხილებელი ღობის შემოვლიება მოეთხოვათ. ამ პირველყოფილ მანქანების წყალობით, თვე ისე არ გაივლიდა, რომ რამდენიმე მუშა არ დასახიჩრებულიყო და მომუშავე ხელოსნებს, პროტესტის ნიშნად, კანტორის ფანჯრები არ ჩაეღწათ. ხშირად ამბოხის დასაშოშმინებლად პოლიციაც კი ერეოდა.²⁾

საჭიროა ამ თავითვე აღვნიშნოთ, რომ ამ მუშების პირველდაწყებითი ანბანი იყო ის ქალაქის ხალხური პოეზია, რომლის ტონის მიმცემნიც იყვნენ გივიშვილი, სკანდაროვა, ჰაზირა და საბაზროდ გამოცემული ძველი მწერლობის სხვა-და-სხვა ზღაპრული წიგნი.

შეიძლება ზოგიერთს ეს გაზეიადებულად მოეჩვენოს!

ვალაპარაკოთ საბუთები:

უხუცესი ხელოსანი მიხა ჩოღრიშვილი თავის „თავგადასავალში“ სწერს: „...თუმცა ქალაქში ჩამოსვლამდე ანბანი ზეპირად ვიცოდი, მაგრამ სიტყვების შეერთება და გამოთქმა მიძნელებოდა. ამ შემთხვევაში ხელი შემიწყო დუქნებზე „ვივსკების“ წარწერებმა... ქუჩებში ვე ვაკრული აფიშები და ქუჩებში ვე ნაპოვნი აფიშების ნაგლეჯები იყო ჩემი სკოლა, უნივერსიტეტი და მასწავლებელიც, რის მეოხებითაც წერაკითხვა ვისწავლე და ხელთნაწერსაც ვარკვევდი. მაშინდელ ლიტერატურასაც ვკითხოლობდი, როგორც იყო „ყარამნიანი“ და სხვ.“³⁾

მეორე ცოცხალი მოწმეა მუშა-მკერვალი ნიკო იტრიევი. ეს პროლეტარული მწერალი მოგონებასა სწერს ეგნატე ნინოშვილზე და,

¹⁾ იხ. „დროება“ 1872 წ., № 3.

²⁾ იხ. ჩოღრიშვილი მოგვითხრობს. „მირზოევის საქსოვსართავ ფაბრიკაში მანქანამ ერთ მუშას მკლავი მოჭლიჯა; ამ მუშას ხარფუხელს ეძახდნენ, გვარი არ მახსოვს (ამ მუშის გვარი იყო გეორგიშვილი, მამა სახალხო თეატრების მსახიობ ეანო მარკოშვილია. ი. გ.). ეს დასახიჩრებელი მუშა მორჩენის შემდეგ ქუჩის ანბანაჩა გახდა, ფაბრიკის ხაზინმა არამც თუ რაიმე დახმარება აღმოუჩინა, კარებთანაც კი აღარ გაატარა. მერე ეს მუშა კარდაქარ დადიოდა და სამოწყალოდ გლახაობდა“ (იხ. „ჩემი თავგადასავალი“, 1927 წ., სახელგამი, გვ. 71).

³⁾ იქვე, 1927 წ., გვ. 69.

სხვათა შორის, ამბობს: „შემთხვევა მქონდა მენახა ეგნატე ნინოშვილი, მგონი 1893 წელს, როცა ქართველი მუშების საკითხავ წიგნებს შეადგენდა „ყარამნიანი“ და სხვა უშინაარსო წიგნები. მეც ამ ლიტერატურით ვსაზრდობდი. ერთხელ კვირა დღეს, ალექსანდროვის ბაღის თავზედ, ძველი წიგნებით მოვაჭრეებში დავეძებდი მორიგ ყარამნიანის ერთერთ კარს სასყიდლად, სწორედ ამ დროს შემომეფეთა ერთი საშუალოზე ცოტა მაღალი და გამზდარი კაცი. ეს იყო ეგნატე ნინოშვილი. მხარზე ხელი დამადო და შემეკითხა: „ახლად იწყობ, უმაწვილო, წიგნების კითხვასა?“ მე ჩამოუთვალე ყველა ჩემ მიერ წაკითხული წიგნი დაწყებული სკანდარნოვას სიმღერებიდან, გათავებული ყარამნიანამდე! ჩემმა მოსაუბრემ ცოტა გაიღიმა, მერე შემიყვანა ერთს წიგნის საეაქროში და მაციღვინა „ველეურობა და განათლება“ და „როგორ სცხოვრობდნენ ადამიანები ძველად.“ ვწუხდი, რომ „ყარამნიანი“ სასყიდლად ფული აღარ დამჩია...“¹⁾

მესამე მოწმედ გამოგვადგება მუშა-მგოსნის შაქრო ნავთლულელის ავტობიოგრაფია. „წერა როგორ დავიწყე,—სწერს ნავთლულელი,— რიგინად მეც არ მახსოვს, მაგრამ რადგან საქმე მოგონებაზე მიდგა, მეც მოვიგონებ“... შემდეგ მწერალი იგონებს უმაწვილობის ამბავს, წმ. ბარბარეს ეზოს, სადაც სიმღერის შეჯიბრი ჰქონიათ გამართული, ვინმე „ძია ხენოს“, რომლისათვისაც ლექსი გამოუთქვია; ამ ძიას აბაზიანი უჩუქნია და უთქვამს, ვე აბაზი იბიტომ გაჩუქე, რომ წიგნი იყიდო, წაკითხო, ისწავლო და უფრო კარგები დასწერო. „ამ დროს,—განაგრძობს ნავთლულელი,—თერთმეტ-თორმეტი წლისა ვიქნებოდი; გამეხარდა, რომ შრომამ ნაყოფი გამოიღო და ნაჩუქარ აბაზიანით ხელში მეორე დღეს ავლაბარში ამოველ, ვიყიდე დავით გივიშვილის ლექსების წიგნი, დავიწყე კითხვა, ღამე თავით ვიდებდი და დღე უბით ვატარებდი, სანამ სულ არ გავიზიპირე; ზოგჯერ კიდევ ვბძახვდი...“²⁾

მუშა-პოეტი გ. შინატეხელიც აღნიშნავს ჩემდამი მონაწიერ წერილში, რომ „ქართული ლიტერატურა პაზირას ლექსებმა შემასწავლა“.

სხვებს აღარ გამოუღებოთ. ჩვენი სიტყვების დასამტკიცებლად ეს ოთხი ცოცხალი მაგალითიც საკმარისია! ერთმა ყარამნიანით დაიწყო თავისი ცოდნის ანბანი, მეორე—სკანდარნოვას ლექსებზე აღიზარდა,

¹⁾ იხ. „მცზა“, 1923 წ., № 141.

²⁾ იხ. „კომუნისტი“, 1927 წ., № 99.

მესამე—დავით გივიშვილის ლექსებით იყო გაწაფული, მეოთხე ჰაზირას სიმღერებს ასახელებს თავისი ლიტერატურული კარიერის დასაწყისად. ერთი სიტყვით, როგორც მკითხველი ჰხედავს, ამ ავტორებმა დიდი როლი შეასრულეს იმ ხელოსანთა წრეში, რომელთა შორისაც მათ უხდებოდათ მოღვაწეობა.

ალიზარდენ, მაგრამ, საკითხავია, ამ მუშა-მწერლებმა როგორ გამოიყენეს ეს „აღზრდა?“ დაჩნენ თავიანთი ოსტატების უხეირო მიმბაძველებად თუ სხვა გზა გამონახეს საკუთარი შემოქმედების გასაღრმავებლად? ფაქტია, რომ ამ ახალმა თაობამ პატარაობიდანვე გივიშვილ-სკანდაროვა-ჰაზირას შემწეობით შეითვისა ქართული წიგნის სიყვარული; მაგრამ, როცა წამოიზარდა და გონება დაივსო, ამ მგოსანთა მოტივები უარჰყო. სიმღერას, ტრფობას, გართობას, გრძნობას გონებრივი მსჯელობა დაუმორჩილა.

ზ. ჭიჭინაძე უკვე აშკარად აცხადებს: „ნუ თუ დღევანდელი ერის ცხოვრების სურათები საკმარისს საბუთს არ იძლევიან, რომ ჩვენთვის დღეს გრ. ორბელიანის, ალ. ჭავჭავაძის, ვ. ორბელიანის, ბესიკის, თუმანიშვილების, საათნოვანის, სკანდაროვის, გივიშვილისა და სხვა ამისთანა პოეტებისთანა პირნი საჭირონი არ არიან?“¹⁾

როგორც ვხედავთ, ძველი პოეტების უარყოფის ხანა უკვე იწყებოდა; თუმცა არავინ იცის, რა დააშავა ბესიკმა, ალ. ჭავჭავაძემ, გრ. და ვ. ორბელიანმა, რომელთა ლექსებსაც იგივე ზ. ჭიჭინაძე პარალელურად ცალკე წიგნაკებად კბეჭდავდა? იქნება იმიტომ, რომ სკანდაროვა და გივიშვილი ამ მწერლების მიერ იყენებულ გაწრთენილნი და ახალ თაობათა საყურადღებოდ საჭირო იყო ძველი მწერლების ასე დედაბუდიანათ უარყოფა? დაუგდეთ ყურა: „განა ორბელიანების,—განაგრძობს ჭიჭინაძე,—და ჭავჭავაძისაგან აღზრდილი მწერლები კი არა გვეყვანან? მაშ გივიშვილი და სკანდაროვა ვინ არიან, თუ არა მათგან გაწრთენილნი ნამდვილი შვილნი ქართულის მწერლებისა?“²⁾

ასეა თუ ისე, სცენაზე გამოდიან თანამედროვე ვითარების ამსახველი მგოსნები. მათ შორის თვით ზ. ჭიჭინაძეც ლექსაობს:

„ღრო იცვლება და მასთან მისი ერი,
მაგრამ ჩვენ რა? ღარიბებს არაფერი,

¹⁾ ზ. მთაწმინდელი (ზ. ჭიჭინაძე): „იოსებ დავითაშვილი“, 1887., გვ. 47.

²⁾ იქვე, გვ. 49.

თუ სწავლობენ ისევე მდიდრის შვილები,
ჩვენის ოფლით, ტანჯვით გამოზრდილები.“
და სხვ. ¹⁾

სკანდაროვა? გივიშვილი? ამ მგოსნებმა თითქოს შეასრულეს თავიანთი მოვალეობა. მათაც დაუდგაძრ. დაკნინების ხანა. ღრმად მოხუცებულნი, ახალ სიტყვას ვეღარ ამბობდნენ. მათს უკანასკნელს ლექსებს სახსრები აღარ ემორჩილებოდა, იშლებოდა, იფუფქებოდა; გაჩნდნენ სოციალური მოტივების მომღერალნი და იწერებოდა ლექსები არა „დროს შესაქცევად“, არამედ მასსების პოლიტიკური და კულტურული დონის ასაწევად.

„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდოს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედავოს მტკიცე გული“...

თანამედროვე ქალაქური ხალხური პოეზიის პირველი მერცხლები და თავისუფლების მქადაგებელნი, რომლებმაც თამამად გაილაშქრეს ალაბატონთა წინააღმდეგ და სწავლა-განათლება პირველ რიგში დააყენეს, იყვნენ ღურგლები, ზეინკლები, თერძები, მეჩექმენი, ნოქრები, მზარეულები და ხელზე მოსამსახურენი.

ი. დავითაშვილი (1850—1887) ურჩევს ხელოვნებს:

„იკითხეთ ვაზეთ-ქურნალი,
სხვა-და-სხვა ამბებისაო!“...

„თქვენის უცოდინარობით
ალებს სასვე აქვთ ქისაო“;

„შვილები, კარგად დაზარდეთ
ასწავლეთ დედა-ენაო!“

გარდა ამ დიდაქტიურ დარჩევებისა, ი. დავითაშვილს ისეთი ლექსებიც აქვს, რომლებშიაც ირონია მორცხვად გამოკრთის. ასეთი ლექსები ფსევდონიმით იბეჭდებოდა და ხშირად ქალაქელ „მოღნი ბარიშნებს“ ეხებოდა. ავტორის სიმპატიები სოფლის მშრომელ ქალებისკენ არის მიმართული. აი, პოეტი როგორ ანალოგიას ატარებს ქალაქელსა და სოფელელ ქალს შორის.

¹⁾ ეს ლექსი ხელთნაწერად ვრცელდებოდა. სიმღერადაც გადააკეთეს. ამ თამად ეს ლექსი მოთავსებულია კ. ფოცხვერაშვილინ მიერ შედგენილ სიმღერების კრებულში: „რევოლიუციის სიმღერები“, 1923 წ., გვ. 37; ხ. ქ—ძის ლექსები დაბეჭდილია აგრეთვე შემდეგ წიგნში: „საჩუქარი ქართველ ყმაწვილებს“, 1878 წ., გვ. 17, 31 და 48.

„შენი კაი ქალობა
 შენმა მოდნამ მანიშნა,
 მამა ტიკებს ჰბერაჲდა,
 შენ ვით გახდი ბარიშნა!

სოფლელ გოგოს ქირიმე,
 იგი შრომის შეილია,
 ქალაქლო! გჯობიან—
 ფეხებ-დახეთქილია“.

მოდნის ჟურნალებისა
 მას არ მართებს ვალები,—
 აი, კარგი საცოლო,
 იმას ვენაცვალები.“

და სხვ. ¹⁾

ტფილისის ხელოსან მწერლებში იოსები ერთად ერთი პოეტია, რომლის შემოქმედებაშიც ეგრედწოდებულ ქალაქის „ბაზრულ პოეზიას“ არავითარი წველილი არ შეუტანია! პირიქით, იგი დასცინის კიდევ რომელიღაც ქალაქელ მელექსე-გამომცემელს:

„ტფილისისა კინტო ვარ,
 თარფით ვყიდი წიგნებსა;
 ვწერამ ლექსებს უაზროს,
 თავზედ ეხატამ ციკნებსა.“ ²⁾

ი. დავითაშვილი იმ დროინდელი მოწინავე ინტელიგენციის გავლენას განიცდის.

აკაკი და გურამიშვილი მისი ლექსების საარსებო წყაროა. მაგრამ, ჩემის აზრით, მისი პოეტური ზრდა არ იყო თვალსაჩინო და არაჩვეულებრივი. არის პოეტი, რომელიც თანდათანობით იზრდება და მისი უკანასკნელი ლექსები ბევრად აღემატება პირველი კალმის მონასმს; არის პოეტი, რომელიც დეგენერაციას განიცდის, კნინდება, ქვეითდება და თავისი პირველი ლექსებით ამაყობს; მაგრამ არის პოეტი, რომელიც ერთ დონეზე სდგას და დროთა მანძილი მისი ნიჭის განვითარებაზე არ მოქმედობს. ამ მესამე კატეგორიას ეკუთვნის ი. დავითაშვილი. თუმცა შეიძლება ამ შემთხვევაში, დავითაშვილი არც იმდენად იყოს დაშნაშავე, რად-

¹⁾ თვ ა ტ რ ი ს მ უ შ ა (ი. დავითაშვილის ფსევდონიმი იყო): „თეატრი“, 1886 წ., № 22; ი. დავითაშვილის ზოგიერთი ცნობილი ლექსი ამ ფსევდონიმით იბეჭდებოდა ვასო აბაშიძის ჟურ. „თეატრში“. დავითაშვილმა ეს ფსევდონიმი მაშინ დაირქვა, როცა ქართულ თეატრში მუშაობდა ფარდის ამწე-დანწევის თანამდებობაზე.

²⁾ იხ. ი. დავითაშვილის ლექსები, ვარ. ხუროძის რედაქც., 1927 წ. გვ. 143.

განაც პოეტმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლე მხოლოდ ტანჯვასა და არსებობისთვის ბრძოლაში გაატარა. მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ იმ დროინდელ საერთო ფონზე ი. დავითაშვილი ახლად თეხ-ადგმულ მუშა-პოეტებს შორის ყველაზე გარკვეული და ჩამოყალიბებული აზრების მწერლად უნდა ჩაითვალოს. „ყოველი კაცი, — სწერს დავითაშვილი თავისი პირველი წიგნის წინათქმაში, — ვინც უნდა იყვეს, ღიდი თუნდ პატარა, ვალდებულია საზოგადო საქმეს თვალს ადევნებდეს და ცდილობდეს მისი ავისა და კარგის გარჩევას, რათა მცირე რაშითაც არის დაეხმაროს თავის სამშობლოს და მოქმეს.“¹⁾ ხოლო ერთ ლექსში, რომელიც თავის მეგობარ მუშა-პოეტს მიხ. გორდაძეს უძღვნის, მაშინდელი „ახალი ცხოვრების“ მთელი პროგრამაა გამოთქმული:

„კარგს აქვბ და ცუდს აძაგებ,
მაიციხავი ხარ მოღისა,
არ დამირიღო, მუშა ვარ,
ნება მიბოძე ცნობისა;
მიცან და ერთად შეგებათ
ახალ ცხოვრების უღელში,
„მე“ მოვსპოთ, „ჩვენა“ ვიხმაროთ,
მით მოძმეს მიეცეთ ნუგეში!“²⁾

ხალხში უკვე ახალი ლოზუნგია გადასროლილი: ნაცვლად ინდივიდუალური „მე“-სი, ხალხის აღსადგენად საჭიროა „ჩვენ“. ეს უკვე ის ნაცნობი პანგია, რომელიც შემდეგ ნიჭიერად განავითარეს ევლოშვილის მიმართულების დემოკრატიულმა პოეტებმა. ვ. რუხაძე ამბობს:

ნუ იქნება „შენი“, „ჩემი“,
საზოგადო გამგებლობდეს.

ი. დავითაშვილი ხალხური უბრალოების გამომსახველი მგოსანია, იმ დროის თვალსაზრისით დავითაშვილის თემატიკა გარკვეულ ხაზს ატარებს. ეს განმეორებით უნდა აღინიშნოს. მარტო ის რათ ღირს, რომ ილია ჭავჭავაძემ, — ამ სიტყვაძუნწმა ბუმბერაზმა, — დავითაშვილის ნიჭი თავისი ავტორიტეტის ფრთებ ქვეშ დააყენა!

¹⁾ იხ. „სტერი“, გამოცემა ვარდენ გოციოძისა, 1880 წ., გვ. 4.

²⁾ ეს ნაწყვეტი გამოჩნდა მიუძღვის 1893 წელში გამოცემულ მიხ. გორდაძის ლექსებზე, მიუძღვის კი მოთავსებულია ი. დავითაშვილის ლექსთა კრებულში შემდეგი სათაურით: „ახალ მოღქესეს“. მ. გორდაძე ნიჭიერი მოღქე იყო, ი. დავითაშვილის თანამედროვე და მისი მეგობარი. მ. გორდაძე მუშაობდა ტოლეს საანის ქარხანაში, შემდეგ გენადის მინერალური წყლების ქარხანაში; გორდაძეა 1919 წ. მისში. მ. გორდაძის პირველი წიგნი 1881 წ. გამოვიდა მიხ. აბულაძის ხელმოწერით („სამშობლო ანუ ლექსთა კრება“). მისი ნამდვილი გვარი გორდაძეა.

ი. დავითაშვილი შედარებით სხვა პოეტებთან, რომელნიც ხალხის გულიდან უშუალოდ წარმოიშვნენ, უკვე გაშალაშინებული ხელოსანი პოეტია, მტკიცე იდეოლოგიით აღჭურვილი, რომელიც, შოა მღვიმელის მშვენიერი თქმა რომ ეიხმაროთ,

„დაზგაზე რანდით ლამობდა
მრუდე ხის გასწორებასა“.

ქართული მწერლობა სხვა-და-სხვა გარემოებათა ზეგავლენით ვითარდებოდა. ერთის მხრით, თუ აღნოსავლეთისა და დასავლეთის გზა-ჯვარედინმა ბევრი თავისებურება შეიტანა ჩვენს მშობლიურ ლიტერატურის საღაროში, მეორეს მხრით, ზედა და ქვედა ფენებიდან მომავალმა სამწერლო თვითმოქმედებამ წარმოშვა ხალხურ-მწიგნობრული მიმდინარეობა.

როგორც ზევით აღვნიშნეთ. ეგრედწოდებული „გასართობი“ პერიოდის მწერლები (სკანდაროვა, ნაწილობრივად გივიშვილიც) შესცვალეს ახალი ხანის მგოსნეშმა, რომელნიც კლასობრივ ნიადაგზე იდგნენ. ეს იყო ოთხმოცდაათიან და ცხრაასიან წლებში, როცა რევოლიუციონური ლოზუნგები ჰაერში ტყვიასავით იკუმშებოდა; ეს ის დრო იყო, როცა თვით მაღალი ფენების პოეტებიც გრძობდნენ დაბალ ხალხთან ყოფნის საჭიროებას. აკაკის ერთი ლექსი აქვს: „ეიფელის კოშკზე“; პოეტი ეიფელის კოშკიდან გადაპყურებს „ქიანკველასავით მოფუსფუსე ხალხს“; ველარ არჩევს ვერც მტერს, ვერც მოყვარეს და დასძენს:

„და მაშინ ეთქვი: ნუ თუ ისიც,
ვინც ხანდახან ხალხს შორდება
და სულ მალლა-მალლა მიდის,
ორთა შუა გახირდება?“

რა თქმა უნდა, რომ დაჰქარგავს
ხალხზე ის სწორ მხედველობას
და სიმართლით ვერ გაარჩევს
სიკარგეს და საძაგლობას.¹⁾

ჩვენი ხელოსანი პოეტები სიტყვის სიღამაზეს, ლექსის საერთო აღნაგობას იმდენს ყურადღებას არ აქცევდნენ, რამდენსაც მაგარ სიტყვებს და რევოლიუციონურ ლოზუნგებს. განა ბრძოლის ველზე გასული ადამიანი საყულოს სითფთრეზე ფიქრობს? „განა დაშვებული კაცი მაგრე რივად

1) იხ. „იფერია“, 1906 წ., № 12.

შევა იმ კურკლის განხილვაში, რომლითაც შენ იმას მიაშველებ ლუკმა-პურს, ოქროს ლანგარი იქნება, თუ კრამიტის ნატეხი?“¹⁾)

ეს იყო დროს მოთხოვნები.

ამ ხანის დამახასიათებელ დემოკრატიულ მგოსნებთაგან, რომელთა ლექსებშიც იღვის საერთო ხასიათი და თემის მთლიანობა მოსჩანს, აღსანიშნავნი არიან შემდეგნი:

ი. დავითაშვილი—დურგალი, მერუჭურთმე;

მ. გორდაძე—საბნის ქარხანაში მომუშავე;

გ. ხერუაშვილი—სტამბის მუშა;

იზიდე—ზეინკალი, ბუკინისტი;

გ. შინატყეხელი—მეჩექმე;

შ. ნავთლულელი—ლითონის ხარატი;

ნ. ნოზრევანიძე—თერძი;

ა. ბაჯიაშვილი—მეპაპიროსე, სუფლიორი, დრამატურგი;

დ. ნინოწმინდელი—შკედელი;

ე. კირვალაძე—ხელზე მოსამახურე;

სე. მაისაშვილი—შხარეული;

ლაზარე მაისურაძე—მეჩექმე;

იო. გარსევანიშვილი—მეჩექმე;

მ. ლელაშვილი—პაპიროსების მკეთებელი;

ან. განჯისკარელი—„კრაფელნიკი“, თუნუქით სახურავების მხურავი-

შემდეგში ამათ მიემატა: გალუსტ შიხიანი, დავით გაბრუაშვილი, ილიკო მირზაშვილი, ი. დოდმაზიშვილი, გ. ჯაბაური, მ. ველისციხელი, გოჩა ჯიხაიშვილი, გ. ჩარხიშვილი, მ. მეტეხელი, იაგორ ანდრიანოვი, სიამაშვილი, ვასო როინიშვილი, დუშელი ვანო, ცაფლას-ზანგი, გ. ძამუკოვი, ბ. დავითაშვილი (ბულდან ევანგულოვი), კოლა მინდიაშვილი, მიხ. დევაძე, გრ. გრიგორიანი, ამბაკო მალრადე და სხვა ღ სხვა.²⁾)

ეს ავტორები, —რომლებსაც თითქმის ყველას თავიანთი ნაწერების პატარ-პატარა წიგნაკები აქვთ გამოცემული, —გამსქვალული იყვნენ ახალი მისწრაფებით და თანამედროვებას მტკივნეულად განიცდიდნენ.

1) სტ. კრვლაშვილი (1859—1917): „იმედი“, 1882 წ., № VII—VIII, გვ. 28.

2) ჩვენ აქ განზრახ არ ვიხსენიებთ იმ მგოსნებს (ევდოშვილი, გოშაძე, ახობაძე და სხვ.), რომელნიც თუმცა მიმართულებით და თითქმის ეპოქითაც ზემო ჩამოთვლილ ხელოსან პოეტებს ენათესავებიან, მაგრამ პროფესიით განსხვავდებიან და უფრო ინტელიგენტურ რკალში არიან მოქცეულნი.

ზეცა უარყოფილ იქმნა. გასართობად არავის ეცალა:

„მიწის შვილი მიწას ვუმდერ,
ვარსკვლავებს არ ვეწოდებო,
ხალხმა მშობა, ხალხზედა ვწერ,
მათ ცხოვრებას ვუკვირდები.“¹⁾

ან —

„მუშავ, მდიდარს ნუ შენატრი,
ნუ გსურს მისებრ განდიდება,
დამერწმუნე, უმისოდაც
თითონა ხარ შენ დიდება.“²⁾

ეს იყო იმ დროის საყოველთაო მისწრაფება:

ხალხი. ხალხზე. ხალხისთვის.

ძველად თუ ქალი მარტო ხოტბის საგანს წარმოადგენდა, ან—და „ქვირის“ დ „ქალწულის“ არჩევანი მიაჩნდათ ლექსის თემად, ახალმა დრომ ყურადღება მიაქცია „ნაძრახ ქალსაც“, რომელიც სამსჯავროში მოსამართლეებს ასე მიმართავს:

„მარკმევთ როსკიპს, ნაძრახს, მეძავს,
კანონებით ცოდვას მკითხავთ
და მიგონებთ ათას ცილსა,
მაწამებთ და მწარეთ მკიცხავთ,—
მაგრამ ერთდროს ხომ მეც ვიყავ
პატიოსან დედის ქალი,
და თუ მე დღეს ასეთი ვარ,
თქვენ მიგიძღვით, ხალხო, ბრალი“.³⁾

მუშა-მწერლები კლასიურად გათვითცნობიერების შემდეგ მიხედნენ, გაიგეს, რომ დამპირავებელნი მათი მუშური ენერგიის ექსპლოატაციას ეწეოდნენ; ჩაუფიქრდნენ თავიანთ მდგომარეობას, და ამ განწყობილებამ მათ ლექსებშიაც კპოვა განსახიერება. ეხლა ლექსები სულ სხვა ჰანგზე იწერებოდა და იმღერებოდა. ამ ლექსებში ჩაქსოვილი იყო მუშის ჩივილი, უკმაყოფილება და მოწოდება უსამართლობის დასამხობად. ჩაისახა პირველი რევოლიუციონური ყოყინა, დაიბადა განთავისუფლების იდეა. ამ მიმართულებას ემსახურებოდა ახლად წარმოშობილი პოეზია.

1) ი. ზ. ი. ძე (იოსებ იმედაშვილი): „ქვისმტერვეელი“, 1904 წ. გვ. 28.

2) იქვე, გვ. 5.

3) გ. ჩარხიშვილი: „ლექსები და პოემები“, 1902 წ., გვ. 72. ჩარხიშვილი სწერდა მოთხრობებსაც. ცალკე წიგნად გამოცემულა „გარინჯას ამბავი“ და დიდტანინი რომანი „ცხოვრება და სიყვარული“.

აი, რას უძღერის მუშა თავის „ლოურჯ ხალათს“:

„მიყვარს მე ჩემი ლურჯი ხალათი,
ჩემთან გამცურდარი, ჩემი ერთგული;
ეს არის მუშის დიბა-ატლასი,
რომელშიც უნდა აღმომხდეს სული;
ერთად შევლიეთ ერთად ძალ-ღონე,
ერთ უშველებელ ქარხანაშია,
მე მცვეთენ სხვანი, მეც მასა ვცვეთავ,
ორივე ვიწვით ერთ ტაფაშია.“¹⁾

ეს უკანასკნელი სტრიქონები ნათლად მოწმობენ მაშინდელ მუშა ხელოვნების შრომის აუტანელ პირობებს.

მაგრამ ამავე დროს მათივე პოეზია მოუწოდებდა მთელ მშრომელ ხალხს ბრძოლისაკენ უკეთესი მერმისის დასამყარებლად. აი, როგორ მიმართავს ტფილისელი მუშა სოფლის გლეხაკაცს:

„გამოიღვიძეთ, გლეხ-კაცო,
ნულარ ხართ ძილში ვართული,
აღსდგეთ, მტერზე ამხედრდით,
გახსოვდეთ ჩემი ქართული.
გამზნეღით, თვალი გააღეთ,
გახედეთ არე-მარესა,
ძობა-ერთობის გულისთვის
სისხლს ღერიან ყოველ შხარესა.
იბრძოლეთ ყველამ ერთად,
ვით შეენით გმირთა-გმირებსა,
მიწა და თავისუფლება
შესძლენით თქვენსა შვილებსა.“²⁾

ზოგჯერ ძველი მუშა-პოეტებიც კბამადენენ თავიანთ მუხამბაზურ ოსტატებს და კინტოს ასეთს სატრფიალო ლექსს ათქმევინებდნენ:

„ერთი ნახვით ჩამივარდი გულშია,
მას აქეთ ვარ ტანჯვის სიხარულშია,
რომ მიბრძანო: „წყალში გადავარდიო“,
თავს დაეხრჩობ, გენაცვალე სულშია.
შენ ამშენებ მთელი უბნის ქალებსა,
შენ უკიდებ უმაწვილ-კაცებს აღებსა...
რომ მიბრძანო: „ნულარ შემომხედამო“,
მაშინათე დავიბრძავებ თვალებსა.“³⁾

1) შ. ნავთლუღელი: „შრომის დროს ამოღწერილი ლექსები“, 1904 წ., გვ. 3.

2) გ. შინატყეხელი, იბ. თურ. „მიწა“, 1906 წ., № 12.

3) გ. ხეჩუაშვილი: „ისარი“ 1911 წ., გვ. 35.

მაგრამ ამ დაგვიანებულ წამბაძველობას უკვე ნიადაგი აქვს წართმეული. ამიტომ პოეტი მალე უბრუნდება იმ იდეოლოგიურ არეს, რომელიც ახალმა დრომ წარმოშვა.

თანამედროვე ქალს, რომელსაც სატრუო „სიმართლისთვის ციხეში“ პყავს დაპატიმრებული“, იგივე მუშა-პოეტი, აი, რას ათქმევინებს:

„გაუმაგრდი ბორკილებს,
სიმართლისთვის დევნილო;
ვინძლო, შენი ტყვეობა
არავის არ შესჩივლო;
ერიდე შიშ-შხდალობას,
არ შესცვალო ვა შენი;
იცოდე, დაინგრევა
ციხე ყალბად ნაშენი“. 1)

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს მუშები, გარდა ჩაქუჩისა და კალმის ხმარებისა, აქტიურ მონაწილეობასაც იღებდნენ მაშინდელ რევოლუციონურ მოძრაობაში. ასეთი იყო მათი მისწრაფება და კლასიური შეგნება.

ყ მუშებთან ერთად ცხოვრების განახლებისაკენ მიისწრაფებოდნენ შხარეულები და ხელზე-მოსამსახურენიც. თუ ძველად ამბობდნენ:

„დავეხნათ ცოდნის ძებნას,
ღვინო სჯობს ყოველ მცნებას“—

ესლა უკვე მათი ლტოლვა სხვანაირი იყო. ერთი ხელზე-მოსამსახურე პოეტი ამბობს:

„ღმერთო, მიეც ჩვენს ქვეყანას
ბედი და ბედნიერება;
ღმერთო, მიეცი ქართველებს,
სწავლა და მეცნიერება:
ღმერთო, ჩაუდე მათ გულში
ძმობა და სიყვარულია,
რომ გაუწიონ ერთმანეთს,
ერთგული სამსახურია“. 2)

1) გ. ხეჩუაშვილი: ტ. II, 1926 წ., გვ. 183.

2) ვ. კირვალიძე, იხ. „კვალ“, 1911 წ., 1-ლი ინვარი. ეს კირვალიძე—ის კირვალიძეა რომელიც გ. წყნელი (1842—1900) დაკრძალვებზე 101 კაცის სახელით სიტყვა წარმოიტყვა. ამ სიტყვას იღია ქვეყანაში შეგნებულა „ახალმოსულის“ ფსევდონომით. ასტყდა კამათი. ცნობილია იდიას პასუხი: „— ხმა უნდა აიწონოს და არა დაითვალოს. გნებავთ საქართველოში თუნდ ათი-ათას კაცს ხელს მოვაწვრინებ, რომ დედამსწა ხარის რჩებზედა სდგას, და ნუ თუ ეს მცირეოდენ მცოდნე კაცისთვის სახუთია? ნუ თუ ათი-ათასი კაცის ხმა უფრო მეტს იწონის, ვიდრე ერთი ხმა გადღივისა? თუ კაცი თვითონ ნუღა—გდებდა თუ თავადი—ათასი ამისთანა რომ ხელხელ ჩართული გავამწკრივოთ, მანც ნუღა და ნუღი“. (იხ. „ივერია“, 1901 წ., № 65).

შხარეული სვიმონ მაისაშვილიც უჩივის გამძაფრებულ ცხოვრებას, მაგრამ ამასთანავე ერთად „არ დარღობს ტანჯვას ამნაირს“, რადგან მომავლის იმედი ასულდგმულებს. აი, მისი ერთი გულწრფელი ლექსთაგანი:

„ხელოსანი ვარ, მიჭირავს
ხელში ჩამა და ქაფქირი,
ვწრომობ ლარიბი ქუჩაზე,
უქონლობასა არ ეტირი.

მარჯენით კალამი მიჭირავს,
მარცხნით ხორცსა ვხდი ქაფებსა
და ამ ცხოვრებით მე ვუერავ
ჩემსა საკუთარ აზრებსა.

ნახშირის სუნით, სიცხოვლით
ხშირად ვყოფილვარ მკენესარი,
არ ვდარღობ ტანჯვას ამნაირს,
ეს ტანჯვა სიმართლის არი.“

მეორე ლექსში იგივე სვიმონ მაისაშვილი, ვ. კირვალაძეს აწივთ ღმერთს მიმართავს... აქაც იგივე „სიმართლე“, და „ძმათათვის“ თავის დადებთა:

„ღმერთო“ ჩემო! რაც რომ ნიჭი
შენ ჩემთვისა მოგიცია,
თან არ მიმაქვს ამ სოფლიდან,
ის ძმათათვის გამოიცია.

ღმერთო, მომე ჯერ სიმართლე,
რომ ცოდვამ არ დამაღონოს,
მერმე ნიჭი იმისთანა,
მკვდარიც ყველამ მომიგონოს!..¹⁾

სე. მაისაშვილი უსწავლელი გლეხია! ა. ხვედელიანის (1867—1897) მეგობარი, მისი ლექნის შხარეული, მასთან შეზრდილი... ეს არჩილ ხვედელიანი მეტად პატიოსანი პიროვნება იყო; იგი არა ჰგავდა იმ „აღებს“, რომელნიც თავიანთ მოჯამაგირეებს წიგნის კითხვას უშლიდნენ; ხვედელიანი, როგორც წიგნების მოყვარული, თვითონვე უწყობდა ხელს (ჟურნალ-გაზეთების გამოწერით თუ წიგნების შეძენით), რომ მისი „ლექნის ბიჭები“ განვითარებას დასწავთებოდნენ.

¹⁾ სვიმონ მაისაშვილი: „ლექსები“ 1898 წ., გვ. 10, 12; სხვათა შორის, ეს ორი ლექსი გერმანულად ნათარგმნი აქვს არტურ დეისტს (იხ. „Georgische Dichter“, ლაიპციკი 1900 წ. გვ. 126, 128).

ერთი ასეთი მიკიტნის დამსახურება ჯერ კიდევ დავით გივიშვილმა აღნიშნა:

„დიღუბეში ვაჭრობდა, ღვინითა, სასმელითა,
 ყველას თავს აყვარებდა თავის საქციელითა,
 ხუმრობით, ოხუნჯობით, ენითა მეტყველითა,
 ბევრი გაჰქირევებულ იც სცხოვრობდა მის ხელითა.“¹⁾

როგორც ძველი ტფილისის სამწერლო ბოჰემის შექმნაში. ისე შემდეგ, კლასების ახლად ჩამოყალიბების დროს, მიკიტნებს თავისებური დამსახურებაც მიუძღვით. იყო დრო, როცა ყარაჩოლელი ბოჰემისტები ლოთობდნენ და უკანასკნელ გროშამდე სტოვებდნენ სამიკიტნოში, რის შესახებ ლექსიც აქვს დ. გივიშვილს „სკანდარნოვას პალტოზე“:

დღესაც ის პალტო გდია პალვალში,
 იცით, რამდენში? რვა-აბაზ ვალში!
 იმ მოქიფეს აფურთხეთ თვალში,
 ჯიბის იმედი არ იცის რატომ?

ხალხი ვიწვიე, ვიკისრე მარტო,
 არ მქონდა ფული, გამზადეს პალტო.“

სამაგიეროდ ზემოჩამოთვლილ მუშა-პოეტებს ამ მიკიტნებს შორის თავიანთი მიმდევრებიც ჰყავდათ, თანამოაზრენი და ხელის შემწყობნი. მართალია, ეს მიკიტნები არ იყვნენ პოეტები, მაგრამ მათ დუქნებში „ყარაზნიანის“ და სხვა ამგვარი წიგნების კითხვის სალიტერატურო დოღი იყო გამართული;²⁾ კარგად იცნობდნენ, როგორც ჩვენს მწერლებს. ისე ქართული თეატრის მაშინდელ რეპერტუარსაც. მათ აბრებზე ეწერა:

საჩაიე — „სამშობლო“
 უეახანა — „სახათნოვა“
 სასადილო — „ჰამლეტ“.

ზეიძლება მე, როგორც პოეტი, არ ვიყო ღვინის მოტრფიალე და არც სარდაფები იყოს ჩემი პოეზიის სანატრიონი, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა აღინიშნოს, რომ მიკიტნის დუქნებში მაშინდელი მოღვაწე მუ-

¹⁾ იხ. დ. გივიშვილის წიგნი: „დუქანი განსვენებულ აბრაგუნებზე“, 1885 წ., გვ. 4. ეს მიკიტანი აბრაგუნე — ის აბრაგუნეა, ტფილისში რომ თოთხმეტი ფაიტონით ქეიუობდა. იგი ნამდვილი ბოჰემა იყო, მის დუქანში პოეტები ხშირად იკრიბებოდნენ. ერთხელ მისი სახუდარი ჭაერში „შართაც“ აიყვანეს. აბრაგუნე მოჰქლა მისივე დუქნის მფარღნემ პირადულ ნიადაგზე. გივიშვილის დასახელებული წიგნი ამ მკვლევლობით არის გამოწვეული.

²⁾ „ცისკარი“ სწერდა: „მთელ საქართველოში მიკიტანხანას ვერ იპოვის კაცი. ვერც საფეიჭოს, საცა ფაგრიშთან, რუსუდანთან და ყარაშანთან არ კითხულობდნენო“ (იხ. „ცისკარი“, 1863 წ., გვ. 100).

შემის მიერ „პატარა ჩალოფის“ დროს ბევრი საიდუმლო საკითხი გარჩეულია და მრავალი რევოლუციონური გეგმებიც შემუშავებულია; იგივე მიკიტნები ინახავდნენ ტერორისტებს, გაფიცულ მუშებს ეხმარებოდნენ ნისიის გაცემით. მწერლებს შეღავათიან ფასებში ასაღილებდნენ (გაიხსენეთ „ნინოშვილის შვიდ ჯბიკიანი სადილი“ არჩილ ხვედელიანის სასაღილოში) და სხვ. სამაგიეროდ, არც მუშები იგიწყებდნენ მათ დამსახურებას, სიკეთისთვის მადლს უზბიდნენ. მაგ., როცა არჩილ ხვედელიანი გარდაიცვალა, მთელი მაშინდელი მუშა-მწერლები ახმაურდნენ. წერილები ეძღვნა „კვალში“, „ივერიაში“, ¹⁾ „ცნობის ფურცელში“; ²⁾ მისმა მეგობრებმა წიგნიც გამოუშვეს: „არჩილის ხვედრი.“

აი, მინეჩქე მუშა-პოეტი ი. გარსევანიშვილი რას ამბობს არჩილ ხვედელიანის გარდაცვალებაზე:

„აი სურათი გულის მომკვლელი,
აი, მის გვამი გაცივებული,
ვისაც დიდებულ მიზან-წაღილით,
მარად უძგერდა კეთილი გული...
ვისაც „სამშობლო ტაძარა“ ჰქონდა,
და თავი მარად „სამსხვერპლო წილად“,
ვისაც შეეძლო ჭკეყნის ჳირისთვის
თავის სიკაცხლე ეხვია ფთილად;
ვინც ჰკელ საქმეში, უძლურთ შეელაში,
პირველი იყო, ყოველთვის, ხშირად;
ვინც ჩაითვლება მოძმეთ ხსოვნაში,
სამაგალითო ღირსეულ შეილად.“ ³⁾

სამაგიეროდ, მეორეს შხრით, სადაც საჭირო იყო, ჰგმობდნენ ადათს: მკვდარზე ძვირი არ ითქმისო, და ნამდვილი სახით ახასიათებენ გარდაცვლილ მევახშე-მიკიტნებს. აი, მეორე მუშა-პოეტი, მიხვილ გორდამე, როგორს ეპიტაფიას უძღვნის ერთ ასეთ მიკიტანს:

„მიკიტნისა დახლიდარი ჳლექით მოკვდა უჯემურად,
„კარგი ახალგაზნა იყო“, არა ღირდა ორ შაურად;

¹⁾ ი ა გ კ ა ლ ა ძ ე მ თ ა ე ი ს მ ო თ ბ რ ო ბ ა „კრებაზე“ არჩილ ხვედელიანს უძღვნა (იხ. „ივერია“, 1897 წ., № № 209, 210, 213).

²⁾ ცნობის ფურცელში არჩილ ხვედელიანის დაკრძალვა ასეა აწერილი: „ოუბო მალა მიქონდათ და ერთი-მეორეს ეცილებოდნენ მის წაღებას. უკან მისდევდა 700-მდე კაცი. ყველა გაკურთხებული კითხულობდა, ვინ არის, რომ ამდენი ხალხი მიჰყვებო“ (იხ. „ცნობის ფურცელი“, 1897 წ., № 21.)

³⁾ იხ. წიგნი „არჩილის ხვედრი“, 1897 წ., გვ 21.

კაცს გაყვლეფდა ეაჭრობაში, მეგობრობით, ხათრით, ძმურად, მდიდრულ ქელებით დამარხეს კარგად, რიგზე ჩეენებურად.

ოც თუმნიან საფლაეში წევს, რილას ფიჭრი აძევს სხეისა? ოცდაათიც ძეგლში მისცეს, ზედ დაადგეს თეთრი ქვისა, ზედ სურათით, ეერცხლის ქამრით, ძეწკვიც ნახეთ საათისა, საზოგადო სასაფლაო არ აკადრეს, ნეტა, ვისა?«¹⁾

ცხოვრების ცვალებადობამ და გონებრივი საზრდოს მეტმა მოთხოვნილებამ მკითხველთა კადრიც შესცვალა.

თუ ძველად ბაზრული პოეზიის მკითხველი იმდენად არ იყო განვითარებული, რომ დაბეჭდილ წიგნს დახვედროდა კრიტიკული სათვალევებით შეიარაღებული, სამაგიეროდ ბოლო დროს ტფილისის მოქალაქენი ერკვეოდნენ წიგნის აკარგვიანობაში და თვითვე აკრიტიკებდნენ ახლად გამოსულ ამა თუ იმ წიგნს. მაგ., როცა რიგოლეტომ (ი. ევლაშვილის ფსევდონიმი იყო) პეტრე ჯოხიას წიგნზე იოხუნჯა: „პეტრე ჯოხია — თავი გაუჯოხია“, თანამედროვე მდაბიო მკითხველს ასეთი დახასიათება არ მოეწონა, რადგან აღნიშნულ წიგნში მოთაგებული ზოგიერთი პოემა („ბადურის თავგადასავალი“ და სხვა) ყველასთვის სასიამოვნო საკითხავი იყო. ხოლო ზოგჯერ კი ისეთი წიგნიც იბეჭდებოდა, რომლის გაგებაც თვით მკითხველს უძნელდებოდა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ლუკა თათეიშვილის (1860—1916) შოთასებურ ლექსით დაწერილ დიდტანიან პოემას („სიყვარული“) ხალხი, სრულიად დაუმსახურებლად, „გოჭის ტყაოსანს“ უწოდებდა. ერთი სიტყვით, იკითხებოდა სერიოზული წიგნები და თანდათან იღვევებოდა ასეთი იაფფასიანი ეპიგონების უბადრუკი სიმღერები:

1. „ქალო, თავს უშველე მალე,
ვინც შენ გიყვარს, გაუგიათ,
მის დაჭერა უნდათ ხვალე
და ცემაც გულს ჩაუღვიათ.
იყავ დურა, დურა, დურა,
სიყვარულმა ვაგახურა!“
2. „ქუტუნი! ქუტუნი! ქუტუნი!
მიყვარს შენს უკან ცუნკული“.
3. „ლამაზოჯან, იხრუკე,
იხრუკე და მახრუკე“ და სხვ.

¹⁾ იხ. „ლექსნი“, 1893 წ., გვ. 38.

ამ გვარმა სატრფიალო ლექსებმა ლიტერატურული პროტესტიც კი გამოიწვია. აი, რას ამბობს სახალხო პოეტი გ. ძამუკოვი:

„ზოგიერთი პოეტი
გაფუჭებულ ზნისაა;
მისი მიმდევრებიცა,
ვიტყვი, ნაკლებ ჭკვისაა.

აღმერთებენ ქალებსა,
აქებენ მათ თვალებსა,
ათასგვარად გვირყვნიან
ქალ-ვაეთ მომავლებსა.

ლექსებს სწერენ ამ გვარებს;
ზნე დაცემულს. და მურალებს,
და მათ თხელ ტეინს ჰგონია,
კეთილ საქმეს აშყარებს.

გეხვეწებით ძმურადა,
იგი დასთმეთ სრულადა,
ისეთი რამ დასწერეთ,
გამოგვადგეს რჯულათა.

რომ იცოდე, ძამია,
ეხლა იგი წამია;
არშეუული წიგნები
ბოროტი და შხამია.“¹⁾

ეს „წამი“ უკვე დაღვა. მუშა მწერლების შრომამ უქმად არ ჩაიარა და ხალხში, „არშეუული წიგნების“ ნაცვლად, იკითხებოდა: ანტ. ფურცკე-ლაძის „სამის თავადასაფალი“; ს. გუგუნიანას „თამარიანი“; გიგო ხეჩუა-შვილის მიერ ნიჭიერად გაღვწილი „დიდმოურავიანი“; მისივე „დურ-გლიანთ ქორწილი“; „სოლომონ მეჯღანუაშვილი“, იე. მაჭავარიანის მიერ საუცხოოდ ნათარგმნი— „გლეხი კაცის ისტორია“; „ოთხი ძმა“; ²⁾ „თავადის ქალი“ (ნ. ავალიშვილის თარგმანი); „ლაზარილიო“ (პ. უმიკაშვილის თარგმანი); „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ (თ. სახოკიას

¹⁾ იხ. „ხმა ცხოვრებისა“, გვ. 33.

²⁾ ეს არალეგალური ზღაპარი („ოთხი ძმა“) რუსულიდან ბეჭობა სთარგმნა: ს.ო.ფ. შგა-ლობლიშვილიმა და ვასო დეკანოზიშვილიმა (იხ. „თეატრი და ცხოვრება“, 1924 წ. № 4); ბართლომე მოსეშვილიმა (მ. კიკინაძის პირადი გადმოცემით) და გოლა ჩიტაძემ (იხ. ვახ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ. № 113); გ. ჩიტაძემ ეს ნაწარ-მოები (და აგრეთვე „კლოდ-გე“) სთარგმნა „ზანგის“ ფსევდონიმით. შემდეგი ზანგის ფსევ-დონიმით სწერდა გ. რ. ცხილაძემ.

თარგმანი: „სურამის ციხე“, მის. ჯაჭვადის პოემები, იზიძის პოემები და მაღალდაძის მიერ გალექსილი „წმინდანების ცხოვრება“. 1)

შეიძლება ბევრს ეუცხოვოს, რომ იმ დროინდელი მუშები გალექსილ წმინდანებებსაც ეტანებოდნენ; მაგრამ უნდა ითქვას, რომ ასეთ ლეთისმოსაეობას თუ ცრუმორწმუნოებას მუშების დიდ ნაწილში ჯერ კიდევ ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული. მაგ., ყოფილა შემთხვევა, გაფიცული ქარხნის მუშები ეკლესიაში მისულან, „შემოსილ მღვდელს“ წარსდგომიან და ფიცი მიუღიათ, რომ საერთო საქმეს არ უღალატებდნენ. 2)

თვით ხელოსანი პოეტებიც ჰბამავდნენ მაღალი ფარდის მწერლებს და შემოქმედებას ღვთისაგან გამოითხოვდნენ. ხელოსნები ასე შეპლალადებდნენ უფალს:

„შემაძლებინე შენის ძალითა
დასურათება აქ საგანისა,
გვედრი, მაღალო, სიტყვა ისმინო
ერთი უბრალო ხელოსანისა“.
(პეტრე ჯოხია)

მუშა-მწერალი შ. ნავთლულელი თავის მოგონებაში სწერს: „გამიტაცა წმინდანების ცხოვრებამ, ვკითხულობდი და ექადაგებდი, მაგრამ ამხანაგების შთაგონებით აზრები და მიმართულება შემეცვალა და მალე გადაველ პოლიტიკაზე“. 3)

არამც თუ ეს „პოლიტიკაზე გადაუსვლელი“ პოეტი, არამედ საქმაოდ გათვითცნობიერებულ სახალხო პოეტებშიც იყო გავრცელებული ეს მორწმუნეობა და რელიგიური სახეების თაყვანისცემა. მაგ.:

„გინახავთ განა დანგრეული წმინდა ტაძარი,
სად წირვა-ლოცვა აღარ ისმის, არც რეკავს ზარი,
სად ქებათ-ქება სულს არ ატკობს, გულს არ ახარებს,
სად ანგელოზთ წილ ავი სული დაძრწის, ხარხარებს“...
(ი. ევდოშვილი).

1) წმინდანების ცხოვრების დაუცხრომელი მოტრფილე იყო ვინმე ნიკოლოზ დიმიტრიძე მაღალდაძე რომელსაც გადგმული და ცალკე წინადადებებით გამოცემული აქვს: „საუნჯე სულისა“, „უნებანი მრუშებისა და სიმთვრალისაგან“ „ცხოვრება და ვნება წმ. ვატიკარინესი“, „ცხოვრება მფეე კონსტანტინესი და წმ. ელენესი“. გარდა მაღალდაძის წიგნებისა ხალხში იკითხებოდა შემდეგი გალექსილი წმინდანების: „აღწერა წმ. მოციქულისა ნინასი“, ირ. ელიოზი შეილისა; „წამება ქეთევან დედოფლისა“. დიმიტრი ბაგრატიონისა; „უბანი“ ალექსი ბერისა; „ლეთის მშობლის მოძინების სენაქარო“ რ. საჯათხელისა; „წამება მიკაელ გობრონისა“ მესხი ივ. გვარამაძისა; „წამება წმ. დავით და კონსტანტინესი და ამავეი ქალწულთა ჯოჯაძეთა“ ლუკა გუბულისა (თათვი-შვილისა); „შუშანიკანი“ ი. ნერსესოვისა და ვ. სულხანოვისა და სხვ.

2) იხ. „რეულიუციის მატრიანე“, 1926 წ., № 1 (14), გვ. 122 („პირველი გაფიცვა თეთუნის ქარხანაში“ ალ. ბაჯიაშვილისა).

3) იხ. „კომუნისტი“, 1927 წ., № 99. (5 მაისი)

„კაცი ხარ, კაცად შობილი,
 კაცი გიყვარდესო,
 ეკლესიას დახვიდოდე
 ყოველ უქმე დღესო,
 დაეითნი და სახარება
 ორივე იქ ძვესო“
 (ი. დავითაშვილი).

ამიტომ თითქოს უცნაურ დისონანსად უნდა ჩაითვალოს მაღალი ფენებიდან გადმოტყუორცნილი სიტყვები:

„...მაშინ, მოყვანო, მზა ვარ გკითხოთ,
 მითხარით ერთი,
 ნუ თუ მართლა გწამთ, რომ არსებდეს
 და იყოღ ღმერთი?“
 (ვახტ. ორბელიანი).

სარწმუნოებრივი მოტივები მუშა-პოეტების ლექსებში დუხჭირი და საერთო დაკნინებული ცხოვრების ანარეკლად უნდა ჩაითვალოს. განმანთავისუფლებელი მოძრაობის გარიყრაყზე გამოჩენილი პოეტები ჯერ ისევე ეპოქის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ და ვერ აღწევდნენ იმ იდეოლოგიურ სიმტკიცეს, რომელიც დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს ეხლანდელი დროისთვის. მაგრამ საერთო დაკნინებისა და შეუბნელი ცხოვრების პირობებში ამ მუშა-პოეტების მოღვაწეობა მაინც ერთგვარი ცდა იყო შავად შემორტყმული იდეოლოგიური რკალის გარღვევისა. ამ კეთილშობილური ცდის წინაშე თანამედროვე ადამიანმა ღმობიყრება უნდა გამოიჩინოს და მათი დამსაყრება არ დაივიწყოს იმ შეცდომების გამო, რომლებიც ზოგჯერ ამ პოეტებსაც მოსდიოდათ.

ხალხის გამოღვიძებას მოჰყვა მძაფრი პირობები: ადმინისტრაციული მეთვალყურეობა და სასტრუქო ცენზურა. ზემოთე ჩამოთვლილ ხელოსან პოეტებთან რიგი დაიჭირეს, რიგი გადასახლეს, ბევრმა „კურები ჩამოჰყარა“, ბევრი „თითდაქნული“ აღმოჩნდა. საჭირო შეიქმნა ან სირუმე ან ქარაგბულად წერა. ამ მხრით გასაოცარ ვირტუოზობას იჩენს მუშა-პოეტი ან ტონ განჯისკარელი.

სანიბუშოდ მოვიყვანთ ერთ ლექსს, რომელიც ნართაულად გამო-სთქვამს შპრომელის სულისკვეთებას, იმ შპრომელის, რომელიც ცარიზმის წნეხის ქვეშ გმინავდა და იჩაგრებოდა:

„შენც კაცი ხარ, კვლად კაცი;
 ადამისა დანათესი;
 ნუ თუ შენს გულს არა სწვდება
 ჩაგრულ ხალხის დანაკენისი?
 მოვალე ხარ ცუდის ნაცვლად,
 საქმე შექმნა უკეთესი
 და აჰ საქმით ჩაანათო
 ცხოვრებაში აწ ტალკვისი.
 ამისათვის დაგილოცე
 გოლიათსა გმირის ლახტი,
 მალლა ღმერთი შეგეწიოს,
 ძირს ხელმწიფე, მისი ტახტი!

* * *

შენც კაცი ხარ ხორც-შესხმული,
 გაიხედე მოძმეთ არეს,—
 დაინახავ, შენი ძმები
 როგორ სვამენ შხამ-ძიმწარეს;
 ვინც გაბედა არდალევა,
 გლახ სიცოცხლე ჩაუშწარეს,
 მზე უდროვოდ დაუბნელეს,
 ტანჯვა-გვემა არ აკმარეს!

აწ კი როგორც გმირსა გმართებს,
მზავრელს თავზე გადაახტი; —
მაღლა ღმერთი შეგეწევა,
ძირს ხელმწიფე, მისი ტახტი!

* *

შენც კაცი ხარ, ვით წესია,
შემოგტყერის მოძმე ყველა;
რად არ ხედავ, ძარღვებიდან
სისხლს ვინა გწოვს, ვით წურბელა?
კაცად არც კი გაფასებენ,
თითქოს იყო ჰინაჰეულა,
რადღას სდუმხარ, შრომის შეილო,
აწ თენდება, აღარ ბნელა;
დღეს ვერაფერს ვერ დაგაკლებს
ვერცხლის ჯეარი, ოქროს ხატი,
მაღლა ღმერთი გიწყალობებს,
ძირს ხელმწიფე, მისი ტახტი!

* *

შენც კაცი ხარ სხვათა შორის
და შენც კაცებს დაემზგავსე,
შენი ოფლი, ჰირნახული
ლირსეულად დაფისე.
გონებრივსა განათლებას
ხელი მიჰყე, აათასე,
მაშინ ბედი გაგიღიმებს...
ასე უნდა, ძმაო, ასე,
და მეც მისთვის მოგიძღვენინ
ეს ამგვარი ფარ-ხმალ-ლახტი.
მაღლა ღმერთი მოგეხმაროს.
ძირს ხელმწიფე, მისი ტახტი!

ეს თქმა — ბრწყინვალე პოეტური ხერხია, რომლის საშუალებით უკანასკნელ სტროფებში დალოცვის სახით პოლიტიკური ლოზუნგი მეტად ოსტატურადაა მოკუმული:

„მაღლა ღმერთი შეგეწიოს,
ძირს — ხელმწიფე, მისი ტახტი!“

თუ ანტონ განჯისკარელი ამ თემაზე ერთი ლექსით იოლად წავიდა, იზიძეს, თავისი აზრის გამოსათქმელად, უფრო რთული კომბინაცია სჭირდება. იგი ზედიზედ ბეჭდავს პოემებს: „სიყვარულის ძალა“, „ხალხის

გმირა“, „ქვისმტვრეველი“. იზიძემ ქართველი ხალხის სურვილებს ლეგენდარული ფორმა მისცა და მოქმედება იაპონიაში გადაიტანა („ქვისმტვრეველი“); ხოლო ერთ პოემას ფრანგულიდან ნასესხები უწოდა („სიყვარულის ძალა“). ამრიგად იზიძემ შეაზავა სააგიტაციო რევოლუციონური ლოზუნგები და ცენზორის ნებართვით ხალხში გადაისროლა:

„მეფეს ძალუძს ხალხთ მონება და ქვეყნისაც გამგეობა,
ხოლო გრძნობის, სიყვარულის, მას არ ჰფერობს ბატონობა.
ზიზი მეფეს, ძირს ხელმწიფე, დე დაინგრეს ტახტი მისი;
რალად გვინდა იგი მეფე, ვის არ უყვარს ერი თვისი“.¹⁾

ამ ყაიდით წერა მაშინდელი ცენზურის თვალების ასახვევად რევოლუციონერი პოეტების ფანდი იყო. ქარავმულად და ზმა-სიტყვაობით გამოთქმულ შაირებს აკაკი წერეთელიც სწყალობდა. რუსეთ-იაპონიის ომის დროს, ჩვენა პოეტის სიმპატიები — იაპონიის მხარეზე იყო. და, აი, აკაკიმ დასწერა ერთი ლექსი („გურული ნანინა“), სადაც დედა თავის ბავშვს დამღერის და ყოველ ხანას ასე ათავებს: „ოი, ამას ვენაცვალე!“ (აქ იგულისხმება იაპონელი მარშალი ოიამა). ამ ლექსში ზმა საუცხოვოდ არის გამოჩარხული:

„ის რაც იყო, აღარ არის,
შეიცვლება დღეს თუ ზეაღე,
გზა ტკეცილი დაგვიხედება,—
ოი, ამას ვენაცვალე!“

ნანას გეტყვი სხვანაირსა,
მარცვალ-მარცვალ დაისწაელე,
მხსნელს დახსნილი მიეგებე,—
ოი, ამას ვენაცვალე.

მაგრამ ჯერ კი აკვანში ხარ,
გაიზარდე მალე, მალე,—
რომ შენს შეილებს შენც მოუთხრა:
ოი, ამას ვენაცვალე!“²⁾

¹⁾ იზიძე (იოსებ იმედაშვილი): „სიყვარულის ძალა“, 1903 წ., გვ. 9. ეს პოემა ცხრაასიან წლებში ხელთნაწერებად ვრცელდებოდა. იმედაშვილი თანამშრომლობდა აგრეთვე 1904-5 წ. „ივერიაში“ („შურდულის“ განყოფილებაში, რომელსაც ი ა ე რ ა ძ ე —სოფ. მგალობლიშვილი რედაქტორობდა) და კ. თ უ შ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს 1909 წლის „ივერიაში“ („წიკობურტის“ განყოფილებაში, ფ ი რ უ ზ ე კ ი ა პ უ რ ტ ა ძ ი ს რედაქტორობით). წერილებს აწერდა—უ ს უ ფ უ მ უ ა-ო ლ ლ ი ს, ლექსებს—იზიძეს.

²⁾ „ივერია“, 1905 წ. № 59.

ქარაგმებით წერას ქართველი პოეტები იმ დროინდელმა ცენზურამ შეაჩუჩა. ამავე მიზეზით ბევრი მწერალი ფსევდონიმს ამოეთვარა.

ამ საერთო ბედს მუშა-პოეტებიც ვერ ასცდნენ: ლაზარე მისურაძემ დაირქვა „ლ. ხელოსანი“; მ. ლელაშვილმა — „შმაგა“; „ნოსრევენიძე“ ნოსრევენ მერკვილაძეს ფსევდონიმი იყო; „ნოსრწმინდელი“ — დათიკო როსტომაშვილისა; გორდაძემ თავისი ნამდვილი გვარი „აბულაძე“ გადააკეთა; გ. ზარხიშვილი „გაუჩინარდა“ (ფსევდ. „უჩინარიძე“); ზოგჯერ ანტ. განჯისკარელიც კი იცვლიდა ფსევდონიმს (მაგ., „აბდულა ზაბუ-ხალიოლი“) და სხვ.

განა ცენზორის ბრალი არ იყო, რომ ჩვენი მოღვაწენი თავიანთ უკვე ცნობილ სახელს ერიდებოდნენ და ათასგვარ უცნაურ ფსევდონიმებს ეფარებოდნენ?!

ეს ფსევდონიმები თუ ავტორს თავისი მოღვაწეობის დროს ერთგვარ დახმარებას უწყვედა, სამაგიეროდ მომავალ თაობისთვის ხშირად გამოასაკრევეი იყო ამა თუ იმ მწერლის ფსევდონიმის შესატყვისი.²⁾

ამ ნიადაგზე კურობზებსაც ჰქონია ადგილი!³⁾

განა საცენზურო პირობებმა არ აიძულა ილია ჭავჭავაძე, რომ თავისი „ბედნიერი ერი“ იტალიელ მწერალ ჯუსტს მიაკეთენა? ეს „იტალიელი

1) მაგალითად: ილია ჭავჭავაძე: მ. ჯიმშერიძე, ჯიბრიელ, ახალმოსული, ფირუზა, ლარიძე, კიტილი, ლორთქიფანიძე; თომა კარგაჩუთელი; ვრ. ოტბელიანი ქრის-სველი (სხვათა შორის, „მეზა ბოქლედე“ პირველად ამ ფსევდონიმით დაიბეჭდა (იხ. ივერია, 1877 წ., № 7); მ. ხ. ყიფიანი: სფირიღონ ჩიტორელიძე; ანტონ ფურცელაძე: ქერული ბეჭა, ზურაბ მუხრანო, თავბედი, ულილოკო; სტ. ჰრელაშვილი: სანო, ტატალა; იაკობ მანსვეტაშვილი: დონ-იაგო; დ. კეზელი: დავით სოსლანი, ზოილი; გ. წყნეთელი: თერჯდალელა, გორისელი, მახაყალი; გ. ლასხიშვილი: ლალი, ვაიკლაძე, ვაქანტირაძე; ნ. ლორთქიფანიძე: თანიშელი; გ. ქიქოძე; ვ. ლელიანი და სხვ.

2) აჩრდილ უორჯაძე ფსევდონიმების კვლევის დროს, სხვათა შორის, სწერს: თერჯდალელის ვინაობა ვერ გავიგეო (იხ. ტ. V, გვ. 79); სვხუნდაძეც ამბობს: უფრ. იმედის თანამშრომელთა ზოგიერთი ფსევდონიმის ახსნა ძნელია. აქ ჩვენ გეზეგება ტატალა, არადელი და სხვ. ვინ სწერდა ამ ფსევდონიმებით, ვერ გავიგეო“ (იხ. „სოც. ისტ. საქართველოში“, ტ. II, გვ. 61).

3) ამ წიგნის პირველი ნახევარი, სადაც „სფირიღონ ჩიტორელიძეს“ ფსევდონიმის შესახებ ვლაპარაკობთ (იხ. გვ. 13, სბოლი), უკვე დაბეჭდილი იყო, როცა ილია ჭავჭავაძის თხოვნებთა მე-5 ტომში გამოქვეყნებამ გაასწორა შეცდომა, რომელიც მე-4 ტომში მოუვიდა; თუმცა მეოთხე ტომის გამოცემის დროსაც არსებობდა ის მასალა, საიდანაც ნათლად სჩანს, ვისი ფსევდონიმაც იყო სფირიღონ ჩიტორელიძე. მაგ., მ. ყიფიანის გარდაცვალების გამო ილიას რედაქტორობით გამოსულ ივერიაშია მოთავსებული იყო ნეკროლოგია, რომელშიაც ნათქვამია, რომ „საქართველოს მოამბეში“ და ივერიაშია მოთავსებული წერილები სფირიღონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით მიხ. ყიფიანს ეკუთვნისო“ (იხ. ივერია, 1891 წ., № 48). „ქართული წიგნის“ რედაქტორებისთვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ცოცხალი ილია თავის თავზე ნეკროლოგს ვერ დასწერდა.

მწერალი“ ისევე არ არსებობდა, როგორც რუს პოეტ იაკუბოვიჩის მიერ გამოგონილი ირლანდიელი პოეტი დეკონინი და იტალიელი ჩეზარე ნიკოლინი,¹⁾ მაგრამ მაინც ეს მწერალი, რამოდენიმე წლის განმავლობაში თავის ლექსებს ამ პოეტებიდან „თარგმანს“ უწოდებდა.²⁾

რუსეთში ცენზურის უარყოფითის შტამის ვერ ასცდებოდა სრულიად უდანაშაულო სტრიქონებიც კი. მაგ.,

თხზულებაში კწერა:

შენს ღმერთურ ღიმილს
მე ვინ მღიღისებს?

შენ მიხვდი, სულო,
ჩემი სულის იღუმალ კანკალს.

მინდა შენს გვერდით შევისწავლო
მე ნეტარება.

ცენზურა ამბობდა:

ქალი სრულად არ არის ღირსი,
რომ მის ღიმილს ღმერთური უწოდონ.

აიკრძალოს, ვინაიდან სულზეა
ლაპარაკი.

აიკრძალოს ვინაიდან, ნეტარება ქალის
სიახლოვით კი არ ისწავლება, არამედ
სახარებიდან.³⁾

ცენზორის კალამი ან, როგორც ი. დავითაშვილი უწოდებდა: „ქ-ნი წითელ-მელანა“, ხშირად ქართველი პოეტების ლექსებსაც ამაზინჯებდა აშული ჰაზირა ერთ თავის ლექსში ამბობდა:

„ჩვენი მხარე აიკლეს ყაზახებმა.“

ცენზორმა რითმა არ დაარღვია და ეს სტრიქონი ასე შეასწორა:
„ჩვენი მხარე აიკლეს ახმახებმა.“⁴⁾

1) И. Якубович (Л. Мяснин): „Стихи“, ტ. II, 1906 წ., გვ. 3.

2) თუმცა ფსევდონიმების სიმრავლე საქართველოში ყოველთვის საცენზურო პირობებით არ აიხსნება. ქართული პერიოდული გამოცემის მდგომარეობა ისეთი იყო, რომ ხშირად ნოშრის შეესება ერთს ან ორს მუდმივს თანამშრომელს სჭირდებოდა. ჩეთხველის ინტერესის გასაღვივებლად გახთვის თანამშრომლები სხვა-და-სხვა ნასიათის წერილებს სხვა-და-სხვა ფსევდონიმით ათავსებდნენ. მაგ., ფ. მახარაძე სწერდა შემდეგ ფსევდონიმებით: მოსაუბრე, მ. მონიძე, ფარი, პოლიციელი და სხვ.; არჩილ ჯაჯანაშვილს 16 ფსევდონიმი ჰქონდა (მოუსვენარი, ჭ. ბარელი, შინაური, გარდელი და სხვ.); თედო ლორთქიას ფსევდონიმები იყო: მაგალი, მტკიცე, სურთაკი და სხვ. კ. თუმანიშვილისა — Грузин, Обыватель, Гражданин, Свои და სხვ.

3) Мих. Лемке: „Николаевские жандармы“, 1909 წ., გვ. 226.

4) ამ მხრივ ბევრ სასაცილო უკრიოზებასაც ჰქონდა ადგილი. ეს თემა ცალკე მონოგრაფიის მოითხოვს. ამ ვაშად ეს არ ვგანიტერესებს. ეიტყვიით კი რომ მაშინდელ ქართველ ცენზორებს შორის (—ფერემ ლექსი-მესხიშვილი. კლ. იოსელიანი, დიშ. ბაქრაძე, ლუკა ისარლოვი, რაფ. ერისთავი, პ. გოთუა, პ. შიროიანიშვილი, სარგის კაკაბაძე, ივ. პოლუმორაძეობი და სხვ.) ყველაზე მეტი სასაცილო ანბები ლუკა ისარლოვის გარშემო არსებობს. ამ მწერალს ხშირად რედაქციებიც კი ფაშოლიარულად ექცეოდნენ მაგ., ჟურნ. „იმედი“. აცხადებდა:

„ამ ნომრისათვის აწუხილი სტატია ცენზორმა ლუკა ისარლოვმა, სამუდამოდ დაიჭირა“ (იხ. „იმედი.“ 1882 წ., № 2)

ერთხელ ამ ლუკა ისარლოვმა აკაკის ერთი ლექსი („გლესავ და გლესავ, ნამგალო“) არ გაუშვა. აკაკიმ ეს ლექსი ფოთში დაბეჭდა და ქვეშ, თავისი გვარის ნაცვლად, ლუკა ისარლოვი მოაწერა!

ანტონ განჯისკარელი სხვა მწერლებთან შედარებით უფრო თავისუფლად ისტაბლებოდა. განჯისკარელმა იცოდა წერა.

ანტონ განჯისკარელი ხელობით თუნუქით სახურავების დამხურავი იყო. ამ ფაზად, ჯანგატეხილი, ქალაქ გარედ, ღრმა-ღელეში სცხოვრობს და პოეზიას ნაკლებად ეტანება... იგი უსწავლელი, ღარიბი ოჯახის შვილია:

„თუმცა ორა ვარ ნასწავლი,
არცა გზლებივარ სკოლაში,
მინც ვიბრძოლებ გულადად
მწვავე სიტყვების სროლაში.“

ანტონი 25 წელიწადზე მეტია, რაც მოღვაწეობს. მისი მალხაზი ლექსები, მისი ირონიით გამსჭვალული „მწვავე სიტყვები“ უშუალოდ ასახავს იმ ყოველდღიურ ცხოვრებას, რომელიც სხვისთვის შეუმჩნეველი რჩებოდა. ყოველგვარი საჭირობორტო საკითხი—მისი პოეზიის უმთავრესი ძარღვია. ანტონმა თავისი შემოქმედების საგნად მაშინდელი ცხოვრების უარყოფითი მხარეები დაისახა.

ანტონ განჯისკარელი ჩვენს ლიტერატურაში საკმარისად ცნობილია და ღირსეულად შეფასებული.

„ივერია“ ჰბეჭდავს მის ლექსს:

„ჩვენს ქალაქში ხშირად ხდება
საოცრება მეტისმეტი,
ქართულების გადამგვარი,
უცნაური, გულის მწვეტი.
ტანსაცმელი ჭრელი-ჭრული,
თითქოს იყოს შლილი ცეტი,
აქეთ ვკითხვ, იქით ვკითხვ,
სთქვებს, არისო დეკადენტი.“

* *

თავზედ ქუდი სოკოს უგავს,
ტანზედ—პალტო და ყილეტი,
მოყვითანო ფეხსაცმელი,
წინაც გადაჭრილი წვეტი;
ხელში წვეპლა უკავია,
თითქოს მატყლი აქვს საპენტი.
აქეთ ვკითხვ, იქით ვკითხვ,
სთქვებს, არისო დეკადენტი,

* *

ქალს ქართულად თავი ჰხურავს,
ტანზედ აკრავს ძელის კორსეტი,

ზედ აცვია შავი კაბა,
 გარეშემო კრემის ლენტე,
 ყელზედ მელა შემორტყმია,
 გრძელი კუდით მიწის მხვეტი, —
 აქეთ ვკითხე, იქით ვკითხე,
 სთქვეს, არისო დეკადენტი.

* *

მეც ამისა მაცქერალსა
 დამეხვია თავსა რეტი;
 ვთქვი, თუ ყველა ასე გახდა,
 მე ვიქნები მათში მეტი,
 მოვალე ვარ ამის შემდეგ
 ხელთ ავილო დიდი კეტი,
 თითო-თითო უთავაზო,
 საცა შემხედეს დეკადენტი.“¹⁾

„მოამბე“ არჩევს მის წიგნებს: „ბ. განჯისკარელს ბაზრის ლიტერატურაში, — სწერს მოამბის მებიბლიოგრაფე, — კარგი სახელი აქვს განთქმული. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სახელი მან სამართლიანად დაიმსახურა. მარჯვე და ცოცხალი ლექსი, გამოქნილი ენა, საარზიყო და მგზნებარე სიტყვების საკმაოთ მდიდარი ლექსიკონი, ბუნებრივი იუმორი; ეგერაგერ პატრიოტული ჰანგები დემოკრატიულ ტენდენციებთან შეზავებული — ყველაფერი ეს დიდ უპირატესობას აძლევს ბ. განჯისკარელს სხვა ამ კატეგორიის მოლექსეებზედ.“²⁾

ი. ევლო შვილი ლექსს უძღვნის, სადაც ანტონი მოსთქვამს:

„სხვებისთვის სახლებს ეზურაე,
 მე კი ქუდი არა მაქვს,
 მაკრატელი, ჩაქუჩი,
 დავდივარ და თან დამაქვს.
 აი, ჩემი ხაზინა,
 სულ ეს აოი — რაც აზი,
 მდიდარი თუ გვერდს მიხვევს,
 მეც მყავს ჩემი ამქარი.
 სახურავზე ესეირნობ,
 ქალაქს თავზე დავცქერი,
 ყველაზე ღმერთთან ახლო
 ვარ, ვითომ ზღინიერი.

¹⁾ იხ. „ივერია“, 1904 წ., № 13.

²⁾ იხ. „მოამბე“, 1904 წ., № V, გვ. (მეორე განც.) 91.

მაგრამ მხოლოდ ეს მკვირს,
 რატომ ღმერთი არ ხედავს,
 რომ თვით შიშველ-ტიტველი,
 სხვისთვის სახურავს სჭედავს.
 ეს, ნეტავი იცოდეთ
 როცა რკინა ხურდება,
 დასერილი ფეხები,
 როგორ მტკივა, წყლულდება;
 მაგრამ ანტონასათვის
 აბა ვის ენაღლემა,
 რა ვუყოთ რომ ჩიტივით
 ის სახურაფხედ კედელმა
 დაჰქარ, დაჰქარ, ჩაქუჩი,
 დააშურე სახურავს,
 სხეებისათვის რკინას ვქედ,
 მე კი—ქუდიც არ მხურავს.“¹⁾

ანტონ განჯისკარელის წიგნებია: „ჩემი სტირი“, „აქ მომხედე“, „ჯიბგირი ვარ“, „განათლების ბრაღია“, „დაცემული ოჯახი“, „განთიადის მოლოდინში“, „ნეტარების ჟამმა დაჰქარა“, „მდიდარი ქურდები ანუ ეშუას მოცილენი“, „თათრული და ქართული სიმღერები“ (აბდულა ზაბუზალ-ოღლის ფსევდონიმით) და „უბის წიგნი დეკადენტი“. უკანასკნელ წიგნს ასეთი ორიგინალური და ვრცელი ეპიგრაფი მიუძღვის:

„ხე ვერ მოიბაშს იმასა,
 რაც არ მოუბაშს წინათა,
 რა გინდ დაჰყერო ხის უფსვი,
 ვერ აქცევ ხმლად და რკინათა,
 ბრილიანტი რომ დანაყო
 თავზედ დაიღო ინათა,
 თუ თავში არა გიქყავის,
 ის შენ ვერ გარგებს ტვინათა.“

ანტონ განჯისკარელს ძლიერ ემარჯუება ასე სხარტულად გამოთქმული აზრი, მაგრამ მისი ნაკლი ის არის რომ, ასეთი მოკლე ლექსები, რომლებიც მერე აფორიზმებში უნდა გადადიოდეს, ძლიერ ცოტა მოეპოვება. ხშირად მისი ლექსები გაჭიანურებელია; თუმცა ეს გაჭიანურებაც ობიექტიურ პირობებს უნდა მიეწეროს: იმ დროინდელი მუშაპოეტები თავიანთ ნაწერებს უმეტეს წილად ცალკე წიგნებად ჰბეჭდადენენ,

¹⁾ ი. ევდოშვილი (1873—1916) „თხზულებანი“, ნარკანის გამომც., 1916 წ., გვ. 156.

რადგანაც რედაქციის კარები არც ისე ხალისიანად იღებოდა მათთვის. ცალკე გამოცემისთვის კი ლექსი „ერთ ფორმიანი“ (16 გვერდი) მიიღეს უნდა ყოფილიყო; ეს კი პოეტებს ხშირად აიძულებდა ხელოვნურად გაეზარდათ ლექსის მოცულობა.

განჯისკარელი პირველ გამოსვლისთანავე პოპულიარული გახდა. მისი პოეზია ირონიის პოეზიაა! მისი გული გულწრფელობის ღია ბეღელია! განჯისკარელი პირველ ხანში გივიშვილ-სკანდაროვას გავლენას განიცდიდა; სწერდა სამიჯნურო თეგლისებს:

„გენაცვალე, მიხვრა-მოხვრა, გავლაში,
რა მიეცა სიარულის სწავლაში?“

აშუღების მსზავსად, თავის ფსევდონიმს შიგ ლექსშივე რითმავდა:

„ამ ათი წლის წინადა, მეც მყვანდა საყვარელი,
მისთვის ვიყავ ერთგული, მონა დაუზარელი,
მხოლოდ დამსვა მწუხარედ მგლოფან-გაუზარელი
და ახლა კი სხვას ვეტრფი ანტონ განჯისკარელი.“

მაგრამ ეს ლიტერატურული ნაბდის თეკა მალე გადაიგდო. მის ლექსებს უკვე ფართო ხასიათი მიეცა. იგი ეხება ცხოვრების ყოველგვარ სიმახინჯეს: მექრთამეობას, ადამიანის მიიმუნობას, სიყვარულის დაქუცმაცებას. ამბანაგთა გაუტანლობას, მძლავრთ უკმეხობას, უსამართლობას, სახელმწიფოებრივ უწყსრიგობას და ოჯახურ მანკიერებას.

აი, ერთს „კმაყოფილ ცოლს“ რას ათქმევინებს:

„დალოცვილი ჩემი ქმარი,
მეტად კარგი კაცი არი,
თავში ჩავკრა, ხმას არ გამცემს,
დინჯია და უწყინარი.“

როცა მინდა გავაბრიყვებ,
წავალ სხვასთან ვიარშიყვებ
და რა დროსაც დავკრა ზარი--
კარს გამიღებს ჩემი ქმარი“ ღ სხვ.

ანტონ განჯისკარელს აქვს დაკვირვების დიდი უნარი. ის ზემოდან დასცქერის ცხოვრების უკუღმართობას. მისი მეხსიერება თითქოს იკრებს ყოველივე სასენსაციო წვრილმან შემთხვევებს, რომ მერე თავისი მახვილი კალმის წვერზე მოათავსოს და ლამაზად გაჭკენწლოს.

ერთი დღეაქი იყო, ეშიად წოდებული, რომელიც სიღარიბის გამო, იაფფასიან ქურდობას ეწეოდა. და, აი, საკმარისი იყო „სახელმწიფო ქონების

ქურდობისთვის“ დაეპატიმრებინათ ოკრი მილიონერი, — ა დ ე ლ ხ ა ნ ო ვ ი და მილოვი, — რომ ჩვენს პოეტს მაშინვე საწყალი „ეშია“ გაჰხსენებოდა:

„ახ, სად არის ცხონებული ეშია,
თვის ხელობა ნახოს თუ რა დღეშია!

ის ქურდობდა, იმისთვის რომ შიოდა,
ლამით მთერალსა, დილით თავი სტკიოდა;
ზამთრის სუსხი აწუხებდა, სციოდა,
ხშირად იჯდა კედლის ძირას მზეშია!

ახ, სად არის ცხონებული ეშია,
დღეს ქურდობა სოვდაგრების ხელშია.

იგი თუმცა ვისმეს რამეს ჰპარავდა,
ამ ქურდობით შიმშილ-წყურვილს ჰფარავდა,
მისი ქცევა არავის არ ზარავდა!
დღეს კი ქურდობს ვინც კი სიმდიდრეშია.

ახ, სად არის ცხონებული ეშია,
დღეს ქურდობა სოვდაგრების ხელშია“ ჭ სხვ.

ანტონ განჯისკარელის ნიქი ლალია და მონაფარდე. იგი თითქოს იმას გვთავაზობს, რაც ზედმეტი აქვს: მთავარს, შინაგან ძალას კი გულში ინახავს. ანტონი ეკუთვნის იმ ბედნიერ პოეტთა გუნდს, რომლის მხატვრული გემოვნებით შეზავებული სიტყვა დროულ პოეზიას შორდება და ყოველთვის და ყველასთვის ქკუის საღესავი ხდება:

„ხანა მშინან, ხან მწუერიან,
ვით დროებას მოაქვს;
ხან ვსტირი და ხან ვიცინი,
ყველას თავის დრო აქვს.

ზოგს კარაჭი, ხიზილალა
და ზოგს კიდევ დო აქვს,
მე თუმც არა გამაჩნია, —
ყველას თავის დრო აქვს.

მე რას მარგებს იგი, ვისაც
ქარეასლები რო აქვს,
ისიც სხვისა სახლს დაიჭერს, —
ყველას თავის დრო აქვს.“¹⁾

¹⁾ იხ. „უბის წიგნი დეკლენტი“, 1904 წ., გვ. 38.

ერთხელ ტოლსტოის შეეკითხნენ:

— როგორ მოგწონთ მაქსიმ გორკი?

— როგორც დაბალი წრიდან გამოსულ მწერალს, არა უშავს-რა! ლუნაჩარსკის აზრით, ტოლსტოიმ ეს განზრახ სთქვა, შეურაცხყოფისათვის.

საქართველოში კი, გულწრფელად უნდა აღვიაროთ, რომ ამ „დაბალი წრიდან გამოსულ“ ზოგიერთ მწერალს არამც თუ „არა უშავს“. ბევრს დიდ მწერალსაც არ შერცხვება მათთან ერთად ყოფნა საწიგნო რაფაზე.

ერთი ამათავანია იეთიმ გურჯი.

ვახ. კოტეტიშვილმა მხატვარი ფიროსმანი იეთიმ-გურჯს შეადარა.¹⁾

შედარება სწორია და მართებული.

ორივეს შემოქმედება ერთი წიალიდანაა წარმოშობილი.

ორივე პრიმიტივია.

თუ „საწყალი ნიკალა“ ერთი „თლაშოის“ საფასურში მიკიტნებს კედლებს ულამაზებდა, იეთიმ-გურჯის ცოცხალი ციტატებით მოფენილია ტფილისის ლენინის სარდაფები:

1. „თუ ამხანაგს გაეყარე
სულ ნისიის ბრალი არის;“
2. „ვინ დამწყველა, ვისი წყველა ამიხდა,
ეთიმ, ცრემლი მეგობარი გაგიხდა;“
3. „აჰე, კაცო! ფასი იცოდე,
ქუდი რომ დაგიხურია;
ყველა თანაბრად გიყვარდეს,
ქართველ-სომეხი-ურია.
ყველას სიკვდილი მოგველის,
რად გინდა იყო მშურია?“

¹⁾ იხ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1927 წ., № 5

იეთიმ-გურჯი ნამდვილი ბოჰემა. „საც დამილამდეს, იქ გამოთენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა-სამშობლო“—ბარათაშვილის სიტყვები ზეღვამოკრილია მის ცხოვრებაზე. ნაბადს წამოიხურავს და ჰაიდა, მიდის! თი-თონაც არ იცის სად? რითვის?

თუ გრ, ორბელიანის ონიკოვი სატრფოს შესახვედრად „ნაბად გახეული“ ვგდო ქუჩაში „ორ პატარა ფანჯრის წინ“, იეთიმ-გურჯის სატრფო—რომელიმე „ორხიდას“ დუქანია, სადაც წაიღეკეს, გადაჰყრავს და წაიძინებს. პაოლო იაშვილის ესპრომტიცა არ იყოს იეთიმ-გურჯზე:

„მე არა მაქვს საკუთარი ბინაო,
მე წუხელი ქვაზე დამეძინაო!“

რატომ? იეთიმ-გურჯსაც აქვს ბინა,—ავლაბარში,—სადაც მთელი თვეობით არ დაიარება. მისი ოთახის ფანჯარაზე, რომელიც ქვაფენილს ამოჰყურებს, გამოკრულია წარწერა ოთხ ენაზე: ქართულად, რუსულად, ფრანგულად, სომხურად: იეთიმ გურჯი.

იეთიმ-გურჯი თურქული სიტყვაა და ნიშნავს ობოლ ქართველს. ოგი, მართლაც, ადრე დაობლდა. სულ პატარა იყო, როცა მამა გარდაეცვალა. დედაც გაუთხოვდა და იეთიმმა მარტოდ-მარტომ შესდგა ფეხი ცხოვრების კვარცხლობეზე.¹⁾

იეთიმ-გურჯი ძველი ხარუხუხელია, დაიბადა დაბლის ლარბ ოჯახში, 1876 წელს. სკოლა თვლით არ უნახავს.

წერა-კითხვა ქალაქის პარკებზე შეისწავლა.

იეთიმს კარგი ხმა ჰქონდა, დაჰყავდათ ქორწილებში და მაშინდელი პოეტების ლექსებს ამღერებდნენ.

თითონაც დაიწყო ლექსების წერა, ან, როგორც ხელოვან ტაინოცი იტყობდა, „საკუთარი ტვინიდან სიმღერის ამოღება“ და ნელი-ნელ პოპულიარული გახდა. ხალხი აღტაცებით ამბობდა:

- იეთიმ-გურჯი მოდის!
- იეთიმ-გურჯი მღერის!
- იეთიმ-გურჯის ხმა!
- იეთიმ-გურჯი უნახე!
- იეთიმ-გურჯი ქეიფობდა!

¹⁾ ამ დღეებში იეთიმმა მწერალთა კავშირის სახელზე ლექსად დაწერილი განცხადება გადმოიბეჭდა: „მეც ამდენი იეთიმობა (ობლობა), მეც თქვენს კავშირში ჩამოიხვეთო“:

„მწერალთა ჯგუფს ნუ მაშორებთ, ვინც კი მიცნობთ ახლა პირად;
თქვენს დავთარში მეც ჩამწერეთ, როგორც ქართლის დედისშვილად,
სამირკველში მეც წილი მაქვს, დამჯდომია დღენი ძვირად;
ქმარა ამდენი ობლობა, ნუ მატარებთ დებერტირად.“

იგი, მართლაც, „ქეიფისთვის“ არის გაჩენილი. ეს მოხეტიალე ბო-
ჭემა ნორმალურ მდგომარეობით ვერ კმაყოფილდება. იგი კარგ გუნებაზე
მაშინ არის, როცა მისი ნერვები სიყვარულით და ღვინით იწამლება:

„შენ გადიდებ, შენ გიგალობ,
შენი რწმენის ბერი ვარ;
რა დღიდანაც გაგიცანი,
ჩემი თავის მტერი ვარ,
დავალ ღვინით მოწამლული,
მართო შენთვის ემღერივარ,
იეთიმ-გურჯი შენ მოჭაღლი,
სოცხლიე მკვდრებში ვწერივარ!“

საზოგადოდ შემჩნეულია, რომ ყოველი მწერალი პატარა ლექსებით
იწყებს თავის ლიტერატურულ კარიერას. იეთიმ-გურჯი ამ შემთხვევაში
გამონაკლისს შეადგენს. მან თავის პირველ თემად „ანაბაჯის“ ვრცელი
თაგ-გადასაყალი აირჩია. ამ პოემის გმირი — ქალია, რაღაც ლეგენდარული
ძალღონის პატრონი. სპარსელებმა გულადობისთვის ძმობა აღუთქვეს და
„ანაბაჯი“ დაარქვეს (პაჯი — დაჯ).

ეს ქალი ამარცხებს ყველა განთქმულ ფალავანს; მკლავში როსტომის
ლონე აქვს და ხმლის ტრიალიც ემარჯჯება:

„ტანშალაღი, შეთვალ-წარბა, შუბლი მირონცხებულია,
სახე — მთვარე ვაბადრული, ნიკაპს — ხალი რგებულია;
სიგრძე თმისა კოჭუბამდის მეტად დამშვენებულია,
გული, მკერდი და მკლავები როსტომს მიგვანებულია.
ჩვეულებრივ მარცხნივ გვერდზე ხანჯალ-დაკიდებულია,
ცხენზედ მჯდომი ვის უნახავს მისგან გაჭენებულია;
მოთამაშე, მოჯირითე, ხმალი მოღერებულია;
ჭიდაობა, მუშტის გარტყმა, მისგან მოგონებულია,
ერთის გარტყმით კამჩს აქცევს, რაგინდ გაგიყებულია,
მთელად ვერვინ აღგებოდა მისგან დახეთქებულია.“

ასეთი ყოფილა ეს „ტფილისელი ქალი და მუხათელი რძალი ანა.“
ხალხში ამ ანაბაჯის შესახებ ერთი ხალხური მუხამბაზი არსებობს.
მოვიყვანთ ამ ლექსსაც მთლიანად, რომ დავიწყების ნაეღმა არ დაჰფაროს
ეს უაეტროო და უპრეტენზიო შემოქმედება:

„თუმც მოქუჩდენ ქვეყნის აშუღებია
და მომართონ ყველამ თავის ჩანგები, —
ანას ქებას შაინც სრულ ვერ იტყვიან
თუ არ იყოს ისევ შოთას ჰანგები!“

ბატონისგან ამილია ნებანი,
მომიმართავს ჩემი ჩანგი, ებანი,
რო დავიწყო ანა-ბაჯის ქებანი,—
ქვეყნის ქალნი მასთან არის დანგები!

დავინახე საჯირითო ჯარშია,
ცხენზედ მჯდომი, მოქარგული ზარშია:
ყველა იცნობს ანას გურჯისტანშია,
ნატრულობენ სპარსნი, ინდნი, ფრანგები.

სახე შეენის ნათელ სახესავითა,
ბრძოლის ველზე ვადის ტყვიასავითა,
მტერსა სრესამს ფეხქვეშ კიასავითა,
თავს უბრიან მონად თურქნი, ზანგები.

რადგან ანამ საქართველოს ულუცა,
ბრძოლის ველზე ბევრი მტერი უხოცა,
დიდ ბატონმა ვერცხლის ხმალი უბოძა,
დააწერა მამულისა რანგები.

მეც გმირი ვარ, ნუ მიყურებ შურითა,
შენ ხმლითა ხარ და მე—კიანურიითა,
დაგიხვდები ახალ საიათნურიითა,
ამაღლებას თუ რომ ჩამობრძანდები.“

რაც შეეხება იეთიმ-გურჯის „ანა-ბაჯს“— უნდა ითქვას, რომ იგი ცოცხალი ხალხური ფორმებით არის დაწერილი, თუმცა ავტორს ანაბაჯის გმირული მოქმედება ცალმხრივად აქვს გაშუქებული და „დიდი ბატონის“ თანამებრძოლი ქალი მხოლოდ მოჭიდავის უძლეველი ძალ-ღონითა“ წარმოგვიდგინა.

იეთიმის ანა-ბაჯი არაჩვეულებრივი ღონით დაჯილდოვებული ქალია; ამარცხებს არა ერთსა და ორს მამაკაცს, არამედ მთელ რიგ სხვა-და-სხვა კუთხის „ცნობილ“ ფალაენებს.

აი, იეთიმ-გურჯის კალამი რა ფერადებით გვიხატავს ერთი ასეთი კრდაობის სანახაობას და ანას გულადობას:

„წელთ შემოირტყა სარტყელი, ხალხი სულ გაჰკვირიანო,
გადახტა მოედანზედა, ყველა მას შესცქერიანო,
ვისია რძალი ლამაზი, ნეტავი, რა სწადიანო?
აღბათ, კოცნისთვის მოსულა, თორემ რა შეუძლიანო!
... გაუთამაშა გიორგიმ—ნაქები თელეთელია;
ანამ დასტაცა, ძირს დასცა, ტანი არ აჰყვა მთელია..“

მეორემ ჩამოუარა—სოსია ბარბარელია,
 მაგრამ ძირს ისე დაეცა, ვერც კი მოჰკიდა ხელია;
 გადმოხტა ბიჭი მესამე—ივანე ვაშლოვნიელი,
 ისე ჩაემტვრა გვერდები, ექიმის მაშოვნელია.
 ცალ-თვალა ბიჭი თამაშობს, სახელად „გმირი ელია“.
 მასაც ცხვირიდან აღინა, რაც ესეა, რაც დაელია;
 სოფრომუკაც გამოეარდა: ქვე გამიშვით, გავალ. აჰა,
 ანამ ერთი გამოკვრითა ზედ მიწაზედ დაატყაპა.
 ანას გინებთო მიუხტა მუშუტის ქნევით სირაჯ-გოლა,
 ანა-ბაჯიმ ყარფუზივით შიგ ხალხისკენ გადისროლა.
 ... იმ დღეს ოცდა ორი დასცა, არვის არ ჰქონდა ფერი,
 ეენაცვალეთ შენს ქალობას, გაგინათლდეს მშობელია!..
 სიხარულით შინ დაბრუნდა მთელი მუხათ-სოფელია“.

ეს პოემა დაბლიშვილის ფსევდონიმითაა ცნობილი და რამდენიმე გამოცემად დაიბეჭდა.¹⁾

მთელი წიგნი დაწერილია შაირ-წყობილად, „არსენას ლექსის“ ყაიდაზე.

ანალოგიურად: ხალხში არსებობს ლეგენდა ანაბაჯის შზგავს ღონიერ ქალებზე. წყნეთელ მიაიზე, წყაკისელ თინაზე და ვაშლოვნიელ თამარაზე. თუ იეთიმ-გურჯის ანა მოკრივეთაა გამოყვანილი, ხალხის ფანტაზია უფრო ხელწყურით ანვითარებს ამ ქალების რაინდობას და წარმოადგენილი ჰყავს, როგორც პროტესტანტი გმირი ქალები, ყაჩაღთ გაეარდნილნი, ბატონ-ყმობის უარმყოფელნი, სწორუფლებიანობის დამცველნი და მამაკაცებთან ერთად საქართველოს კეთილდღეობისთვის მებრძოლნი.²⁾

იეთიმას პოემაში კი ბევრი ზედმეტი ჰიპერბოლაა და კინოსებური ეფექტი. არის გულადი გამოთქმებიც, თუმცა მთელი პოემა არ არის იმ სახელის ღირსი, რომელიც ავტორს პატარა ლექსებმა მოუპოვა:

„ლალ-ზურმუხტი, ფირუზი ხარ,
 ქვეყანას თვალში უზიხარ,
 ედემის თაფლის ბუზი ხარ,
 ლამაზებში ჯვრის ტუზი ხარ!

1) ფანასკელად მიხ. გაჩეჩილაძემ გამოსცა. იეთიმ-გურჯს „ანაბაჯის“ გარდა, გამოცემული აქვს შემდეგი წიგნები: „ახალი მგოსანი“, „იეთიმას ახალი ლექსები“, „ტანგო“, „დიდი ომი“ და „გათუნდა“.

2) იხ. დიმიტრი ჯანაშვილის „ისტორიული სურათები“, 1914 წ; გვ. 265; ალ. ვარსკვლავიშვილის „გმირი ქალი მია მათე ყაჩაღად წოდებული“, (ქუთაისი, 1915 წ; მირ. ხუხუნაშვილის რამანი: „მია წყნეთელი—მეფე ერეკლეს ბერძენი“ ტფილისი, 1924 წ.

ჩემო ხატო! ჩემო ღმერთო!
შენს სურათზე სანთლად ვენთო;
ვთხოვ, წყალობა გაიმეტო,
ლაბაზების პრეზიდენტო!

იეთიმ-გურჯის პოეტური მანძილი თუმცა 1895 წლიდან იწყება, მაგრამ მან თავისი სახელის აპოგეიას მხოლოდ ამ რამდენიმე წლის განმავლობაში მიაღწია. ერთხელ იეთიმმა მითხრა, ჩემს ლექსებს აკვანშიაც მღერიანო. იეთიმი მართალი იყო. ამჟამად, ტფილისის დაბალ მოსახლეობაში, არც ერთი პოეტის ლექსები არ არის ისე გავრცელებული, როგორც ამ თანამედროვე ბოჰემის სიმღერები:

„არ გამეცნე, კარგი იყო, თავიდან;
შუა ზღვაში გადამაგდე ნავიდან.
ჩემი გული შენ დაკოდე, დახიე,
ხელებს ითბობ—ცეცხლის ალში გამხვიე!
სულ არ გესმის ჩემი წერა-კითხვები!
რად მიყვარხარ, რატომ არ მეკითხები?
რომელ მგოსანს ვთხოვო სამართალია,
ვის შეეჩელო, რუსთაველი მკვდარია!

იეთიმ-გურჯი თავის სიმღერებში ქველ პოეტებიდან მხოლოდ ორ პოეტს იხსენიებს—რუსთაველს და საათნოვას:

1. „დროშა გლოვისა, საათნოვისა ვიგდო ხელშია,
რუსთაველი იეთიმ შევდგე ბერად მონასტერშია.
2. სტუმრათა ვართ წუთისოდლის ხანაში,
მოვისპობით ერთხელ ამ ქვეყანაში;
იეთიმ-გურჯი გლოცავს: იყავ მზეშია!
შენ ჩამაგდე საათნოვას დღეშია.

იეთიმ-გურჯი გულდაჯერებით და მუსიკათად ელოლიავება რუსთაველის მაღალს სახელს და ქალაქური ხალხური ლექსის სინოციერეს საათნოვას ყალიბში ათავსებს. წარსული პოეზიის ვირტოუზული ფანდია-ნობა მან სიტყვების ეონგლიორობაში გამოხატა; იგი დარწმუნებულია თავის პოეტურ გამძლეობაში და ქედ-მაღლოურად აცხადებს:

მე ლექსი არ დამელევა,
სულ მზათა ვარ, ეინც რა მთხოვა,
ცოცხალს ფასი ჯერ არა მაქვს,
მოკედე—არეინ მიწყით გლოვა;

იეთიმ-გურჯი შემოგწყრებათ,
 თუ წავიდა, აღარ მოვა, —
 რუსთაველის შეილობილი
 და მეორე საიათნოვა.

ჩვენ რომ ავტორის თავდაბლობას არ ვიცნობდეთ, მაშინ ამ უკანასკნელ სიტყვებს, თანამედროვე პოეტების საერთო ნაკლს მივაწყრდით: დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე და უნაპირო პრეტენზიები! მაგრამ იეთიმ-გურჯის ასეთი იოლი მოპყრობა რუსთაველისადმი გამოწვეულია იმ უსაზღვრო გავლენით, რომელსაც გენიოსი პოეტი ახდენდა ქართველ ხალხურ პოეტებზედაც. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ჩვენ იმავე იეთიმ-გურჯის სიტყვები დაგვიკირდებოდა სათქმელად:

„სად არის შოთას საფლავი,
 წავიდე საჩივლელადა!“

მაგრამ სანაც პოეტი უშუალოდ და ძალ-დაუტანებლივ ლაპარაკობს, იქ პირდაპირ მომხიბლავია:

„მე ახალი დარდი მიყიღია,
 წყალში ვდგევარ, ცეცხლი მიკიღია“.

იეთიმი სპარსული პოეზიის დვიძლი შეილია. მონტესკიო ამბობს: „ადმოსავლეთში უფრო ბევრი გეოსანია, — ცხუნარე მზე მათ ვნებას უფრო ამძაფრებსო“. სპარსული მგრძობელობა იეთიმის სათუთ ფანტაზიაში უხვადაა ჩაქსოვილი. ლეგენდაა: სპარსეთში ერთი მომღერალი იყო, ისე ტყბილად მღეროდა, რომ, თუმცა ყელთამდე წყალში იდგა, მაინც დაიწვავო.

„ერთი მითხარ, ვისი ენით წახდი,
 ჩემი იყავ, სხვისი რატომ გახდი?“

მეტად საგულისხმოა, რომ მიუხედავად სპარსული პოეზიის გავლენისა, იეთიმ-გურჯი იშვიათად მიმართავს მუხამაზურ ფორმას. მისი ლექსები უფრო შირულ ყაიდაზეა დაწყობილი, თუმცა ეს არ უშლის, ლექსის ბოლოში, ძველი აშუღების მზგავსად, თავისი სახელ-გვარიც გართმოს. მაგალითად:

1.

„მეც ვდარაჯობ ჩემის კალმით,
 მაგრად ვდგევარ, როგორ ბურჯი,
 გაუმარჯოს საქართველოს,
 ენაცვალოს იეთიმ-გურჯი“.

2.

„თვალეზი გაქვს ცაზე ლურჯი,
შენი თმები—ოქროს ფუნჯი,
დაილოცოს იეთიმ-გურჯი.“

3.

„იმას შეილად ვერ მივიღებ,
წინაპრების აკვანს სწვამდეს,
სირცხელი იმ გულთნის დედას,
თავის მამის საფლავს ხნამდეს.
გატიალდეს ის წალკოტი,
ბულბული რომ გადაყუდდეს,
მაშინ მოკვდეს იეთიმ-გურჯი,
როცა ლექსი გაუთავდეს.“

იეთიმ-გურჯის ზოგიერთი ლექსი, ქალღმერთზე გადატანილი, ჰკარგავს თავის სიციხსხლეს და ორიგინალობას. ამგვარი ლექსების არომატი—გამოთქმის კილო და მემღერის ჰანგია. იეთიმ-გურჯის ნაკლი ის არის, რომ მის ლექსებში, სტრიქონების მოქმედებათა შორის, არ არის მთლიანობა, ალაგ-ალაგ ცეზურაც ერღვევა, რითმა ხშირად ელემენტარულია და ნამეორები. სამაგიეროდ, სტრიქონის მოქმედება მარჯვედ იცის და ვაი მისი ბრალი, ვისაც ეს მოქმედული შოლტი მოხვდებო:

„ხის გული გაქვს, ქვის—ჯივარი,
და ტუინი კი—აგურისა.“

იეთიმის პოეტური მეტაფორა თამამია და ხასხასა. იეთიმ-გურჯი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყარაოღოელი იმაჟინისტია.

„იეთიმ-გურჯო, დააკვირი, გირჩენია მოდი ჰკეზზე.
ავიტანია ბუმბული გასაშრობად ქარიან მთაზე.“

ან—

„წყალში ვდგევარ და წყალსა ვსცრი,
ხელთ საცერი მიკავია.“

ან კიდევ—

„თვითონ ჩემი ბრალი არის,
რისთვის მყეუბარ გულში მდგმურად?
ქრისტეს მცნებით რად მოვსულვარ,
მაჰმადის კარს საშახურად?
მარილის ქვით ბანს ვაშენებ,
ჩემი სახლის დასახურად,
რად მინდოდა, რომ დავდგეკი,
მშრალ ქვიშაზე მებადურად?“

ყველა ეს ლექსები,—ასე ნაწყვეტებად ნაკრები ქალაქის მედლოე-
პისაგან,—რომლებშიაც ფორმის საღაობა და სიმახვილე აზიზი ინსტინქტის
ოსტატობით გამოკრთის, თავისთავად კარგია, მაღხაზი, ხალისიანი, მაგრამ
ლექსის აღნაგობა არ არის თავიდან ბოლომდე ერთი განცლით გაქლენ-
თილი, ლექსის მთლიანობა აკლია, არ არის ხლართი, ინტრიგა, ურომლი-
სოდაც ლექსი, როგორც ლიტერატურული განძი, ვერ ითავადებს პოე-
ზიის საგანძურში.

იეთიმ-გურჯის ერთი ლექსი აქვს, რომლის შინაარსიც მოგვავანებს
ცნობილ ხალხურ სიმღერას („ვერცხლისამც თასად მაქცია“). იქაც და
აქაც ეს ორივე ნაწარმოები სიყვარულის ფონზეა გაშლილი და პოეტურ
შედარებებით შენაძარღვი მაგრამ რამდენადაც ხალხური ლექსი უშუა-
ლოდ გვაძლევს მდიდარ და მალეღვებელ სახეებს, იმდენად იეთიმ-გურ-
ჯის ამ ლექსს უღაზათო მიმბაძველობის ელფერი დაჰკრავს:

იეთიმ-გურჯი:

ნეტავ ვიქცე კრილოსნად,
ბროლის თითებითა მთელიდე,
ანუ ცოცხი გაემხდარვიყავ,
შენი ფეხის მტერესა ვგვიდე!

ნეტა მოხდეს ჩემი თავი
შენი თითის ბექდათ იყოს,
თითზე იმგვარად მოგეკრა,
ველარავენ გამომილოს!

ან საწოლი-ტახტი ვიყო,
ჩემზე იწვე და ხვრინამდე,
ანუ ბუზი გაემხდარვიყავ,
შენს სახეზე დაეფრინამდე!

ბედნიერი ვიქნებოდი
მე რომ კოვზად ვწერებოყავ
და შენსა ლამაზ თითებსა,
სადილის დროს ვეწერებოყავ!

ანუ ვიყვე რამე ნიეთი,
შენა გაავდე წასაღებად,
შენს ჯიბეში მდგმურად ვიყო,
შენი სახლის გასაღებად!

ხალხური:

ვერცხლისამც თასად მაქცია,
რომ ლინით აგვესებოდე,
დაფერილი მქნა წითლად,
შენსვამდე, შავგერგებოდე!

ანა მქნა ვერცხლის სათითე,
რომ ხელზე ჩაგეგებოდე,
ან შენი ნამგლის ყანა მქნა,
რომ ფეხზე შავგეკრებოდე!

ან შენი ქორის ბეწვი მქნა,
რომ ნემსზედ აგეგებოდე;
ან შენი წარბის ფერფლი მქნა,
წამწამზე დაგეგებოდე!

ანამც მქნა ვარდი-ყვავილი
ცხვირპირზე დაგეკრებოდე,
ან ვიყო მოვის პერანგი
ზედ გულზე დაგედნებოდე!

ან შენი ნანდაური მქნა,
გულს ჯავრად ჩაგეკრებოდე;
ანამც მძა ვიყო მოწილე—
ცოცხალს არ გაგეკრებოდე!

იეთიმ-გურჯის ეს ლექსი, ამ ორიგინალურ და გენიოსურ ხალხურ
ნაწარმოებთან შედარებით, იაფფასიან იმიტაციის ხასიათს ატარებს.

რა საჭიროა, ხალხური პოეტი ხალხური ლექსის ყვავილებს თავის ბაღში მუნიდეს? რა საჭიროა იყო ამ ხალხური ლექსის „გადმოვთიშება“, როცა თითონ იეთიმ-გურჯის არა ნაკლები მდიდარი ლექსიკა აქვს სიყვარულის სახმილის გამოსახატავად?

იეთიმის სიმღერები დაუახლოვდა ქალაქის ხალხის სალაპარაკო ენას. ხშირად იეთიმი სასიმღერო მელოდიებს თვითონ ჰქმნის: აეტარი იღებს რომელიმე ხალხურ ჰანგს და ლექსის შინაარს უფერდებს. მაგრამ ეს ჰანგი ხშირად პოეტების მიერ ისე გადასხვაფერებულია და ტფილისის იერი ისე ლამაზად დაჰკრავს, რომ მისი პირველი წყარო სძებნელი ხდება და სიმღერა ქალაქურ ინდივიდუალურ სახეს ატარებს.¹⁾

ხშირად იეთიმის ლექსები შესდგება ორი, ოთხი ან ექვსი სტრიქონისაგან, რომელსაც მუნასიბად ამბობს ხოლმე სამიკიტნოებში „ენის ტყავის ატრის დროს.“ იეთიმი ლექსებს არ ამთავრებს, ან, უკეთ, ვერ ამთავრებს. ცოტა მოზრდილი ლექსი კი, რომელსაც პოეტი კალმის შემწეობით ჰფანტავს თავის „შეგირდებში“, წყალ-წყალაა და ზედმეტი გაშლილობა სჩანს. ასეთ ლექსებში არ არის გრძნობის პარალელური. ხაზები, ბოლოს რომ ესთეტიურ ქუჩბანდში ინაკეთება.

„წერით, მღერით დავილაღე,
მარტო შენთვის მომიცლია,
შენთვის კალამი გაეცვიეთ
და შელანი დამიცილია.“

მელან-დაღერილი ლექსი სუსტია და მქრქალი; ზეპირად დაწერილი ლექსი კი—წყარი და ზარიფია.

მე მანც განსაკუთრებულ ყურადღებთ ვეპყრობი იეთიმ-გურჯის ნიჭს. მზიბლავს მისი ბოჰემური ხასიათი და სიტყვა-პასუხის დოვლათიანობა. იგი უკანასკნელი წარმომადგენელია იმ ქალაქურ მწერლობისა, რომლის მიზრაფიც ჯერ კიდევ არ გადამტყდარა.

„ყველას თითო რამე უყვარს,
მე კი ჩემი შემაბეროს,
სხვისი ჩემზედ ლამაზია,
ეს ვერაფერ დამაჯეროს,
მე სახალხო მგოსანი ვარ
ტფილის-ქალაქ-საქართველოს.“

რა ვუყოთ, რომ ეს მოკლე ლექსები არა ჰგავს ომარ ხაიამის რუბაიებს! რა ვუყოთ, რომ არ ვინლართებით მისი პოეზიის ნიუანსების აბლა-

¹⁾ იხ. ამ წიგნში დართული ნოტები (დამატება მეორე).

ბუღაში! სამაგიეროდ ვიცი, რომ ეს გაუკეთებელი პროექტი გულწრფელია და ბალღური უმანკობით ჰხაზავს თავისი ემოციების გულუბრყვილო სამყაროს:

„დარდიანად დამიწყევია მღერა,
კოცხალი ვარ, მე კი არა მჯერა,
იეთიმ-გურჯი, ესეც ბედის წერა!“

იეთიმს სატრფიალო ლექსებიცა აქვს:

„ბევრი შეტყვის სიყვარულზე
არ იციო ლექსის წერა,
თქვენ რომ ამბობთ, მართალი ხართ,
მე რომ მკითხოთ, არა მჯერა.“

მაგრამ მისი სიყვარული სხვანაირია:

„სიყვარულის მგოსანი ვარ,
ვალამაზებ დედა-ენას,
სიმღერების გამწენი ვარ,
მეგლისებში ვფანტავ ლხენას;
ერთა შუამავალი ვარ,
ყველგან ვცდილობ ვარდის ფენას,
მე მტერი ვარ მარტო მისი,
ვინც სიყვარულს უწყობს კბენას.“

იეთიმ-გურჯის ლექსებში უცილობლიად არის მძლავრი გულისთქმა, ქალაქური ტემპერამენტი და პოეტური ექსტაზი. იეთიმ-გურჯის ხალხური ლექსები ის ღვინით სავსე თასია, რომელიც ხელიდან ხელში გადადის და მინც არ იღვრება.

იეთიმი ტფილისელია და, როგორც ყველა ტფილისელი, არ უყვარს გულდღედალი არიფი, ბილანებს სულს ანაცვალებს:

„კალმით დავალ ამ სოფელში
გამგონ ხალხის ასაწერად;
ანდამატის ბადეს ვისერი,
ვაყვაცების დასაჭერად,
ბილანები არ ამცდება,
ჩემს დავთარში ჩასაწერად,
მიყვარს ჩემი საქართველო,
ყვერი ყველას დასაჯერად.“

იეთიმ-გურჯისთვის არც პოლიტიკური ასპარეზია უცხო. იგი 1905 წ. ასე მოუწოდებდა თავის აუდიტორიას:

„გამოიბერტყე ყურები,
 დროა მოხვიდე ჭკვასაო,
 დაინგრა ხიდი დამბალი,
 ვაშენებთ ახალ გზასაო!

მე შენ გიყვირებ, ძმობილო,
 შენც გადაეცი სხვასაო,
 რამდენიც ბევრნი ვიქნებით,
 მალე გავიყვანთ გზასაო.

ისმინე, უური დაუგდე
 იეთიმ-გურჯის თქმასაო,
 თუ რომ შენც გინდა ელირსო,
 ახალ ცხოვრების გზასაო.“

აი, ეს „ახალი ცხოვრების“ პოეტი რას ამბობს მუშის შესახებ:

„მიყვარს ყველა ლამაზებზედ
 მუშის ოფლი ჩამოსული,
 ხელის ტყავი, ეით საძირე,
 და ზედ—სოკო ამოსული.
 იეთიმ-გურჯის სიყვარულსა
 მუშა ჰქვიან, მართლით ვთვალე,
 ცოცხალი ვარ—მას ვუმღერო,
 მოგვცდე—მუშას კენაცვალე!“

ეს ლექსი იეთიმმა წაიკითხა მუშების კრებაზე ქ. ბაქოში, ბაილოვის თეატრში 1905 წ., სადაც იმ ჟამად ნაეთის მრეწველობაში მუშაობდა.¹⁾

ამავე ხანებში, 1905 წ. 17 ოქტომბერს, მუშათა ერთ-ერთ მიტინგზე, იეთიმი გამოვიდა საკუთარი დროშით, რომელზედაც ეწერა:

„მისხაიან, ან კი მჯერა!“

რეაქციის გამარჯვების შემდეგ, იეთიმ-გურჯი სხვა მუშებთან ერთად დაიპირეს და ადმინისტრაციული წესით გაგზავნეს ვოლინის გუბერნიაში და მოათავსეს დუბნოს ციხეში. აქ 4 წელი დაჰყო. შემდეგ გადაყვანილ იქნა ქ. კრემენსკში, ტუსალთა გამასწორებელ რაზმში. 1912 წ. თითქოს გაანთავისუფლეს, მაგრამ სამშობლოში ცხოვრების უფლება მიიღო არ მისცეს... მის წამებას მხოლოდ რევოლუციამ დასდო საღებანი. იგი თავისუფლების ცეცხლით გულანთებული, სამუდამოდ თავისუფალი ჭ ალტაცებული სამშობლოში დაბრუნდა და, ტფილისის ნახვით გახარებულს, აღმოხდა ეს მგრძობიერი ლექსი:

¹⁾ ი. „მუშა“, 1924 წ., № 634.

„გამარჯობა, ჩემო ტფილის-ქალაქო,
დაქარგული შენი შვილი მოვედი.
საქართველოს მიწა-წყალო, ალაგო,
თორმეტი წლის უნახავი მოვედი.

მთაო წმინდავ, მამა-დავითისაო,
შენ, დარაჯო ქალაქ ტფილისისაო,
წმინდა მიწავ, უკვდავ მწერლებისაო,
მათ საფლავზედ სალოცავად მოვედი.

დიდო ციხევ, ძველო ნარიალაო,
საქართველოს ძველო მკვიდრო ძალაო,
პოლშის ციხემ შენი შვილი მმალაო,
სისხლ-გამშრალი საჩიველელად მოვედი.

დიდო ზარო, ჩვენო სიონისაო,
ნატრული ვარ შენ დიდებულ ხმისაო,
ჩვენო მტკვიარო, ძმაო რიონისაო,
ნაწამები საბანაოდ მოვედი.

ჩემო ძმებო ჰაოს-ქართლოსისაო,
გატანჯულსა მიცნობთ დიდი ხნისაო!
გაყიდული ორპირ მეგობრისაო,—
გამარჯობათ! ეთიმ-გურჯი მოვედი!“



„ბიჭო, ჰინა ხომ არ დაგიდგია, რომ აღარსად სჩანხარ?“ ასე მომმართა 74 წლის მოხუცმა პოეტმა ბეჩარამ, რომელიც ამ წიგნის ზოგიერთი გვერდების შესავსებად ვინახულე.

ჯმუხი. არც ძალიან წარმოსადგვი. ხნიერი, მაგრამ ენერგიით სავსე. ძველი ყარაჩოღელის ერთად-ერთი ეგზემპლარი—ახალუხით, განიერი შარვლით და ვერცხლის ქამრით. პირშეგმგლული. ულვაშები—ახლად ამოსულ ქარქვეტასავით მოუქნელი. ჩიბუხი ყოველთვის პირში უჭირავს. იღიმება სანდომიანად.

აი, ასეთია ბეჩარას სილუეტი.

ბეჩარა მუხრანის ბაზარში ვაჭრობს.

— რით ვაჭრობ?— შევეკითხე ერთხელ.

— სეზონის ვაჭარი ვარ: ზამთარში თევზს ვყიდი, ზაფხულში მწვანეხილსა. ბეჩარა ქალაქის ხალხური პოეტია. ვინ არ იცის:

„აშტარხნის გზაზედ გემი ბანდდება,
შიგ მჯდომის გული მწარედ ღონდება...“

ბეჩარა უსწავლელია. არა, ეს ცოტაა, ბეჩარას არავითარი წარმოდგენა არა აქვს წიგნზე და კალამზე. ეს რალაც იშვიათი შოელებია—თითონ წერა-კითხვა არ იცის და ხალხს კი წიგნის კითხვის სურვილს უნერგავს გულში! თუ იეთიმ-გურჯი ქალაღდის პარკებზე სწავლობდა ქართულ ენას, ბეჩარასთვის ასეთი „განათლება“ უცხოა და გარეგარი. მისი ხელის მოწერა ჯვარია (+). იგი ამ ფაქსიმილეს საშუალებით აწარმოებს თავისი აღებ-მიცემობის პატარა რაქვაციებს. ბეჩარა თავის ხაზებს სხვის ხაზებისაგან ყოველთვის არჩევს და ნურაეინ იფიქრებს ბეჩარას თავისი ჯვრიანი ნიშანი სხვის ამგვარივე წარწერაში შეეშალოს.

ეს ძველი დროის ცოცხალი მატთანე მოქცეულია ძველ ჩარჩოებში და, თითქმის მის გარშემო არაფერი გამოცვლილიყოს, ისევ ისე ღინჯად აბოღებს ჩიბუხს, როგორც ძველი დარბაისელი ყარაჩოღელი, ისევე მუხამ-ბახურად ლექსაობს, როგორც მისი წინაპარი ოსტატი აშუღები.

ბეჩარას ყოველი ლექსი „სპარსთა ხმასა ზედა სათქმელად“ არის შექმნილი:

რ ა ს ტ ი ს ხ მ ა ზ ე

ერთი დროება ვის შერჩენია,—
 არც შენ შეგრჩება ეგ ავკაცობა,
 ყველას ცხოვრება აქ დარჩენია,—
 არც შენ შეგრჩება ეგ ავკაცობა!

მტერი არ მიზამდა, რაც შენ მიყავი,
 უღვთოთ დამიქციე სახლი და კარი!
 ორივე ხელით თავში ჩამკარი,—
 არც შენ შეგრჩება ეგ ავკაცობა!

ბევრი მინახავს შენისთანები,
 ოქროთ და ვერცხლით გამაძღარები.
 ბეჩარ, შენ იმათ ნუ ედარები,—
 არც შენ შეგრჩება ეგ ავკაცობა!

ბეჩარას შემოქმედების პროცესი სიმღერაა. იგი, როგორც უნბანო პოეტი, მღერის და სიმღერიოთ ალაგებს ლექსის სტრიქონებს: „შარი შურის ხმაზე“, „ჩარგას ხმაზე“, „ღუბეთის ხმაზე“ და სხვ. აი, ერთი ორიგინალური ლექსი, სადაც დიალოგის ფორმით მოცემულია ავტორის ნაპერწკლიანი სიტყვები და სატრფოს გრილი პასუხი.

ს ა შ ა ი ა ს ხ მ ა ზ ე

საყვარელს ვუთხარი: ათასი ფერი ხარ.
 მითხრა: რას ბოდავ, ვინ ოხერი ხარ.
 ვუთხარი: ლამაზო, მინდერის შეელი ხარ.
 მითხრა: გამეცალე, ჩემი მტერი ხარ.

საყვარელს ვუთხარი: შენ გენაცვალე.
 მითხრა: შენი თავი სხვაზე გავეცალე.
 ვუთხარი: უშენობით სულ დაეცალე.
 მითხრა: ეგ ცოტაა, ჯერ ჯეელი ხარ.

საყვარელს ვუთხარი რა მეშველება.
 მითხრა ხმის გაცემის არა გაქვს ნება.
 ვუთხარი: ბეჩარა შენთვისა კვდება.
 მითხრა: საცოდაო, რა სულელი ხარ!

ბეჩარას არა აქვს დაბეჭდილი ლექსების წიგნი, მაგრამ ტფილისის საზანდრებოში კი ყველა დაირის დამჭერმა მისი ლექსები ზეპირად იცის: „ვერ მიმღერია“, „მანდ ეგდევ“, „არ მიკვირს“, „რა ოინია“ და სხვა.

თუ გივიშვილისა ღ სკანდარნოვას ყოველი წკიპურტი ხელად სტამბაში მიე-
ქანებოდა, ბეჩარა თავის ქერქში ლალად ეტეოდა; ის წიგნებს არც კით-
ხულობდა და არცა ბეჭდავდა. მისი ლექსი, როგორც ციციანათელა, პოე-
ტის შინასქნელში ერთბაშად გაიფლავებდა და მერე თითონაც არ იცოდა,
რომელი მომღერალი დაარხევდა თავის ჰანგზე. მისი ლექსების რაოდე-
ნობა გამოაურკვეველია. მის ჰანგებს ტფილისის მომღერლები ადვილად
გროზობენ და ხშირად მსმენელისათვის ავტორის ვინაობა დღემდის
უცნობი რჩება.¹⁾

გასაოცარია, რომ ორ-გროზიანი შწვანილის გამყოდელი, რომელსაც
თითქოს გამოანგარიშებული უნდა ჰქონდეს დახლის ყოველი უზალთუნნი,
ასე დარღმინდულად ეკიდება თავის გონების ნაყოფს და ბოჰემურ ხელ-
ჩაქნევით ჰფანტავს პატარა განცდათა პატარა ღონქილებს.

არა ნაკლებ გასაოცარია, რომ ამ ხნის ადამიანს არა აქვს პირადი
ხედვის ინტენსივობა და „სიკვდილის ანგელოსს“ ოპტიმისტურად
უცქერის! ბეჩარასთვის „მიქელ-გაბრიელი“ რეალური პიროვნებაა, „უწა-
მუსი“ და „გაუმადლარი“, მისთვის სიკვდილის საშიშროება არ არსებობს
და მხიარულად განწყობილს პოეტს სწამს, რომ სიკვდილს სიცოცხლე
დასძლევს.

აი, როგორ შინაურული ტონით მიმართავს ბეჩარა სიკვდილს:

„გაბრიელიო, რას მიპირებ, მოდი მომკალ, შენ გელი.
იცი, შენი ხორაგი ვარ, მე ცხვარი ვარ, შენ—მგელი.

ნეტავი რას აგვიანებ, გუნებაში რა გაქო,
შენი უნამუსობა ქუჩა-ქუჩა დაგაქო,
არ შესმის, თუ რას კვებულობ, ჩემზე მეტი რა გაქო,
კარიჭო, მოდი დამშხამე, რას უყურებ, შენ გელი!

შენის შიშით ბავშვი სტირის აკვანში,
მაგონდები, ვერ ვისვენებ საბანში,
ღრო იქნება, შენ ჩაუარდე საკანში,—
აქ მომწერო, მოდი, მნახე, შენ გელი...!“

1) ზოგიერთმა ჩემმა მკვლევარმა ეხლაც არ იცის, რომ ხალხში ვავრცელებული სასიძღვრო-
ლოქსები შემდეგ ბოჰეტებს ეკუთვნის: 1. „ერთხელ ვიხილე ბალში უჯვილი, მშმარი, უსუნო, გავ-
სილი სოლით“—კოწ. ვრისთავს; 2. „ჭიანჭარი, შენაზარი“ და „მინდა მიყვარდე“—
სილოვანს (ნათარგმნი); 3. „ნეტავ, ეხლა სადა ხარ და რომელსა მხარესა“—ნინო ორბე-
ლიანს; 4. „მე პატარა კართელი ვარ“ და „შეგვია ტანჯვას სული და გული“—დუტუ მ-
გრილს; 5. „ძილში ვმლოთავდი, ვგნესოდი, ვართოდი“—კოტე მაცაშვილს; 6. „ფერად-
ოცნებათ ვმღეროდი“—ამ სტრიქონების დაშვებს (იხ. I ტ., გვ. 100) და სხვ.

ბეჩარამ თავისი ავტობიოგრაფია ასე ჩამაწერინა: „მე ვასილ ავეტის-ძე ბერივევი, ამაღლებას 74 წლისა გავხდები. ჩემი ულუპაპა გორის მაზრიდან, სოფ. სველქნეთიდან გადმოსახლებულა ტფილისში. მე აქ დავიბადე 18 წლისა ვიყავი, როდესაც ყავახანებში დავიწყე სიარული, ძალიან მიყვარდა აშუღებთან ლაპარაკი და მასლაათი; ამის შემდეგ საკუთრივაც გავადე ყავახანა. როდესაც აშუღებს ლოცვა ჰქონდათ, მეც დამლოცეს და ზედმეტ სახელად ბეჩარა დამარქვეს, რაც ნიშნავს ბეჩავს, საწყალს. წერაკითხვა სულ არ ვიცი და არც მისწავლია. ციფრი რა არის, იმასაც ვერ ვარჩევ. ლექსის ამოღების დროს, მარცვლებს კრიალოსან ზე ვითვლი. მიყვარს სიმღერა. ჩიბუხი და კრიალოსანი.“



ჰაზირა!

ეს მგოსანი, როგორც ჩაროზი, დასასრულისთვის დავსტოვეთ.

ჰაზირა განცალკევებითა სდგას. ჰაზირა სახელოვანი მემკვიდრე იყო სააათნოვასი, მისი სიმღერების გამგრძელებელი. იეთიმ-გურჯის გამოთქმა „მე მეორე სააათნოვა ვარ“ ჰაზირაზე უფრო ალალია! მერე როგორ უხდებოდა ჰაზირას მოხდენილ ტანს სააათნოვას ყოშებინა კაბა! ჰაზირაც სააათნოვასავეთ ლექსის ავტორიც იყო, ამ ლექსის პანგის მომგონიც და ამსრულებელიც, მართალია, ჰაზირას ხმას ბოლო დროს ხინჯი შეეპარა, არ იყო მოქნილი და დახეწილი, მაგრამ მისი სტრიქონები კი ყოველთვის გულწრფელი და აზრიანია:

„რას მარგებს მომღერლის მადლა ყვირილი,
თუ სიტყვები არ არის აზრიანი,“—

ამბობს ერთ ლექსში ჰაზირა.

ჰაზირა გვარად აბრამ აბრამოვი იყო. დაიბადა 1845 წ. სოფ. შულავერაში (ბორჩ. მაზრა), გარდაიცვალა 1922 წ., დაკრძალეს 14 იანვარს, სწორედ იმ დღეს, როცა ვასო აბაშიძე რუსთველის თეატრში თავისი 50 წლის იუბილეს იხდიდა. საყვარელ მსახიობს შემოჰხვეოდნენ მისი ნიჭის თაყვანისმცემლნი და გრძნობით გამოთბარ სიტყვებს აცმევდნენ წელთა დაზიდულობით დამაშვრალ ხელოვანს, ჰაზირას კუმბოს კი, ამ დროს მისი შეგირდები ჭიანურების დაკვრით აცილებდნენ იმ ადგილისაკენ, საიდანაც „არც ერთი მგზავრი უკან აღარ დაბრუნებულა“.

როგორც მე-XVIII-ე საუკუნეში დ. გურამიშვილმა და მე-XIX-ე საუკუნეში აკაკიმ, შემოიტანეს და განამტკიცეს ხალხური კილო, ისე ტფილისის დაბალ ფენებში ჰაზირას შემოქმედება ქალაქური ხალხური პოეზიის ფორმებისა და შინაარსის გამომსახველად გადაიქცა.

აშუღლებს საკუთარი ამქარიც ჰყავდათ.

ჰაზირას ამ მზრით დიდი ღვაწლი მიუძღვის; იგი, როგორც ამქარის ოფიციალური უსტაბაში, ჰკრებდა შეგირდებს (ხშირად უსინათლოებს),

ასწავლიდა სიმღერას, დაკვრას, არქმევდა ზედმეტ სახელებს, ჰგზავნიდა სამღერლად ხან ქუჩებში, ხან ყავახანებში, ხან მეჯლისებში და ამრიგად ტფილისის ღარიბ-ღატაკებს ლუკმა პურს უჩენდა.

უსინათლო აშულები ხალხს უყვარდა ზე პატივსაცემად. მათ, როგორც საზოგადოთ ყველა უსინათლოს, გამახვილებული სმენა ჰქონდათ. „თუ ბუნებამ დაბადებულანვე მათ მოაკლო შეხედვლობა, სამაგიეროდ მათებერა მუსიკის სიყვარული და არაჩვეულებრივი ნიჭი სიმღერის დასწავლისა.“¹⁾

ბრმა აშულებს განსაკუთრებით ჰიანური უყვარდათ. დილის სიმღერას („საარს“) ისე ტკბილად და მგრძნობიერად არავინ უკრავდა, როგორც ეს უსინათლო აშულები.²⁾

მე აქ აღარ ვილაპარაკებ საერთოდ აშულების სხვა დამსახურებაზე, მაგ., როცა ესენი ჯარს წინ მიუძღოდნენ და თავიანთი დაკვრით ენტუზიაზმს უღვიძებდნენ ქართულ ლაშქარს.³⁾ მხოლოდ ვიტყვი, რომ ეს აშულობა ეპოქის დამახასიათებელი მოვლენა იყო. აშულები გასაოცარის ინტუიციით ითვისებდნენ და გადმოგვცემდნენ მაშინდელ საზოგადოებრივ განცდებს და მისწრაფებებს. აშულები რომ არა ყოფილიყვნენ, ბევრი ჩვენი ძველი სიმღერა, როგორც ჰანგი, ისე ტექსტი, დავიწყებას მიეცემოდა. ჩვენი ქართული მუსიკა დავალებულია სპარსეთით და ამ მელიოდების შემნახველები იყვნენ ტფილისის აშულები.

დღმ. არაყოშიელი იგონებს მუსიკალური სასწავლებლის პირველ დამაარსებელთაგანს ხ. სავანელს და, სხვათა შორის, ამბობს: „სავანელი ხალხურ სამუსიკო შემოქმედებას დიდ ყურადღებას აქცევდა, ეძებდა მოხუც მესაზანდრეებს, იწერდა ჰანგებს და სტკებმოდა მათი სიმღერებითაო;“⁴⁾

სემინარიის რევენტმა მ. მაქავარიანმა 1878 წ. გამოსცა ნოტებზე გადაღებული „სამშობლოს ხმები“, რომელშიაც უმეტეს წილად ქალაქური სიმღერები იყო შესული. ამ კრებულს ერთმა რეცენზენტმა, სრულიად

1) И Евлахов, „Кавказ“, 1850 წ., № 65.

2) მაგონდება ცნობილი მგვიანურე, აწ გარდაცვლილი, უსინათლო იაკობრა, რომელიც ჩემს საღამოებზე თავისი შესანიშნავი საარით დამსწრეებს ბიბლავდა. სხვათა შორის, ამ უსინათლო აშულის მოგონება გრ. ორბელიანზე ჩაწერილია მაქეს ჩემს საიათნოვაში (გვ. 53); არა ერთი შემთხვევა ყოფილა რომ ქეიფის შემდეგ ამ უსინათლო იაკობრას რომელმე ლითი ამხანაგი სახლში მიეცილებინოს. ერთხელ სკანდარნოვა საღდაც დამთავრალიყო და შინ უსინათლო იაკობრას წაეყვანა. პეტრი მლოჩუ დღეს ოზუნჯობდა: „ამისთანა კაცობას კი რა ვუთხრა, რომ ბრმამ თვალებილული ატაროსო“.

3) იხ. დ. ჩუბინა შევილის „ქრისტიანობა“, 1863 წ., გვ. 179; „საიათნოვა.“ გვ. 42.

4) იხ. დ. არაყოშიელის „ქართული მუსიკა“, 1925 წ., გვ. 43.

უშართებულადა, „კინტოების ხმები“ უწოდა. ¹⁾ აღმოსავლეთის ჰანგები, რომელთანაც დაკავშირებულია ჩვენი შორეული კულტურული მიღწევები, დიდს საგანბურს წარმოადგენს ქართული მუსიკის განვითარების საქმეში. მისი თათარიანად შეფასება, სხვა რომ არა ესთქვათ-რა, შეუწყნარებელი და მიუღებელია.

მეკიანურე აღ. ოპანეზაშვილის აზრით, ორიენტალისტმა კომპოზიტორმა უცილობლად უნდა იცოდეს აღმოსავლეთის მუსიკის მენზურალური თეორია; კიანურის შტრიხები; დოლის, ნალარის და დაირის რითმიკა; უნდა გაეცნოს დულდუკის და სალაბურის ნესტეებს—რის წყაღობითაც სიმფონიურ ორკესტრის კვარტეტი, სუნთქოვანი და საცემი საკრავები ისე უნდა აელერდეს, რომ ჰანგის ელფერი მვეიდრად იყოს დატული. ²⁾

ყველა ეს აღმოსავლური სამუსიკო ინსტრუმენტი მოთავსებულია საზანდარის და ზურნის დასტაში.

საზანდარის შემადგენლობა: კიანური, საზი, თარი, ნალარა (დიპლიპიტო) და დაირა. ³⁾

ზურნა სამი კაცისაგან შესდგება: დამკრელი (პირველი ხმა), ბანის მიმცემი (დამქაში) და მედოლე. ⁴⁾

ერთი რუსი მწერალი ამბობს, შარბანკა და მეცხრე სიმფონია ერთნაირად შეიძლება ხელოვნების კლასს მივაკუთვნოთ. ⁵⁾ მით უფრო მეტი კავშირი აქვს ხელოვნებასთან საზანდარსა და დულდუკს, რომლებიც ჩვენს ძველებში მეტად რთულ ემოციებს იწვევდნენ და ნამდვილი ტკბობის საშუალებად მხდებოდნენ.

საზანდარი უფრო ნაზია, პოეტური და მოსათმენი; ზურნა—ერთფეროვანია და გამყივარი, თუმცა არა ისეთი „ბარბაროსული“, როგორც ეს უცხოელს ეჩვენებოდა. ⁶⁾

ქართველებშიაც იყვნენ ისეთები, რომლებიც როგორც საზანდარს, ისე ზურნას, აღმატებულ უცქეროდნენ. მაგ., დავით მანაშელის აზრით: „საზანდარი, თუმცა არის დიდათ სასიამოვნო, მაგრამ აღმატუნებელია ვნებათა და წინააღმდეგ წმინდისა ზნეობისა.“ ⁷⁾

1) რომან ეამცივეი, შურ. „იფიდი“, 1881 წ., № IX, გვ. 93.

2) იბ. ვაზ. „ქართული სიტყვა“, 1924 წ., № 21.

3) მშირად საზანდარის დასტაში ორი მედაირვა. მეორე მედაირე მომღერლის დამბარეუთ ითვლება, მის აკომპანიმენტად (იბ. ამ წიგნში დართული სურათი).

4) ამ საკრავთა აღწერილობა იბ. ლექსიკონში (ამ წიგნის შესაბამე დამატება).

5) იბ. „Вопросы философии и психологии“, 1914 წ., წიგნი 121 (1).

6) იბ. „Акты“ ტ. X, გვ. 881.

7) იბ. „ცისკარი“, 1864 წ., № 5.

დ. მაჩაბელისთვის საზანდარით გამოწვეული სიამოვნება, რომელიც ესთეტიური ტუბობის ერთი ფორმათაგანია, უზნეობა ყოფილა! ცოტა არ იყოს მღვდელი ივანე გვარამაძის იაფ-ფასიან მორალურ სენტენციებს გვაგონებს. მას ავიწყდებოდა, რომ საზანდარი და ზურნა, ესთეტიური გრძნობის გარდა, უფრო რთულ გრძნობებსაც იწვევდა. მაგ., ვახტანგ ორბელიანი ერთხელ დაესწრო ქართულ პიესას, სადაც ზურნაც უკრავდა, პოეტმა დარბაზი დასტოვა და წარმოსთქვა: „ამ საკრავის ხმა იმ ძველ ღროს მაგონებს, როცა სპარსელები საქართველოს ზურნით იკლებდნენო.“¹⁾

ჭაზირას საყვარელი საკრავი დაირა იყო. იგი თავის სულის კაეშანს ამ ინსტრუმენტის აკომპანიმენტს აქსოვდა.²⁾

ჭაზირა თავისი მოწოდებით ნამდვილი ბოჰემა იყო. იგი ზეპირად იგონებდა თავის ლექსებს და, თუ ქაღალდზე ვადაიტანდა, თავის დაწერილს, არამც თუ სხვა ვინმე, თითონაც ვერა კითხულობდა! ერთხელ მითხრა, ჩემს ყოველივე ხელთნაწერს მე თითონ თან უნდა გავუყეო.

მართალია, ჭაზირას აშული ეწოდა, მაგრამ ის არ ყოფილა აშიკი, ეროტიული ლექსების მოტრფიალე:

„ქარგი იყავ, ნუ ხარ ავი, სულოჯან.
გენაცვალოს ჩემი თავი სულოჯან.
ჩემთან იყო შენ ნეტავი, სულოჯან.
გამიწითლი დღენი შავი, სულოჯან.“

გვედრები და შე გეთაყვანები,
ქარგს მიმართე, ბოროტს ნუ ეტანები,
თავიდან მოიშორე შადიმანები,—
გიყვარდეს დიდი მოურავი, სულოჯან.“

ჭაზირ, კაი აზრები აირჩიე,
შენს მეგობარს, ძმას, მეზობელს მისდიე.
სხვაგან ძვირფას სასახლეზე ირჩიე,
საქართველოში საფლავი სულოჯან.“³⁾

1) ზ. ქიქინაძე: „ვახტანგ ორბელიანი“, 1892 წ., გვ. 29.

2) დაირას ძველად ოჯახებში ყველგან ნახავდით. თითქმის ყველა გასათხოვარი ქალი დაირაზე უკრავდა. თუ მამაკაცები საზანდართი პქიფობდნენ, ოჯახური ტრადიციებით შებოქილი ქალები თავიანთი სახლის ბანებზე კვირა-უკმეებში პატარა ლხინებს ჰმართავდნენ ხოლმე (იხ. სურათი ამ წიგნის პირველ დამატებაში).

3) იხ. „ქართული ლექსები და სიმღერები“, 1892 წ., გვ. 6.

გარდა იმისა, რომ „დიდი მოურავი“ პოეზიაში პირველად ჰაზირამ გააცოცხლა, ამ ლექსში დაყურსულია სამოქალაქო ზრახვები და სიყვარული ტფილისისადმი. ეს სამოქალაქო გრძნობა უფრო თვალსმიერად გამოსჭვივის შემდეგს ცნობილ ლექსში:

„მოდი, შეილო, ჩემთანა,
გულში არ დამკრა დანა;
საქართველოს შეილი ხარ, შეილო,
იციან შენი ქვეყანა.

მამულისთვის კვდებოდე,
მტრის პირდაპირ დგებოდე,
ჯანათებულ ქვეყნებში, შეილო,
კაცად იხსენებოდე.

ჰაზირ, ტანჯვა იკმარე,
მამა ძმას მოახმარე,
ოდეს ეს შეასრულო, შეილო,
საფლავში ჩამახარე!“¹⁾

ჰაზირა ქართველ მეომარს ასე ათქმევინებს:

„მსურს მმარხავდნენ საქართველოს მთის ძირას,
ჩემს გმირობას ამღერებდნენ ჰაზირას...
და ჩემს თავზე ვალექსილი ამბავი,
ჩვენს მომავალ თაობასა რჩებოდეს.

ან კიდევ:

„მე ხომ ჩემთვის არა გჩივი, მავრამა
მან ინალვლოს, ვისაც ქვეყნად აქვს რამა,
დე, ნუ ვიყო მე ჰაზირა, აბრამა,—
ოღონდ შენ კი გენაცვალე, ქართველო!

ჰაზირამ არ იცის სიტყვაში დაუზოგველობა. მისი ზოგიერთი ლექსი მუხამბაზურ ფორმაში რომ არ იყოს ჩაკეტილი—მოსაწყენი იქნებოდა. მუხამბაზური ლექსის სტრიქონები კი მოულოდნელობის გრძნობით არის გამთბარი. ჰაზირა საქართველოს აღტაცებული მეზობტვა. მისი პირველი ხანის ლექსები პატრიოტიზმის თრიაქით არის შენელებული.

ვინ არ იცის:

„აღსდგე, თამარ დედოფალო,
შენთვის სტირის საქართველო!..“

ჰაზირას შემოქმედება ნელინელ დემოკრატიულ ჰანგებზე გადავიდა. ცხრაასიანი წლებიდან იგი შეიქმნა სოციალური ყოფის უებარი ამსახველი.

¹⁾ იხ. „გამგელებული ბატანი“, 1914 წ., გვ. 26.

მას ამ მხრით ქალაქურ ხალხურ პოეტებში ყველაზე მაღლობი ადგილი უჭირავს. ჰაზირას 1892 წ. „ივერიაში“ რამდენიმე წერილიც ჰქონდა მოთავსებული მაშინდელ საზოგადოებრივ ტკივილებზე. ჩვენს აშუღს ყველგან და ყოველთვის შრომელის იღბალი აწუხებს:

„სადაც არის გათენდება,
აღსდექ მუშაე შენ,
ღამაზი დღე დაგიდგება,
ნუ გძინავს შენ, ნუ ხვრინავ შენ,
ბუშაე, ბუშაე, შენ!“

ჰაზირას ეს სიმღერა, მეონი, ყველას ახსოვს.¹⁾

ჰაზირას მუხამბაზურ ფორმისათვის არ უღალატნია. ყველა მისი ლექსი სასიმღეროთაა დაწერილი—მუხამბაზურ ყაიდაზე, რომლის ყოველი ხანის ბოლო სტრიქონი ეხმაურება პირველი ხანის უკანასკნელ სტრიქონს. მომღერალი ლექსის დასაწყისის ორ სტრიქონს, სიმღერის დროს ყოველი ხანის გათავების შემდეგ იმეორებს, ამით თითქოს ხაზს უსვამს ობლად დატოვებულ რითმის და სიმღერა მეტად ეშხიანდება. ამგვარი ფანდით მომღერალი, მართლაც, აღწევს თავის მიზანს: აქ არის აზრისადმი ნების დამორჩილება, ლექსი უფრო სიტყვამოსხლეტილი გამოდის, ვინაიდან მთელი ხანის მთავარი ძარღვი ბოლო სტრიქონშია გადატანილი: მაგ.,

„შავი ზღვის ნაპირას ჩვენი სახლები,
ძველთაგან ძველები—არა ახლები,
ეხლა იქ სდგანან ჩვენი მძახლები.
ჩვენია ბრალი, დაეკარგეთ კვალი,
ალარ გვაქვს ძალი, წაგვართვეს ნება.“

მამა მოგვიკვდა—დავჩით ობლადა,
დედაც სხვას გაჰყვა ჰურის მცხოზბადა,
საქმე არ მიდის ჩვენთვის შწყობრადა.
ბედი გაგვექცა, სახლი დაგვექცა,
ცხენი წაგვექცა—ველარა დგება.“

როდის იქნება დაგვიდგეს დარი,
გვეღირსოს ჩვენი სახლი და კარი,
ჰაზირას არ მისცა არავინ მხარი.
ფიქრი აწვალეებს, იხმარებს ძალეებს,
თავს ანაცვალეებს, მისთვის მოკვდება.“²⁾

¹⁾ ეს წელიწადი ნოტებზე გადაიღო ალ. ოხანეზაშვილმა (იხ. „თეატ. და ცხ.“ 1924 წ. № 12) და კ. ფლაცხერაშვილმა (იხ. „რევოლუციის სიმღერები“, 1923 წ., გვ. 38).

²⁾ იხ. „ახალი ლექსები სხვა-და-სხვა“, 1894 წ., გვ. 3.

აქ თვითვეული ხანის პირველი სამი სტრიქონი და ბოლო ხანის ორი სტრიქონი სხვა-და-სხვა ტემპით არის გალოქსილი ღ ორიგინალურ მეტრით მომდინარეობს. თვით რითმებიც ფარულია და მეორე რკალს არ ეჯვარე-
დინება.

„ჩენია ბრალი, დაეკარგეთ კვალი, აღარ გვაქვს ძალი,
წაგვართევს ნება.
ბაღში ვარდები, გამეზარდები, გულში დარდები
აღარ შექნება!“

ასეთი წყობა, რასაკვირველია, სპარსული პოეზიის გავლენით წარმო-
იშვა. სიმღერის დროს ბოლო სტრიქონების მახვილი ოქროსავით მძიმედ
ეცემოდა და ვერცხლივით წკრიალა იყო.

ჩენი ძველი მწერლობა სპარსულ ლექსწყობაზე აღიზარდა. თითქმის
ყველა ქართველი პოეტი მუხამბაზურ ყაიდაზედაც სწერდა ლექსებს:
ლექსი ხომ სიმღერაა, და ჩენი მგოსნებიც მღეროდნენ და სიმღერით
ჰქმნიდნენ მუსიკალურ და ფასდაუღებელ შაირებს: „გაფი“, „მუსტაზადი“,
„მაჯამა“, „მუხამბაზი“ და სხვ.

ყველაზე პოპულიარული იყო „მუხამბაზი“ და „გაფი“.

„მუხამბაზი“, პლატონ იოსელიანის განმარტებით, „აგებულია
ცოცხალი და ლაკონიური სიტყვებით, იგი მოჭნილი და დაწურული
ლექსის ფორმაა.“¹⁾ „გაფი“ ადამიანის სულიერი დაავადების და კაეშ-
ნის ნათესის გასწავლებლად იმღერებოდა. წ. კ. ს. ხელთნაწერებში დატუ-
ლია მარიამ დედოფლის მრავალი სასიმღერო ლექსი. ერთ ლექსს ასეთი
მინაწერი აქვს: „როცა გარუსებულმა პაეღე ციციანოგმა მარიამ დედო-
ფლის სახოს, გარს რუსის სალდათები დაუყენა ყარაულად და მერე
თითონაც დაპატომრებული იქნა, მწუხარებით აღესიღმა მარიამ დედო-
ფალმა ეს გაფი მაშინ სთქვა.“²⁾

უფრო ადრე ქეთევან დედოფალმა სასჯელის წინ „ან-ბანთ ქება
ლექსადა სთქვა გაფის ხმაზე და ამით მოსთქვა სპარსეთში მყოფ ქარ-
თველთა პატიმრობა: ან—ამას ვჩივი, ბან—ბნელსა მჯდომი, გან—გულ-
მდულარე, დონ—დანატირი.“³⁾

თვით უახლოესი დროის პოეტებიც კი (გრ. ორბელიანი, აკაკი,
რაფ. ერისთავი, ნინო ორბელიანი, ლუკა ისარლოვი, „ციცკელი“—

¹⁾ П. Иоселиани: „Путевые записки от Тифлиса до Мухети“, 1871 წ., გვ. 64.

²⁾ ეს ხელთნაწერი განსვენებულმა დ. კარიკაშვილმა მანუჩა ხელთნაწერი ვერ
ჩაწერილი არ იყო კატალოგში.

³⁾ იმ. „ქართველები სპარსეთში“, 1907 წ., გვ. 5, 7.

დომ. ბერივეი და სხვ.) შემოქმედების ანტრაქტის დროს, მუხამბაზურ ლექსებსაც სწერდნენ. გაიხსენეთ გრ. ორბელიანის მშვენიერი მუხამბაზი:

„გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ...“ 1)

როცა ჟორჟ ზანდი, ვაჟურ ტანისამოს-ვადაცმული, პაპიროსით ხელში დადიოდა, კრიტიკოსები „პარიზის ბოჰემას“ უწოდებდნენ. ჩვენი ნინო ორბელიანი, თუმცა არისტოკრატი ქალი იყო, აბაშიძის ასული და რძალი ჯამბაკურ-ორბელიანისა, მაგრამ მაინც არ ერიდებოდა საზოგადოების ყბათ-აღებას და ტფილისის ლოთ ბოჰემისტებს ასეთ მუხამბაზს უძღვნიდა:

„ღღეს გულით მსურს, ძებო, თქვენთან ვილხინო,
აბა, კაბლო, მომე ხელადით ღვინო,
ჩვენებურად, ჩარხთან ორთაქალაში,
თუნდ გამაბან ღღესეე ხათაბალაში.

რასა ჰყრიხართ, ბიჭო, მუდამ ქალაქში,
ერთხელ ჩავსდეთ ჩრდილ-ქვეშ, მწვანე ბალახში...
კამპანიას გაუმარჯოს, დავლიოთ,
ამ ქეიფში თუნდა სულიც დავლიოთ.“

და სხვ. 2)

აკაკი? მართალია, აკაკი თავის ახალგაზღვრების დროს სწერდა: „მეც წამიკითხავს ძველი წიგნები, ვყოფილვარ საქართველოში და არა თუ გამოგონია ბესიკისა და მისი ჰამქრების თხზული ლექსები, კიდევაც თვითონ მე მიღიღინებია; დრო იყო, რომ მისი „ტანო ტატანო“ „შავნი შაშვნი“ და „სევდის ბაღს შეველ“ აღტაცებაში მოგჭყავდი. ახლა, არ დავფარავ, ის ლექსები მოკლილი კაცის სასმენელს ატკობენ.“ 3)

როცა აკაკი ამ სტრიქონებსა სწერდა, ოცდახუთი წლის ჰაბუკი იყო. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ კი, აკაკიმაც „იპოვა დრო“ იმისთვის, რომ ამ სასიმღერო ლექსების ავტორებისთვის წაეზადა და შეექმნა საგოგმანო მუხამბაზები: 1. „ჩემო ღაგო ბედი არ გიწერია“, 2. „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა“, 3. „დარდებისა ამშლელო, ჩემი გულის ხაზი ხარ“, 4. „ფუჟ, ჩემს ვარსკვლავს და ჩემს ბედისწერასა“ და სხვ. 4)

1) ამ ლექსს პირველად „ლოთ ური მუხამბაზი“ ერქვა (იხ. „საქ. მოამბე“, 1863 წ. № II.).

2) ნინო ორბელიანი, „ლექსების რეგული“, 1905 წ., გვ. 33.

3) იხ. „ცისკარო“, 1865 წ., სექტ.

4) ამ უკანასკნელ ლექსს პირველად „მუხამბაზი“ ერქვა (იხ. ივლიანე ხეთერელის მიერ გამოც. „ქნარი“ ქუთ., 1896 წ., გვ. 149).

1893 წელს ქუთაისში გამოვიდა აკაკის სასიმღერო ლექსების კრებული „სალამური“, რომელიც სავერა ამგვარი სათაურებით:

- გვ. 11. „შიქასტა“ (ვით სნულსა თანაუგრძნობს),
 გვ. 15. „მუხამბაზი“ (ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე),
 გვ. 22. „კინტოური“ (რომ იცოდე ჩემი გულის დარდები),
 გვ. 87. „ვარდის ხმაზე“ (მე ჩანგური მისთვის მინდა).

აქ აღარას ვამბობ აკაკის პიესაზე („კინტო“), რომელიც ზ. ანტონოვისა და ცაგარლის უხვირო მიბაძვას წარმოადგენს და რომელშიაც ბლომადაა „შიქასტები“ და „ლათაიები“:

1. „საყვარლისა ეშხზედა,
 ღვინო დამიღვია“...
2. „ერთი კინტო მეცა ვარ,
 საყვარელი მეცა მყავს“...
3. „ქნიაზ, სწყრები?
 თაფში—მწყრები,
 ერთს დაგადებ
 და დასცხრები“
 და სხვ. 1)

ჰაზირას უყვარდა აკაკი. „სულიკო“ პირველად ჰაზირამ მოაქვინა საქართველოს დაბა-სოფლებში. ჰაზირა აკაკის სასიმღერო მუხამბაზების შესახებ შემდეგსა სწერს: „აკაკისა და საჯათნოვის ერთგვარად უყვარდა ხალხი, ორიენი ხალხის მონა და მსახურნი იყვნენ. როცა აკაკი წერეთელი გამოჩნდა, იმ ხანებში აშუღობა უკვე იღვენებოდა და ძველი უთმობდა ადგილს ახალსა. მგონის დიდი ტალანტი ღუღდა და გაღმოდოდა, როგორც ამოჩუხჩუხებული წყარო უშრეტე; აკაკიმ ყურადღება მიამჯცია ძველ ხმებს და დაიწყო წერა; გამოსჭრა, შეჭკერა და დაზაზიედ დააწყო აუარებელი ძვირფასი ნივთები, მაგრამ საუბედუროთ ვაჭარი არსად სჩანდა.“²⁾

და, აი, ასეთი „ვაჭრები“ აშუღები იყვნენ, რომლებმაც ჰაზირას მეთაურობით ამ ნივთებს „მუშტრები“ მოუწახეს, ჰანგები შეუწყეს და ხალხში გაავრცელეს დიდი პოეტების პოეზიის ნიმუშებიც. „რომელ ერთ მწერალს“—დასძენს ჰაზირა, — რომელ ერთ მოძღვარს, რომელ ერთ

1) იხ. „აკაკის კრებული“, 1889 წ. № VII. გვ. 69, 70, 74.

2) ჰაზირა: „აკაკი და საიათნოვა“ („თეატრი და ცხოვ.“, 1916 წ., № 46 და „საიათნოვა“ გვ. 21).

ლექციას, რომელ ერთ მოქადაგეს, შეეძლო ჩაეგონებინა ხალხისთვის ის, რასაც ჩვენ ვაგონებდით ჩვენი ტკბილი დაკვირით და სიმღერითო“.

მაშინდელი ცხოვრება ძლიერ პრიმიტიული იყო. არაერთი გონიერული გასართობი იმ სახით, რა სახითაც ჩვენ ვხედავთ წარმოდგენილი, არ არსებობდა. ერთადერთი ქართული თეატრი იყო, და ამ თეატრშიც ანტრაქტებში ჰაზირას დასტა უკრავდა. აქ, ჩვეულებრივი სიმღერების გარდა, პიესის შესაფერ ლექსებსაც მღეროდნენ და ისმოდა ჰაზირას „გულდამწველი სიტყვები“:

„უცხო ამაყ ამპარტავან გვარზედა,
ჩვენი თავმდაბალი გვარი კარგია,
მათ სასახლის კარგ დაბატულ კარზედა,
ჩვენი ქოხის წნელის კარი კარგია.

მე დავივლი ჩემს პაპის ნაველზედა,
არ გავივლი სხვის გზასა და კვალზედა,
უცხო გვარის ბედნიერ ცოცხალზედა,
ჩვენი უბედური მკვდარი კარგია.

მე რას მარგებს სხვის ფული ან ქონება,
თუ კაცი ვარ და თავში მაქვს გონება,
უცხო გვარის ზღვა რად მომეწონება,
ჩვენი წყაროს ერთი ცვარი კარგია.“¹⁾

თეატრში აშუღების მიწვევის შესახებ, ჰაზირა თავის ავტობიოგრაფიაში შემდეგსა სწერს: „ჯერ ეხლა რა არის თეატრის საქმე, რომ მაშინ რა უნდა ყოფილიყო (იგულისხმება 1880 წ.) მაგრამ მაინც, ვაღამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ დაბალი ხალხი თეატრში ჩემი სიმღერების გულისთვის დადიოდა. ერთი სიტყვით, თეატრს იმნაირი ხალხით ვაფასებდი, რომელმაც არ იცოდა რა იყო თეატრი. ამავე დროს მე მყვანდა სამოცდახუთმეტი შევირდი—ქართველი, სომეხი, თათარი, ბერძენი; საქართველოს სხვა-და-სხვა მცხოვრებნი—გურული, თუში, ქისტო, ქურთო და სხვ. ყველამ ქართული წმინდათ იცოდა. შევჭურვე ესენი სასარგებლო და გამაღვიძებელი ლექსებით და მთელს საქართველოსა და კავკასიის ყოველ კუთხეში დავეფანტე.“²⁾

ჰაზირას თავისი შინაარსიანი ლექსებით მეტად დიდი ღვაწლი მიუძღვის ხალხის გათვითცნობიერების საქმეში. ვინ მოსთვლის მისი ტკბი-

1) იხ. „გამგებებული ბატკანი“, 1902 წ., გვ. 25.

2) იხ. „თეატრი და ცხოვრება“ 1915 წ., № 1.

ლი სიმღერების წყალობით რამდენი დაეწაფა კითხვას! მერე როგორ ეტრფოდა ჰაზირა სწავლა-განათლებას! თვითონ თუ დააკლდა სწავლა, სხვას მაინც ახალისებდა:

— ახ, ენახო მეხრე ურემზე, კითხულობდეს „ივერიას“.

ჰაზირას ტკბილი და მწვავე სიმღერები ძველი ღვინოსავით მსმენელს შეპარვით ეკიდებოდა. არ დამავეიწყებდა მისი ერთი ლექსი, სადაც ყოველი ხანა ასე თავდებდა: „ესტირი და ესტირი“.

როცა ჰაზირა ამ შესანიშნავ ლექსსა მღეროდა, ეს სიმღერა კი არა, მოთქმა და ზარი იყო ცხოვრების უკუღმართობით გამოწვეული:

ყველა ლაჩრადა მთელის, თუმცა ვარ გმირი;
ვერ ვიტან ამ ცილსა,—ესტირი და ესტირი;
უსიტყვოთა ვშფოთავ, როგორც ნადირი,
პასუხს ვერა ვბედავ,—ესტირი და ესტირი.

სულელსა და ბრიყვს მეძახიან ჭკვიანსა,
მრავალნიც თანხმობით აძღვევენ ბანსა;
მაწუხებს ეს დარდი, მე მკლავს ეს ჭირი,
ფეიქრობ და ვგიჟდები,—ესტირი და ესტირი:

რისთვის ხარ სიმაართლის მომხრეო,
მაშ იტანჯე და ამოიხრეო;
ჩვენში კაცის პოვნა ძვირია, ძვირი,
ამისათვის ენალელობ,—ესტირი და ესტირი.

ვისაც ვარდი მივე, გვალი მამცა,
მტერმა ხმალი მკრა, ძმამ—დანა დამცა,
ჭრილობა მაწუხებს, მალალ ხმით ვყვირი,
ვერვის ვაგონებ,—ესტირი და ესტირი.

ვის რა დავუშავე, ნეტავი, ღმერთო,
რაღა გულით ვწერო, რა გავაკეთო,
იმედის მომცემაც იბრუნა პირო,
დავრწი უნუგეზოდ,—ესტირი და ესტირი!¹)

იქ, სადაც ღვარძლიანი ბალახების ამოსავლებად ადამიანის ხელი უძლოური იყო, ჰაზირა თავისი ლექსების ხანძარით სპობდა ამ დაავადებულ ადგილებს:

იყბედი ვარ და ყბედიც მქვიან, იმიტომ რომ ვბოდავ, ვწახავ,
ჩენი ხალხის სიყრუესა და სიმუნჯეს მარად ვძრახავ!

¹) იხ „ყბედი ჰაზირას რჩეული სიმღერები“, 1903 წ., გვ. 4.

პაზირა ხშირად ეზოპის ენას ხმარობდა და ამ „აყბედებით“ ცდილობდა ხალხისთვის თავისი ნაკლი და ნაყიში ეჩვენებინა. აი, მისი ერთი ალეგორიული ლექსთაგანი, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „ვირი“.

ყველა პირუტყვი მძლავრია, შენ ხარ უძლური ვირო,
ხარისხითაც დაბლა დგეხარ, არ ხარ საამური, ვირო,
ცხენის სიკეთე არა გწყინს, შენ არა ხარ შური, ვირო,
რა გინდ დაგთანჯონ, გაწვალონ, არ ხარ უმადური, ვირო.

თავდაბალი ხარ, გულჩვილი, საბრალო და საცოდავი,
იტან ყველა გაჭირვებას, რაგინდ დაგადგეს დღე შავი,
დღეს არის თუ ხვალ—რას დასდევ, თუ შგლისაა შენი ტყავი,
ოღონდ მზე და ქერი მოგცენ, გახდები მსახური, ვირო!

ქვეყანა გამოიცვალა, მაგრამ შენ ისევ ვირი ხარ,
პატრონისთვის უსარგებლო, ქვეყნისთვის დიდი ჭირი ხარ,
შენი ურაციის გამგონსა ეგონება დევ-გმირი ხარ,
ხმისა მინც არ გცხენიან? შეგირცხვეს საყვირი, ვირო!

რატომ არა გცხენიან, ქვეყანა დასციინის ვირსა,
შენა შრომობ და ცხენი სქამს, თანაც გამტვრევენ ცხვირპირსა,
კურტანი გამოიცვალე, ზნის გამოცვლა არ გელირსა,
გაიგე, რას გეუბნები, გაიბერტყე ყური, ვირო!

რომ კვდებოდე, შენს საშველად არვის არა აქვს ხელი,
შენს თავს თითონ შენ უშეელე, სხვისგან შევლას ნუ მოელი,
არ ენდო შენ არავისა, დაგშამაფენ, როგორც გველი,
ცრუ იმედს გაძლევს, გარწმუნებ, გატყუებს მაცდური ვირო!

ეჰ, რას ვამბობ, რასა ვბოდავ, ჩემი ტვინი ქვეას მისრესავს,
ბევრი ძლანძლავს და მაგინებს, ბევრიც ჩემზედ დანას ლესავს,
ყველამ თავის საჭმე იცის, ისრე ხნავს და ისრე სთესავს,
პაზირ, შენც შენთვის დაეადე, თუ გაქვს ლუკმა-პური, ვირო!

მოგეხსენებათ, ამ პატიოსან ცხოველზე ზოგჯერ დიდ პოეტებსაც უყვარდათ წერა, მაგრამ ვირის სახელი ასე გემრიელად, ასე შნოიანად არავის უხსენებია!

პაზირას ლექსში არ არის ილიას „ნაჭედი სიმტკიცე“ და აკაკის „სიღობო ნაქსოვისა“, იგი ანალოგიისთვის არც ბუნებას მიმართავს ვაჟა-საყეთ, რომელიც ამწვანებულ მინდორს ერთის კალმის მოსმით ასე გვისურათებს:

„ჭათიბს ღეჭავდა ნიავი,
ბრალ-მინანქარის კბილითა.“

მაგრამ ჰაზირას ლექსებში არის სტრიქონის რალაც თავისებური სითბო, სიწრფელე და სითამამე:

„მომისპე იმედი, მომიკვდა გული,
მოვიგონე ბედნიერი წარსული...
ამ მკვდარ გულის სიღრმიდან ამოსული
ოხვრა ბოძად იქცა, ცას მიეზჯინა!“

ეს პოეტური ჰიპერბოლა ძლიერია და მეტად ორიგინალური. აქ ოხვრასა და სევდას ეძლევა ტანჯვის უმაღლესი გამოხატულება. თუ ჩვენს გლეხურ სიმღერებში, დ. არაყიშვილის გამოთქმით, „მრავალ საუკუნოების ტანჯვა და ხალხის სევდა არ ისახება“, რამაც არჩილ ჯორჯაძეს აფიქრებინა: ხალხს ან დახშული აქვს მწუხარების გამოთქმის უნარი, მღვამარეობის შეგნება, ან განზრახ თვალს არიდებს თავის სევდას და ქაღებს ელალობებაო,¹⁾ სამაგიეროდ ქალაქური პოეზია ოხერისა და სევდის მთელი ბოღჩაა ღიმილის ცრემლით ამოქარგული:

„ვახ, რა ცუდ დროს მოვესწარ, დროება წამხდარია,
კაცსა თავის ზრდილობა ველარ მოუხმარია,
კარგად იცოდეთ, მმანო, დროება ამგვარია:
ღარიბს ყველა ამტყუნებს, მართალი — მდიდარია.

ჰალალ-მართალი კაცი იპოვება ძვირათა,
ქურდი და მოსისხლენი ურიცხვია ხშირადა.
ვის მცირედ აწეინე. გავიხდება ქირათა;
ნეტარება იმასა, ვინც ამჟამად მკვდარია.

ისა ცხოვრობს ქვეყნათა, ვისაც მკლავში აქვს ძალი,
უღონო და უფულო, ის არის შესაბრალო,
ყველა თავში ჩაარტყავს, თუ ვინდ იყოს მართალი;
ცოდვა ზღვათა ქვეულა, მადლი — ერთი ცვარია.“²⁾

ჰაზირა ძლიერ პოპულიარულია. ქირი და ღიზი უიმისოდ წარმო-
ულგენელი იყო. თუ ჰაზირა რომელიმე სუფრას აკლდა, იმისი ჰანგი
შინც მტყვევლებდა.¹⁾

¹⁾ არჩილ ჯორჯაძე: ტ. 1, გვ. 31.

²⁾ იბ. „ფელი ჰაზირას ლექსები“, 1904 წ., გვ. 19.

¹⁾ ჰაზირას მარჯვენა ხელი იყო სახალხო მოძღვრალი გოგო (გარდაიც. 1920 წ. 25 დეკ.). იგი თუმცა შვირდი იყო სახელგანთქმულ აბდულბაღისა (იბ. აბდულბაღის სურათი ამ წიგნის პირველ დამატებაში), მაგრამ ჰაზირას ჩაგონებით ვიგომ შეუყვარა ჩვენი ელასიკების ლექსები და დაუშინებლად აერცვლებდა ქართული სიტყვიერების ეთილშობილ ჰანგებს (იბ. ჩვენი წერილი განსვენებულზე: — „სახალხო საქმე“ 1920 წ., 31 დეკემბერი). სხვათა შორის, 16 დედუკით დაკრძალვა პიოველად ჰაზირამ დააწესა გოგოს გასვენებაზე.

უნდა ითქვას, რომ პაზირამ თავისი ხელოვნება ხელობად არ გადა-
აქცია. მართალია, იგი მღეროდა ყოველგვარ ლხინ-მეჯლისში, მართალია,
ეს დაქირავებული სიმღერა მისთვის ცხოვრების ერთგვარი წყაროც იყო,
მაგრამ პაზირას თავი ყოველთვის ღირსეულად ექირა:

„კადნიერად, ამაყად ყველგან გავიჭიმები.“

იგი თავის პოეტურ ბუნებას ფულზედ არ ახურდავებდა:

ყოფილა შემთხვევა, რომ მთვრალ სტუმართა შორის პაზირას არ
უმღერია. სამეჯლისო კილოვნებას დაირის ფიფინებში ამწყვედევდა. როცა
პაზირა სტუმრებს გადაჭარბებულ ღვინის სმას შეატყობდა, იტყოდა: „მე
აქ ეხლა მეტი ვარო“, აიღებდა დაირას და გაიპარებოდა:

„არ მიყვარს, არა, არ მიყვარს,
კაცი ორპირი, ცბიერი,
არც შევჭამ მე იმის პურსა,
თუ გინდ ვკვდებოდე მშიერი.“

არ გავცემ ხმასა გულახდით,
არ გაიღვიძოს მძინარემ,
არც იმის ხიდზე გავივლი,
თუ გინდ დამახრჩოს მღინარემ.“¹⁾

პაზირას ყოველი აფორიზმი ხალხური სიბრძნის ძირითად კუთვნი-
ლებას შეადგენს. ეს სიბრძნე მის ლექსებში დაირას საღაფებოვით კეწ-
კეწათაა დაწყობილი. იმ დროს, როდესაც სხვა-და-სხვა ჯურის მომღერ-
ლები „ღვინოს, ქალსა და ღუღუკს“ აქებდნენ, პაზირა, ეს ძველი ტფი-
ლისის ახალი საჯათნოვა, ასეთ ლოზუნგებს ისერის:

„ღმერთმანი, მტერს ბოლო მოეღებოდა,
ჩვენ რომ ყველას ერთი პირი გვქონოდა.“

პაზირა სწერს ისეთ მძლავრ მუხამბაზს, როგორიცაა „მარტის თვე“. ეს
ცნობილი ლექსი ალევგორიულად გამოჰხატავს რეაქციონურ რუ-
სეთს, რომელიც ჰქუსლიავდა თავისუფლების მოტრფილედ ხალხს. ამ ლექ-
სისთვის ჩვენი ავტორი არა ერთხელ მჯდარა ციხეში. დღეს კი პაზირას
მოღვაწეობის პატივსაცემლად და მოსაგონრად, ტფილისში მისი სახელო-
ბის ქუჩებიც არსებობენ.²⁾

აი, ეს შესანიშნავი ლექსიც:

¹⁾ იხ. „ყვედი პაზირას ლექსები“, 1914 წ. გვ. 17.

²⁾ ყოფილ ნორაშენის ქუჩას და მის ოთხ კუჩაბანდს დღეს „პაზირას ქუჩა“ ჰქვია (იხ.
„ტფილისის ქუჩები“, 1926 წ., გვ. 59).

მარტის თვე

ხელი აიღე ჩვენგანა, შე წყულო, მარტის თვეო,
 მოშორდი ჩენს საქართველოს, დამთხვეულო, მარტის თვეო,
 არც ზამთარო, არც ზაფხულო, არეულო, მარტის თვეო,
 აპრილი ვერ მოგეწია, გაქეულო, მარტის თვეო.

ჩვენ გაზატხული გვეგონე, გაგვეხარდა, რომ მიგიღეთ,
 პატივცემით მოგიწვიეთ, სასტუმროდ კარი გაგიღეთ,
 შეხველ, აღარ გამოდიხარ, სახლიდან ხელი ავიღეთ,
 სუსოველთვის უმზავსობას დაჩვეულო, მარტის თვეო.

ყინვისაგან სულ გაახმე, საქართველოს ნამყენები,
 მზიან დღესა ნატრულობენ არ თუ სხვები, თვით ჩვენები,
 გამირებს მკლავნი გაუშეშე, პირში დაუძრე ენები,
 არა გნახე მე შენ წმინდათ, ამღვრეულო, მარტის თვეო.

შენ სადა გაქვს ტბილი ქცევა, დღე კეთილი და მზიანი,
 შენ გაქვს ყინვა, თოვლი, ქვაპი, ქარი, ბუჭი ბრაზიანი,
 მოსვლით ჩქარი და გულადი, წასვლით მძიმე, ნაზიანი,
 შეილისშეილსაც არ გეშორდები, პაპეულო, მარტის თვეო!

სიცივისგან ფარებიდან ცხვარნი გარედ ვერ გასულან,
 ბავშვნი წიგნით ილიის ქვეშ, სასწავლებლად ვერ წასულან,
 აეთა ვართ, მოკეთენი სანახავათ ვერ მოსულან,—
 ჩვენის ცოდვით სასიკვდილოდ მოწვეულო, მარტის თვეო.

სადაც შენი ჩრდილი ხედება, იქ შენთვის სახლკარს გამართამ,
 ოცდათერთმეტ დღიანი ხარ, დასრულდეს, ნებას არა რთამ,
 ღმერთმა მეტი დღე არ მოგცეს, თორემ უარეს დაგემართამ,
 წადი, წადი, ნუღარ მოხვალ, კირვეულო, მარტის თვეო!

მკლავ—შეკრული, ენა—მუნჯი, ფეხით—დაკუტებული ვართ,
 მამის მტერი, შეილს არ მცნობი, ძმისგან გამუტებული ვართ,
 შენის უმზავსობისაგან სულმთლად დაბუთებული ვართ,
 ვით ნავაგი თორმეტ თვიდან არჩეულო, მარტის თვეო.¹⁾

მართალია, მახირას ლექსები თანადროული თვალსაზრისით არ არის
 შუშტაკ-გადასმული და მისი რითმებიც პირველყოფილ ქვას გვაგონებს—
 წაუხნავველს და ველის ყვაილივით მძაფრ სუნოვანს, მაგრამ მისი სიტ-
 ყვები უროსავით ხედებოდა ადამიანს, რომ გამოკრეველიყო წარმართი
 ცხოვრების ერთსახეობისაგან და თავის მდგომარეობას თვითვე ჩაქვირ-
 ვებოდა. ეს მდგომარეობა კი, ვით უმთავრო ღამე, მაჯლაჯუნსასავით

¹⁾ იხ. „ხელაღი“, 1904 წ., გვ. 28.

დასწოლოდა მოაზროვნე ადამიანის ფანტაზიას. აკაკიმ ეს უმოქმედო ხანა სულ ორიოდ სიტყვით დაახასიათა:

„ველარც მთა გვშეელის, ვერც ბარი,
აღარსად ვეძებთ ჭკუასა,
მტერს ცულის ტარად ვეყრებით,
და თავში ვიცემთ ყუასა!“¹⁾

ამ დროს საჭირო აღარ იყო მუსტაზადის უნაზესი მუსიკა... არის ხალხის ცხოვრებაში ისეთი წუთები, როცა საუკეთესო მუსიკად დაფდაფი ხდება. ჰაზირას უკანასკნელი დროის ლექსებიც ის დაფდაფი იყო, რომელიც ხალხს აღვიძებდა და უკეთესი მომავლისკენ მოუწოდებდა:

„ახ, უკედავო შეილებო,
ჯერ ნორჩებო, წერილებო,
ღროით წითელს ჩაიკვამთ,
დღეს შავით მოსილებო.“

როგორ შეხვდა ჰაზირა 1905 წელს, თავისუფლების ამ პირველს განთიადს? ამას ნათლად გადმოგვცემს ამავე წელს დაწერილი მისი ალფ-გორიული „მუხამბაზი მძახალზე.“

„მოდი ძმანო, მოგროვდით, ჩვენი მძახალი მამკვდარა,
მისი რკინის სიკოცხლე ფერფლ-ნაცარი გამხდარა,
მაშასადამე ქვეყანას უბედურება ამცდარა,
ძველი რეჟიმი დაეცა, ახალი ფეხზედ ამდგარა.

მრავალ რიცხოვან რუსეთს დღე ადგა უბედური,
არ შეარჩინეს სარჩო, არც სამყოფი სადგური,
პლევეს ერთგულ შეილებსა, პირზედ წაუსვეს მური,
იმისი ბილწი სული სათაელს მიებარა.

მოდი ეხლა მოგროვდით მყრალი ლეში დაეპარხოთ,
იმის მოშორებისთვის ლხინ-ქეიფი გაეპართოთ,
ქრელი ჩერების ალაგას, წითელი დროშა აეპართოთ.
ამ ჩვენ ტანჯულ ქვეყანამ ძლივას-ლა გაიხარა,

წავიდეს! დაიკარგოს! აღარ უნახოთ მის სახე,
გვეყო, რაც რომ დაგეტანჯა, ფეხქვეშ დაგვიგო მახე,
რაც საფლავში ფნატრობდი, აწ თვალით დავინახე,
ჰ ა ზ ი რ ა ს სიზმარი ეგონა, თურმე ცხადად მამხდარა!“

ასეთი იყო ჰაზირას აწულური ბუნება! ასეთი იყო მისი რევოლუციონური დემოკრატიზმის გზის ბილიკები.

1) „ივერია“, 1904 წ., № 126.

ჰაზირას სწამს, რომ მისი ლექსები „ამ პატარა ქვეყანას“ მოედება. ის მიმართავს თავის ლექსებს:

„უშიშრად დაიარეთ, გინდ შინა და გინდ გარედ,
და გარყენილ ლექსებისგან ცოტა განზე იარეთ.“

ჰაზირა გრძნობს განსხვავებას თავის და სხვის ლექსებს შორის. იგი დარწმუნებულია, რომ მისი სტრიქონები „ცხელი შამფურივით“ ეტაკება მკითხველს გულში;

„გარჭვით ცხელი შამფური. ეტაკეთ მკითხველს გულში!“

ჰაზირამ, ტფილისის სხვა ხალხურ პოეტებს შორის, პირველმა უმდერა „ჩაგრულს“ და „შრომელს“; მაგრამ მისი მუშა არ იყო ყაზაზ-ოსეფას, ამ ორმოცდაათიან წლების ხალხური პოეტის, „მეკურტნე“, რომელზედაც ამბობდა: „მუშა ძალას იზურგებს, წელში მოკაქულია“ და სხვა, ჰაზირას მუშა არ იყო არც „ბოქულაძე“, არც ილიას „შუაბაზრელი“, რომლებიც დადიოდნენ, მოსთქვამდნენ, შრომობდნენ, სტოცხლობდნენ და კედებოდნენ ავტორის რეცეპტით. ჰაზირას მუშა ძლიერი ნებისყოფის და გამჭირაბი კუეის მოქალაქე იყო, რომელსაც კარგად ჰქონდა შეგნებული თავისი მდგომარეობა და ყველას სამაგიეროს უხდიდა: „კარგს—კარგად და ავს—ავად“.

და აკი, 1920 წ., 24 მაისს, მუშათა კლუბში ილღესასწაულეს კიდევ ჰაზირას 50 წლის მოღვაწეობის იუბილე, ილღესასწაულეს სწორედ იმ შტოვანმა მუშებმა, რომლებსაც ღღენიდაგ ჩასჩინებდა:

„ნუ გძინავს, შენ,
ნუ ხვრინავ, შენ...“¹⁾

ერთმა შწერალმა „ბედისაგან მოძულეებულ ადამიანთა მეგობარი და დავიწყებულთა ჰეტირისუფლე“ მიწოდა. მე მინდა, რომ ეს სიტყვები ჰაზირაზე ახდეს.

ჰაზირას პირადად ვიცნობდი. იგი, როგორც პიროვნება, მეტად სპეტაკი იყო, თავმდაბალი, მომხიბლავი, ხალისიანი, დარდიმანი, ოხუნჯი, მოსწრებული სიტყვა-პასუხის ხაზინადარი. მაგრამ რა საშინელი ყოფილა წუთისოფელი! როცა ჰაზირა უკანასკნელად ვნახე, ველარ ვიცანი, საკუთარი საფლავის ძველსა ჰგვანდა, საშინლად გამოკვლილიყო; აკაკის სიტყვები გამახსენდა:

„აჩრდილი-ლა ვარ წარსულის
და ლანდი—მომავლისა.“

¹⁾ ეს ლექსი თავისი მულოდით მოთავსებულია ამ წიგნის მეორე დამატებაში.

ძველი ტფილისის ერთი მომღერალთაგანი აღარ არის.

მოკვდა პაზირა და მის საფლავზე არ ისმოდა თითბრის ინსტრუმენტების სამგლოვიარო ჰიმნი,—ქიანურს შესწირა თავისი ჯეელობა და ქიანურებმა დაიტირეს უკანასკნელად. მისმა შეგირდებმა განსვენებულის საფლავზე გამართეს ლხინი—დიად, ლხინი და არა ქელეხი! და, როგორც ყარაჩოღელი ნეფე მიდის ხოლმე თავისი მამის საფლავზე და ზურნაზე ცეკვით გამოსთხოვს დალოცვას, ისეც პაზირას მოწაფეებმა მის საფლავზე დაუკრეს პაზირას საყვარელი ჰანგები, რომ მათი ოსტატის მაღლიანი ნიჭი შეგირდებში გადასულიყო და პაზირასებურ ჰანგებს ეკლავ დიდხანს ეცოცხლა. დაუკრეს „მასრაფი“, წარმოსთქვეს ლექსები, შემდეგ, ძველი ჩვეულების თანახმად, მის საფლავზე დააწყეს საკრავები, უსიტყვოდ შეჰფიცეს მისი ანდერძის დაცვა და სანთელ-ანთებულნი დაბრუნდნენ პაზირას ბინაზე, თითქოს ეს ხალხი პაზირას ქორწილში ყოფილიყოს და არა მის დასაფლავებაზე.

პაზირას საწოლში, სადაც დალია მგოსანმა სული, ორმოცი დღის განმავლობაში, მისი შეგირდები მორიგეობით ათევდნენ ღამეს, რომ გარდაცვალებულის კერა არ გაცივებულიყო და მის დაუდგრომელ სულს შეგირდების შემოქმედებაშიც ემარადა.

იმ ყუფახანებში, სადაც მისი შეგირდები იკრიფებიან (უნდა ითქვას, რომ ამ აშუღებს არც ერთს არა აქვს ქმედითი უნარი, რასაკვირველია, უნიჭიერეს ოპანეზაშვილის გარდა) ჩამოკიდულია პაზირას დაირა, რომელსაც ხელს ვერაფერ ახლებს. არის სიკვდილის ორიგინალობა: პაზირა რომ კვდებოდა, მოითხოვა თავისი დაირა, დაუკრა და დაირის დაკვრის დროს განუტევა სული. ლეგენდაა—და ეს ლეგენდა სწამთ მის შეგირდებს—რომ, განსვენებულის დაირა დამლამობით მოსხლტება ხოლმე ყულუს, შეირბევა ჰაერში და თავისით უკრავს პატრონის ჰანგებს.

პაზირა თავისი ტფილისური ტემბერამენტით ფანტასტიური ფიგურაა უსათუოდ. „მრავალი კოკა წყალი ჩაივლის ავლაბრის ხიდ-ქვეშ“ და ტფილისის პაზირასთანა აშული აღარ ეყოლება.

მოკვდა პაზირა და დაიხურა ის ალაყაფის კარები, საიდანაც ჰარავნებივით გამოდიოდნენ პაზირას მიერ გაწრთენილი აშუღები. მოკვდა პაზირა და აიძვრა ის კამკამა წყარო, რომლის მინანქარშიც ქოჩორს ივარცხნიდა ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა.



ერთხელ ჩეხოვს სამი კარგად ჩაცმული მანდილოსანი ესტუმრა. მწერლის ოთახი ამრეშუმის კაბის შრიალმა და ვარდისწყლის მძაფრმა სურნელებამ დაჟვარა. სამივენი მასპინძლის პირდაპირ ჩამოსხდნენ და, თითქოს პოლიტიკით დაინტერესებულებმა, მიაყარეს კითხვები:

— თქვენის აზრით, ომი რითი გათავდება?

ჩეხოვმა რბილი ალერსით და სერიოზული ტონით უპასუხა:

— აღბად... ზავით.

— რასაკვირველია, ზავით, მაგრამ საგულისხმოა, ვინ იქნება ვამარჯვებულო: ოსმალები თუ ბერძნები? ვინ აჯობებს?

— მგონი ის, ვინც უფრო ძლიერია.

— ვინ არის ძლიერი?

— ის, ვინც კარგად იკვებება.

— თქვენ? თქვენ ვინ უფრო ვიყვართ? ოსმალები თუ ბერძნები? — არ ისვენებდა ქალთა მარაქა.

ჩეხოვმა აღერსიანად გადახედა მანდილოსნებს და ღიმილით უპასუხა

— შე... მარბალადი მიყვარს.

— — —

და რად იქნება დასაძრახისი, თუ მე, პოეტი, ამ გრანდიოზულ ამბების დროს ჩაეიკეტები ჩემს არხაოულ წიგნთსაცავში და მეგობრების შეკითხვაზე, ამ წიგნის გულწრფელობით ვუპასუხებ:

— შე ტფილისი მიყვარს!

ტფილისი!..

უცნაურია აფერადებული სისრულე ძველი ტფილისისა!.. დროთა მსვლელობამ გული გადაუშალა ამ საიდუმლოებას. აჰ, ძველი ტფილისის გულის სიღრმეში, გამოჩნდა ბუნებრივი ვედა—ანკარა წყარო—და დასაწყისი ჯადოსნური ლამაზი პოეზიისა. შე შევესვი ეს წყარო ორივე ხელით და ვამაყობ, რომ ჩემს ძარღვებში მისი მაღლიანი ნაკადი შჩქეფარებს.

მე არ ვიტყვი: „ვითარცა ტალანტი წინამძღვრთაგან დაფარული შემდგომად მრავალთა ეამთა და წელთა ვპოვეთ“, მე მხოლოდ სიყვარულ-

ლით დაევიგმოვე ქალაქის ხალხური პოეზიის სინოყვირე, „მეცნიერულის სამართებლით. ვპარსე ყველა ფაქტი“ და გამოვაშვევე ის უცნობი კუთხე, რომელიც ნელინელ დაეიწყებას ეძლევა და რომელმაც არაერთი პოეტის შთაგონება აამღელვარა.

მე ტფილისი მიყვარს...

მაგრამ მე არა ვარ ბარამი გულამდამის მოტრფიალე, არც მეჯუნნი ლეილასთვის გაგიყებულოც არც რამინივით ვისის გზაზე მოსიარულე, — მე თანამედროვე ადამიანი ვარ, ძველი ტფილისის სადღეგრძელოებზე გაზრდილი, ქედმაღალი და სილაშაზის მადიებელი, და მე ვამბობ: მეგობრებო, მწერლებო, პოეტებო, ნუ დაეუთმობთ ტფილისის არხეოლოგებს. უშუალოდ შევემეცნეთ მას, ვისუნთქოთ მისი ჰაერით, ქუჩაბანდებით, ნანგრევებით და შევიყვაროთ ისე, როგორც ჩვენი პირველი ლექსი.

მე ტფილისი მიყვარს...

ტფილისის ყოველი ფლორცი, ტფილისის ყოველი შუკა სახესა ლეგენდარული სახეებით. შეიძლება უცხოელისთვის ეს წელგამწყდარი ქუჩები და მერცხლის ბუდესავით მიკრული სახლები, თანამედროვე ტექნიკის მიხედვით, არც ჰიგიენური იყოს და არც მხატვრულად გამწყაზრული, მაგრამ ჩემთვის, — აბრამც თუ მარტო ჩემთვის, არამედ ყველა მათთვის, ვისი სულის ფესვებიც ღრმად არის გადგმული ძველი მწერლობის ყამირში, — ტფილისის ყოველი კენჭი, ტფილისის ყოველი ხის ფურცელი მეტყველია და მნიშვნელოვანი.

მე ტფილისი მიყვარს...

როგორც ცხოვრებაში შეიქრა ახალი ტექნიკა, ახალი სული, ახალი აზროვნება, ერთი სიტყვით, ახალი ადამიანი ფსიხიკის ახალი კონსტრუქციით, ისეც ლიტერატურაში მოისპო რომანტიული სულის თვითება და ინდივიდუალიზმი. ვისა სცალიან „ლოპიანას დარდებისთვის“ და ქამანჩის წყნარ მელოდისთვის?!.. ვის ექირვება „აბანოში ლხინები“ და ქუჩებში ანთებულ წმინდა სანთლებით სიარული?!..

მაგრამ...

მე ტფილისი მიყვარს...

მიყვარს ეს პოეზიის ძველი აკვანი, ეს დარდიმანდული ბოჰემა, ეს საქართველოს მთრთოლვარე გული, ეს... დასაწყისი და დასასრული ჩემი ობოლი არსებობისა.

ტფილისი წაღვერა
1926 წ. 18 მაისი—1927 წ. 10 სექტ

სურათები



მ. მ. მ.



მ. მ. მ.



მ. მ. მ.




მ. მ. მ.



მ. მ. მ.



† [მ. მ. მ.]




ქუთაისი

ნახატი: ვალ. სიდ-ურისთავის




Երեւան

ճրագրւած: Վ. Նյւխանեանցոյն




სურთის მოედანი

ნახატი: ელენე ახვლედიანის




სტინი ბანე

ძველი ქავეთობა




ԵՐԵՎԱՆ

ՆԱԽԹԻՆ ԵՎ ԳՐԱԳՐԱԳՐԱԿԱՆ



ამქრას მედკოჭენი






1. ყოჩების ჭიდაობა 2 ქეფი ჭიდაობის შემდეგ 3 სახლისკენ

ნახატი: ვანო ხოჯაბერგოვისა



1. შხითევის გადატანა 2. ნფის ცეკვა მამის საფლავეზე 3. მეჭელეზენი

ნახატი: ვანო ზოჯაბეროვისა



შხარულუ გასირნება


ჭეიფის უმცლეს

ნახატი: ლადო გუდიაშვილის



გუნდის წევრები, 1941 წელი

სტალინის პარტიის წევრები



მ. შვიდარი კონტის შვილი
 ნახტო: ნიკ. ფიროსმანისა



კონტის
 ფოტ. დ. ი. ფრმაკიძისა



1. ზურნა—კუპრიას დასტა 2. საზანდარი—აბდულბაღის დარფა.

ნოტები

მრთავ თჳკლს სინათლავს.

ლექსი გ. სკანდარნიძისი

ჩაწერილი დ. პრაკი შვილის მიერ

Lento assai. *poco rubato*

ორ-თა-ვი თჳკლი-სა
 ჰა-ნათ - ლევ! რა-ზე-ღე-ი

Allegro non troppo *rit.*

შა-გოწ - ყე - ნი - ა? ბნეოს ვი ვარ ვან -
poco rit.

ნი-ნათ-ლე, სა-ნა-ნეი ვრო-ნი შუ - ნი -
 ვარ-ღო, ი ი შუ - ნ შაბ ში - ვე-თი,

სიგ-ყა ნავს სათ - ნო - ვნე - ლი; ე - ნალ -
 ვეც ვარ

შეჯღ-ბე-ლი, ვცხა-ნე-ი ცრემ-ლი
 ვჴა - ნი - ა .

მითხარ, მითხარ, რას მამდური.

ლექსი დ. ბიჭვილიძისა

Moderato.

მით-ხარ მით-ხარ რას ვეუ-დუ-ჩი შე - ნი - სუ - ლი -
 კურ-გუდ ი - ცი ტყვე ვარ შე - ნი სი - ყვა - რუ - ლი -
 სა - ლა - ნა მავსს მოთ - მი - ნე - ბა
 სა - ლენ ბა - გე გ - მა - გუ - ნე
 ვეცლო - ლი უყ - ლი - სა სა:
 მისა ხულო - ნყ - ლი - სა სა:

ჩაწერილი ია კარგარეთელის მიერ

სადამარიის მკითხველი

ლემსი კაზირასი

ჩაწერილი კ. ფოცხვერაშვილის მიერ

Andantino.

სა-და-მარი-ის მკითხვე-ლი
 ზინ-დი ბნე-ლი
 ვა-ფენ-ღე-ბა,
 ვიგ-ზონ-ღე-ბა,
 ლა-შა-ში დე-ბა,
 შა-ღა-ბა-ლიც ვას-წონ-ღე-ბა,
 ნა-და-მარი-ის მკითხვე-ლი
 ვა-ფენ-ღე-ბა,
 ვიგ-ზონ-ღე-ბა,
 ლა-შა-ში დე-ბა,
 შა-ღა-ბა-ლიც ვას-წონ-ღე-ბა,

სანთი იუთ, პრ კამეხნა თაქილან

ლექსი ივთიმ-გურჯისა

ჩაწერილი ალ. ლპანეზაშვილის მიერ

Allegretto.

კარ-გო ი - ყო არ გ - გუც - ნე თა-გი-ღან, გუ-ა ბლუ-ღი ე-ღ - მე-
 გეს-მის ჩე-მი წე - ჩა - ყო-ზე-ღი, ჩაღ ში - ყუ-ჩა-ზან, რა-ღო-მ არ
 ნა - ქი - ღან. ჩე - მი გუ-ლი ზღ, ღ - ლე, ღ - ზი - ე, ხე - ლე-ს
 მე - ყო-ხე - ზი. ჩო-მელ გო-ნანს ჭოხო-ღო ზა - მარ - თა - ლი - ა, ვის ზე-
 ით - ზოზ, ცუც-ხლის აღ - ში გზ - ხეი-ე. სყო არ
 ჩიე - ლთ, რაყს-თა ვე - - ლი გვე-ღი-ა.

მეცნიერება

- სხანოზი** 61 მავარი და შავი ხე; ეკალმუხა; განსაკუთრებით ავეჯის გასაკეთებლად ხმარობდნენ, ჩვენში „აბანოზის კამოდს“ კაკლის კამოდს უწოდებენ.
- აბრაშალი** 62 მატყლის ძვირფასი შალი.
- აბჯარი** 90 საომარი საჭურველი.
- აგაჯა** 72 ტყბილი ხმა სიმღერაში; დაღადისი, ლოცვა; ფილ. ქორიძის განმარტებით: „აგაჯა მელოდიაა“ („მოგზაური“, 1905 წ., № 37).
- აგვარდანი** 57 ანუ აბგარდანი გრძელტარიანი სპილენძის ტოლჩა.
- აზარფეშა** 19 ტარიანი ვერცხლის სასმისი.
- აზიზი** 16, 163 სათუთი, ნაზი, ნარნარი, ნებიერი; საკუთრივ: ძვირფასი, საყვარელი.
- აზლუდი** 62, 68 ქალის ზედაწელზე უსახელებო ჩასაცმელი, მკერდის მზლუდავი; აზლუდი—лиф.
- ათადან-ზაზადან** 64 უხსოვარ დროიდან; მამაპაპათაგან; (თურქულია: ათა—მამა, ბაბა—პაპა, ბაბუა).
- ათეშქაში** 57 ცეცხლის გამოსაღები; პლატონ იოსელიანის განმარტებით, „ათეშქაში—ცეცხლის შესანახი ქურქულია“ („Описание древностей города Тифлиса“, 1886 წ., გვ. 265).
- ალამდარი** 44 მედროშე, მებაირალე.
- ალაფი** 33 ნატაცები, ნაძარცვი, ხარკი; ალაფი არის აგრეთვე ხორბლეულისა და მისთანათა ვაჭარი.
- ალერსი** 60 საცვალი; „პეროანგის ალერსი“—პერანგის ამხანაგი.
- ალიშ-ველიში** 50 ალბ-მიცემობა, კომერცია (თურქულია: ალიშ-ვერიშ).
- ამბარჩა** 56 ფარღული, შიბი, მანიაკი, გულქანდა, ожерелье; „კვლავ მიართვა მის დანიშნულს ერთი ხელი დიბა-ფარჩა, ფას-უღების მარგალიტის გადაპკიდა ყელს ამბარჩა“ (ს. გუგუნავა: „თამარიანი“, 1912 წ., გვ. 21).
- ამფსონი** 71 ანუ ჰამსონი დაახლოებული მეგობარი, დოსტი; ამყოლი, თანამესუფრი.
- აპუნტი** 69 დამარბილებული და კვამლში გამოსული ძროხის ხორცი. [აპუნტი ძროხის ხორცისაგან მზადდება, შაშხი—ფრინველისაგან, ლორი—ლორისაგან].
- არალული** 51 ცარიელი ადგილი ფიცარსა და ფიცარს შუა.
- არიფანა** 64 ფსონით ქეიფი.
- არიფი** 165 მეგობარი, ტოლი, მოზიარე, თანამზრახველი; მიამიტი, ხამი, ადვილად მოსატყუებელი, მიმნდობი. არაბულად ჰარიფი ხელოსანს ნიშნავს (იხ. ფარსადან გორგიჯანიძის ლექსიკონი, გვ. 53).

- არშადრის შალი 60 აბრეშუმის შალი, ფორებიანი და კუთხეებნაქარგი.
 ასახი 37 ლამის დარაჯი. „რა ასახივით დამადექი!“ (ხალხური თქმა).
 ასტაში 62 ცომის ასაფეკი.
 აქანდაზი 57 რკინის მომცრო ნიჩაბი, ნაღვერდლოს გამოსაღები. [ხ ა ქ ე ნ და ხ ---
 ხაქის, მიწის ასაღები ხელსაწყო].
 აღაბანი 60 საუკეთესო ხარისხის თეთრი ქსოვილი, — განსაკუთრებით ჩარსავები-
 სთვის (ზეწრებისთვის) ტ საურებისთვის (ბალი შის პირებისთვის) ხმარობდნენ.
 აღსაჰკალი 43 ამქრის საპატო წვერი (საკუთრივ: თეთრწვეროსანი); აღსაჰკალი
 ანუ „ასაჰკალი“ — უსტაბაშის თანაშემწე. იოსებ დავითაშვილის ლექსთა
 კრებულში აღსაჰკალის ნაცვლად, შეცდომით დაბეჭდილია: „ასაჰკალად“.
 „უსტაბაშად ოპანგ ჯავთ, ასაჰკალად ვართანაო“ (1927 წ., გვ. 112).
 აშაშხანი 72 თათრების სასაღილო [ა ქ ე ა ზ — შხარეული].
 აჯილოსანი 68 თეთრ-ჩაღრიანი მანდილოსანი; „მთხოვა, გარე აჯილითა მოი-
 ბურა ტანი, პირი“ (შოთა). „ივერიაში“ ქართველი მანდილოსნების მიერ
 ხმარებული ჩაღრი ასეა აწერილი: ფართო. სრული იმდენად, რომ მთლად
 მანდილოსანი დაფაროს. ოთხკუთხი. ორთავ მხარეს სარტყელში ჩაიკე-
 ცამდნენ, თავს წამოიხურამდნენ ისე, რომ თვალები-ლა გამოჰჩნდებოდა.
 ფეხებს ჰფარავდა. ჩაღრი—იგივე აჯილა. აჯილოსანი— ჩაღრით მოსილი.
 („ივერია“, 1904 წ., № 103).
- ბაბაში 76 ღონიერი, გაბელული, გონებადამჯდარი, გამოცდილ.
 ბაბთა 56, 57, 60 აბრეშუმის ვიწრო ჩაფარიში, ბაბთა—лента.
 ბაბლები 91 მუთაქის ნაოქსბული სათავეები.
 ბაზაზი 109 ფართლელობის ვაჭარი.
 ბადაშხანი 56 ძვირფასი ლალი (ქალაქ ბადაშხიდან).
 ბაიათი 72 ანუ ბეითი—სპარსული ლექსის ერთ ბანას ნიშნავს; ჩვენში სასიმ-
 ლერო ჰანგია.
 ბარბარობა 76 წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესიის დღესასწაული (ობა—საკუ-
 თრივ დღესასწაულს ნიშნავს). წმ. ბარბარეს ტაძარი ქვემოწავთლოლშია.
 დღეობა 4 დეკემბერს მოდის.
 ბარიშანი 50 შერიგება.
 ბახმა 63 თმის შავი საღებავი.
 ბალდადი 76. მამაკაცის ხელსახოცი; „მწვანე ბალდადი“—აბრეშუმის ხელმან-
 დილი; თავდაბურულ ქალების თავსახვევი; [სახელწოდება ქალაქ ბალდა-
 დიდან წარმოებს].
 ბალჩა-ქინძისთავი 60 თვლებით შემკული შუბლის ქინძისთავი; ჩიხტში გასა-
 მავრებელი დიდი თვალი, ირგვლივ წვრილი ქვებითაა „ჩაქვავებული“.
 არის აგრეთვე: „ბაღა ბეჭელი“, „ბაღა საყურე“ და სხვ.
 ბაჯაღლი 103 მალახბარისხოვენი ოქრო; ბაჯაღლი—ჰოლანდიური ფული.
 ბეგთარი 90 მორკინული საცმელი.
 ბედახლი 21 უშნო, უფხო, უქნარა, უვარგისი.
 ბილანი 165 გამგები, ცნობიერი, შესმენილი.

- ბლონდის ჩიქილა** 60, 62 დაუბასმავი, კარგი ხარისხის წმინდათ ნაქსოვი ლერაქი.
ბოლნისობა 76 ბოლნისის ეკლესიის დღესასწაული (10 ნოემბ.)
ბოლლოწო 69 (ანუ ბოლიწო, ბოლოწო) ღვინოში დამზალი პური; ბოლო-
 წოს უწოდებენ აგრეთვე მთერალ კაცს.
ბუდალი 17 წითური, მსუქან-ლოყები.
ბუზმენტი 17 ოქრომკედის ყათანი.
ბუთა იხ. ყალამქარი.
ბურსეული 56 ბურსა ანუ ბრუსა ქალაქია ოსმალეთში; „ბურსეული პერანგი“
 ქ. ბურსიდან გამოტანილი საპერანგე თხელი ქსოვილი.
ბულღამა 67 ბულში მოხარშული უწვეწერ კერძი, ჩახობილივით.
ბუწუწი 66 თმის რამდენიმე ღერი, დაუეარცხნელი და აშლილი.

ბალიზანდი 17 ყარაჩოღლთა ქუდი, ჩვეულებრივ შავი ფერისაა, ცხერის დახუ-
 ქუქებულ ბოჭკოსაგან გაკეთებული.

გამწყაზრული 191 მოხდენილი, გაღამაზებული; მწყაზარი: თეთრი, მშვენიერი.
განჯაფა 56 სპარსეთიდან შემოტანილი ბანქოს მზგავსი თამაშობაა. ძელის
 ფირფიტებიანი სათამაშო ქალაღლი; აღ. ორბელიანის სიტყვით „პირველ-
 საეე რუსობის დროს საქართველოში განჯაფის თამაშობა გადაეარდა
 და იმის მაგიერად ქალაღლის თამაშობა შემოვიდა“ (იხ. „მნათობი“, 1869 წ.,
 მაისი-ივნისი); „ციცკარი“ ეკითხულობთ: „საქართველოში ეიდრე მეფე-
 ბამდე ირაკლი მეორისა, ნაცულად სათამაშო ქალაღდებისა უხმარიათ მათივე
 მზგავსი ძელის ფირფიტები, რომელნიცა მხატვრობითა თვისითა წარმოუ-
 დგენენ მოთამაშეთა სხეა-და-სხეა მნიშვნელობათა და რომელსაცა მწოდე-
 ბია „განჯაფა...“ („ციცკარი“, 1857 წ., № 12, გვ. 48); ხალხური ლექსი
 ამბობს: „ნარდი ბედია, ჭადრაკი—ქკუა, ბანქო ცუდია, განჯაფა სტუუა“
 (იხ. მ. საყვარელიძის წიგნი „ჭადრაკი“ 1926 წ., გვ. 166 და ილია
 ქუონიას „სიტყვის კონა“, გვ. 6).

გარაოხ ტაფა 57 ტაფა გარაოხ შესაწავი; გარაოხ ერთგვარ შემწვარ ხორცს
 ეწოდება, სიმკვით შეზავებულს.

გარმიანული 14 გარეშე, უცხო, მორეული, არაჩენი; გარემიანული, გაკიდე-
 განებული, გადამთიელი. ილია ქავჭავაძე ამბობს: „მე ოსტროვები, ლინი-
 ები და სხვა გარმიანული სიტყვები დაეძრახე... (ილიას ნაწერები,
 ტ. IV, 1927 წ. გვ. 58); მოსე ჯანაშვილიც იხსენიებს ამ სიტყვას: „ამბობენ
 მაირი გარმიანული სიტყვა“ (ქურ. „განათლება“, 1917 წ., № 4-5).

გაფი 191 საკუთრივ საუბარის ნიშნავს; გაფი—ლექსთწყობის ერთი ფორმათაგა-
 ნია; სიმღერაში—მელანქოლიური პანგი.

გილანური 56 გილანი სპარსეთის პროვინციაა, კასპის ზღვის სამხრეთით. აქე-
 დან მოტანილ ძვირფას მარგალიტებს გილანური ეწოდებოდა, მაგ., „გილა-
 ნური გულქანდა“.

გლახი 60 ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ყინულს, სარკეს; ჩვენში კი „გლასი“
 მიღებული იყრ აბრეშუმის ქსოვილის სახელწოდებად; „გლასის კაბა“ ე. ი.
 კაბა, რომელსაც პრიალა პეწი დაპკრავს.

გობაკი 17 ცალკე არ ითქმის. „გობაკებიანი ქამარი“. ე. ი. ქამარი, რომელსაც წინ რამდენიმე მუშტისოდენა ჯამფილები აქვს. ზოგჯერ ამ გობაკის ბირთვი ისე მოზრდილი იყო, რომ შიგ, როგორც ამბობენ, „ნახევარი ხელადა ღვინო ჩაეიდოდა“ („საათნოვა“, გვ. 37).

გონიო 47 კალატოზის იარაღი: სწორკუთხოვანი სახაზავი.

გულამბარი 14 ბაეშვის გულსაფარი; არდაგი.

გულქანდა 14 იხ. ამბარჩა.

გულხენეში 17 იხ. ხენეში.

გურზი 90 საბრძოლველი იარაღი: ხელში დასაქერი, თავებურთიანი. ყარაშინიანში ვკითხულობთ: „თურმე სპანდიერს ერთი ფოლადის გურზი შეეჭნევი-ნებინა, ოცდაცამეტი ადლი სიგრძე ჰქონდა, თავი მისი დიდ ბორცვს უგვანდა, ცხრა ადგილას გახერხებული იყო და დიდრონი ფოლადის რგოლები ესხა. მის რგოლებს ორმოც-ორმოცი ადლი ჯაჭვები ება. მის ჯაჭვის ბოლოებზე ათ-ათი ლიტრიანი რკინის ბურთები ება,—ომი რომ გაუქირ-დებოდა, მაშინ იმ გურზს მოითხოვდა“ (იხ. „ყარაშინიანი“, კარი პირველი, მეოთხე გამოცემა, ტფ. 1912 წ. გვ. 96, 98); გურზი მოხსენებულია „აღლუ-ზიანშიც“. „გურზი მისი ხმალსა მოჰხვედა, ცეცხლი გაჩნდა იქ უმალი, გურზი ორად განიკვეთა, უნაგირს ჰხვედა მისი ნალი“, („აღლუზიანი“, 1885 წ., გვ. 15).

გუმანი 90 ექვად აღებული აზრი; подозрение.

ღახასმული ღეჩაქი 62 თეთრ წინწყალშეყრილი ღეჩაქი; დაბასმული—დაჩითული.

დახალი 37 ტყავის გამოშყვანელი, მომჭელი.

დანგი 158 ძველებური წონაა, რაოდენობით უდრის 12 ქერის მარცელის წონას; ეხლა მისხლის მეოთხედია. უფრო ერცლად იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის „ქართული საფას-საზომთა მკოდნეობა“, 1925 წ., გვ. 98, 107).

დარაია 16, 56, 57 აბრეშუმის დიდი მოსახვევი; ქსოვილი; ჩესუჩა.

დარფა 223 საზანდრის კრებულს დარფა ეწოდება.

დარცკალუხი 98 ლექსის სტრიქონთა განმეორება; დაბრუნებული (პასუხის სახით) ლექსი.

დახტალული 102 ლექსის ორი სტრიქონი, რომელიც ყოველი ხანის შემდეგ მიორდება. შეად. დარცკალუხი.

დაღლარა 17 უსახლკარო, ცუდალეა; ანგალი; ზნე-დაცემული.

დერცია 44, 48 თერძი, ჩოხა-ახალუხის შყერვალი.

დაყურხვა 176 იხ. ყურსი.

დიბა 56, 136 ოქრომკვდით ნაქარგი ფარჩა.

დიპლიმატო 174 საზანდრების ნალარა; დიპლომატო შესდგება ორი ქილისაგან, რომელსაც წოწოლა ძირები აქვს. ვანიერს ზედაპირებზე ვადაკრულია თხის ტყავი. დიპლომატოზე ორივე ხელით უკრავენ თითის სისხო ჩხირებით (ჩალიკით). ბოლო დროს დიპლომატოს ზარიც მიუმატეს.

- დნგრა** 32, 37 წარმოსადგეი, ბრგე, ახოვანი, ჩასხმული, შკერიეი, ჯმუხი.
დოვადოვა 30 გულდაგულ, პირდაპირ, ერთმანეთთან მუშტის დარტყმით მისვლა.
 (იხ. „კრიეი“).
დორი 57 ზურგის მისაყრდნობელი ბალიში. „ძირს მოფენილი ნოხები დორე-
 ბით მოზლუდულია“ (რ. ერისთავი; „თამარიანი“, 1887 წ., 48);
 „ოთახში შემოვიდა, საუცხოო საფენზე დაჯდა, დორზედ მიესვენა“
 (ალ. ორბელიანი, იხ. ი. მეუნარგიას წიგნი: „გრიგოლ ორბელიანის
 ცხოვრება და მოღვაწეობა“, გვ. 9).
დოშაკი 57 ნაალი; ფაფუკი და მოსქო ლეიბი.
დოშლული 17 ახალუხის გულისპირი ორპირად შესაკერელი, ლილებით ჩამწყრი-
 ვებული; საკუთრივ: საგულე, სამკერდული.
დუბეთი 169 ორხანიანი ლექსი.
დუღუკი 174 სალამურის მზგავსია, აქვს ცხრა თვალი (ავილი), რეა ზემოდან
 და ერთი ც ქვემოდან.
დუნბარჩა 56 ყელსაბამი ორწყებად.

- მბგური** 8 შორიდან; მზვერაკი, ყარაული; „მეთვალყურე მტერთა მოძრაობისა
 სამზღვარზედ“ (შხა-მეტყველება).
მლიობა 76 ილია წინაწარმეტყველის სახელობის ეკლესიის დღესასწაული. ეს
 ეკლესია მდებარეობს ტფილისიდან 2—3 ვერსის მანძილზე, მახათის მთის
 მახლობლად. ელიობა 20 იკლისაა.
მნდრო 30 მცენარის ძირი, საღებავად ხმარობენ; წითელი საღებავი.
ერკემალი 30 სამი წლის მამალი ცხვარი; დაყოჩებული ვერძი.

- მენეაქი** 57 ვენეცია.
მეძა 190 ბუნებრივი მინერალური წყარო.

- მტარბაბი** 57 ძვირფასად ნაქსოვი აბრეშუმი, ოქრომკედლით ნაკერი; ოქროს ფერი;
 ძვირფასი ფარჩეული. „... ზედ რა ეხურა ზარი-ზარბაბი“ (ხალხური).
ზარლუჩაქანის კაბა 57 ზარიანი (ოქრომკედლიანი) და ჩაქიანი (ნაოქიანი) კაბა.
ზანგალაკი 76 ანუ ზანზალაკი—მომცრო ზარი.
ზარიფი 164 ნებიერი, კვლუცი, ტურფა, ნარნარი, სანდომიანი, ამო; კეთილ-
 შობილი, კარგად აღზრდილი.
ზარფუში 57 სარკველი. ხუფი; არყის ქვაბის სახურავი.
ზედადგარი 62 რკინის სამფეხიანი დასადგამი; ქვაბის შესადგმელი.
ზილი 28 წვრილი ხმა გალობაში (საბა); ზილი ქართულ სიმღერაში მეხუთე
 ხმას ნიშნავს („ივერია“, 1878 წ., № 17); „შაშვი ამბობს ზილსა, მსმენი
 იკრთობს ძილსა; დვრინავს ქედანი“ (დავით გურამიშვილი), „მეზურნეო,
 დაუბერე ცოტა მაგრა ღ ზილ შია“ (სკანდაროვა). „დუღუკის ნაცვლად
 —ქარხნის საყვირი, დუმბო ღ ზილი დაახშო რკინამ“ („ახალი კავკა-
 სიონი“, № 1—2. 1925 წ., გვ. 5).

ზილფი 90 ქალთა თმა: კავი, ნაწნავი, დალალი.

ზირანდაზი 57 ძირს გასაშლელი, ქვეშაფენი; პატარა ორხოვა.

ზურნა 174, 221 არაბულად სურნა ნიშნავს იერიქონის საყვირს (Сборник матер. для описания местностей и племен Кавказа. Вып. XVII, მეორე განყ., გვ. 5) ჩვენში ზურნა ეწოდება მთელ დასს; ზურნა ჩამოჰგავს კლარნეტს (ია კარგარეთელი: „Грузинская музыка“, 1901 წ., გვ. 18). გამოჭრილია ლერწმისაგან. იხმარებოდა ბრძოლის დროსაც ლითონისაგან კეთდებოდა. „ზურნა“ მოხსენებულია არჩილიანში: „სცემენ ქოსსა და ზურნას ჰკერენ, ჰკონებენ მათ სანალაროს“ („არჩილიანი“ 1888 წ., გვ. 131). ზურნა მოხსენებულია აგრეთვე გრ. რჩელუღვის „თამარ ბატონიშვილში“: „დაჰკრეს ზურნა ნალარას“ (1875 წ., გვ. 67) და განმეორებულია ორსავე თამარ იანში: „მოისმის ზურნა, ნალარა“ (რ. ერისთავი: „თამარიანი“, 1887 წ., გვ. 47); „გახშირდა ბუკთა ყვირილი, დაჰკრეს ზურნა ღ ნალარა“ (ს. გუგუნიანი: „თამარიანი“, 1912 წ., გვ. 51) და სხვ.; საბას განმარტებით: „ზურნა სხვათა ენაა, ქართულად სტვირი ჰქვიან“ (გვ. 113); შეიძლება ეს მართალიც იყოს, ვინაიდან უცხო წყაროების მიხედვით ჩვენებური ზურნა მათ საკრავს ძლიერ ჩამოჰგავს: „ზურნა სამუსიკო იარაღია, გარეგნად ჰგავს გრძელს, ვიწრო ღ სწორ მილს, ძირის ნახვრეტი ანუ ბოლო მოკაუქებული აქვს“, „ударили в дудны, в трубы и в сурны“ (იხ. „Историческое описание одежды и вооружения Российских войск“, ნაწ. I, გვ. 63, 94). ზურნა მოხსენებულია აგრეთვე რუსეთის „აკადემიურ ლექსიკონში“ ღ განმარტებულია როგორც დუდუკის მზგავსი მუსიკალური საკრავი.

თაბუნი 41 ძველად „თაბუნი“ ერთი პროფესიის ხალხს ეწოდებოდა; თაბუნი— დასი, გუნდი, ამაღა; თაბუნი—ცხენთა ჯოგი; გარდა ამისა, მონასტრის ბერებზედაც ითქმის: „თაბუნი მონასტრისა“.

თაგვეფიშიგი 56 „თაგვეფისობა“ უნდა იყოს; ძველად ჯადრაკის მზგავსი თამაშობა იყო.

თავა 62, 67 იხ. „ფურნის თავა“.

თახანა იხ. მიზრაფი.

თათარიანხა 174 საჩქაროდ, სახელდახელოდ, „თათარიანხი საქმე“—მოუფიქრებელი, მოღვიფნიშებული საქმე. (თათარიანხი—ცივად მოხარული ხორცი, სრულებით შეუკაზმავი. შეად. „დასტურლამალი“, იახნი).

თალათინი 57 ანუ ნატა—საუკეთესო ხარისხის ტყავი, ჰამი; თალათინი—სამართებლის საღესსავი ტყავი.

თალფაქი 58 თვალმარგალიტით მოოქვილი თავსახური. შეად. КОЛПАК.

თანგირა 57 შუათანა ზომის სპილენძის ქვაბი, ქონის საღნობად ხმარობდნენ.

თარი 174 საკრავია სიმებიანი; თარზე გაჭიბულია ლითონის სიმები, რაოდენობით ხუთიდან თორმეტამდე (ამ ჟამად მიღებულია 12-13). თარზე უკრავენ მიზრაფით (იხ. მიზრაფი); თარი ხშირად მართულია საღაფებით და სპილოს ძელის ჩუქურთმებით. ერთი ამგვარი თარი ჰქონია მომღერალ ასლან

ხურდაყული შეიღოს. „ივერიაში“ კეთხელობით: „შესანიშნავია ხურდაყული-
შეიღოს თარი, რომელიც მოზრდილი ტანისაა, საუცხოვოდ შექმნილი და
კარგი ხმისა. მას გვერდებზე ექვსი სევადიანი ვარსკვლავი უზის ონ ზოგ ად-
გილას ფიქრუხებით არის მოართული... მარტო შეხედულმა მისი ერთ რამეთა
ღირს. ამ თარზედ არის გამოთქმული შემდეგი ხუმრებლოვანი ლექსი:

დასაბამით ვარ მკობილი,
სირმა-ხალასად დნობილი,
გულს სიყვარულით სობილი,
დიდთა, პატარათ ცნობილი,
მე ასლან თქვენი მკობილი“.

(„ივერია“, 1904 წ., № 124).

თარფი 99 ნობათი, საჩუქარი; სხვა-და-სხვა ნუგბარი (ახლად შემოსული) ხილით
მორთული პატარა თაბახი, ანუ პატარა ურეში (საბავშვოდ გაკეთებული
ურეში, კამბუკებს რომ ციხეში აკეთებენ პურის გულისაგან). თარფით
მილოცვა მიღებული იყო ქარწილ-ლხინებში.

თახაკრაფი 60 ჩიბტზე გადასაკრაფი ხავერდის ვიწრო ნაქერი.

თახუაშული 57 კოეზი თასივით ამოღრმავებული; ჩამა.

თაფი 124 სათამაშო ვეგის (ქხურის კოკის) ზურგი. „ამ კოკს ოთხი მხარე აქვს:
აღრუ, თოხანი, კიკი, თაფი.“

თაქნახადი 57 საუკეთესო თვისების ნაბადი.

თაღლითი 16, 103 მატყუარა, ყალბი, ცრუ; თაღლითი—რიოში მარგალიტი.

თახჩაფური 57 თახჩის ფარდა. „ორი წყვილი სათახჩაფურე“ („საქ. სიძველენი“,
ტ. I, 1889 წ., გვ. 405).

თეფი 57 დურგალთა იარაღია, მცირე სატები; ვარაყის დასაკრული საგორავი
ხელსაწყო; სატეიფარი.

თელფთობა 76 სოფელ თელეთის ტაძრის დღეობა.

თეფერი 8 შირმა.

თვითება 191 პირადი, განსაკუთრებული თვისება რომელიმე პიროვნებისა; სხვა
საგანთან მიმართების აღნიშნავად, თავისთავად აღებული. „ჩვენი ვინაობა,
თვითება, სარწმუნოება შეგვიჩინაბეს“ („ივერია“, 1882 წ. № X, გვ. 133);
„ორი ბიჭის არსებაში ზვაივით რალაც ჩამოწოლილიყო და მთლად დაე-
ნელებინა მათი სულიერი თვითება“ (ილ. ელფთვირიძე: „ტურციკო,
მგელია და თოლია“, იხ. „ივერიის ბიბლიოთეკა“, 1905 წ., № 5, გვ. 18);
„ნამდვილი ძეს არ შეუცვარდება ჩვენი თვითება ისე გამბაფრებით რო-
გორც ეს განსვენებულს უყვარდა“ („ოვანეს თუმანიანი“, 1924 წ., გვ. 16);
თვითება—თვითმყოფობა (იხ. ანტონ კათალიკოსის „მზა-მეტყველება“).

თითჩმები 56 გულქანდაზე ჩამოკიდებული პეპელას ფრთების მზგავსი ოქროს
სიფრიფანები.

თლაშოი 155 ნატაფი ქიქა, კუთხეებად ჩამოთლილი; თლაშოი—ქაქის არყის
„შაურიანი“ ქიქა.

თოქმარი 37 თითბრის ნივთების ჩამომსხმელი.

- თრიაქი** 176 მათრობელა სასმელი; ბანგი. „ღამაძინე, თ რ ი ა ქ ი გაქვს, ბანგი გაქვს“ (საბათნოვა).
- თულუ** 26 თივისაგან დაგრებილი მსხვილი თოკი.
- თულუხჩი** 48 თულუხჩი საზოგადოდ წყლის დამტარებელს ნიშნავს. ეს სიტყვა წარმოსდგება თულუხიდან: თულუხი — ტყავის ტომარა; ძველად ტფილისში წყალსადენი არ იყო, წყალს პირდაპირ მტკვრიდან იღებდნენ და კამერის ტყავიდან გაკეთებულ რუმბებით ეზიდებოდნენ ოჯახებში. 1893 წ. ქალაქის თვითმმართველობამ თულუხი „ბოჭკებად“ შესცვალა.
- თულუფთანი** 57 [?].
- თუშფალანგი** 62 ფლავის საწურავი.

- ილალი** 96 მთიანი ადგილების ალბიური საძოვრები, სადაც გაზაფხულობით და ზაფხულობით საქონელი იკვებება; ხოლო დაბლობ ვაკეებსა და დაბალ მთა-ვაკეების საზამთრო საძოვრებს — კ ი შ ლ ა ლ ი ეწოდება (ვ. კაკაბაძე: „შინამრეწველობა“ 1926 წ., გვ. 116); ქალაქში ილაღს ლაილაღს უწოდებენ.
- ილაქანი** 56, 58 პატარძლის ჯვრის საწერი გვირგვინი.
- იახა** 56 საკინძე.
- იახტანი** 57 ხურჯინი.
- იაკათალი** 8, კედელი რომელიც ჰყოფს ორ კარს, ორ ფანჯარას ან ორ ოთახს. **იალლა** — ფურცლადი ქაღალ (იხ. „ყველიერი“).
- იგითბაში** 43 საკუთრივ: ყოჩაღების თავი. იგითბაში ამქრის გამგობაში მდივნის თანამდებობას ასრულებდა.
- იგზდი** 56, 57 (ანუ ი ა ზ დ) ქალაქია სპარსეთში, საიდანაც საუკეთესო ხარისხის აბრეშუმეული მოდიოდა.
- იოლი** 50 ამქრის წესდებაში ჯ ა რ ი მ ა ს ნ ი შ ნ ა ვ ს .

ქარიტი 170 მორიელი; ღრიანკელი.

- კაფია** 70 (ანუ ყაფია) ლექსაობით შეჯიბრება; მოსწრებულად ფრაზის გარითმვა; სიმღერის შეფარდება, შეხმატბილება.
- კიხატი** 42 ნაკლული.
- კობი** 60 ბაშისაგან შეკერილი და ატლას-გადაკრული თითის სისქე რკალი, ჩიბტი ჩასადები ლეჩქის დასამატრებლად.
- კოტოში** 65 ბარის რქა ანუ „გრძელ-ტარიანი გოგრის კურჭელი“, რომელსაც კისერზე მოკიდებულ წურბელებს აფარებენ „არამი სისხლის“ დასაგროვებლად (—კოტოშს ქალაქში დალაქები ხმარობდნენ), საბას განმარტებით: „კოტოში — მოზიდვით სისხლის გამოძღვები კურჭელია“ (გვ. 152); კოტოში სხვა მნიშვნელობითაც იხმარება: შეად. მ. ჯ ა ნ ა შ ე ი ლ ი, „საინგილო“ 1910 წ. გვ. 203. (გადმობეჭდ. „ძველ საქართველოდან“ ტ. II); ვ. ბერიძე, „სიტყვის კონა“, გვ. 21; თ. სახოკია, „გურიი-აჭარა“ („მოამბე“ 1901 წ., № III, გვ. 25); კ. დონდუა, „სპარსულ-ქართული ცდანი“, ტ. I, ლენინგრადი 1926 წ., გვ. 65.

კრივი 30 ნიშნავს მუშტით ბრძოლას. სომხურადაც მუშტით ბრძოლას „კრივი“-ს უწოდებენ; თურქულად კრივის „ლოგუში“ ჰქვია. მუშტით ბრძოლას სხვა-და-სხვა სახით და სხვა-და-სხვა სახელწოდებით თითქმის ყველა ხალხი იცნობს. კრივობდნენ რომაელებიც, ბერძნებიც, ინგლისელებიც და რუსებიც, სადაც ძველად კრივი „Кулачный бой“-ს სახელწოდებით იყო გავრცელებული.

კულა 19 ვერცხლით შექცდილი ყელვიწრო სასმისი.

ლაგანი 61, 62 ტაშტი.

ლათაია 180 (ანუ ლათაიხ) თამამი, თავბეღური ლაპარაკი; წინდაუხედავი სიტყვა; ლათაიეში, ვ. ბერიძის ლექსიკონის განმარტებით, მიღებ-მოღებული, მიკიბ-მოკიბული, უსაბუთო ლაპარაკია (გვ. 26); გიორგი ერისთავი „გაყარაში“ მიკირტუშას ათქმევინებს: „კნიაზ, კიდევ ერთი ლათაიის გითხრამ—„ეტუ ნა სვეტე ჩესნა ბულით, ბულით ნასიტ ხლება გულით“ (თხზულებანი, გვ. 143); აკაკის „კინტოც“ ამბობს: „კნიაზჯან, გნებაესთ, ერთი ლათაია გითხრათ“ („კრებული, 1889 წ., № VII, გვ. 74). აკაკის ლექსიცა აქვს ამ სათაურით: „კნეინების ლათაია“ („დროება“, 1871; № 38).

ლანდრა 57 მალდი.

ლანთაკა 104 დონდლო, დუნე, დაბოშებული; მსუნავი, გაუმძლარი, ლორმუცლა, ნაყროვანი.

ლასტიკი 18 სატინის მზგავსი შავი ფართლეული, ხმარობენ საახალგებდ.

ლევანდი 21 (ანუ ლავანდი) გაფუჭებული; გალაღებული; ავარა; ლევანდი ოსმალელ ჯარისკაცსაც ნიშნავს. „... Последним именем (леванди) назывались и милиционеры турецкого войска, занимавшего Тифлис в начале XVIII века, и соответствует современному баши-бузук“ (Ю. Ахвердов: „Тифлиссские Амкары“, 1883 წ. გვ. 35).

ღეიღალი 14 მაისის თეთრი ყვავილია, სურნელოვანი; იზრდება ბუჩქებად.

ღარჭი 122 ენებიანი; „ღედათა მიმართ დაუცადებელი გულის თქმა“.

ლოპიანა 34, 37 ზედმეტი სახელია გრ. ორბელიანის ლექსის ვმირისა: „ჩემს ღარღებსა, ვინ ინალღლის ვინ არის, ვის რად უნდა, ლოპიანა ვინ არის“. ლოპიანი საკუთრივ ნიშნავს „ნამიანს“. (ლოპო—ქუჩის ქვეშ მოუშწიფებელი ნოტიო შერქანი); ლოპიანას ეს სახელი დაერქვა მუღმივად წყალში დგომის გამო,—ლოპიანა შეჩანგლუ იყო, შებადური.

ლოხტა 116 ლავამი.

ლულეინი .71 ლეიკა.

მაზა 77 სუფრის სიკობტავე; სანუკვარი საჭმელი; შეად. ჩუბ. деликатес.

„ახლა მთვეუ გამოვიდა, ბიძაშვილებს უღარბაზა,

ხილზედ დასხდნენ, მოიჯანეს უცხოები, ბევრი მაზა.

(„არჩილიანი“ 1853 წ., გვ. 4).

„...ყველგან მიღებულა სუფრის მაზათა“ (სადათნოვა).

- მანდილა** 60 მანდილისაგან რუსული დაბოლოებით წარმოებული სიტყვა.
- მანეზიანი** 61 უცხო ქვეყნის ფართლელობა, რომელსაც ზოლები ქართული ანზანის მანის სახეობისა იყო, რის გამოც ხალხმა მანეზიანი უწოდა.
- მარაქა** 67, 190 საჯარო კამათი, ორთა შორის პაექრობა სიმღერით და ლექსით; თაქარლამა; ხალხის შეკრება, შეჯგუფება; აქედან: აშულების მიერ საჯაროთ გამართული შეჯიბრება; „მარაქა შეპკრა“—კამათში გამოიწვია; „მარაქაში გაერია“—ხალხში გაერია.
- მარიფათი** 19 შნო, უნარი; ზრდილობა.
- მარქათა** 34 დაშხარე ძალი; მაშველი რაზმი.
- მასრაფი** 189 სამკლოვიარო ჰანგი, რომელსაც უკრავენ ცხედრის მიწათ მიბარების შემდეგ.
- მაყაში** 57 მაკრატელი, რომლითაც ქონის სანთელს წამწვარ თავს სჭრიან, „ცხვირს მოხოცენ“ (ძველებური გამოთქმა).
- მაყამა** 58, 114, 178 ომონიმები; ორი სიტყვა, რომელიც ერთგვარად ისმის, ხოლო აზრით სხვა-და-სხვაა. მაგ., „აღმართ-აღმართ მივიდიოდი მე ნ ე ლ ა, სერზედ შევდებ, კბუნვის ალი მე ნ ე ლ ა“ (აკაკი); „თუმც აკაკი ბეერს ჩხუბობდა და ო ბ დ ა, მაგრამ მაინც ძველი სიტყვა და ო ბ დ ა“ (გრიშა-შვილი). „მაჯამების“ საერთო გასაცნობად იხ. „სადათნოვაში“ ნახსენები წყაროები (გვ. 73, სხოლიო).
- მეხიანა** 50 სამიკიტრო.
- მეშღერი** 162 მომღერალი.
- მერდინი** 56, 60 წმინდა ქსოვილი; ქალაღია;
„ქულ-ჩაკეცით, ყელზედ ჩით-მერდინითა,
რა ქეძქვეით ვივჰსწევ ორთაჰალისკენს“ (გრ. ორბელიანი).
- მერდინი აგრეთვე საცერია, ფქვილის გასამტკიცად;
- მიზრაფი** 164 ძველად სამხედრო იარაღი იყო: თიგვომბალა დასარტყმელი ჯოხი (შხრალ); ეხლა მიზრაფი თარის დასაკრავი წყირაა—რქის ძელისაგან გაკეთებული პატარა ფირფიტა; მიზრაფი რომ ხელში იღვილად იყოს დასაპერი, წმინდა სანთელს აკრავენ. მიზრაფით თარს უკრავენ, ხოლო ჩონგურის დასაკრავ წყირას თ ა ზ ა ნ ა ეწოდება,—თაზანა ალუბლის ხის ქერქისაგან კეთდება.
- მიჭვრიტინა** 57 სარკე.
- მოანარუქა** 13 იხ. ნარუქი.
- მოვი** 56, 163 აბრეშუმის ქსოვილია, რომელსაც მერწილად საპერანგედ ხმარობდნენ. აღისფერი ბატისტი; ხალხური ლექსი ამბობს: „წითელო მოვიის პერანგო“... ან: „მე იმერეთში მავალი, ქალი მინახავს მრავალრ, ჩაცმული და დახურული, მოვის პერანგით ნავალი.“
- მუნახიბი** 164 მოუშხადებელის, ან დაუსწავლელის შესაფერად და შესაბამად წარმოთქმა; უცები; კაფია; ექსპრომტი. ... „რა როსტომ მეფემ ამ რიგი სახელმწიფო სასახლე ასრე აოხრებული ნახა, საწუთროს გაუტანლობას შეუწყინდა და ფარსადან გორგოჯანიძეს უბრძანა: „ამ სასახლის ასრე მინგრეულობისათვის ერთი მუნახიბი ლექსი გვითხარო“ („საქართველოს

- ცხოვრება“, 1913 წ., გვ. 321); ან-კიდევ: „წყალობას ვითხოვ, რომ ჩემთვის ერთი საფარაჯე, ან საფილონე, რაც მუნასიბი ნახოთ იმისთანა რამ გამომიგზავნოთ“ („ივერია“, 1902 წ., № 229).
- მურაზი** 9. 38 გულის სურვილი; გულის საყვარელი; ნანდაური, ნაინატრი; აქედან: „ბემურაზი“—უმურაზო. „ძველ პოეტებში მეც მყავს ჩემი გულის მურაზი“ („სტრიოლეტები შეითანაზარში“).
- მურახა** 56, 58 ძვირფასი თვლებით მოოჭვილი; დამშვენებული; ყარყარა, სათუთი; ნატიფი; „ელისაბედ მურასა, ყელი გიგავს სურასა“ (ხალხური ლექსი).
- მურდახილი** 104 ქუჭუბოვანი წვრილი ჩუქურთმა; მხატვრობის ნახაზობა.
- მუსტაზაი** 178 ლექსის ან სიმღერის უკანასკნელი სტროფის განმეორება.
- მულაში** 114 (მუჭამში) გამოცანა; საიდუმლოება.
- მუშაბაზი** 56, 57 „მუშაბაზის ფერი ოქროს კოლოფი“, [?] „სავარცხელი მუშაბაზად მოჭრილი“ [?]
- მუშტა** 44 ხარაზების იარაღი: ხელში (მუშტში) დასაქერი უტარო თითბრის კერი, —საძირე ტყავის (ლანჩის) დასატკეპნელი.
- მუყარ** 82 მოსქო ქალაღი; კარტონი.
- მუხამბაზი** 178, ხუთმუხლოვანი ლექსი; ნიმუშებისათვის იხ. დავით რექტორის ხელნაწერები. (—წ. კ. ს. მუხ. №№ 1512, 3723) & საფათოვას ქართული ლექსები (—გვ. 98, 99, 100, 101).
- მყარი** 184. მავარი, მტკიცე.

ნავლი 157 ფერფლი.

- ნამარდი** 19 არაეაქაკი; უხასიათო; უღირსი, მზაკვარი. მოლალატე, უნამუსო, გაუტანელი; თავკერი—ფგოისტო.
- ნანდაური** 163 იხ. მურაზი.
- ნანინანატრი** 61 ფრიად სასურველი.
- ნარკლეში** 30 მამალი აქლემი; ქართულად—ლონი.
- ნარუქი** 13 „პირველ-ნაყოფი, პირველ კნილი და შემოღებული საქმე, უცხო და ახალი ხელოვნება“ (საზა); მონარუქება—изобретение (ი. ფანცხავა: „თხზულებანი“, 1903 წ., გვ. 271).
- ნატიფი** 23 მოხდენილი; სუფთა.
- ნაფაზი** 178 საკუთრივ სუნთქვას ნიშნავს; ნაფაზი—თუთუნის მოწვევის დროს ბოლის შესუნთქვა.
- ნაღლი** 77 ზღაპარი.
- ნაყიში** 183 ნაკლი, დაკლებული.
- ნაშუტი** 18 ლურჯად შეღებილი ნარმა; უბრალო ფართალი; „ნაშური ახალუბი“ იაფფასიანი ახალუბი; ნაშური—აგურის ჩამოტვირთული ქიმი; ნაშური—ტფის ხის გვერდებიდან ჩამოხერხილი ფიცარი; ყუაფიცარი (ჩიქნაჩი).
- ნიაზღანი** 57 ძვირფასი, კურკლის შესანახი ყუთი.
- ნიშაბური** 57 ჭდაჭი სპარსეთში, რომელიც კარგის ფიროზითაა ცნობილი; „ნიშაბურის ფიროზი“—უმალესი ხარისხის ფიროზი.

მბა—დღეობა, დღესასწაული; იხ. ბარბარობა, ბოლნისობა, ღვთაებობა და სხვ.
ორხოვა 56, 57 ხაოიანი საფენი; ხალიჩა ორპირად ნაქსოვი; „ვისცა უჩენი.
 უკვირდის ღვთისა თქვის მან სასწაულად; არცა ღარულად ჰგებოდა მას
 ქსელი, არც ორხაულად“ (ვეფხ.-ტყაოს.).
ომახიანად 82 რიხიანად.
ოქუცი 50 პანაშვიდი; [სომხ. პოქეოც—სულის მოსახსენებელი ლოცვა].
ოხჩუმობა 20 ძმადნაფიცობა; ავთანდილობა.

ჭექეობა 112 კამათი, ცილობა, მიეგობა, პოლემიკა.

პაქარნი 21 თავზეხელადებული, გაქსეებული, ლახლანდარა. „ტანისამოსი აცვია
 ნამდვილი პაქარნი სა ანუ კინტოსი“ (გ. სუნდუკიანი ცი: „ივერია“,
 1880 წ., № III, გვ. 212); „... მაშინ ცოტა ხალხი იყო და ამისთანა პაქარა
 ხალხი ცხადად სჩანდა“ (სფ. ჩიტორელიძე: „ივერია“ 1890 წ.,
 № 178). „...оканчивали-сь они жизнь свою тем, что пристали бы к
 числу людей без промысла и дома, называемых здесь пожар-
 ными“ („თიფლისსკი ამკარა“, 1883 წ., გვ. 35); ეს სიტყვა წმინდა
 რუსულია—„пожарный“, რომელიც ქალაქებში გადავიდა თავზეხელადე-
 ბულობის და გავარდნის სინონიმით. საერთოდ ტფილისის მოსახლეობა
 ზოგიერთ უცხო სიტყვას თავისებურად ალაგებდა. მაგ., ანტიკა—ანტიური,
 კარტინკა—картина; ტროტრო—ტროტუარი; მენენიკი—имен-
 ник; ფატრეთი—портрет; რიკრიკა—выкронка (თარგი) და სხვ.
 ხშირად ეს სიტყვები ბეჭდურ მწერლობაშიაც გვხვდება: „ლეონ ბატონი-
 შვილს არაგვის მპყრობელს შობის მისისა მენენიკი მიულოცა“ (ა. ხახა-
 ნაშვილი: „დაფნისის ქალაქის ამბავი“, „მოამბე“, 1904 წ., № VI);
 „კარტინკასავეთ დაბატულო ქალაქლო!“ („მნათობი“, 1869 წ.,
 სექტ.-ოქტ. გვ. 51); ფატრეთი კი მეტორამეტე საუკუნის ძეგლებშიაც
 იხმარებოდა (იხ. პროფ. კ. ქეკელიძის „ქართული ლიტერატურის
 ისტორია“ ტ. II, გვ. 287, 291) და სხვ. ამ საერთო ნაკლს ვერ ასცდნენ
 თვით უახლოესი მწერლობის წარმომადგენლები: აკაკი და ილიაც. აკაკი,
 ილიას ლექსის შესახებ, შემდეგსა სწერს: „ავილოთ მისი კეუიანი აგუთნის
 დედა“, რა კარტინას გეხებათ ავტორი?“ (იხ. „ციციკარი“, 1865 წ.,
 სექტ.); ილია კი თავისი ჟურნალის პირველთქმას ასე ამთავრებს: „ჩვენ
 გვინდოდა გვეჩვენებინა მკითხველთათვის, რომ ცხოვრება თვით რჯულია;
 იგი არ გამოიჭრება კაცისაგან მოგონილ რიკრიკაზედ“. (იხ. „საქარ-
 თელოს მოამბე“, 1863 წ., № 1. გვ. 126).

პირიხანახავი 99 ქორწილში მიღებული ადითი იყო: პატარძლის სანახავად და
 გასაცნობად ნუფის ნათესავეები და მყარები ვალდებული იყვნენ, პატარ-
 ძლისთვის ძვირფასი ნივთები ან ფულადი საჩუქარი მიეტანათ. იმერეთში
 ამ ადათს „თავგადასადგები“ ეწოდება.

- რანგი** 158 ფერი, ნირი; საღებავი; რ ა ნ გ ი — ზნე, ჩვეულება; რ ა ნ გ ი — ხარისხი, ღირსება; რ ა ნ გ ი ყოფილა აგრეთვე „თაფლიანი წყალი“ (შალვა და დიანა: „პიესები“ 1923 წ., გვ. 389); რ ა ნ გ ი სპარსული ლექსიკონის მიხედვით მრავალი სხვადასხვა მნიშვნელობის გამომხატველია.
- რახტი** 169 საკუთრივ კეშმარიტება, სისწორე, პირდაპირი; „სიმღერა რასტის ხმაზე“ — სპარსული მუსიკის პირველი ხმა.
- რიოში** — ყალბი მარგალიტი, (იხ. თაღლითი).
- რუბაია** 164 ოთხ სტრიქონიანი ლექსი, რომელშიაც აზრის მთლიანობა სავსებითაა გადმოცემული.
- რუფუნება** 45 ვარჯა, შრომა, ღვაწლი.
- რუფაქი** 62 მულის და დედამთილის საჩუქარი დამოყვრების დროს.

- საზი** 80 საკუთრივ ძნობას, მუსიკას ნიშნავს; აქედან საზანდარი — აღმოსავლეთის ორკესტრი; საზი გრძელ-ტარიანი ჩონგურია, რომელსაც რვა სიმი აქვს. იკვრება ოთხ ხმაზე. საზი — განსაკუთრებით აშუღების ჩონგურია; ჩვეულებრივ ჩონგურს კი რამდენიმე სახელწოდება აქვს: „ჯურა-ჩონგური“, „ყოფუზი ჩონგური“ და სხვ.
- საგზისურხი** 56 საკუთრივ: მწვანე-წითელი. საგზი-სურხი ძველი ვასართობათაგანია; სათანადო ფიცარზე — ჭადრაკულად დახატული იყო მწვანე და წითელი ფერი; მოთამაშენი: ერთი წითლის მხარეზე იყო, მეორე — მწვანისა.
- სათაელი** 187 ეშმაკი, მაცთური, სატანა.
- სათლი** 14 шадри; სათლი ანუ სათილი ეწოდება დალაქების თავსაბან კურქელსაც; „სათლი აბანოსი“ (იხ. „საქ. სიძველენი“, ტ. I, 1899 წ., გვ. 406).
- ხალბუნი** 166 მალამო.
- ხალდასტი** 33 საკუთრივ ხის ხმაღს ნიშნავს. „სალდასტის კრივი“ — კრივი შურდულეებით და ხის ხმლებით.
- ხალიანგი** 79 მასიური; ლიანგი — მასსა.
- ხალთი** 14 მარტოხელი, ტლუ, კენტად მცხოვრები; холостой.
- სამაია** 169 სამაია — სპარსული ლექსწყობის ერთგვარი ჰანგია; სამაია — ცეკვა, ფერხული, შუშპრობა; „აქლემმა უთხრა ვირსა: „ძმაო, მინდა დავროკდე და სამაია და ცეკვა ვქაო“ (სიბრძნე-სიცრუე).
- სამორინე** 20 ქალაღდის სათამაშო სახლი; საყომარბაშო ადგილი; კაზინო, игорный дом.
- სამღვთო** 77 ხატისთვის დაკლული ცხვარი; ტარივი. სამღვთოს ხატსაც უწოდებდნენ (პროფ. ივ. ჯავახიშვილი: „ქართველი ერის ისტორია“, 1913 წ., ტ. I, გვ. 130).
- სანატრიონი** 139 იდეალი.
- სანაფურე** 57 მოზრდილი კურკელი, რომელშიაც აგროვებენ სხვა-და-სხვა სასმის-თაგან მონარჩენ ღვინოს და მისთანათა.

სარანგი 55 წესიერების, მშვიდობიანობის დამცველი მოხელე, „რაოდენთამე კაცთაზედა დაწესებული უფროსი ქალაქთა შინა, ზავთად და შესაშინებლად ბოროტთა და ავაზაკთა“ (იხ. 1841 წელში გამოც. - ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი, გვ. 234).

სარისტა 44 თადარიგი. [„სარისტა“ წარმოებული უნდა იყოს რუსულ *сара-роста*-საგან].

სარუყუფი 14 დუქნის ან ბინის დასაცლელად წინასწარ მიცემული ქრთამი, სარუყუფი—отступные.

სასმელი 104 სასმელი, напиток.

საური 60 61 ბალიშის თეთრი ზედაპირი.

სიასამური 56 კვერნა, ხაზიდი, *сидиль*, რისაგანაც ძვირფასი ბეწვეული მზადდება.

სიმქაში 44 ოქრომკვდლების იარაღი: მავთულის გამოსაწევი; *посоковыцъ*.

სინსილეზი 56 საყბურის (ყამჩის) სამკაული, ცრემლის ფუნჯებივით ჩამოკიდებული. ...ქათიბი მხოლოდ გოგზრებ-შირიკს ი ნ ს ი ლ ი ა ნ ი:—სირმის ზარფოჩინი“. („ივერია“, 1904 წ., № 103).

სირჩა 56 გულზე დასაკიდი ქალის სამკაული; ბოინბალი.

სირჩა 57 ბროლის პატარა ქიქა; *рюмка*.

სუზანი 56, 57, 60 ტახტის ლეიბზე („იანი ნაალი“) გადასაფარებელი ჭრელი (ცისფერი) ქსოვილი; „ყველაფერი ეს გამოუყრა ჯერ სუზანში, მერმე ფარდავში და შეჰკრა მათრანასავით თოკებით“ („ოთარაანთ ჭერივი“, თავი XI).

ტარალი 47 ორპირიანი ხელჩოს მზგავსი ქვის სათლელი.

ტაკიმახხარა 28 დაბალხარისხოვანი ოხუნჯი; მიმოსის (ოინბაზის) უზნო წამბაკველი; მუშაითის თანაშემწე; საკუთრივ: „ქვეშმასხარა“ (იხ. „საჯათნოვას“ ლექსიკონი, სიტყვა: ქანდირბაზი).

ტაშტ-წუშწუშა 57 ანუ ტაშტწურწუშა—პირის დასაბანი.

ტერნოს კაბა 62 თახახიანი აბრეშუმის შავი კაბა.

ტარციალი 108 ტაშის ხმაური; ცეცხლის გატყავუნება; ფაიფურის ჭურჭლის დამტერევის ხმა; საკრავის ქეჩა.

ტოლმა 59, 61, 66 წყალის ამოსაღები ჭურჭელი.

ტაპაუჭი 26 ცხვრის ტყავისაგან შეკერილი მოკლე ჯუბა.

უკლიმი 92 მოურიდებელი; შეუპოვარი; ურცხვი, უტიფარი; უკლიმი—жестокый (შეად. ნ. მარკი—„აბდულმესია“).

უღუშაპა 171 წინაპარი, პაპისპაპა.

უპრიანი 112, უფრო შესაფერი, უფრო შესაბამი.

უხტაშაში 42 (უსტა—ოსტატი, ბაში—თავი) ამჭრის მეთაური.

უუჯროლ 59 ყაჯარი—უნაგირის კეხის მოსართავი; აღფორღი; რაბტი; „უნაგირი უყაჯროლ“—უნაგირი ურაბტოლ.

უშიარა 89 ფხიზელი, ღვინოგამონელებული.
უპუღხუპუღლი 66 წვრილფეხობა.

- ფათა** 70 გათანასწორება; თანტოლობა ქაღალდის თამაშობაში.
ფათანის უთონი 57 აბრეშუმის ქსოვილია.
ფათერაკი 87 უცაბედი უსიამოვნო შემთხვევა.
ფაღანი 9 საპალნის ასაკიდათ ზურგზე დასადები ქეჩა; კურტანი.
ფეხისქვა 57 ძველ ხალხს აბანოში ფეხის ტერფების გასახეხად „მოკედილი ქვა“ ან განსაკუთრებულ მოყვანილობის აგური მიჰქონდათ.
ფთიფა 140 გაჩეჩილი და დასართავად მომზადებული მატყლი.
ფიზოზი 57 ჭურჭელია, საკრაქე ქონის შესანახი.
ფითი 101, 124 აღმოსავლური საქმელია: პატარა ყურიან კოკობში ჩაპყრიან სისირს (მუხუდო), ჩაპყრიან ხახვს, ჩასდებენ ცხვრის ხორცის მსუქან ნაქერს; სეზონის მიხედვით დატანენ ან პამიდორს, ან ტყემალს და შესდგამენ ნადიმ ცეცხლზე. იხარშება თავისავე წვენში.
ფირი 42, 113 ამჭრის ღროშაზე გამოხატული ემბლემა.
ფირმანი 95 ბრძანება, განკარგულება, ნებართვა.
ფირუზქარი 56 ფირუზის ქვა.
ფისტია 57 ფსტა, ფუსტული,—ხმელხილთაგანი; „ფისტიათფერი კაბა“,—ფუსტული ფერი კაბა (ФИСТАШКОВЫЙ).
ფიფინები 185 დაირის რკალზე შიგნიდან დაკრული უხალთუნის მზგავსი თუნუქის პატარა ნაქრები; დაირის ეფენები.
ფიიშბუხარა 57 ბუხრის წინ დასადგმელი საფარი.
ფოლორცა 8 191 მოედანი; ვაშლილი ადგილი; „ვაფოლორცებული ქალი“—სახელგატყვილი, ნაძრახი ქალი; „ნუ ხარ ფოლორცი“—ნუ ხარ ორპირი, ქლესა, მლიქვნელი.
ფუთა 56, 60, 62 ანუ ფუტა, აბანოს ზეწარი, წელქვეით დასაფარებელი ტილო; ერთმა ძველმა მოქალაქემ ამ ფუტის შნიშენლობა ასე ამიწერა: „ძველად ოოკა მამაკაცები აბანოში ბანაობას მორჩებოდნენ, დაიძახებდნენ: „ბაჰას“, ამ ძახილზე აბანოში შემოდირა ჯამიდარი (ფუტას ან ფეხის წყლის მიმწოდებელი), რომელსაც მხრებზე რამდენიმე ათეული ფუტა ჰქონდა გადადებული; ტანის გასაშრობად მიღებული იყო ოთხი ფუტა: ერთ ფუტას ჯამიდარი თავზე შემოგვახვევდა დოლბანდივით, მეორეს ზურგზე დაგვახურა, მესამეს გულზე აგვაფარებდა და მეოთხეს—წელზე.
ფუნჯი 81, 162 ფოხი; КИСТЫ.
ფურნის თავა 62, 67 ფურნეში შემწვარი ცხვრის ხორცი; სპილენძის ღიდი ტათა, ღრმა და ორ ყურიანი; თიხისას მათრათი ჰქვიან.

ქართო 71 გამხმარი, დაძველებული; „ქართო პური“—გამხმარი პური.
ქამინა 191 ეს ნახშირვანი საკრაქე უფრო აშუღებშია მიღებული. ქამინა სამოთხ ძალიანი საკრაქეა. ქამინას უწოდებენ აგრეთვე ქიანურს (მ. „ქია-

ნური“); პირველად უსინათლო აშუღები ამ „ქამანა-ჭიანურს“ უკრავდნენ. ეხლა ცნობილია ე. წ. „გოგრა-ჭიანური“. ქამანა დაერქვა ქამანისაგან (ქამანა — ტუავაბმული მშვილდი, с м я ч о к). ჭიანურის დასაკრავ ჯოხს აგრეთვე ეწოდება „ააი“.

ქაროზი 79 ქადაგება.

ქარქვეტა 168 სწორღეროვანი მცენარე (ხუთი ღერი აქვს); ქალაქში ამ მცენარეს წინადად ინახავენ (კობაჩხილოს და შუშანის ჰგავს); დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის განმარტებით: „ქარქვეტა არის дурнипахучник, зонючка“. ეს განმარტება ამ მცენარეს არ შეეფერება; ქარქვეტი ფსალმუნში იხმარება ხმელი კაჭაჭის ღ ფიჩხის მნიშვნელობით: „რამეთუ მოაქლდა ვითარცა კვამლსა დღეთა ჩემთა, და ძვალნი ჩემნი ვითარცა ქარქვეტი განხმეს“.

ქაფქოთანი 67 (ქვაბქოთანი) სპილენძის ყურიანი მომცრო კვები, „წილში გამოქირებული“ და ხუფიანი.

ქაშანი 57 ქალაქია სპარსეთში, საიდანაც მახმური (ხავერდი) მოდიოდა.

ქეშიკი 23 მცელო.

ქეჩა 18, 56, 57 მოთეოლილ მატყლისაგან გაკეთებული ქვეშაფენი; ხშირად ქეჩაზე დაჩითულია სპარსული ხელოვნების სხვა-და-სხვა სახეები; ქეჩა აუცილებელი საფენი იყო ძველებური ტახტების; ქეჩას ხმარობენ აგრეთვე ცხენზე გადასადარებლად უნაგირის ქვეშ (თოქალთო); «ცხენსა მოჰხადა, დაიგო თაქალთო უნაგირიანი» (ხალხური ლექსი «ავთანდილი»).

ქილიკი 108 ოხუნჯი.

ქირმანი 57 ქალაქია სპარსეთში, საიდანაც ძვირფასი ქალაღიები მოდიოდა.

ქობაჩი შალი 17 იგულისხმება სოფელი ქობაჩი (ლექეთში), საიდანაც საჩოხე შალები მოჰქონდათ; ყარაიოლელებში აგრეთვე ცნობილი იყო „ხუნძახი შალი“, „კარატი შალი“, „ბოგოზი შალი“ და „მუხახი შალი“. საუკეთესო შალად ეს უქანასქელი ითვლებოდა.

ქობინა 66 სარეცხის სატყეველო კეტი.

ქორვაჭარი 12 ჩარჩი, მევახმე; ქორივით რომ აფრინდება სოფლიდან შემოსულ საქონელს; перекупщик.

ქოქოლა 66 ქალთა წყველა, — ერთგვარი ეესტი უქმაყოფილების გამოსახატავად; საკუთრივ: ძირი, გვარეულობა, „საათი დაქოქე“ — საათი მოვმართე; „ყვავილი ქოქით ამოვიღე“ — ყვავილი ძირიანად ამოვიღე; „ქოქოლა მივაყარე“ — მიწა მივაყარე; „შენი ქოქი გაწყდეს“ — შენი გვარეულობა ამოწყდეს.

ქულიჩი 56 ბუდე, რომელშიაც ძვირფასი ქვა იხმება.

ქულფათობა 76 ოჯახის წერილფეხობა.

ქუნთა 57 ბოჭკოიანი ქსოვილი საგებელი.

ქურქია 31 ბეწვეულობის ოსტატი.

ქუნაბანდი 164, 191 შერეული ქუჩა, ჩიხი, тупик.

ღვთაებობა 76 ღვთაების (მამანტონის) ეკლესიის დღესასწაული; იგივე ღვთისმშობლობა. ეს ეკლესია აგებულია სოფელ მარტყოფში. მისი დღეობა

15 აგვისტოსაა. (დაწვრილებით იხ. ნ. ბერძნიშვილის წერილი „კავკაზ“, 1854 წ., № 65).

ლინკოლი 170 ძაფზე ასხმული ფერადი მძივები; ბავშვების სათამაშო კრიალო-სანი აკვანზე დაკიდებული.

ყაბი 57 «საზოგადოთ ჭურჭელს, ქოთანს, ქვაბს, პარკსა და საფენსაც ნიშნავს. ქართულში მხოლოდ ქვაბისა და საქმლის ჭურჭლის მნიშვნელობით არის 'მემოსული'» (პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „სათფას-საზომთა მკოდნეობა“ 1925 წ., გვ. 130).

ყადიფა 56 ტანის გასამშრალელებელი აბანოს ზეწარი; ჩამქიჩი.

ყადლი 43 ვადა.

ყაზაზი 109 აბრეშუმის ძაფის დამზევეწლნი და დამრთველნი. ყაზაზების სახე-ლოსნები ძველად იყო სიონის ტაძრის ოლმოსავლურ მხარეს; ე. წ. ბატარა სირაჯხანის აღმართის თავზე. ძველად, ვიდრე კოჭის ძაფი გაჩნდებოდა, ხალხი აბრეშუმის ძაფსა ხმარობდა; ყაზაზები აკეთებდნენ ყაითნებს. ბუზ-მენტებს და სხე.

ყაიდა 161 ფორმა, სახე, წესი, მანერა.

ყაღამქარი 61 აბრეშუმის ნახატებიანი ნაქსოვი, რომელზედაც ამოყვანილია ბუთა (გულის მოყვანილობის სახე); ბუთა საკუთრივ ბუტკოს. ყოკორს ნიშნავს.

ყამირი 191 გაუტეხელი და დაუშეშავებელი მიწა.

ყამჩა 21, 56 ნიკაპთან რამდენიმე წყება მარგალიტის ფაროული, კავებქევეშ ამოდებული და თხემზედ ლტაქა-ქვეშ შეკრული [ყამჩა— იგივე «საყბურთი ყანჩა» შეად. „ივერია“, 1904 წ., № 103].

ყანაოზი 16 აბრეშუმის ნაქსოვი, რომელსაც რამდენიმე ფერი დაჰკრავს:

ყასიდად 69 ვანზაბ, განგებ. „ყასიდად რამდენიმე თოფიც მიაყოლეს“ (ან ტ. ფურცელადე: „მაცი-ხვიტია“ 1911 წ., გვ. 98) „ყასიდა“—არაბულად პატარა პოემას ეწოდება.

ყაფაზა 16 საქონლის დასაწყობი თარო; რაფა; ყაფაზა აგრეთვე გალიას ნიშნავს.

ყაფანი 77 საბაზრო დიდი სასწორი; სავაჭრო ადგილი, სადაც საქონელს სწონიან (შეად. „დასტურლამალი“ და. ვ. ბერიძე, „სიტყვის კონა“).

ყაფალიანი წალა 17 (ანუ „სირაჯული“) ეწოდება იმ ფესვსაცემოს, რომელსაც წვერზედ თითის ოდენად გადმოღუნული აქვს ლანჩის ტყავი, ქუსლზე „კბილებიანი“ ნალი აკრავს და ყელი ფუნჯიანი ყაითნით აყვრება.

ყველიერი 26 ყველიერის დღესასწაული მთელი ერთი კვირის განმავლობაში წარმოებდა. ე. წ. „ყველიერის კვირა“ წინ უძლოდა დიდ-მარხვას. ამ დროს სჭამდნენ თევზულს, აცხობდნენ ნაზუქს, ქადას, იაღლოს, რომ მერე შეიდი კვირის განმავლობაში ემარხულათ. ახალგაზღვობა ეზოებში საქანელას აბამდა; ანთებდნენ ქიაკოკონას (წვია-კოკონი) და სხე.

ყირმიზი 56 წითელი, წითური; ალისფერი.

ყოდბადი 56 სამაჯური.

- ყომარი** 51 ოთხი კოჭით თამაში. „ჭადრაკის მღერა ნარდისა და სხვა რაც რამა ყუმარი“ (არჩილ მეფე, წ.-კ. ს. ხელნაწ. № 1511, 1547), აქედან — ყომარაზი: ყომრის მოთამაშე, მებანქოვე, მემორონე. „ვაჭარი უნდა სარფისა, სამაფურალოს არა სვამდესა, ყომარაზოზობას ერიღოს სიწმინდით თაესა სცევედესა“ (დ. გურამიშვილი).
- ყონალობა** 20 სტუმრობა. რუსის მწერლები კავკასიის ცხოვრებიდან დაწერილ მოთხრობებში ამ სიტყვას ასე სწორენ «КУНАК» (ველიხოვესკი, ჩარსკი, ნემიროვიჩ-დანენკო და სხვ.).
- ყოშენიანი კაბა** 100, 172 მამკაცების ჩასაცმელი კაბა, ნაოკ-ასხმული, მოკლე და გრძელ, ღია სახელოებიანი. „ძველად უმცროსი უფროსს რომ მიუახლოვდებოდა, შორიდანვე მხარზედ შეყრილ კაბის ყოშებს ძირს ჩამოიყრიდა“ („ივერია“, 1904 წ., № 63).
- ყუთნი** 57 ბამბანარევი აბრეშუმი, საბნის ზედაპირებისთვის იხმარებოდა; ტფილისში იტყოდნენ: „ყუთნის საბანი“, „ყალამჭარის საბანი“, „თარგის საბანი“ (ეს უკანასკნელი საბანი სხვა-და-სხვა ნაჭრებისაგან კეთდებოდა).
- ყული** 114 მონა; ყმა.
- ყულფი** 189 რკინის რგოლი, შარყუმი.
- ყურთუკი** 60 ბატის გერმა (ლინლი).
- ყურხი** 176 საყუთრთე; მრგვალი; ყურხი — კოშტი რაიმე ფხენილისა ან მავარი მასალისა (დასტურლ.); ყურხი — შედედებული ვერცხლი. „ჯაგლაჟა ფაფლენიშვილსა არვინ ათხოვებს ყურსაო, მას ვერცხლი დაუმსხვრევეია და ვეღარ დააყურსაო“ (თეიმურაზ I-ლი, „ივერია“, 1879 წ., № 9-10, გვ. 142).

- შაბაქა** 57 ფიცარზე ან ლითონზე ხარვეზი ჩუქურთმა; ფოთლოვანი ან სწორხაზოვანი ორნამენტაცია; ажурная резьба.
- შავნაბადობა** 76, შავნაბადის ეკლესიის დღესასწაული. შავნაბადის ეკლესია დგას თელეთის მხარეს სამხრეთით, ტფილისიდან 5—6 ვერსის მანძილითაა დაშორებული. დღესასწაული მოდის 22-29 სექტემბერს, ჯვართ ამაღლების მესამე კვირაზე.
- შაბიჩი** 31 შიკრიკი, იჭერივისი, იფრინდა.
- შანჭრაქი** 113 ოთხმოციან წლებში „შანჭრაქებს“ უწოდებდნენ ტფილისში მოსულ ლტოლვილებს, რომლებიც ავლაბრის მიდამოებში ცხოვრობდნენ. შან — ძალია, კრაქ — კრაქი. ეს სახელწოდება დაერქვათ იმიტომ, რომ ოთახში ძაღლის ქონისაგან გაკეთებულ პატრუქს ანთებდნენ.
- შარიშურა** 169 ერთგვარი ჰანგია სიმღერაში.
- შაქი** 91 ალჩუ.
- შენაზუტა** მ. შელაამაზა, შეესათუთა.
- შენჯიში** 56 წითელი ფერის აბრეშუმის თხელი ქსოვილი, რომელსაც განსაკუთრებით ქლის საშარველად ხმარობდნენ. ხალხური ლექსი ამბობს: „ჩითის კაბები ვახადა, სხვა ფარჩები შეუყურა; იმის ქვემოდ შეიდიში კოჭებამდინ დაუშვენა“ („არსენას ლექსი“).

შიშა 44 ღურგლების სახაზავი, линейка.

შიქასტა 99, 180 საკუთრივ დატეხილს, დასახიჩრებულს, ხეიბარს ნიშნავს. აქედან — სიმღერა დაერდომილთათვის.

შუკა 108, 191 переулоч.

შუშტაკი 186 ფერუმარილი.

შუშტარმუხალიფი 96 ძველ ხელთნაწერებში სწერია: „შუშტარი არს — ქალაქი ტ მუხალიფი არს — „ნალმა“ (იხ. წ.-კ. ს. ხელთნაწერი № 1512); მუხალიფი და სხვა სასიმღერო ჰანგები (ჰუსეინი, დუგა, სეგა, ჩარგა, — მუხალიფი, შაჰნაზი, ფას-მუხალიფი, ნოვროზ არაბი და რასტი) მოხსენებული აქვს აკადემიკოსს ნ. მარსს თავის წიგნში: „Тексты и ризыскания по армяно-грузинской филологии“, ტ. V, გვ. 65); ამ ჰანგებს დაწერილებით დაუებრუნდებით ჩვენს შემდეგს შრომაში: „ალექსანდრე კავკავაძე“.

ჩალხანა 22 ყურიანი ქვაბი, ცეცხლზე ჩამოსაკიდი.

ჩანა 68 ყბის ქვეშ ნაწილი

ჩარგა 169 სპარსული მუსიკის მეოთხე ხმაა.

ჩაროზი 14, 172 სადილოს უკანასკნელი თავი; ყელის ჩასაკოკლოზინებელი ხილი; სასიამოვნო საქმელი; ტკბილეული; ჩაროზი — десерт.

ჩარჩუხალი 17 პაქიკებზე შემოსაკრავი პრტყელ-ფოჩებიათი ზონარი; წვივსაკრავი; ჩახსაკრავი; ჩახჩური; ლეკვერთხი.

ჩასჰანდი 17 მარდი, მოძრავი, მოკისკასე, ყოჩალი, სანთიანი.

ჩაქი 17 ჩოხაზე ან ქართულ კაბაზე ბეჭებში ჩაღებულნი „ასხმული ნაოკი“; ვისრამიანთ: „ჩაქი კალთის შინაქერია, რომელიც ქვეშითა გვერდებზე აქვს კაბას, ან პერანგს“. ყარაჩოღელები იცვამდნენ „ეჭეს ჩაქიან“ ჩოხას.

ჩაქსული კაბა 56 ჩაქიანი კაბა, ბეჭებში ვიწროდ შეკერილი.

ჩაფარიში 17, 62 тесемка; თერძები ახალუხის ნაოქს სიმავრისთვის შიგნიდან ჩაფარიშს აკერებენ; მიხეილ ყიფიანი ჩაფარიშს ასე სთარგმნის: „ГЛУН“ („საქართ. მოამბე“ 1863 წ., № X, გვ. 13).

ჩაფრასტი 56 ვერცხლის ან ოქროს დედალ-მამალი რგვალი დუგმები; დილეკლო, გუჯასტა — петля. ჩაფრასტს აკერებდნენ ქართულ კაბებზე; მაჯებზე და გულის ჰირის ოთავე მხარეს; დ. ბაქრაძის განმარტებით: „чдрпти был ничто иное как ряд пуговиц на нагруднике“. («Археологическое путешествие по Грузии и Аджаре», 1875 წ. გვ. 164); ჩაფრასტი — ხერხის კბილების ვადასაწვევ-გადმოსაწვევი იარაღი.

ჩიგინი 57 აბრეშუმზე ან თეთრეულზე წმინდათ ამოქარგული სახე; ნაკური, гладь.

ჩიკორა 17 პატარა ტანის კაცი; ბზრიალა; ჩიკორი — სიპი ქვა.

ჩოფი 57 გრამის გასაკეთებელი ჩიბრი.

ჩოღრათო 56 ვერცხლის დიდი ჭულა ყელგადაგარებილი, ტარივით გაშვერილი; სასმელი ღარით (ი. აბულაძე — „შაჰ-ნამე“).

ჩქაში 96 ჩუჩუნი, მცირე ხმიანობა.

▼ ვკო 17 махорка.

წინანაური 76 (სომხ. წ ი რ ა ნ ა ე ო რ)—წითელსარტყლიანი ღვთის მშობელი. ეს ტაძარი მდებარეობს კრწანისში.

წყრთა 87, სიგრძის ზომა—იდაყვიდან მუშტამდე.

ქიანური 173, 174, 189, 221 მექიანურე ს. ოპანეზაშვილმა ქიანურის მნიშვნელობა ასე ამიხსნა: ქიანური არაბთა სასულიერო და სამოძღვრო საკრავია. იგი შესდგება ოთხის ნაწილისგან: ისარი, მშვილდი, გუმბათი და მინარეთი. სიმბოლიურად ორი მნიშვნელობა აქვს—მახელი და სარწმუნოება. არაბნი დღესაც ყურანის გალობით წაკითხვის დროს, ქიანურს უკრავენ ხოლმე. საქართველოში მისი შემოღება უნდა მიეწეროს მეშვიდე საუკუნეს. მას არაბნი „ტემანჩას“ უწოდებდნენ, რაიც ნიშნავს „ჩოგანს“. რუსთველის მიერ ნაქები „ჩაღანა“ იგივე ქამანჩაა. ქიანური წარმოიშვა „ქუნირი“-დან (ებრაელთა „კინორი“)—უქანასკნელი ქრისტეს დაბადებზე უფრო ადრე უნდა იყოს ცნობილი, მაგრამ რადგან „ქუნირი“ ხმითაც და გარეგნულ სილამაზითაც ბევრად ჩამორჩებოდა არაბულ ჩაღანას, ამიტომაც მას ადგილი დაუთმო და დღეს შოთას ჩაღანა საქართველოში ქიანურადაც ცნობილი.

ქონი 37 ქუდების და ქურქების შემკერავი.

ხაზარდა 8 „ხაზარდა“ წინასწარი ცნობა: ჩამოდექი! გზა მომეცი! ფრთხილადი განი, გინი! აქედან—„ხაზარდიანი კაბა“, განიერი კაბა, რომლის ზედაპირზე მათეულის რკალზე იყო გაკეთებული.

ხადილი 45 წინასწარი საქორწილო მცირე ლბინი; „აქაც მოეციდი ქორწილსაო, იქაც ხადილობასაო“ (ხალხური); მასპინძლობა; შექცევა; წარჩინებულთა მოწვევა.

ხადღში 55 მოახლე ქალი; მოსამსახურე.

ხათბანდის წარდი 56 წარდი—ხის ან ძვლის ფერად ნაჭრებისგან გაკეთებული; ხათბანდი—ხელოსანი, რომელიც მოხდენილ გრავატურებიან ყუთს აკეთებს; რ პ ა ზ ე რ.

ხათრითი 57 თიხის იარაღი: სამკბილა და შუაზე გახვრეტილი შამფურის სატრი-ალბელი (ი. ქუონია).

ხაიათის ყუთი 60 ხელსაქმის ყუთი; [ხაიათი საკუთრივ აბრეშუმს ნიშნავს].

ხალახად ნაკერი 56 ოქრომკედლი ნაკერი.

ხალიჩა-ფუჩი 57 კედლის ფარდა-ხალიჩა.

ხარა 57 აბრეშუმი.

ხეკორძულა 47 ადგილია მცხეთიდან 7 ვერსით დაშორებული, სადაც წყალგარ-მრეილი ნაკადული არის.

ხენეში 17 ავი, ბორცვი, წუნდადებული; ხენეში—მწირი ნიადაგი; ხენეში—უნაყოფო ხე.

ზონჯარი 17 ფოჩებიაინი ლარი განიერი შარვლის თავში გასაყრელი: „ზონჯარი საზოგადოებაში არ ითქმის“ (ნ. ი. ალექსი-მესხიშვილი, „ივერია“, 1904 წ., № 70).

ხოჯორი 56, 58 (ანუ ხოშორი) პატარასი და ღიდის საშუალო.

ხოტონიკი 20 წინდაუხედავი; თვაგდებული, მატარაკი.

ხოში 30 გულნება, настроение.

ხოჯივანჭი 48 სომეხთა ეკლესია და სასაფლაო ავღაბარში. ეკლესია ააშენა ტფილისის მელიქმა ხოჯა ბებუთოვა მე-17 საუკ., რომელსაც მერე ეწოდა ხოჯა-ვანჭი (ხოჯას მონასტერი). ამ სასაფლაოზე, სხვათა შორის, დაკრძალული არიან შემდეგი მწერლები: რაფფი (1837—1888), ოვანეს თუმანიანი (1869—1923), ჰაზირა (1845—1922) და სხვ.

ხრიდოლი 33 კრივი ცალი ხელით.

ჯავარი 69 (ანუ ჯავარი) თვალი პატიოსანი; აქედან: ჯავარიჩი—ювелир.
ჯავარდენი 57 ფოლადის მასხალი; ფერადი ტალღა ჩუქურთმაზე; ზოლიანი ელვარება;

ჯაზული 55 [?].

ჯალაშა 14 ლეჩაქი; რძის გასაწურავი ჩიქილა; марля. „ჯალაშაის ლეჩაქს“ იხურავდნენ მგლოვიარე მანდილოსნები.

ჯეჯიმი 57 აბრეშუმნარევი ზოლებიანი ქსოვილი, (უფრო მუთაქებისთვის ხმარობენ); აბრეშუმის ჯეჯიმი—წმინდათ ნაქსოვი ჯეჯიმი.

ჯვარისმამის პური 43 პატარა (ხელის ტოლად) გამომცხვარი ქართული პურია, მეტად თეთრი და ფაფუკი. „ჯვარისმამის პურს“ და „ჯვარისმამის ლავაშსაც“ ხმარობდნენ საზეიმო სუფრაზე, ქორწილზე და საკურთხად. „ჯვარისმამის პური“ იმიტომ დაერქვა, რომ ის მეთორნეები, რომელნიც განსაკუთრებით ასეთ პურს აცხობდნენ, იყვნენ ჯვარის მამის ეკლესიის მახლობლად (იერუსალიმის ქუჩაზე).

ჯილა 21, 56 თავის მოსართავი, სამკაული; „ჯილა—ქულში გაკეთებული ფრინველის ფრთა, შემკული ძვირფასი თვალ-მარგალიტით“ (ნ. მთვარელიშვილი: „სიბრძნე-სიკრულე“).

ჯილჯილი 66 უჯერო ლაპარაკი, უშნო საუბარი, ლაქლაქი.

ჯომარდი 19 რაინდი; გულუბვი, გულადი;

ჯუქაშა 96 სათუო საქმე. ილია ხმარობს: „ჩვენი თვატრის საქმე ჯუქაშაშია“ (იხ. „ივერია“, 1881 წ., № XI, გვ. 155).

ჭავანჭდაცხა 62 თითბრის სანაყი, როდინი; ფილი; ქვიჯა.

ჭაზირა 172 საკუთრივ ნიშნავს „მზათაა“, შეად. „ხაზირა“ (გურული გამოთქმა); ხალხურ თქმაში ჰაზირ „ბარემ“-ის მნიშვნელობითაც იხმარება: „შინ ჯდომას ჰაზირ გარედ ვიყოთ!“

ჭამხონი იხ. ამფსონი.

ჭარიფი იხ. არიფი.

პარია 70 კერძია, ფაფასა ჰგავს; კორკოტი. პარისა კეთდება დათეთქვილ ხორბლისაგან, რომელსაც ხორცით აზავებენ; იხარშება იმდენ ხანს (ხშირად 14-15 საათი), ვიდრე ხორცი მთლად არ ჩაიშლება. „...მერე შენ იცი, ტუტოცების უსტაბაშო, შენებურად შარი მოუდღე და ისე დანაყე, რომ ძეალი და რბილი პარისასავით აერიოს“ (ასიკო ცაგარელი); ვრთს ლექსში, რომელსაც დავით ბატონიშვილს მიაწერენ, ასეთი სტრიქონებიცაა:

„ნაცვლად მათსა ამ სამთ მოსდით ფეშქაქში,
თათრიდან—ნაღები, ხელთუზნის ქაში,
შეთანბაზრიდან—პარისა, ხაში.“

(„ივერია“, 1879 წ., № 7-8, გვ. 185).

პინა 62, 152, 168 უნაბისფერი საღებავია, რომელიც განსაკუთრებულ მცენარისაგან მზადდება. აღმოსავლეთის ხალხი პინას ხმარობს როგორც ფრჩხილის, წვერის და თმის შესაღებად, ისე თავის ტკივილის დროს.

შინაარსი

I. ძველი ტფილისის ლიტერატურული ზოგება

ტფილისისთვის	გვ. 7
საქართველოს გული	11
ქალაქის ენა	13
კინტო და ყარაჩოდელი	17
ყვენობა	23
კრივი	30
ამქრობა	38
მზითევი	53
აბანო	64
აშულები დღეობებში	75
ნაღლი	77
ყარაგიოზას თეატრი	80
ძველი ტფილისის ბიბლიოთეკა	83
გივიშვილი და სკანდარნოვა	95
მოქალაქობრივი მოტივები	126
ანტონ განჯისკარელი	145
იეთიმ-გურჯი	155
ბენარა	168
ჭაზირა	172
ბოლოთქმა	190

II. ს უ რ ა თ ე ბ ი

ჭაზირა	195
დავით გივიშვილი	9
გიორგი სკანდარნოვა	9
იეთიმ-გურჯი	9
ანტონ განჯისკარელი	9
ბენარა	9

ძველი ტფილისი, ნახატი ვალერიან სიღამონ-ერისთავისა	197
ნარიყალა, გრავაჟურა ა. ზუმბანიძისა	199
თათრის მოედანი, ნახატი ვლენე ახვლედიანისა	201
ღვინი ბანზე, ძველი გრავაჟურიდან	203
ყვენობა, ნახატი ა. შამშინოვისა	205
ამქრის მედროშენი	207
კრივი, ნახატი ვანო ხოჯაბეგოვისა	209
ყოჩების კიდაობა, მისივე	211
ქეიფი კიდაობის შემდეგ, მისივე	”
გამარჯვებული ყოჩის პატრონი სახლისკენ, მისივე	”
მზითევის გადატანა, მისივე	213
ნეფის ცეკვა მამის საფლავზე, მისივე	”
მეჭელებენი, მისივე	”
მზიარული გასეირნება ნახატი ლადო გუდიაშვილისა	215
ქეიფის შემდეგ, მისივე	”
ყარაჩოლული ტიპები, ფოტ. ალ. როინაშვილისა	217
კინტო, ფოტ. დ. ი. ერმაკოვისა	219
მდიდარი კინტოს შვილი, ნახატი ნიკო ფიროსმანიშვილისა	219
ზურნა—კუპრიას დასტა	231
საზანდარი—აბდულბაღიას დარფა	231

3. ნოტები

„ორთავ თვალის სინათლე!“ (გ. სკანდაროვასი)— ჩაწერილი დ. არაყიშვილის მიერ	225
„შითხარ, შითხარ, რას მემღურო“ (დ. გივიშვილისა)— ჩაწერილი ია კარგარეთელის მიერ	227
„ხადაც არის გათენდება“ (ქაზირასი)— ჩაწერილი კ. ფოცხვერაშვილის მიერ	229
„კარგი იყო არ გამეცნე თავიდან“ (იეთიმ-გურჯიასა)— ჩაწერილი ალ. ოპანენაშვილის მიერ	231

4. ლექსიკონი

შეშლილი ჩემი წიგნი

„ალექსანდრე კავკაზადე“